

ოთარ ჭილაძე

ბედნიერი  
ტანჯული

*ესე*  
*პუბლიცისტიკა*  
*ინტერვიუ*

გამომცემლობა  
«ლოგოს პრესი»

ოთარ ჭილაძის «ბედნიერი ტანჯული» სხვადასხვა დროს (1968-2002) ამა თუ იმ საჭირობო-ტო საკითხისადმი მიძღვნილი ესეების, პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების კრებულია. ერთ წიგნში თავმოყრილთ მათ პირველად გაეცნობა ქართველი მკითხველი.

მწერლობის რაობა და მწერლის დანიშნულება, ერი და ეროვნულობა, თავისუფლება და მონობა, სიყვარული და ომი, აფხაზეთის საკითხი და ზოგადად ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ქართველთა მითოლოგიური წარსული და კოლხი მედეას ფენომენი, ქართული ემიგრაციის ზრდა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის არსი, სახელმწიფო სიმბოლიკა, ქართული ტოლერანტობა და შენიღბული ანექსიის საშიშროება – ესაა არასრული წყება იმ აქტუალური საკითხებისა, რომელთა შესახებაც საკუთარ თავალსაზრისს გვთავაზობს მწერალი.

**გამომცემელი**

ლაშა ბერაია

**საგამომცემლო რედაქტორი**

მარინე ხუციშვილი

პირველი გამოცემა

© გამომცემლობა «ლოგოს პრესი», 2003

© ოთარ ჭილაძე, 2003

ISBN 99928-926-0-9

გამომცემლობა «ლოგოს პრესი»

ილია ჭავჭავაძის გამზირი 15ა, 0179 თბილისი

ტელ. 915101, [www.logospress.com.ge](http://www.logospress.com.ge)

გარეკანის გაფორმებისას გამოყენებულია ლადო გრიგოლიას ქანდაკების «სამშობლო»  
ფოტორეპროდუქცია

## ბედნიერი ტანჯული

### 1. ახალი ცა

«ახლა ცა ახალია».  
ნიკოლოზ ბარათაშვილი

150 წელია, რაც ეს მდინარე მოედინება და ყველა ქართველის გულზე გადავლილი, მოღეღავს, მოგუგუნებს, რათა სასწაულად გადარჩენილი თავისი ლექსები ყოველდღიურად ჩაატაროს ჩვენს თვალწინ, როგორც ფუძემოძლილი სამყაროს უზარმაზარი ნამსხვრევები, ანდა, როგორც უნიჭო და უიალქნო ნავების ქარავანი, რომელთა დაობებულ ფსკერზეც საკუთარი ნიჭისა და გონიერების გამო ნაწამები ადამიანი ასვენია.

რასაკვირველია, თვითონ არ იცოდა, ამდენი თუ შეეძლო. არც მისმა ახლობლებმა იცოდნენ. არავინ არ იცოდა. საქართველოში ბნელოდა. გაუვალი წყვდიადი იდგა მყარად, არაბუნებრივი, მაგრამ უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი. თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, მას უჭირდა ამ სიბნელეში ცხოვრება, ემინოდა ამ სიბნელისა და, ჩამონგრეულ გვირაბში მოყოლილი კაცივით, ყველა ღონეს ხმარობდა სამზეოზე ამოსასვლელად, ანუ ჯარისკაცობაზე ოცნებობდა და მეგზურს დაეძებდა განუწყვეტლივ, რომელიც ხელს ჩაჰკიდებდა და გზაზე დააყენებდა. სამზეოზე ამოსვლა იყო მისი მიზანი და ამოვიდა კიდეც, ოღონდ, უკვე გარდაცვლილი, უკვე ზეციური საქართველოს ბინადარი. წყვდიადის ლოდებიდან მხოლოდ მისმა სულმა გამოაღწია, უკვე სიტყვად გარდაქმნილმა. ჩვენდა საბედნიეროდ, შეამჩნიეს. იცნეს-მეთქი, მინდოდა მეთქვა, რადგან განგებამ თითქოს მხოლოდ იმიტომ გააქრო ყველა მისი სურათი, ღმერთივით უსახო და, ამავე დროს, მტკივნეულად ნაცნობი გაეხადა ყველა ჩვენგანისთვის.

ხალხმა საქმეს თავი მიანება და მისკენ წამოვიდა. ქალები აჩხავლებულ ჩვილებს მაღლა სწევდნენ, იმათაც რომ მოსცხებოდათ მისი მაღლი. კაცებს უჭირდათ მისთვის თვალის გასწორება, მაგრამ მაინც ამაყად იშლებოდნენ წელში და ერთმანეთს აფერთხავდნენ მხრებიდან გულგრილობისა თუ სიბეცის, მორჩილებისა თუ სიბეჩავის ქერტლს. ის კი ნელა მიდიოდა პურის ყანაში და ჩამოგლეჯილი საყელოდან ბავშვურად სუსტი მკერდი მოუჩანდა. პურის მწიფე ყანაში მიდიოდა და ათრთოლებულ ხელისგულზე თავთავს იფშვნიდა. დედაბუდიანად წამოშლილი ხალხი კი უკან მისდევდა. ფეხქვეშ ყანა ითელებოდა, მაგრამ არავინ ნაღვლობდა, არავინ ცდილობდა წაქცეული პურის წამოყენებას, რადგან ხალხს სხვა პური შიოდა ახლა, სხვა პური უფრო სჭირდებოდა – პური სულისა და გონებისა! იპოვა კიდეც: *მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.*

ხალხმა შვებით ამოისუნთქა, გაინაზა. მხოლოდ ჭრიჭინების ხმა ისმოდა და ასევე უჩინარი მდინარის გუგუნნი. და უთხრა მან ხალხს: *ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია. ვისიც გონება მრწამდა*

*ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალოლისა, გამომეტყველად მშვენიერი სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?*

მართლაც, ძალიან მწარე და გულსაკლავად ხანმოკლე აღმოჩნდა ამ დიდი პოეტის მიწიერი ცხოვრება. არადა, ერთი შეხედვით, თითქოს უკეთესად უნდა წარმართულიყო ყველაფერი და მასაც უხვად მიეღო ამქვეყნიური სიამენი, რასაც, ჩვენში რომ ვთქვათ, ნამდვილად იმსახურებდა და ყველა თანამედროვეზე მეტადაც. მაგრამ, როგორც არ უნდა გვიძნელდებოდეს ამის თქმა, კარგია, ასე რომ არ მოხდა. ის, «საუბედუროდ», პოეტად იყო დაბადებული, მარტო ხორცზე ვერ იზრუნებდა და გინდაც ეზრუნა, ყველა საშუალო საქმოსნის დასაცინი გახდებოდა ამ საქმეში. მისდაუნებურად მონად დაბადებული, ვერც სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებდა როდისმე და ვერც ბედს შეურიგდებოდა. მას, რაც განგებისგან ჰქონდა დავალებული, ის უნდა შეესრულებინა პირნათლად: ნაპრალისკენ მიმავალი ფარა, რომლის ყოჩსაც, ექვნი ნაცვლად, რუსთხელმწიფის ორდენი ჰქონდა ყელზე შეხებული, უკანვე უნდა მოებრუნებინა როგორმე. მის პატარა წიგნში, როგორც ზღაპრულ ბოთლში – ჯინი, ყველა დამონებული და დაჩაგრული ხალხის შემზარავი სევდაა ჩამწყვდეული და ამ სევდის ძალად ჩახშობილი ხმა კიდევ მრავალ საუკუნეს გადასწვდება. ის, ერთდროულად, ხელოვნურად შექმნილ კალაპოტში მოქცეული სულიცაა და ამ სულის ნაპირზე აღმართული მრავალშტოვანი, ჰაეროვანი და მაღალი ჩინარიც – იდუმალ ხმასთან მოპაექრე, «ენა რამ საიდუმლოს» მცოდნე და უხორცო სატრფოს მიჯნური...

მზე აცხუნებდა. ქალებს უბეები გაეღელათ და ჩვილებს ძუძუთი აჩუმებდნენ. მდინარის ნიავს პურის მშრალი მტვერი მაღლა აჰქონდა და გარინდებულ ხალხს გაოფლილ სახეში აყრიდა. ის კი განაგრძობდა: *მე ახლა იმას ვამბობ, რომ შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!*

«სიმაართლე მხოლოდ ისაა, უფანჯრო და უკარო საკნის კედელს თავით რომ ეხეთქებო» – ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გაგვხსენებია. არც იმისთვის მოგვიყვანია აქ, ბარათაშვილი კაფკას შევადაროთ, მიუხედავად მათი პირადი ცხოვრების საოცარი მსგავსებისა. უბრალოდ, ამ სიტყვებში ბარათაშვილისეული ტრაგედია ტრიალებს, მეოცე საუკუნეში გადმოსახლებული. ეს – ადამიანის უმწეობით გამოწვეული ტკივილი – ზოგადსაკაცობრიო ტკივილია და კაცი, რომლის სულსა და გონებაში ის ჩასახლდება, მსხვერპლია, წმინდანია, გნებავთ, ბედნიერი ტანჯულია, ჯოჯოხეთურ კოცონზე თავისი ნებით ასული.

ხალხი უკვე ღელავდა, მისი მთრთოლვარე ხმით გაბრუებული. გადათელილ პურის ყანაზე ღრუბლის ჩრდილი მიზოზინობდა. ჩვილები ჩხაოდნენ და პირს არიდებდნენ მღელვარებისგან რძეგამშრალ დედის ძუძუს. ვიღაცამ ქუდი მოიხადა და მიწაზე დაახეთქა. ვიღაცამ დაიჩოქა. *ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობაო* – თქვა მან და თითქოს თავისივე სიტყვებისა შერცხვა, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. მაგრამ ხალხმა უკვე იცოდა, ვინ იდგა მის წინ: ყველა მათგანის ბედის მოზიარე და უკიდევანო ქარიშხლის მხედარი.

ბარათაშვილის ძეგლი დღემდე არ დგას თბილისში. არსად არ დგას. არადა, შეიძლება, ის ძეგლი ასის თუ არა, ორმოცდაათი წლისა მაინც ყოფილიყო. ორმოცდაათი წელი კი არა-ნაკლებ სამი თაობის აღზრდაში შეიტანდა თავის განუსაზღვრელ წვლილსა და ამაგს. ძეგლი ისეთსავე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანის სულზე, როგორსაც პირველად ხილული ზღვა, მთები... ამიტომაც, მიუხედავად სიდიდისა და სიმძიმისა, იგი (ძეგლი პოეტი-სა) ყველა ჩვენგანის არსებაში სამუდამოდ ჩასახლდება ხოლმე და, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, იზრდება კიდევ ჩვენთან ერთად. ძეგლი ჩვენამდე არსებული სამყაროს სიმბოლოა, თვალნათლივი და ხელშესახები. მისი დუმილი გაცილებით ბევრის მთქმელია, ვიდრე მჭევრმეტყველთა ქადაგებანი. მოკლედ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. დროზე ადრე, ან დროზე გვიან – თანაბრად საზიანოა. არ შეიძლება, სიჭარმაგეში წაიკითხო სიყმაწვილეში წასაკითხი და ისევე მიიღო აუცილებელი საზრდო სულისა, როგორც ყმაწვილი მიიღებდი. ძეგლიც ასეა. ძეგლი ერთ-ერთი პირველი საოცრებათაგანია ახლად გონებაგახსნილი ბავშვისთვის და უძლიერეს ბიძგს აძლევს მის ფიქრსა და ფანტაზიას. *რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის.* გააჩნია, რა დააჩნდების სულს და რა გარდაეცემის საშვილიშვილოდ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ბავშვისთვის. ჩემს სულში სამუდამოდ ჩარჩა ერთი ლეღვის ხე, რომელიც ჩემი ბავშვობის პირველ წლებში, ბათუმში, მამიდაჩემის ეზოში იდგა. ახლა აღარც ის ხეა და აღარც ის ეზო. იმ ადგილას დიდი საცხოვრებელი სახლი ააშენეს და სადაც ადრე ერთი ოჯახი ცხოვრობდა, ახლა ათეულობით ოჯახი ცხოვრობს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. მაგრამ მე ყოველთვის სინანულით ვიხსენებ ჩემი ბავშვობის მესაიდუმლეს, ერთი მხრივ, უშნოსა და ხაოიან ხეს და, მეორე მხრივ, უნაზესსა და უძვირფასეს არსებას. მე იმ ხისთვის მიკოცნია. შემოვხვევივარ მის დაგრეხილ სხეულს და მიტირია კიდევ, მაგალითად, როცა მამა საავადმყოფოში წაიყვანეს, ანდა, როცა სამუდამოდ მოვდიოდი ბათუმიდან... ადამიანი ყველაფერში სიწმინდეს ეძებს, ეს მისი თვისებაა, და როცა პოულობს, გააღმერთებს ხოლმე. სწამს მისი. ენდობა. რწმენის გარეშე ადამიანი პატარავდება, მახინჯდება. ესეც მისი თვისებაა. მაგრამ მთავარია, რა სწამს, რას ენდობა. ის ხე ჩემი ბავშვობის წმინდა ხეა, რასაკვირველია, მხოლოდ ჩემთვის, და მისი განზოგადება არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ძნელია. მაგრამ არსებობს ყველასათვის ერთნაირად წმინდა ხეც. ეს ხე ძეგლია, ძეგლი პოეტისა. ასეთი იქნება ალბათ ჩემთვის და მომავალი თაობებისთვის ბარათაშვილის ძეგლიც. *ჟამი ჩემშია და ჟამისა მე ვარ იმედით* – ეს სიტყვები საუკუნის წინ ნაპოლეონს ათქმევინა, დღეს კი, გრანტიის მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარს, შეეძლო თვითონაც ეთქვა...

1968

## 2. სხვა ვარსკვლავი

«ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს».

*ილია ჭავჭავაძე*

ყველა ლიტერატურას თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი ჰყავს, რომელიც ზოგადსაკაცობრიო მაგალითიც არის საერთოდ მწერლობისა და საერთოდ საზოგადო მოღვაწეობისა. აქედან გამომდინარე, მისი დანიშნულებაც გაცილებით დიდია, ვიდრე მწერლობაა, ანდა საზოგადო მოღვაწეობა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ისინი, გამორჩეულნი, გვიღვიძებენ ჩვენ, დანარჩენებს, სწავლის სურვილს, განგვაწყობენ სამოქმედოდ, გვიმბაფრებენ შექმნის ჟინს და გვიდასტურებენ «უკეთესი ქვეყნის» არსებობას, დროსა და სივრცეზე გამარჯვების

შესაძლებლობას. ასე რომ, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა, ისინიც, გამორჩეულნიც, ყოველთვის სამაგალითონი და მისაბამნი იქნებიან. ხოლო რაც მათ ცალ-ცალკე შეუქმნიათ თავიანთ ქვეყნებში, საერთო, საყოველთაო სახელმძღვანელოა, საიდანაც ნებისმიერი მსურველი, უპირველეს ყოვლისა, იმას იგებს, თუ როგორი უნდა იყოს თავად.

ასეთი გამორჩეული პიროვნებაა ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის ეს. პირიქით, ამ ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი ზოგიერთი გაზეთი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გადაფასებას აპირებდეს, გადაფასებას იმ ფენომენისა, ურომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია ჩვენი არათუ სულიერი, არამედ ფიზიკური არსებობაც, ნებისმიერი თვალსაზრისით და ნებისმიერ პოლიტიკურ სიტუაციაში. მაგრამ, ვთქვათ, ილიას პოეტური ფრაზის, ანდა რომელიმე გამონათქვამის კრიტიკა კი არ არის შემაშფოთებელი – ამგვარი კრიტიკა, რასაკვირველია, ვერაფერს დააკლებს «ერის გაზრდილსა» და «ცის დანიშნულს» – მაგრამ დიახაც შემაშფოთებელია, ვერაფრით რომ ვერ მოვახერხებთ აქამდე საერთო აზრისა და შეხედულების შექმნა ჩვენი ერთადერთი მკურნალისა და ქომაგის მიმართ. შემაშფოთებელია, დღევანდელი ქართველის გულშიც რომ პოულობს ადგილს უსაფუძვლო და ბრმა სიძულვილი განუსაზღვრელი და უანგარო სიყვარულის წილ. ჩვენდა სავალალოდ, მხოლოდ იმიტოდა შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ დღევანდელი მასობრივი მკითხველი განვითარების ძალიან დაბალ დონეზე დგას და, თავისთავად ცხადია, ყველა დიდი პიროვნების გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა უფრო აინტერესებს, ვიდრე თავად პიროვნების ჭეშმარიტი ადგილი და მნიშვნელობა, თუნდაც, პირადად მის ცხოვრებაში.

ლიტერატურის მცოდნესა და საქმეში ჩახედულ კაცს მხოლოდ ღიმილს თუ მოჰგვრის ილიას «კრიტიკოსთა» თავგამოდება. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაგო კეისარს კეისრისა. მთავარია, გაზეთის დღევანდელმა მკითხველმაც იცოდეს ეს, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ილიას მაგინებლები ილიას უფლებამოსილ და შეუმცდარ მსაჯულებად აღიქვას, რაც, მხოლოდ და მხოლოდ ისევ მისთვისაა საზიანო, რადგან მის თვალში დააყენებს ეჭვის ქვეშ ილია ჭავჭავაძის ფენომენის სიდიადესა და შეუვალობას. და მაინც, უფიცთა დაეჭვებაცა და ბრიყვთა აშკარა გამოხდომებიც მოსატანიც არ არის იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საგულდაგულოდ შენიღბულ პოლიტიკასთან, რომელიც აგერ უკვე ასი წელია, წარმატებით ხორციელდება და დღესაც მრავალ შესაძლებლობას იძლევა, რათა არამარტო ილიას გვერდით მოვიხსენიოთ, არამედ ილიაზე არანაკლები პატივი მივაგოთ მის მკვლელებსაც.

აი, მთავარი მიზეზი ჩვენი გაორებისა, ჩვენი ყოყმანისა, ჩვენი ეჭვიანობისა იმ ადამიანთან დაკავშირებით, ვისაც ბრმად უნდა ვენდობოდეთ და გონებრივი და სულიერი სიფხიზლით ვიცავდეთ. მაგრამ ვიდრე ამას მოვახერხებთ, ჯერ კიდევ ბევრჯერ დავეჭვდებით, არის თუ არა ილია ერთადერთი და აუცილებელი ნიშანსვეტი ჩვენთვის; ბევრჯერ ვიკითხავთ გუნებაში, ვიცხოვროთ მისი მაგალითით, თუ სხვა ვარსკვლავს მივსდიოთ უკვე. თუმცა (და არც ეს იცის ჩვენმა დღევანდელმა მასობრივმა მკითხველმა), «სხვა ვარსკვლავის დევნა» უკვე ილიას მაგალითით ცხოვრებას ნიშნავს მხოლოდ. ოღონდ, ჩვენი ღრმა რწმენით, ჯერჯერობით ერთი დღეც არ გვიცხოვრია ილიას მაგალითით. კი ვამბობთ, ხმამაღლაც ვიქაძნით, ვიმუქრებით კიდევ, მაგრამ მაინც ძველებურად ვაგრძელებთ ცხოვრებას, ანუ, ვცხოვრობთ მონობაში შეძენილი წესებითა და მონობაში შემუშავებული მსოფლმხედველობით, რაც, პირველ რიგში, სწორედ «სხვა ვარსკვლავის» დანახვას გვიშლის. «სხვა ვარსკვლავი» თავად ილიაა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოგვიყვანოს მონობის უკუნეთიდან. აი, როცა იქიდან გამოვალთ, მაშინ უფლებამოსილნიც ვიქნებით და ალბათ უფრო გამართლებულიც იქ-

ნება ჩვენგან ახალი სულიერი ნიშანსვეტების ძიება. იქამდე კი, ამის მცდელობაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან ნაადრევია ნებისმიერი ქართული გაზეთისთვის.

ილია მხოლოდ სისხლიანი წარსული კი არ არის ჩვენთვის, არამედ წართმეული აწმყოცაა და სავალდებულო მომავალიც. მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, მის ნამოღვაწარს მნიშვნელობა დაეკარგოს რომელიმე ჭკუათმყოფელი ქართველისთვის; არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქართველი მწერალი, რომელსაც არ განეცადოს მისი კეთილმყოფელი გავლენა. მისი ფენომენი უფალივით მრავალმხრივია და განუყოფელი, ანუ, განუყოფლად იყოფის მხოლოდ და მხოლოდ მის მიმდევართა, თანამზრახველთა, თანამოაზრეთა და თაყვანისმცემელთა შორის. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ილია იმის სამუდამო საკუთრებაა, ვისაც სამშობლოსთვის უცემს გული.

ილია ჭავჭავაძე ჯერ ისევ ჩვენთან არის, ჯერ საქართველოს ბალახს მისი სისხლი არ შემორობია, ჯერ არ ჩამქრალა მის კუბოსთან ანთებული სანთელი, ჯერ არ გაციებულა მისი ნათელი შუბლი... ხოლო მისი სული საერთოდ არ აპირებს აქედან წასვლას. ჩვენთან ერთად ცხოვრობს, ჩვენ შორის ტრიალებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია მისი დანახვა. ამისთვის განსაკუთრებული აღზრდაა საჭირო, და საერთოდ, ასეთია ხვედრი იმ გამორჩეულთა, რომლებზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. ისინი ცოტანი არიან, რადგან არ შეიძლება ბევრნი იყვნენ. მაგრამ მათი მეშვეობით შეიძლება ბევრი ღირსეული ადამიანი აღიზარდოს. ხოლო, რაც უფრო მეტნი იქნებიან ღირსეულნი, მით უფრო თვალსაჩინო, მით უფრო აუცილებელი გახდება მთელი კაცობრიობისთვის, ვთქვათ, ჩვენი ილია თუ რუსების ტოლსტოი, გერმანელების გოეთე თუ ფრანგების ჰიუგო... ყოველი მათგანი, რასაკვირველია, ერთადერთია და განუმეორებელი და, ამიტომაც, ერთმანეთს კი არ ენაცვლებიან, ავსებენ ერთმანეთს, ერთმანეთის სახელს სიდიადესა და სინათლეს ჰმატებენ მხოლოდ, ერთმანეთის შუქით კიდევ უფრო ივსებიან და ნათდებიან, როგორც ერთი და იმავე თანავარსკვლავედის ვარსკვლავები.

1998

### 3. აკაკი

გასული საუკუნის მიწურულს, ბათუმში, ნინოობის საღამოზე მოწვეულ უცხოელ სტუმრებს აკაკიზე უთქვამთ, ღმერთი ვიხილეთო. დიახაც რომ ღმერთია, ოღონდ მის მიერ შექმნილი სამყარო, მისი ვარსკვლავები, საქართველოთი იწყება და საქართველოთი მთავრდება. ქართველთა ღმერთია, ხელმეორედ მშობელი საკუთარი მშობლისა, რამდენადაც მის გამოცხადებამდე საქართველო აღარ არსებობდა, ანდა ჯერ კიდევ თუ არსებობდა, გველეშაპის მუცელში, გველეშაპის ფაშვის წყვდიადასა და სიმყრალეში დაფავდა სულს... მაგრამ აკაკიმ სიკვდილი არ აცალა, ქართული მითოსის გმირივით, დედის ნაჩუქარი «ოქროს დანით» ფერდი გამოსჭრა გვეშელაპს და წიაღის დორბლითა და ოხშივრით გალუმპული და დაბრმავებული სამშობლო ჩვილივით ამოიყვანა სამზეოზე... ამიტომაც ჰქონდა უფლება, მწარე სიტყვაც ეთქვა მისთვის (სამშობლოსთვის), თუკი საჭიროდ მიიჩნევდა; ამიტომაც ჰქონდა უფლება, ენა დაეწუნებინა ვაჟა-ფშაველასთვის და შარაგზაზე მოკლული ილია ჭავჭავაძისთვის კუბოში ჩაემახა, ბედნიერი ხარო... აკაკი ქართველი კაცისთვის ისევე დიდია, როგორც, ზოგადად, ადამიანისთვის – დედამიწა. უნდა მოსწყდე და კოსმიური სიმაღლიდან შეხედო, მთლიანად რომ იხილო და აღიქვა ის. შეიძლება, ამიტომაც არ ვიცით აქამდე მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა, არამარტო ქართული მწერლობისთვის, არამედ თითოეული ჩვენგანის სიცოცხლისთვისაც...

როცა აკაკიზე ვფიქრობ, თავისთავად იზადება პარალელური, არანაკლებ ამაღელვებელ-ამაფორიაქებელი ფიქრი: შევძლებდით თუ არა ეროვნული შეგნების, ადამიანური ღირსების, მშობლიური ენისა და მამა-პაპათა სალოცავების შენარჩუნებას, ერთდროულად რომ არ მოველინა განგებას ჩვენთვის ილია და აკაკი, მეცხრამეტე საუკუნის ეს ორი ამირანი! ძნელი სათქმელია. მით უფრო, რომ არსებობს ფრიად გულსაკლავი მაგალითი თურქეთის «წილ-ხვედრი» საქართველოს სახით. მაგრამ, ერთსა და იმავე დროს, იმდენად მომხიბლავი და იმდენად შემადრწუნებელია ეს ფიქრი, იოლად ვერ შეეღვევა კაცი, უფრო სწორად, იოლად ვერ დაიმკრენს თავს იმის გავარვარებული მარწუხებიდან, თუკი მართლა უყვარს სამშობლო – ესე იგი, აკაკის კალთიდან გადმოფერთხილი ფინჩხებიტაა გაზრდილი და, რაც მთავარია, არამარტო მადლიერია აკაკისა, არამედ ესმის კიდევ მისი მნიშვნელობა.

მაგრამ განა ყველამ იცოდა, ანდა დღეს იცის აკაკის ფასი, როცა ის უკვე მარადისობის საკუთრებაა?! რასაკვირველია, არა. არც დღეს იციან და, მით უფრო, არც მაშინ იცოდნენ, როცა ჩვეულებრივი ადამიანივით ცხოვრობდა ჩვეულებრივ ადამიანთა შორის – დადიოდა, ლაპარაკობდა, ღელავდა, განიცდიდა, სცხელოდა, სციოდა და განუწყვეტლივ ეძებდა პურსა და ღამის გასათევს. მართალია, მშობლიურმა სოფელმა ერთი ქოთანის ლობიო გამოუგზავნა იუბილეზე (თვითონ მოიკლო უკანასკნელი და იმას მისცა), მართალია, ქუთაისის ერთ-ერთ სასტუმროში ყოველთვის დაკეტილი იყო ოთახი მის სახელზე და არსებობდა ის ჭარმაგი, თავისი ჩაცმულობითა და გარეგნობით უაღრესად კეთილშობილური სისადავისა და უბრალოების განმასახიერებელი გლეხიც, ერთგული მცველივით რომ ამოსდგომია ზურგს უკან – რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას გადაღებულ ერთ-ერთ სურათზე – და სამარადისოდ შეჩერებული მისი მოძრაობაცა და გამომეტყველებაც მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი პატივისცემისა და მოკრძალების გამოხატულებაა ამ ღმერთივით თეთრად დაბერებული სტუმრის მიმართ, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი, მარადიული ეჭვისგან, მარადიული მიუსაფრობისგან და მარადიული განგამისგან გაათავისუფლოს პირადი ცხოვრებით გაწბილებული და სამშობლოს ჭირ-ვარამით თავდავიწყებული პოეტის არსება. ბევრს აშკარად სძულდა და ბევრი აშკარად ნატრობდა მის სიკვდილს, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული (და არც მთლად უსაფუძვლოდ), გაცილებით მშვიდად და «ადამიანურად» რომ იცხოვრებდა უიმისოდ. ყოველ შემთხვევაში, სულ იმის შიშში არ იქნებოდა, რამე ისეთი არ წამომცდეს და რამე ისეთი არ ჩავიდინო, ამ ღვარძლიანი და კაპასი ბებრის პირში ჩავვარდეო. ეს შიში აიძულებდა მაშინდელ ობივატელს, მაინც იმაზე უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე ნებაზე მიშვებული იქნებოდა, როცა არც სამშობლოს სიყვარულს შეახსენებდა ვინმე, არც პირად ღირსებას. «ღვარძლიანი და კაპასი ბებერი», ერთდროულად, გულისხმიერი მოწყალების დაც გახლდათ და მკაცრი ზედამხედველიც მონობით დასწეულებული და ცხრაკლიტულში გამომწყვდეული სამშობლოსი – ხან თუ ენით ულოკავდა ჭრილობებს, ხან მეხად დაატყდებოდა ხოლმე თავზე – გაიღვიძე, ნუ გძინავსო!..

ვისაც სხვიტორის სახლ-მუზეუმში (ოღონდ ბავშვობისას) აკაკის ფეხსაცმელი უნახავს, ძნელად თუ მოახდენს რამე უფრო გრანდიოზულ შთაბეჭდილებას მასზე, თანაც, მთელი ცხოვრების მანძილზე, რამდენადაც ის ფეხსაცმელი მასთან ერთად იზრდება და, თანდათანობით, ძნელი დასაჯერებელი ხდება, თუნდაც აკაკივით ახოვანსა და წარმოსადგე ადამიანს რომ ეცვა ოდესღაც და არა ადამიანის სახით მოვლენილ ღვთაებას. დღეს რომ ის ფეხსაცმელი საქართველოში ჩამოატარონ, არავის მოერგება ალბათ, ჩატევიტ კი, ყველანი ჩავეტევიტ შიგ, როგორც ბიბლიურ კიდობანში. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ თუ კიდევ დადგა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მისგან ხელმეორედ შობილსა და მისგანვე სამუდამოდ დაობლებულ (გნებავთ, დაქვრივებულ) ქვეყანას ისევ ის თუ გადაარჩენს მხოლოდ. ამინ! მაგრამ იცო-



და ეს აკაკიმ სიცოცხლეში? ყოველ შემთხვევაში, ალბათ ძალიან უნდოდა, სიკვდილის შემდეგ მაინც დაენახათ, ეგრძნოთ, გაეგოთ მისი ღვთაებრივი წარმომავლობა, რასაც თავად, მართლაც, ღვთაებრივი თავმდაბლობითა და უბრალოებით უთავსებდა ჩვეულებრივად მართოხელა, მარად ხელმოკლე და მარად უსასთუმლო კაცის ცხოვრებას... სამაგიეროდ, ჩვენ უკვე ნათლად ვიცით, თავიდანვე მთაწმინდისთვის რომ იყო გაჩენილი... სხვათა შორის, თითქოს გასაკვირიცაა, რატომ არ დაკრძალეს ქუთაისში, იქ შობილი და იქვე გარდაცვლილი. მისი მეფური ლანდისთვის არც იქაურობა იქნებოდა ნაკლებად შთამბეჭდავი ფონი: ბაგრატისა და გელათის ტაძრები, მოწამეთა და გეგუთის ნანგრევები... მაგრამ აკაკი თანაბრად ეკუთვნოდა მთელ საქართველოს, ზარის ხმასავით განუყოფელი, და ვერც ერთი კუთხე საქართველოსი, თუნდაც მისი მშობელი, მთლიანად ვერ მიითვისებდა მის ღვთაებრივ მადლსა და სინათლეს. აკაკი მთაწმინდისთვის იყო გაჩენილი და ეს არათუ ქართველმა ხალხმა, არამედ იმ უსულგულო და უგრძნობელმა ორთქლმავალმაც იცოდა, მოტირალი ქალივით რომ მოჰკიოდა ჯერ იმერეთის სერებსა და მერე ქართლის ველ-მინდვრებს... მოიჩქაროდა, მოაფრიალებდა კვამლის შავ ნაწნავს, რათა წმინდა ცხედარი დროულად გადაეცა უკვდავებისთვის... მოისწრაფოდა თავგამოდებული, გულამოვარდნილი – გრძნობდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ წამს, როგორი მოუთმენლობით ელოდებოდა მთელი საქართველო, როდის ჩაიბარებდა დედაქალაქი გულდაკოდილი და ბოლო წუთამდე მაინც მომღერალი მგოსნის ნემტს, რათა მისთვისაც იქ მიეჩინა სამუდამო განსასვენებელი, სადაც სამშობლოსთვის ტანჯულთა და წამებულთა ძვლები განისვენებდნენ მხოლოდ, «საშვილიშვილო სამარეში», ანუ ქართველის შეგნებისთვის ყველაზე მაღალ ტაძარში და ყველაზე მდიდრულ აკლდამაში, თუმცა, ხრიოკი ფერდობებისა და მეჩხერი ბუჩქნარის მეტს, ვერაფერს დაინახავს ირგვლივ თვალი...

1999

#### 4. ფიროსმანი

ფიროსმანი, რასაკვირველია, პროფესიონალი მხატვარია, ნათლად გამოკვეთილი პოზიციითა და მკაცრად ჩამოყალიბებული ფილოსოფიით აღჭურვილი. მისი ფუნჯი გარკვეულ კანონებს ექვემდებარება და გარკვეული სკოლის მოთხოვნებს ასრულებს, როცა მუშაობის ნებისმიერ ნაგლეჯს, ტიტანური ძალისხმევითა და გენიოსური დაუდევრობით, სამარადისოდ ანიჭებს განუმეორებელ ხასიათსა თუ უჩვეულო განწყობას, უკეთილშობილეს იდეასა თუ უსპეტაკეს სულს...

ფიროსმანი უკანასკნელი წარმომადგენელია ჩვენი საეკლესიო მხატვრობისა. წესით, ტაძრები უნდა მოეხატა, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობის გამო დუქნებს ხატავდა. და მაინც, მთელი მისი არსება, მიუხედავად ირგვლივ გამეფებული სიბნელისა, ჯიუტად ინარჩუნებს თითქოს სამუდამოდ დამთავრებული უძველესი ქართული საეკლესიო მხატვრობის შორეულ გამოჩაშტს. განა მზე რომ ჩადის, ყველაფერი ერთდროულად და ერთნაირად ითქვიფება სიბნელეში?! ზოგიერთი საგანი უფრო დიდხანს უძლებს წყვდიადის შემოტევას, უფრო დიდხანს ინახავს მზის დანატოვარ სინათლეს, და სწორედ ასეთი «საგანია» ფიროსმანიც. მართალია, მისმა «ეპოქამ», მისმა «მიწიერმა დრომ» ტაძრიდან დუქანში გადაინაცვლა, მაგრამ ის მაინც უფრო სულის მხატვარია, ვიდრე – ყოფისა. უფრო სწორად, ყოფის რომელიმე უაღრესად დამახასიათებელი დეტალის აღმოჩენისა და წარმოჩენის იშვიათი უნარით კი არ გამოირჩევა მხოლოდ, არამედ ნებისმიერი დეტალისთვის კიდევ სხვა, ბოლომდე ამოუხსნელი (რასაკვირველია, ჩვენთვის) დანიშნულებისა და მნიშვნელობის მინიჭებით.

მისი «მოქეიფეები» წმინდანებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მოქეიფეებს, ოღონდ ეგაა, ჯვრებისა და ხატების ნაცვლად ხელში ჩვეულებრივი ყანწები უჭირავთ. და მაინც, მათი «ქეიფი» დროსტარების ტრადიციული სცენა კი არ არის, არამედ იდუმალი აქტია უაღრესად მნიშვნელოვანი საიდუმლოს განდობისა, ოღონდ საიდუმლოს განმდობებს სახეებზეც ეტყობათ, თვითონვე რომ არ სჯერათ, მართლა თუ აღმოჩნდება ჩვენს შორის ვინმე მათი საიდუმლოს გამგები. არც მისი «მეთევზე» ჰგავს ბუნებრივ გარემოში მოხვედრილსა და ნადავლით ხელდამშვენებულ მეთევზეს. თუმცა, შარვალაკაპიწებული, მდინარეში დგას და ვეება თევზიც უჭირავს ხელში, ერთი სახტად დარჩენილი, გაწბილებული თუ შეშინებული კაცია, მისთვის უჩვეულო, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი და, გეგონებათ, მდინარეც ელანდება და თევზიცო, ანდა საერთოდ პირველად ხედავს ერთსაც და მეორესაცო...

საერთოდ, ფიროსმანის ფუნჯის ყველა «ნაშიერი» ერთნაირად შემცბარი და გაოცებულია, თითქოს არც ერთი მათგანის სულში ჯერ არ დაბადებულა რაიმე ცუდი ზრახვა. ხოლო მაინც თუ სჩადის ცუდს, მხოლოდ და მხოლოდ იძულებით, ანდა უნებლიეთ, როგორც მოთვინიერებული ცხოველი. ისინი თითქოს იმ გარემოში კი არ დაბადებულან, რომელშიც ცხოვრობენ, არამედ შემთხვევით, მოულოდნელად აღმოჩენილან აქ და ამიტომაც არიან ერთნაირად დაბნეულები, სევდიანები, უცხოები, როგორი უცხოც, ვთქვათ, ჟირაფია საქართველოს ბუნებისთვის. მაგრამ იმავე ჟირაფისა არ იყოს, მათი შემქმნელის ჯადოქრობის წყალობით, ძნელად თუ მოინახება ჩვენს სინამდვილეში რაიმე მათზე უფრო ახლობელი, მათზე უფრო ბუნებრივი, მათზე უფრო ქართული...

1972

## 5. ტერენტი გრანელი

იშვიათია პოეტი, ისევე ეცხოვროს პოეზიით, როგორც ტერენტი გრანელი ცხოვრობდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პოეზიას შეეძლო ყველაფერი შეეცვალა მისთვის, არამარტო მეორე ადამიანთან ურთიერთობა, არამედ პურიც, წყალიც, ჰაერიც... ის პოეზიით სუნთქავდა და მისი ფილტვები, მთელი მისი არსება განუწყვეტლივ იჟღინთებოდა ნისლიანი, ღამეული სადგურების სუნით, სივრცეში გარინდული სამრეკლოების დუმილით, ყვითელი, გამხმარი ყვავილისა და ფოთლის მტვრით, შორეული წვიმებისა და გამოღებული სარკმლიდან მოულოდნელად გადმოღვრილი როიალის ხმებით... ის თუ ფიქრობდა, ლექსზე ფიქრობდა და სიცოცხლეზე, სიკვდილზე მეტად უნდოდა კარგი ლექსის დაწერა. მისთვის ყველაფერი ჯერ ლექსის სახეს იღებდა და მხოლოდ მერე ხდებოდა გასაგები, მისაღები ან უარსაყოფი... ის თავიდანვე განწირული იყო დასაღუპად, რადგან არ შეეძლო საკუთარ არსებაში პოეტი გამოეცალკეებინა ჩვეულებრივი ადამიანისგან, რომელსაც თბილი ოთახი, ცხელი კერძი, ქალის ხელი, ნათესავი და მეგობარი სჭირდება – წარმოდგენილი კი არა, ნამდვილი!

1969

## 6. ღმერთის სიკვდილი

მე მქონდა შესაძლებლობა პირადად გავცნობოდი გალაკტიონს. მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი და რამდენიმე ბავშვი გაგვაგზავნეს სკოლიდან რაღაცის გადასაცემად, მაგრამ ბოლო წუთას მაინც ვერ გავბედე მის ბინაში შესვლა, შემეშინდა, ისეთი რამე არ ეკითხა ჩემ-

თვის, რაზედაც ვერ ვუპასუხებდი, არ მეცოდინებოდა, ანდა ისე ვერ ვუპასუხებდი, როგორ პასუხსაც ელოდებოდა ალბათ იმისგან, ვინც მის სამფლობელოში შეჭრას გაბედავდა.

გალაკტიონი სულ იყო. ის წარსულიდან კი არ ამოიზარდა ჩვენთვის სხვა ტიტანებივით, არამედ ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, ჩვენთან ერთად, და, შეიძლება ამის გამოც, მისი ზემოქმედება შეუმჩნეველი რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე. ის ჰაერივით შემოდოდა ჩვენს არსებაში, ჰაერივით, რომელსაც ვერ ამჩნევ, ვერც გრძნობ, მაგრამ ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

გალაკტიონს რომ ჩვენამდე ეცხოვრა, შეიძლება თავიდანვე მეტი პატივისცემა გვქონოდა არამარტო მისი პოეზიის, არამედ მისი პიროვნების მიმართაც. ღმერთი რომ ხილული იყოს, რელიგია არ იარსებებდა. გალაკტიონს კი იმდენად შეეჩვია თბილისი, ადარავის უკვირდა მისი გამოჩენა, ყველანი ცნობდნენ, ყველამ იცოდა მისი სახელი, რაც, ძალაუწებურად, არღვევდა საზღვრებს ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს, ყოველდღიურსა და მარადიულს შორის. პირადად მეც ბევრჯერ მინახავს იგი, ხვეისბერივით გოროზი და ახოვანი, ბავშვის წამალზე გამოსული კაცივით აფორიაქებული, ანდა უბილეთო მგზავრივით, ტროლეიბუსის უკანა ბაქანზე გაჩერებული და სევდიანი ყურადღებით გამომზირალი ტროლეიბუსის კარის ვიწრო მინაში – გეგონებოდათ, პირველად მოხვედრილა ამ ქალაქშიო.

ჩვენ არ განგვიცდია მისი წარმოდგენის ტანჯვა და სიამე, მაგრამ ჩემს თაობას, ეტყობა, ბედად ეწერა უფრო დიდი შთაბეჭდილების განცდა, ვიდრე ღმერთის წარმოდგენაა. მან ღმერთის სიკვდილი იხილა. ის დღეები, როცა გალაკტიონი მწერალთა კავშირში ესვენა, საზეიმო უფრო იყო, ვიდრე სამგლოვიარო. მწერალთა კავშირი იმ დღეებში მართლა ჰგავდა ტამარს, სადაც ყველა მორწმუნეს შეეძლო შესვლა უფლის სახილველად. ის კი, უფალი, მშვიდად, მდიდურად, მომხიბვლელადაც კი, იწვა მაღალ კუბოში, ყვავილებში ჩაფლული, და ჩვენ, პოეტები კი არა, პოეზიის თაყვანისმცემლები, მორწმუნეთა აღტკინებით, ტანჯვანარევი სიამით, ჭირისუფლის უფლებამოსილებით ვირეოდით ნახევრად ბნელ დარბაზში, სადაც კუბო იდგა, რადგან ჩვენს აღტკინებას, სიამესა და უფლებამოსილებას პოეზიის – ამ უძველესი და უმშვენიერესი რელიგიის – საიდუმლოებათა ღრმა ცოდნა კი არ ბადებდა, არამედ – განუსაზღვრელი ნდობა, შეურყეველი რწმენა მისდამი. სადაც ღმერთი ასვენია, იქ ურწმუნოებაზე და უნდობლობაზე ლაპარაკი თავისთავად გამორიცხებულია.

გალაკტიონმა, უპირველეს ყოვლისა, პოეზიის სიდიადის, პოეზიის მარადიულობისა და, რაც მთავარია, პოეზიის აუცილებლობის რწმენა განგვიმტკიცა ჩვენ. მწერლები ერთმანეთს ასწავლიან, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ვინ ვის ასწავლის, მთავარია, ვინ რა იცის, ვისგან რისი სწავლა შეიძლება. გალაკტიონმა სიტყვის პატივისცემა გვასწავლა, რაც, თავისთავად, საერთოდ ადამიანის პატივისცემას ნიშნავს. მე არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით), გალაკტიონის გავლენა არ განეცადოს. გავლენა, კარგი გაგებით, კეთილშობილური აუცილებლობაა, განვითარებასა და წინ წასვლას გულისხმობს, რადგან სულში ტოვებს კვალს და არა სახეზე. სახეზე მიმზამველობა ტოვებს კვალს, გრიმივით, ხოლო მიმზამველობისკენ ადამიანს, ამ შემთხვევაში პოეტს, ადამიანის სულის სიღრმეთა წვდომის სურვილი კი არ უბიძგებს, არამედ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინი. გალაკტიონს, სხვათა შორის, მიმზამველიც ბევრი გამოუჩნდა და მათი მეშვეობით მან ისიც გვასწავლა, თუ როგორი არ უნდა იყოს პოეტი.

გალაკტიონის ცხოვრება მშვენიერისადმი განუწყვეტელი სწრაფვაა, განუწყვეტელი და, ამიტომაც, გამანადგურებელი სურვილია მშვენიერის შექმნისა, რასაც თანამგზავრად კატორღული შრომა, უძილობა, უპურობა, უმეგობრობა, აუტანელი ტკივილი, სულისშემხუთავი

ეჭვი, გამოგნებელი სინანული და იშვიათი, წამიერი ბედნიერების შეგრძნება ახლავს მხოლოდ. შეიძლება ამის ბრალიცაა, რომ გალაკტიონის ყველა სურათიდან (რომელ ასაკშიც არ უნდა იყოს გადაღებული) გამოცეხილი სისუფთავისა და ჩვენთვის უცხო სისადავის გრძობა გვეუფლება ხოლმე, რაც ამ ბედნიერი ტანჯულის სულიერი დახვეწილობის, სულიერი წრთობისა და სულიერი სიდიადის გამონაშუქია, თვალისთვის მიუღწეველი ვარსკვლავის სინათლესავით რომ აღწევს ჩვენამდე და მერე დიდხანს გვაფორიაქებს, როგორც ბოლომდე გაურკვეველი, მაგრამ ბედნიერების მაუწყებელი სიზმარი...

1975

### ადამიანი დროისა და სივრცის უსასრულობაში

(საერთო პასუხი ჟურნალ «ვოპროსი ლიტერატურის» ანკეტაზე)

ვიდრე გიპასუხებთ, მინდა წინასწარ გაგაფრთხილოთ, ლიტერატურის თეორიაში საკმაოდ მოვიკოჭლებ. ბევრი რამ, რაც თქვენ გაინტერესებთ, ჩემთვისაც ძნელი ასახსნელია. და მაინც, ჩემი აზრით, მკითხველის ინტერესს იწვევს არა ესა თუ ის ლიტერატურული ჟანრი, არამედ კონკრეტული წიგნის მხატვრული ღირსებანი. თუ იწერება კარგი წიგნი, თავისთავად ჩნდება ინტერესიც იმ წიგნისადმი. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ამ კარგი წიგნის ავტორი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პირადად ჩემთვის ლექსი, მოთხრობა, რომანი თუ პიესა ერთი და იმავე მოვლენის გამოხატულებაა, რასაც ავტორის, ანუ მწერლის ე. წ. სათქმელის ბუნება და ხასიათი განაპირობებს და არა ავტორის, ანუ მწერლის აჩემება, მაინცდამაინც ლექსი უნდა დავწერო, ანდა მაინცდამაინც ნოველაო. მწერალი ჩემთვის უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ამ ცნების დღევანდელი გაგება გულისხმობს; – მხედველობაში მაქვს სექციების არსებობა; – თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ გარკვეულ დროს გარკვეული ჟანრია გაბატონებული. ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება მომავალშიც, ვიდრე ლიტერატურა იარსებებს; ხოლო რომელიმე ჟანრის პრივილეგიას, ანუ, როგორც თქვენ ამბობთ, რომელიმე ჟანრისკენ შემობრუნებას, ისევ და ისევ კარგი წიგნების არსებობა განაპირობებს.

რაც შეეხება მე, «ისტორიულ პროზამდე» კი არ მივდი, არამედ თავიდანვე «ისტორიული პროზით» დავიწყე, თუმცა არ ვიცი, რამდენად განეკუთვნება ჩემი რომანები ამ ჟანრს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა ისტორიული ნაწარმოების შექმნა ამ სიტყვისა და ცნების პირდაპირი და მკაცრი გაგებით. ხოლო პოეზიიდან პროზაზე გადასვლა ჩემთვის გაცილებით უმტკივნეულოდ და შეუმჩნეველად მოხდა, ვიდრე ჩემი საქმიანობით დაინტერესებული ხალხისთვის. მე ერთი წამითაც არ მქონია იმის შეგრძნება, თითქოს რაღაცის გამო რაღაცაზე უარს ვამბობდი, ხელობას ვიცვლიდი, ანდა ერთი ამქრიდან მეორეში გადავდიოდი. აკი თქვენც ამბობთ, პოეტის პროზაზე გადასვლა იშვიათი შემთხვევა არ არისო; მაგალითად კარამზინსა და პუშკინს ასახელებთ, თუმცა კარამზინამდე და პუშკინამდეც მოიძებნება არა ერთი და ორი მაგალითი, ოღონდ არა პოეზიიდან პროზაზე გადასვლისა, როგორც თქვენ ამბობთ, არამედ პოეზიისა და პროზის განუყოფლობისა, როგორც მე მიმაჩნია, ანუ მაგალითი იმისა, თუ როგორ არ გამორიცხავს ერთი მეორეს და პირიქით – როგორ ბუნებრივად თანაარსებობენ ისინი ერთიდაიმავე ავტორის შემოქმედებაში (ბოკაჩო, რაბლე, შექსპირი, სერვანტესი, სვიფტი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა...). კაცს ერთხელ თუ წაუცდა ხელი და ლექსი დაწერა, არა თუ რომანი, შეიძლება პიესაც კი დაწეროს. რაც შეეხება მუზეუმის ნათესაობას, უფრო სისხლხორცეული ნათესაობა ძნელი წარმოსადგენია. ისინი დები არიან და გინდაც არ უყვარდეთ ერთმანეთი, ცხოვრებისეული ინტრიგებით მაინც ვერ მიჩქმალავენ სისხლისმიერ ერთიანობას.

არ არსებობს ეპოქა, საინტერესო არ იყოს ნებისმიერი შემოქმედისთვის. მაგრამ არა მგონია, ავტორი თვითონ ირჩევდეს ამა თუ იმ ეპოქას თავისი ნაწარმოებისთვის. აქ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც შემთხვევითობას ენიჭება. მაგალითად, რაიმე ნივთს, ძველი წერილის ნაგლეჯს, ჩრჩილით შექმულ კაბას, ანდა სხვა ამგვარად უმნიშვნელო წვრილმანს შეუძლია არათუ გარდასული დრო გაგვახსენოს მხოლოდ, არამედ ისე მძაფრად გვაგრძნობინოს იმ დროის ფერი და სურნელება, «სამოქმედოდაც» აღგვაგზნოს, როგორც ნადირის სუნნაკრავი მწევარი. პირადად ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია იმ მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია კოლხეთის ჭაობები ოდესღაც არსებულ ზღვის ფსკერად წარმოვიდგინოთ. აი ამ, თითქოს უმნიშვნელო, არალიტერატურულმა ინფორმაციამ განმაწყო რომანის დასაწერად, რისთვისაც მართლაც რომ ზღვა მასალის წაკითხვა და შესწავლა დამჭირდა და რასაც არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენდი ალბათ, ამ პატარა, «ყოვლად უწყინარ» ცნობას რომ არ გადავყროდი შემთხვევით. მწერალი თვითონვე იგდებს თავს «განსაცდელში», ანუ აუტკივარ თავს იტკივებს ხოლმე, და მერე თვითონაც აღარ იცის, როგორ გაამართლოს თავისი «დანაშაული» სხვების თვალშიც; უფრო სწორად, როგორ გასცეს პასუხი იმ უამრავ კითხვას, ბუნებრივად რომ ებადება მკითხველს, რომლისთვისაც მიზეზი კი არა, შედეგია მთავარი.

ისტორიული პროზის, ისევე როგორც საერთოდ ლიტერატურის, ყურადღება ადამიანისკენაა მიპყრობილი; ლიტერატურის და, ამდენად, ისტორიული პროზის ცენტრშიც ყოველთვის ადამიანი დგას, თავისი სანიმუშო თუ თავისი დასაგმობი ცხოვრებით; ოღონდ, ჩემი აზრით, სრულებითაც არ არის აუცილებელი, ის ადამიანი ნამდვილად ისტორიული პიროვნება იყოს. მე მგონია, ისტორიულ პიროვნებებზე დაწერილი ნაწარმოებები კიდევ სხვა ჟანრია, და გაცილებით შეზღუდული, ვიდრე ისტორიული პროზა და, რაღა თქმა უნდა, ვიდრე საერთოდ პროზა. ადამიანი გაცილებით დიდი და რთული ცნებაა, ვიდრე ნაპოლეონი. ნაპოლეონის ცხოვრებით დაინტერესებულ მწერალს ნახევარი საქმე მუშაობის დაწყებამდე აქვს მოთავებული, რადგან მის მომავალ წიგნში, როგორი დიდი ფანტაზიითაც არ უნდა იყოს ავტორი დაჯილდოებული, არაფრით არ შეიძლება ნაპოლეონს უარი ათქმევინოს იმპერატორობაზე, ანდა ვატერლოოს შემდეგ თავი მოაკვლევინოს, რაც არ მომხდარა, მაგრამ რაც გამორიცხული არ არის ზოგადად ადამიანისთვის. პირადად მე ადამიანი მაინტერესებს დროისა და სივრცის უსასრულობაში, რამდენადაც არასოდეს არ ვიცი წინასწარ, როდის როგორ მოიქცევა იგი, მიუხედავად მისი ბუნების საოცარი სიმყარისა; ადამიანი მხოლოდ გარეგნულად ემორჩილება ცვალებადობას, ხოლო შიგნით, სულის სიღრმეში ახლაც ისეთივეა, როგორც თავიდანვე «შექმნა ღმერთმა». და მაინც (მე მგონია, სწორედ ესაა მისი მომხიბვლელობა), მიუხედავად უკვე საკმაოდ საპატიო ასაკისა, მიუხედავად საკმაოდ დიდი გამოცდილებისა, ყოველ წუთას მზადაა იმავე შეცდომის ჩასადენად, რის გამოც გუშინ თვითონვე დაზარალდა ყველაზე მეტად. შეიძლება, ამანაც განაპირობა ჩემი მიდრეკილება ისტორიისა და მითოლოგიისადმი; შეიძლება – ჩემი, როგორც მწერლის სისუსტეც. კარგ მოჭიდავეს მოედნის სიპატარავე ხელს არ შეუშლის; ცუდს კი დიდ მოედანზე ურჩევნია ჭიდაობა, უკან დასახევი, გვერდზე გასახტომი ადგილი რომ ჰქონდეს. სხვათა შორის, არც ისაა გამორიცხული, რომ ჩემი, როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული როლი ჩემი სამშობლოს ბედს ეთამაშოს. როცა საქართველოს ისტორიას კითხულობ, ძალაუნებურად მითოლოგიურად იწყებ აზროვნებას; ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ღმერთმა, უფრო სწორად, ღმერთებმა, ამ პატარა ქვეყანას სიცოცხლის შესაძლებლობები წაართვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვდავება აჩუქეს; უკვდავება კი, მოგეხსენებათ, სიცოცხლეზე გაცილებით ძნელია; იმავე მითოლოგიიდან მრავლად ვიცით მაგალითები, როცა მიწიერი ჭრილობებით, მიწიერი ტკივი-

ლებით გამწარებულ გმირებს უკვდავება ჩვეულებრივ ადამიანურ სიკვდილზე გაუცვლიათ; მაგრამ რისი უფლებაც მითოლოგიურ გმირებს აქვთ, იმისი უფლება არა აქვს ადამიანს, ხალხს, ხალხებს, კაცობრიობას; კაცობრიობა უკვდავებისთვისაა «განწირული», ხოლო ამ უკვდავების საიდუმლო ადამიანის სულში იმალება; აქედან იღებს სათავეს ლიტერატურის და საერთოდ ხელოვნების გაუნელებელი ინტერესი ადამიანის სულისადმი; ხოლო ამ შემთხვევაში ჟანრებს დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ჯარის სახეობებს, რომლებსაც ერთი და იმავე საქმის შესრულება ევალებათ, ოღონდ ოდნავ განსხვავებულად. ასე რომ, თქვენი შეკითხვა: ვთვლი თუ არა თავს ისტორიული პროზის ავტორად, სრულებითაც არ არის უცნაური. რაც ისტორიას ეკუთვნის – მარადიულია; ანუ – დასრულებული, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი; კართაგენი დაინგრა, რომი დაემხო, გარიბალდიმ გაიმარჯვა... მაგრამ ლიტერატურას მაინც წარმავალის მარადიულობა აინტერესებს უფრო: ვნება, გრძნობა, განცდა... ამდენად, თქვენს მიერ ეგრეთ წოდებულ «ისტორიულ პროზაშიც» აუცილებლად ვლინდება, რასაკვირველია, მეტნაკლებად, ავტორის პიროვნებაც; ერთმა ავტორმა შეიძლება გაამართლოს ის, რაც მეორემ უარყო. უფრო მეტიც, თქვენ რომ პუშკინის პუგაჩოვს ახსენებთ, ის უნიკალური, მხოლოდ და მხოლოდ პუშკინის პუგაჩოვია, არა ქრონიკებისა და ისტორიული დოკუმენტებისგან შეკოწიწებული, არამედ პოეტური გენიის მიერ შექმნილი, სრულიად ახალი სახე ისტორიული პუგაჩოვისა.

აქვე ვიტყვი ბარემ ენაზედაც: ქართულმა სალიტერატურო ენამ მთელი თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე იმდენად უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა, პრობლემად არასოდეს ქცეულა. ისე, ჩემი აზრით, დღევანდელი მწერალი მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი ენით უნდა წერდეს და არც სასიამოვნო კოლორიტის გამო არ უნდა იხმაროს არქაული სიტყვები, თუკი მათ უფრო თანამედროვე შესატყვისები გააჩნია.

ახალი მწერალი ციდან არ ვარდება; არც ცარიელ ადგილზე ამოდის. სხვათა შორის, არც არაფერს ამბობს ახალს; ახლებურად ამბობს ძველს, ბევრჯერ თქმულს, რამდენადაც თვითონაა ახალი და არა ის, რასაც ლიტერატურა ემსახურება, რაც ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება. ამდენად, ყველა წინამორბედი მწერალი თავისთავად მასწავლებელიცაა, ოღონდ ცოტა უცნაური: იმას კი არ გვასწავლის, თუ როგორ ვწეროთ, არამედ – როგორ არ ვწეროთ. იმედია, აუხსნელად მიმიხვდებით, რომ ამით წინამორბედი მწერლების წერის მანერას კი არ ვიწუნებ, არამედ სწორედ მათი ოსტატობის მიუღწეველ სიმაღლესა და ხელშეუხებლობას ვუსვამ ხაზს. ყველა მწერალს გაცილებით მეტი მასწავლებელი ჰყავს, ვიდრე ჰგონია, რადგან არამარტო იმ მწერლისგან სწავლობს, რომელსაც აღმერთებს, არამედ იმისგანაც (და შეიძლება, უფრო მეტსაც), რომელსაც ვალდებულების გამო კითხულობს მხოლოდ.

არც იმას დავმაღავ, რომ თქვენმა ნამდვილად საინტერესო და, მე ვიტყვოდი, ღრმად გააზრებულმა შეკითხვებმა მეც საუბრის გუნებაზე დამაყენა; ამდენი არასოდეს მილაპარაკია; მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, არა მგონია, ამომწურავი იყოს ჩემი პასუხი. ამიტომ, თქვენი ნებართვით, ტოლსტოის მოვიშველიებ, რომელსაც მართლაც რომ ორი სიტყვითა აქვს ნათქვამი ის, რასაც მე აგერ უკვე ოთხი თაბახი ქაღალდი მოვანდომე: «მე რომ იმის მოყოლა მდომებოდა, რისი გამოხატვაც რომანში ვცადა, იძულებული გავხდებოდი ხელახლა დამეწერა ზუსტად იგივე რომანი, რომელიც ერთხელ უკვე დავწერე».

## კერიის კვამლის ფთილა

(საერთო პასუხი ჟურნალ «ლათინსკაია ამერიკას» ანკეტაზე)

ყოველნაირად შევეცდები დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა, ანუ – შეძლებისდაგვარად გიპასუხოთ შეკითხვებზე და, რაც მთავარია, ვიყო გულწრფელი: არც ცოდნა დავმალო და არც უცოდინრობა იმ საკითხებისა, რომელთა გასარკვევადაც ესოდენ სერიოზული ღონისძიების ჩატარება განგიზრახავთ. ამიტომ, თავიდანვე ვიტყვი, რომ თქვენმა შეკითხვებმა რატომღაც საკამათოდ განმაწყო, უფრო სწორად, მეც ათასი შეკითხვა გამიჩნდა; მაგრამ, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, შეიძლება სწორედ ამ შეკითხვების მეშვეობით მოვახერხო ჩემი აზრის გამოთქმა, რამდენადაც აქამდე არასოდეს მომცემია შესაძლებლობა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამომეყალიბებინა გარკვეული შეხედულება ლათინურ-ამერიკულ რომანზე. უფრო მეტიც – ზოგადად ლათინურ-ამერიკული რომანი, პირადად ჩემთვის ნაკლებად ამაღელვებელი მოვლენაა, რა თქმა უნდა, მცირე გამონაკლისის გარდა, უფრო ზუსტად – მარკესის გარდა, რომლის გამოჩენამაც, ჩემი ღრმა რწმენით, საერთოდ განაპირობა ცნება «თანამედროვე ლათინურ-ამერიკული რომანი» – როგორც განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა. ლათინურ-ამერიკული რომანი მარკესამდეც ხომ არსებობდა? არსებობდნენ ის მწერლებიც, რომელთა სახელებიც დღეს საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ მარკესის გამოჩენამდე აზრადაც არ მოსვლია ვინმეს, ელაპარაკა ლათინური ამერიკის ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობაზე და, რაც ჩვენთვის მთავარია, მისი გავლენის კვალი ეძებნა რიგი ქართველი, სომეხი, უკრაინელი თუ ბალტიისპირელი მწერლის შემოქმედებაში. კეთილი და პატიოსანი! პირადად მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ამგვარი გავლენებისა. პირიქით – ჩემი აზრით, ლიტერატურის განვითარება საერთოდ წარმოუდგენელია გავლენების გარეშე. ვინც გავლენას განიცდის, თავადაც ახდენს გავლენას. შეიძლება ესეც იყოს ლიტერატურის მარადიულობის საიდუმლო: მივიღე და გავეცი! მაგრამ, მე მგონი, მაინც განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს: როცა ამგვარ ლიტერატურულ გავლენებზე ვლაპარაკობთ, გავლენის სფეროებზე მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი და არა ჩვენ მიერ შერჩეული ჩვენივე შეურყეველი თეორიისა თუ მიმზიდველი მოსაზრების გასამართლებლად. ამიტომაც მოგახსენეთ ზემოთ, თქვენმა შეკითხვებმა მეც ათასი შეკითხვა გამიჩინა-მეთქი. მაგალითად, არ ვიცი და ძალიან მინდა ვიცოდე, რის საფუძველზე მიაჩნიათ, რომ ახალმა ლათინურ-ამერიკულმა რომანმა «გარკვეული ზემოქმედება მოახდინა რიგი ქართველი, სომეხი, უკრაინელი და ბალტიისპირელი მწერლის შემოქმედებაზე»? კონკრეტულად ვინ არიან ეს მწერლები? რა დააშავეს სხვა რესპუბლიკების მწერლებმა? ხომ არ ვაზვიადებთ ლათინურ-ამერიკული რომანის მნიშვნელობას და ხომ არ მოვიკოჭლებთ, მაგალითად, სომხური ლიტერატურის ცოდნასა და შეფასებაში? მარტო საბჭოთა და ლათინური ამერიკის ლიტერატურებში შეიმჩნევა «ინტერესთა დამთხვევა» თუ ეს ჩვეულებრივი, უფრო სწორად, კანონზომიერი მოვლენაა ყველა ლიტერატურისთვის? მოკლედ, შეკითხვა ბევრია, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენი შეკითხვებია მთავარი და არა ჩემი. აი, თქვენ მეკითხებით, რამ განაპირობა ლათინურ-ამერიკული რომანით დაინტერესება ჩვენს ქვეყანაში? ჩემი ღრმა რწმენით, ნებისმიერი ლიტერა-

ტურით დაინტერესების მიზეზი ყოველთვის ერთი და იგივეა – კარგი წიგნი! სადაც კარგი წიგნი დაიბადება, ჩვენც, მკითხველებიც, იქით შევბრუნდებით. მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ ლათინური ამერიკის ლიტერატურის ბოლოდროინდელ აღზევებაში უდიდესი როლი მიუძღვის მოულოდნელობის ეფექტს. ყუმბარა იქ აფეთქდა, სადაც არავინ ელოდებოდა. მაგრამ მარტო იქ «აფეთქდა» თუ მსგავსი «აფეთქებები» საერთოდ დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისთვის? ამ ბოლო ოცწლეულში ასეთი მოულოდნელი «აფეთქებები», რა თქმა უნდა, მეტნაკლები ძალისა და მნიშვნელობისა, მსოფლიო ლიტერატურის სწორედ «ჩამორჩენილ» და «მიყრუებულ» უბნებში ხდებოდა, რაც მხოლოდ ერთი შეხედვითაა საკვირველი, თორემ ლათინური ამერიკაც ისეთივე განუყოფელი ნაწილია მსოფლიოსი, როგორც საფრანგეთი, ინგლისი, იაპონია... და ისიც განუწყვეტლივია ჩართული მსოფლიოში მიმდინარე ნებისმიერ ლიტერატურულ პროცესში. და მაინც, როდესაც ლათინურ-ამერიკულ რომანსა და მისი გავლენის სფეროებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ მოულოდნელობის ეფექტი. მე იშვიათად მეგულება მარკესისთანა ნიჭიერი მწერალი, მაგრამ ის რომ უფრო პრესტიჟიანი ლიტერატურის წარმომადგენელი იყოს, ვთქვათ, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, რუსული ანდა თუნდაც ესპანური ლიტერატურისა, შეიძლება, მისი გამოჩენა ნაკლებად მოულოდნელი ყოფილიყო და ამდენად – ნაკლებად ეფექტურიც. მაგრამ ასეა თუ ისე, მარკესი ნამდვილად დიდი ტალანტია და დიახაც რომ შესწევს ძალა, დიდება და უკვდავება შესძინოს მშობლიურ ლიტერატურას. თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენ ალბათ ის უფრო უნდა გვაინტერესებდეს, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ლათინურ-ამერიკული რომანი უკვე ჩამოთვლილი რესპუბლიკების რიგ მწერლებზე. წელან ვიკითხე, რატომ მაინცდამაინც ამ რესპუბლიკების მწერლებზე-მეთქი? ახლა კი დავამატებ: ამ რესპუბლიკებშიც ხომ არ მოხდა მსგავსი «აფეთქებები»? ანუ, აქაც ხომ არ შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები, რომლებმაც თავიანთი მოულოდნელობითა და ეფექტურობით თავისთავად შეუქმნეს მსგავსების ილუზია როგორც ზოგიერთ სულსწრაფ კრიტიკოსს, ისევე საამისოდ მოუშზადებელ მკითხველსაც. ბოლო წლებში მეტნაკლებად გახმაურებული ნაწარმოებები, თუკი საერთოდ ჰგვანან ერთმანეთს, სწორედ ეფექტურობით ჰგვანან. გარკვეული დამთხვევები, საგნებისა და მოვლენებისადმი ერთნაირი მიდგომა – სრულებითაც არ არის საკმარისი, ორი ლიტერატურის ურთიერთგავლენაზე რომ ვილაპარაკოთ. ამგვარ «გავლენებს», უპირველეს ყოვლისა, თავად ეპოქა განაპირობებს, დღეს კი ალბათ უფრო მეტადაც, ვიდრე – ოდესმე. ქვეყნები და ხალხები არასოდეს არ ყოფილან ასე ახლოს ერთმანეთთან, არამარტო გეოგრაფიულად, არამედ სულიერადაც და ფსიქოლოგიურადაც. ბუენოს-აირესში თოფი რომ გავარდეს, ერთი საათის მერე მთელ თბილისს ეცოდინება. მართალია, ლიტერატურამ არაერთხელ დაგვიდასტურა უკვე, რომ ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან და, მიუხედავად კანის ფერისა თუ მსოფლმხედველობისა, ერთნაირად ტირიან, ერთნაირად იცინიან, ერთნაირად უყვართ და ღალატობენ, მაგრამ ტექნიკურმა რევოლუციამ (თუმცა, სრულებითაც არ ითვალისწინებდა ამას) კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ადამიანური სულისა და გონების ერთნაირობას. პოეტურად რომ ვთქვათ, ახლა ადამიანებს სიზმარიც საერთო აქვთ. მაგრამ თუკი ადამიანი სიზმარში ნამდვილად იმას ხედავს, რაც ცხადში აღელვებს და აშფოთებს, მაშინ მართლა არაფერია გასაკვირი, ერთსა და იმავე სიზმარს ხედავდეს პერუელი და ესტონელი, ლუქსემბურგელი და ჩუვაში... რწმენის შერყევა, მომავლის შიში, ატომური კატასტროფის მოლოდინი განაპირობებს დღევანდელი ადამიანის აზროვნებას, თვალთახედვას, აღქმისა და განცდის თავისებურებას. აქედან იღებს სათავეს სხვადასხვა ხალხების ლიტერატურაში მიმდინარე მსგავსი პროცესებიც, მსგავსი მიდრეკილებებიც, მსგავსი მარშრუტებიც კი ისტორიასა თუ მითოლოგიაში. იოანეს გამოცხადება დიდი ხანია კაცობრიობისათვის ცნობილი «ფაქტია», მაგრამ დღევანდელ ლიტერატურაში



აპოკალიფსური ჩვენებების მოჭარბება, თითქმის დაკანონება, ისევე და ისევე დამაბული, დასაჭეპად გამზადებული ეპოქის ბრალთა და არა რომელიმე მწერლის პიროვნული თვისებისა თუ პროფესიული მეთოდისა. ფაქტორების, სტიმულების მსგავსება განაპირობებს ცალკეულ დამთხვევებს, როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისითაც ერთმანეთისგან უადრესად განსხვავებული მწერლების შემოქმედებაშიც კი. ჩემს პირველ რომანში (1972 წ.) ზღვა უკან იხევს, მიიპარება, უზღვოდ ტოვებს დაპყრობილსა და გაპირუტყვების გზაზე დამდგარ ქვეყანას. მარკესის მეორე რომანში (1975 წ.) ასევე დაპყრობილი და გაპირუტყვების გზაზე დამდგარი ქვეყნის დიქტატორი ზღვას ყიდის. ლიტერატურულ დამთხვევებს, ძირებსა და წარმომავლობებს გამოკიდებული კრიტიკოსი, თუკი ძალიან ჩაეძიება, ჩვეულებრივ დამთხვევაზე მეტს დაინახავს აქ, მაგრამ განა ეს უფლებას აძლევს ვინმეს, უპირველეს ყოვლისა კი მე – ავდგე და განვაცხადო: მარკესმა ჩემი რომანის გავლენით დაწერა თავისი რომანი-მეთქი? რა თქმა უნდა – არა. ასევე არა მგონია, ლათინურ-ამერიკულ რომანს და, კერძოდ, მარკესის რომანებს ასე უცებ მოეხდინოს გავლენა ზემოთ ჩამოთვლილ «რიგ მწერლებზე», თუნდაც იმიტომ, ისინი და მარკესი თითქმის ერთდროულად რომ ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს. ჩვენ თუ ნამდვილად გავლენაზე ვლაპარაკობთ, გავლენისათვის გარკვეული დროცა საჭირო, რათა გაითავისო ის, რამაც შეგძრა, დაგმუხტა, მსგავსის შესაქმნელად განგაწყო («ანა კარენინა», ჩემი აზრით, დღევანდელ ლიტერატურაზე უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე თავის თანამედროვე ლიტერატურაზე ახდენდა). მიმბაძველობისგან განსხვავებით, გავლენა ხომ სულზე ტოვებს კვალს?! ამას კი დრო სჭირდება. თუკი შეთვისება-შესისხლხორცებისთვის საჭირო (აუცილებელი!) დროის ფაქტორს გამოვრიცხავთ, ანდა ამ დროს ჩვენი გუნება-განწყობილებისდაგვარად ავაჩქარებთ, მაშინ კეთილშობილი, გამამდიდრებელი გავლენის ნაცვლად ჩვეულებრივი, არაფრისმაქნისი მიმბაძველობა, ანდა კიდევ უარესი – პლაგიატობა შეგვრჩება ხელში. საერთოდ, ჩემი აზრით, მშობლიური ენა, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, შეუვალი ჯებირიცაა შენსა და უცხო სამყაროს შორის და ვიდრე იქიდან შემოღწეული რაიმე ახალი მოვლენა შენს სულსა და გონებაზე მოახდენდეს ზემოქმედებას, ჯერ მან უნდა გაფილტროს თავის წიაღში, მოათვინიეროს, უფრო სწორად, მოაშინაუროს, რათა შენთვისაც უფრო გასაგები და, ამდენად, მისაღები ანდა სულაც დასაგმობი გახადოს იგი. დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ლათინურ-ამერიკული რომანი, მართალია, დამსახურებულად გახდა ფართო ყურადღებისა და განსჯის საგანი, მაგრამ როცა ამ რომანის კონკრეტული ზემოქმედების კვალს ვეძებთ სხვა ლიტერატურებში, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარგი წიგნები საერთოდ ჰგვანან ერთმანეთს, ჰგვანან, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი სიკარგით, და არაფერია ამაში არც გასაკვირი, არც შესაშფოთებელი. პირიქით – ყოველი ახალი კარგი წიგნის გამოჩენა საყოველთაო ზეიმის განწყობას უნდა ბადებდეს, მიუხედავად იმისა, თუ სად დაიწერა იგი, რამდენადაც კარგი წიგნი ყველგან შეიძლება დაიწეროს, ყველგან, სადაც ადამიანი ცხოვრობს, სადაც მისი გაუტეხლობის, მარადიულობის, სიჯიუტის საერთაშორისო დროშა – კერრის კვამლის ფთილა – ფარფატებს.

## რამდენიმე მოსაზრება პოეტისა და საერთოდ პოეზიის შესახებ

(გაზეთ «ლიტერატურნაია გაზეტასთვის», მაიაკოვსკის დაბადების 90

წლისთავთან დაკავშირებით)

ვერ დავეთანხმები ბატონ ევგენი ევტუშენკოს, თითქოს მძლავრი «რ», ისევე როგორც, დავუშვავთ, რბილი, ხავერდოვანი «ლ», რამეს განსაზღვრავდეს პოეზიაში. ნებისმიერ შემოქმედს (ამ შემთხვევაში – მაიაკოვსკის) ქმნის გარკვეული კულტურა, ენა, ფსიქიკა... იმ ხალხის სულიერი თავგადასავალი, რომლის შემადგენელ ნაწილადაც ჩაიფიქრა თავიდანვე განგებამ. ასე რომ, დიდი ქათინაური კი არის ჩვენთვის, მაგრამ საქართველოს არ შეეძლო «ეჩუქებინა» (როგორც ევტუშენკოს მიაჩნია) მაიაკოვსკი რუსული პოეზიისთვის, რამდენადაც მაიაკოვსკი, როგორც შემოქმედი, მხოლოდ და მხოლოდ და მაინცდამაინც რუსული კულტურის ნაყოფია. პოეტისა და საერთოდ პიროვნების ჩამოყალიბებაში, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ პირველ და, ამიტომაც, განუმეორებელ გარემოს, სადაც თვალს გაახელს და სამუდამოდ გამოენასკვება გულში ბუნების იდუმალებით, სილამაზითა და სიდიადით მოგვრილი შემფოთება, აღტაცება, გაოცება, სიხარული... ეს რთული და სიტყვით გამოუთქმელი გრძნობა ყველა შემოქმედს მოჰყვება ბავშვობიდან და ყველა დავალებულად თვლის თავს მის წინაშე, რადგან ღმერთმა იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, მაინცდამაინც ასეთი რომ არ ყოფილიყო პირველად ხილული სამყარო. თავისთავად ცხადია, მაიაკოვსკისაც ჰქონდა თავისი ბავშვობის «საიდუმლო კუნძული», სადაც იმერეთის ხასხასა გორაკები ბზინავდნენ, მარადიული რიონი მოედინებოდა და განუწყვეტლივ ყვაოდნენ ბაგრატიონ ტაძრის ბროწეულები. თავისთავად ცხადია, მაიაკოვსკიზე უკეთ არავინ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა, თუ რა ჯადოსნური მანქანებით შეძრეს მათ პოეტის სული. აკი ამბობდა კიდევ – «შენი ვალი მაქვს, ბაღდადის ცაო» – მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, მაიაკოვსკი ქართველი პოეტი რომ ყოფილიყო, თავისი ქართველობა მარტო მაშინ კი არ გაახსენდებოდა, როცა კავკასიაზე დაადგამდა ფეხს, არამედ იქამდეც, უფრო ზუსტად კი, არასოდეს დაავიწყდებოდა ის, რისი დავიწყებაც, უბრალოდ, შეუძლებელია.

მაგრამ არ იქნება მართალი, თუკი ევტუშენკო იფიქრებს, თითქოს ამის გამო არ ვპასუხობდე გარკვევით – ვთვლი თუ არა მაიაკოვსკის ჩემს მასწავლებლად. საერთოდ ეს ტრადიციული შეკითხვაა და, რამდენადაც ვიცი, ჯერ არავის გაუცია ამ შეკითხვაზე ამომწურავი, კატეგორიული პასუხი, და ალბათ იმიტომაც, მწერალს გაცილებით მეტი მასწავლებელი რომ სჭირდება, ვიდრე სხვა ნებისმიერი ხელობის მიმდევარ კაცს. ხანდახან, უბრალოდ, გვესახელება ვიღაცის შეგირდობა და მაინცდამაინც ის გვინდა იყოს ჩვენი მასწავლებელი. მაგრამ, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მოწაფე კი არ ირჩევს მასწავლებელს, არამედ მასწავლებელი – მოწაფეს. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მოწაფის დამსახურება იქნება, თუკი მოახერხებს და ბრმა მიმბადველად არ იქცევა საკუთარი მასწავლებლისა. სწავლა და მიბადვა სრულიად განსხვავებული ცნებებია და თუკი სწავლა ბუნებრივ ნიჭს კიდევ უფრო ზრდის, კიდევ უფრო აფართოვებს, მიბადვა ნიჭის თავისებური მუხრუჭია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მიმბადველობა, თანაც შეგნებული, დიდი ვერაფერი შვილია. შემოქმედი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მონაა. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ ნარცისულ კომ-

პლექსს. «საკუთარი თავი» შემოქმედისთვის იგივე პოზიციაა, მრწამსია, მიზანია. ასე რომ, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მონობა სასახელოც კია. მიმბამველი კი სხვისი მონაა, თანაც ნებაყოფლობითი, და ყველა უბედურებასთან ერთად, ვთქვათ, მოძრაობის აზრს კი არ იმეორებს, არამედ – თავად მოძრაობას; აფეთქებას კი არა – მხოლოდ აფეთქების ხმას. მიმბამველი აუცილებლად პატივმოყვარეობითაცაა ავად, რამდენადაც მიმბამველობისკენ ადამიანს სულის სიღრმეთა წვდომის სურვილი კი არ უბიძგებს, არამედ – ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინი, რის გამოც მისი არსი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჭეშმარიტი შემოქმედების წინააღმდეგაა მიმართული (ამიტომაცაა ალბათ, ყოველთვის დიდ პოეტებს რომ ჰყავთ მიმბამველები). მიმბამველობა, გავლენისგან განსხვავებით, სულში კი არ ტოვებს კვალს, არამედ სახეზე და ამიტომ, ადვილი ამოსაცნობიცაა. თუმცა, ევტუშენკოც დაახლოებით იმავეს ეუბნება თურმე თავის «მიმბამველებს» და, აქედან გამომდინარე, თავადაც კარგად იცის (უნდა იცოდეს) მიმბამველობის ფასი.

პოეტმა ყველაფერი, რაც კი შეძრავს, ხელახლა უნდა მოხარშოს საკუთარ სულში. ყველა ჭეშმარიტი პოეტი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია და გულუხვად და პატიოსნად უბრუნებს ხალხს, რაც უნახავს და განუცდია. მის მიერ შექმნილი სინამდვილე გაცილებით ცოცხალი და საინტერესოა, რადგან მისივე ვნებებითაა გამდიდრებული. მის ხმას თაობები ისევე შეეჩვევიან ხოლმე, როგორც მდინარის პირას მცხოვრებნი – მდინარის განუწყვეტელ ხმაურს და წარმოიდგინეთ, რა შემზარავი იქნება მათთვის ცხოვრება, მდინარე თუ დაიშრიტა მოულოდნელად, რა აუტანელი იქნება უცებ ჩამოვარდნილი დუმილი. მაგრამ, საბედნიეროდ, პოეზია დაუშრეტელი მდინარეა – ხალხია მისი სათავეცა და შესართავიც. კონკრეტული პოეტი კი იქამდე ცოცხლობს, ვიდრე ხალხს ესმის მისი, ვიდრე ხალხს თავის შესაიდუმლედ მიაჩნია. ესე იგი, არავითარ შემთხვევაში არ შეეშლება სხვაში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს პოეტები ერთმანეთს გამორიცხავდნენ. პირიქით, როგორც არ უნდა განაცალკევებდეს მათ მათივე «ინდივიდუალობის თავისებურება» (ევტუშენკოს გამოთქმა), ბოლოს და ბოლოს ისინი მაინც ერთად აღმოჩნდებიან ხოლმე და ეს უკვე კანონზომიერებად არის ქცეული: დრო დაპირისპირებულ პოეტებსაც კი ერთმანეთის გვერდით აყენებს. თუმცა, ყველა პოეტი თავის განსაკუთრებულ მისიას ასრულებს მაინც, ანუ ყოველდღიურად კვდება თავის საწერ მაგიდასთან, დროზე ადრე რომ არ დაიხოცონ სხვები. არადა, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ არ კითხულობდნენ წიგნს ისინი, ვის «გადარჩენასაც» პოეტი აპირებს. ასე რომ, შეიძლება, ფუჭი და ამოუ აღმოჩნდეს მისი შრომა. ამის ბრალიცაა ალბათ, ამკარად რომ შეიმჩნევა დღეს მაგიდის ტყვეობიდან განთავისუფლების სურვილი, ანუ დაუოკებელი სწრაფვა ესტრადისკენ, ტელევიზიისკენ... რაც, ჩემი აზრით, საკუთარი უმწეობიდან გამოსვლის უნაყოფო მცდელობაა მხოლოდ. ვისაც სათქმელი აღარაფერი აქვს, ის უფრო ებლაუჭება მიკროფონს, როგორც წყალწალღებული ხავსს. მაგრამ ამგვარი სურვილი თუ მიდრეკილება, რასაკვირველია, ნიჭის თავისებურებითაც შეიძლება აიხსნას, განსაკუთრებით, როცა საქმე მაიაკოვსკისთანაა პოეტს შეეხება. მაგრამ ასე ცხარედ და, ცოტა არ იყოს, დაუნდობლად იმიტომ ვლაპარაკობ, მაგიდის უარყოფა მწერლისგან დალატად და მწერლური მოთმინების რღვევის სიმპტომად რომ მიმაჩნია. თითქოს საკუთარ ნაწარმოებს გვინდა მივასწროთ მკითხველამდე, ჯერ ჩვენ დავენახოთ, გავეარშიყოთ მიკროფონის საშუალებით, მოვაწონოთ, შევაყვაროთ თავი და მერე უფრო თამამად მივანდოთ განსასჯელად ჩვენი ლექსებიც. არადა, მაგიდა მწერლისთვის იგივეა, რაც დურგლისთვის – ჩარხი, მჭედლისთვის – გრდემლი... ოღონდ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საერთოდ წინააღმდეგი ვიყო «ლექსების საჯარო კითხვისა», რასაც, ევტუშენკოს თქმით, მაიაკოვსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თურმე. კაცია და გუნება. მე არც ესტრადის წინააღმდეგ ვილაშქრებ კატეგორიულად და, თავისთავად, ესტრა-

და მეტად საინტერესო ჟანრადაც მიმაჩნია. თავადაც ბევრი სიამოვნება მიმიღია მისგან. მაგრამ კატეგორიულად უარვყოფ იმ *ესტრადულობას*, რომელიც, სამწუხაროდ, ზოგიერთი პოპულარული პოეტის შემოქმედებაში ამკარად ჩანს და, დაუკითხავად შემოჭრილი მდგმურით, ავიწროებს ბინის კანონიერ პატრონს – პოეზიას. მე იმ ნაწარმოებებს ვგულისხმობ, მსმენელისთვის რომაა გამიზნული და არა მკითხველისთვის. ზრდის რა საკუთარ ავტორიტეტს, პოეტი იცავს საერთოდ პოეზიის პრესტიჟს. ამიტომ მკითხველის ყურადღების ცენტრში ყოველთვის ნაწარმოები უნდა იდგეს და არა თავად პოეტი. პოეტმა მკითხველის ყურადღება პოეზიისკენ უნდა შეაბრუნოს და არა თავისკენ. სხვათა შორის, ჩვენში, საქართველოში, მაინცდამაინც არ არის მიღებული ესტრადული პოეზია, ანდა, თუ გნებავთ, პოეტების გამოსვლა ესტრადაზე. მართალია, როგორც უკვე ვთქვით, კაცია და გუნება, ზოგს მღვდლის ცოლი მოსწონს, ზოგს მღვდლის ქალიშვილი, მაგრამ, ჩემი აზრით, სტადიონზე რევოლუციის დიდი ტრიბუნიც კი არაბუნებრივად გამოიყურება. სტადიონზე ბუნებრივია ფეხბურთი, რაგბი... პოეზია კი ყოველთვის საკუთარ «სტადიონზე» თამაშობს და ეს გაცილებით დიდი თამაშია, გაცილებით გრანდიოზულია, ვიდრე ნებისმიერი სპორტული სანახაობა, რაც ერთმანეთთან პირისპირ დარჩენილი შემოქმედისა და მკითხველის «შერკინებაში» გამოიხატება; ეს ის გზაა, რომლითაც პოეზია, ერთი ადამიანის სულზე გავლით, მილიონებისკენ მიემართება და, ამიტომ, გვინდა თუ არა, უნებურად ისევ უნდა მივუბრუნდეთ მაგიდის თემას, მით უფრო რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ზოგიერთ ჩვენს მწერალს ნამდვილად აწუხებს «მაგიდის შიში», სიმაღლისა თუ წყლის შიშის მსგავსად. თავისთავად ცხადია, მიწიერ სიამეთა დავიწყებაც ძნელია, მაგრამ, გვინდა თუ არა, მხოლოდ აქ, მხოლოდ მაგიდასთან გამოჩნდება, რა შეგვიძლია, რისი მაქნისები ვართ საერთოდ. რაც შეეხება ახალ პოეტურ მწვერვალებს, ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ალბათ არც ჩვენში გამოჩენილა რუსთაველი, ვაჟა ანდა გალაკტიონი, რაც ნაკლებად მოსალოდნელი იყო და ამიტომ ნაკლებად შემამფოთებელიც. საერთოდ, მე უფრო ოპტიმისტურად ვუყურებ ამ საკითხს. ცოტა სხვანაირადაც. რასაკვირველია, არსებობს გარკვეული პერიოდები ლიტერატურის ისტორიაში, როცა პოეზიის ცაზე ზედიზედ ინთებიან ახალ-ახალი ვარსკვლავები. მაგრამ არის ასევე ეგრეთ წოდებული «სიცარიელის» პერიოდებიც, ოღონდ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ პერიოდში პოეზიის ძალისხმევა აღარ იგრძნობოდეს, თითქოს უკვე არსებული დიდი პოეტები, «ვარსკვლავები», მხოლოდ იმ ეპოქის საკუთრებას წარმოადგენდნენ, როცა მოველინენ ქვეყანას, და ჩვენთვის ის ფუნქცია დაკარგული ჰქონდეთ, რასაც საკუთარი თაობისთვის ასრულებდნენ. ნურას უკაცრავად! ჩვენი ეპოქა, შეიძლება, პოეტური მწვერვალებით მდიდარი არ იყოს (თუმცა, მე პირიქით მგონია), მაგრამ პოეზიისადმი უდიდესი ინტერესით კი ამკარად გამოირჩევა. ესეც უკვე თავისთავად დიდი საქმეა, რადგან ეს ინტერესია სწორედ, გუშინდელ დიდ პოეტს დღევანდელ დიდ პოეტად რომ აქცევს. ასე რომ, არაფერი დაშავდება, რამდენიმე თაობამ «საკუთარი» დიდი პოეტის გარეშე იცხოვროს. მაგრამ როგორი ღარიბები იქნებიან ის თაობები სულიერად, თავისად თუ არ ჩათვალეს პოეზიის მარადიული ვარსკვლავები.

და მაინც, უდიდესი პატივისცემის გრძნობითა ვარ განმსჭვალული ყოველი ახალგაზრდის მიმართ, რომელიც ნებაყოფლობით, არა თუ ნებაყოფლობით – წმინდანის თავგანწირულობით, მიჯნურის მოუთმენლობით იდგამს კისერზე მწერლის მძიმე უღელს, რითაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ პროფესიის აუცილებლობასა და მარადიულობას. მთავარია, ნიჭი ჰქონდეთ. ნიჭი კი, როგორც ერთი ჭკვიანი კაცი ამბობს, ფულივითაა: თუ გაქვს – გაქვს, თუ არა გაქვს – არა გაქვს. კიდევ უფრო მთავარია, ამ ნიჭის გამოყენებაც შეეძლოს, ანუ, უმიზნოდ, უაზროდ კი არ გაფლანგონ მართლა ფულივით, არამედ თუნდაც ერთი ადამიანის გაბედნიერებას, განათლებასა და გაკეთილშობილებას მოახმარონ მთლიანად. მწერლობა

დიადი, დიდებული მოწოდებაა და მე ყოველთვის მტკივნეულად განვიცდი, როდესაც მწერალი სხვა, მისთვის მეორეხარისხოვანი საქმის გამო, როგორც ღმერთს, ისე განუდგება ხოლმე თავის მაგიდას, რომელსაც ეკუთვნის სულიან-ხორციანად.

ქართული ანდაზა ამბობს: ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო. იგივე ითქმის ლიტერატურაზეც. ჩვენ თუ ჩვენს წინამორბედ მწერლებზე უკეთესები ვიქნებით, ამით ლიტერატურა მხოლოდ მოიგებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. თუმცა, საცდელი მაინც უნდა სცადოს კაცმა. ჩვენ ჩვენი საქმე პატიოსნად უნდა ვაკეთოთ – არც სიმძიმეს მოვარიდოთ წელი, არც სიცივეს სახე – დანარჩენს კი თავად დრო და მკითხველი დაადგენს.

1983

### ნოეს კიდობანი

(საერთო პასუხი «ლიტერატურნაია გაზეტას» შეკითხვებზე)

მე, სიტყვითაც და საქმითაც – თავისთავად ცხადია, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში – ტრადიციულ რომანს ვუჭერ მხარს, ამ ცნების საუკეთესო და ფართე გაგებით. ამდენად, ჩემთვის ყველაფერი მისაღებია, რაც ტრადიციულს კიდევ უფრო აღრმავებს, ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს – კი არ უპირისპირდება, ემატება მას, რის შედეგადაც, უპირველეს ყოვლისა, თავად იზრდება, თავად ხდება უფრო მნიშვნელოვანი, უფრო მდიდარიცა და მრავალმხრივიც, რამდენადაც წინამორბედთა გამოცდილებაც თავისთავად, მექანიკურად გადაეცემა ხოლმე, როგორც ღირსეულსა და კანონიერ მემკვიდრეს. კომლი ემატება სოფელს და არა სოფელი კომლს – ესაა ყველაზე მარტივი და ყველაზე სწორი გზა ბუნებრივი მატებისა, რაც განაპირობებს კიდევ როგორც სოფლის მარადიულობას, ასევე კომლის ადგილსა და მნიშვნელობას ამ მარადისობაში.

ტრადიციული რომანი თავის თავში, მეტნაკლებად, თანამედროვე რომანის ყველა სახეობას მოიცავს – ფილოსოფიურიცაა, ფსიქოლოგიურიც, ისტორიულიც, რეალისტურიც, სათავგადასავლოც, მეცნიერულიც... ფილოსოფიურია იმდენად, რამდენადაც თავად ადამიანია ფილოსოფოსობისკენ მიდრეკილი არსება; ფსიქოლოგიურია, რამდენადაც მწერლობა სწორედ ადამიანის ბუნების ამოხსნის ცდაა; ისტორიულია, რამდენადაც ნებისმიერი მოვლენა აღწერის პროცესში უკვე ისტორიის საკუთრებაა; სათავგადასავლოა, რამდენადაც ყველაფერი თავგადასავალია, რაც კი შეიძლება შეემთხვას ნებისმიერი წიგნის ნებისმიერ გმირს თუნდაც ერთი გვერდის, ერთი აბზაცისა თუ ერთი წინადადების მანძილზე; მეცნიერულია, რამდენადაც თავად ადამიანის ყოფა, ობიექტურად არსებული სინამდვილეც მეცნიერულია. და მაინც, ჩემი დილექტანტური დაკვირვებით, ყველა დროისა და მიმდინარეობის რომანს ცრემლის ის ჯადოსნური წვეთი აერთიანებს, ადამიანობის დამამტკიცებელი ყველაზე შეუვალი, ყველაზე უტყუარი საბუთივით რომ გადადის ერთი რომანიდან მეორეში (გაიხსენეთ: «შენ ტირი, ესე იგი, ადამიანი ხარ».) და ხან ერთი გმირის თვალში გაკრთება, ხან კი მეორეს უგუბდება სასულეში. მხოლოდ და მხოლოდ ეს მარადიული ანუ მარად ერთი და იგივე ცრემლის წვეთია საერთო ყველა ეპოქის რომანისთვის, ადამიანის ცრემლის წვეთი, რომელიც, ადასტურებს რა ჩვენს ერთნაირობას, ამითვე გამოგვარჩევს სხვებისაგან; ოღონდ, ეს აუცილებელი და, ამდენად, არამარტო გასაგები, მისაღები განსხვავებაცაა, რაც ლიტერატურასა და საერთოდ ცხოვრებას, უპირველეს ყოვლისა, მრავალფეროვნებას, მარადიულობას, სილამაზესა და მშვენიერებას უნარჩუნებს. ესაა განსხვავება რაბლესი და ტოლსტოისა, ჟიულ ვერნისა და ფოლკნერისა, ჯოისისა და ჯავახიშვილისა... საბედნიეროდ, ლიტერატურა უაღრესად ინდივიდუალურ აზროვნებათა, მრწამსთა, პოზიციათა ჯამია და, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენე-

ნოს, ეს განაპირობებს სწორედ მის მთლიანობასა და განუყოფლობას. ამავე დროს, როგორც ბიც არიან მწერლები, ისეთია ლიტერატურაც. ავია თუ კარგია, ლიტერატურა მწერლის ხელიდანაა გამოსული, მაგრამ ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობის წინასწარ განსაზღვრა, ვიდრე ის ნაწარმოები მკითხველს არ ჩაუვარდება ხელში, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ, ამა თუ იმ ნაწარმოების სიაკვარგის დადგენისას იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად გულისხმიერი, მომთმენი და გამგები აღმოჩნდება მკითხველი – მხოლოდ იმიტომ წაიკითხავს წიგნს, ასეთი ტრადიცია რომ არსებობს, თუ ყველანაირად შეეცდება, გაითავისოს, თავისი ცხოვრების განუყოფელ და აუცილებელ მოვლენად აქციოს იგი. ასე რომ, მწერალი არ შეიძლება შიშითა და რიდით არ ფიქრობდეს მკითხველზე, რადგან მწერლისთვის ყველაზე ძნელი იმის ნათლად წარმოდგენაა, თუ რისი თქმა ევალება თავად და რამდენად მისაღები იქნება მისი სათქმელი სხვებისთვის, რამდენად გამოეხმაურება დროის მოთხოვნებს, რამდენად გაამართლებს ხალხისა თუ ერთი ადამიანის რწმენასა და იმედს. თუმცა, მწერალს საიმისოდ დროც აღარ რჩება ალბათ, ხორცი რომ შეასხას თავის ადრესატს, სახე და სახელი მისცეს, გაარკვიოს კონკრეტული პიროვნებაა ის თუ მთელი ხალხი. როგორც კი მწერალი ამ საკითხებზე დაიწყებს ფიქრს, მაშინვე, ძალაუნებურად, სხვა, მისთვის შეუფერებელი ფუნქციის მატარებელი გახდება. მწერლური შრომა კი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან მარტო დარჩენას გულისხმობს, რამდენადაც მხოლოდ საკუთარ არსებაში, საკუთარ სულში შეუძლია მას იმ ამოცანის ამოხსნა, რისი ამოხსნაც მიზნად დაუსახავს. მწერალი მხოლოდ ამოცანის ამოხსნის შემდეგ უნდა წარდგეს ხალხის წინაშე, რადგან იქამდე არც არავინ იცის და არც არავის აინტერესებს მისი არსებობა. აუდიტორიასთან უშუალო კავშირს სულ სხვა პროფესია ითვალისწინებს. ასეთი კავშირი, დავუშვათ, მსახიობისთვის, სავალდებულოცაა – გამოცდილი მსახიობი მაყურებელთა დარბაზში მისკენ მიპყრობილი სახეებიდან რომელიმეს ამოირჩევს თურმე და იმ სახეზე აღბეჭდილი ცვლილებების მეშვეობით ამოწმებს საკუთარი ზემოქმედების ძალას მთლიანად დარბაზზე. მწერლისათვის «მუშაობის» ამგვარი მეთოდი ყოვლად შეუფერებელია თუნდაც იმიტომ, საკუთარ არსებაში რომ აერთიანებს მსახიობსაც და მაყურებელსაც, ერთიკ თვითონაა და მეორეც. ერთადერთი, ვინც შეიძლება მუშაობის ჟამს თვალწინ ედგას მწერალს, მხოლოდ მისი მომავალი ნაწარმოების გმირია, გმირები... თუმცა იმათზეც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია და ისევე ამჩნევს მათ არარაობის წყვედიადში, როგორც მოქანდაკე ამჩნევს მკლავის, ცხვირის ან ნიკაპის მოყვანილობას მარმარილოს ლოდში, რომელსაც საჭრეთლით ჯერ არც კი მიჰკარებია. მაგრამ, მოამთავრებს თუ არა მწერალი წიგნს, მის წინაშე მაშინვე აღიმართება პირქუში ლანდი მკითხველისა; კიდევ უფრო მეტიც – მაშინვე უჩნდება წარმოდგენილი მკითხველის შიში და ეს შიში ხანდახან იმდენად ძლიერია, იმდენად ძნელი მოსარევია, შეიძლება ვერასოდეს გაბედოს მწერალმა წიგნის მოშორება, თუკი, ბედად, ჭკვიანი და გავლენიანი მრჩეველი არ უდგას გვერდით. მაგრამ, უნდა თუ არ უნდა მწერალს, წიგნმა აუცილებლად უნდა მიაღწიოს მკითხველამდე, თუკი სიცოცხლეს აპირებს. მკითხველი იგივეა წიგნისთვის, რაც ბებიაქალი – ახალშობილისთვის. იმან უნდა «ამოაღებინოს ხმა», იმან უნდა «დააჩხავლოს» პირველად. მაგრამ მკითხველში მე იმ იშვიათ არსებას ვგულისხმობ, რომელიც, ძირითადად, ისევე ფიქრობს და აზროვნებს, როგორც თავად მწერალი, უფრო სწორად, როგორც მწერალს სურს. ამიტომ, არათუ შეუძლია, უფლებამოსილიცაა იყოს მსაჯული და განმკითხავი მწერლის შრომისა, რადგან სხვებზე უკეთ იცის, რას იწონის, ერთი შეხედვით, ფარატინა ფურცელი, რამდენი ხარის ძალაა საჭირო იმ ფურცლის «მოსახნავად», რამდენი უსასრულო საათია ერთ მწერლურ ღამეში და, საერთოდ, «რატომ ევნო და ეწამა» ამდენს მწერალი, რაც მთავარია, საკუთარი სურვილით, ყოველგვარი გარანტიის გარეშე. ასე რომ, მკითხველში სრულებითაც არ

ვგულისხმობ ეგრეთ წოდებულ «ფართო მკითხველს», რომელიც, პირადად მე, ხიფათის შემაწახებელ შეგრძნებას მიჩენს და არა გულისხმიერების, სათნოების, მიმტვევებლობის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უსახო და უსახელო სიმრავლის სინონიმად წარმომიდგება. სიმრავლეს კი ყველაფრის თავის ჭკუაზე მოქცევა ახასიათებს – თუნდაც იმავე მხატვრული ნაწარმოებისა – ეს კი, დამეთანხმებით, კარგს არაფერს უქადის საერთოდ ლიტერატურას. ამიტომ უკეთესიცაა, თუკი მწერალს მუშაობისას არც კი გაახსენდება «ფართო მკითხველი», არც იმის მოთხოვნებს გაითვალისწინებს და არც იმის საეჭვო გემოვნებას – «ფართო მკითხველის» დამოკიდებულება ლიტერატურისადმი ხომ უაღრესად ეგოისტურია, ის მხოლოდ იმას ეძებს წიგნში, რისი შემჩნევაც შეუძლია, რაზედაც უკვე გააჩნია საკუთარი, შეურყეველი აზრი და რაც იმ წუთას, მხოლოდ და მხოლოდ დროის იმ მონაკვეთში რაღაცნაირად შეესაბამება მის გუნება-განწყობილებას. ლიტერატურა აღმზრდელია და არა მამამებელი. ასეთი იყო და ასეთად დარჩება ყოველთვის. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ლიტერატურის შემქმნელ ხალხს მასწავლებლობის ანდა ყოვლისმცოდნეობის პრეტენზია გააჩნდეს. ლიტერატურა ზრდის უმთავრესად მაგალითის მეშვეობით (რაც მე აღზრდის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია), რასაც ცხოვრებაში ჩავდივართ, ის ლიტერატურაში წინ დაგვიხვდება ხოლმე. ყველა შეცდომა, ყველანაირი საქციელი, ყოველგვარი სულიერი თუ ხორციელი განცდა, რაც რომანებშია აღწერილი, ჩვენს მიერვე უთვალავჯერ ჩადენილიცა და განცდილიც. მაგრამ მათი შემჩნევა და დამახსოვრება და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყველასათვის თვალშისაცემი ფერით გადაღებვა მხოლოდ და მხოლოდ მწერლური ნიჭის თვისებაა. ნიჭი კი, როგორც მოგეხსენებათ, თანდაყოლილი არსებობს მხოლოდ და მწერლის პირად დამსახურებად ვერ ჩაითვლება. მწერლის დამსახურებაა ამ თვისების კიდევ უფრო განვითარება-გამძაფრება თვითგანათლების, თვითგამორკვევისა და თვითგვემის მეშვეობით. სხვა გზა არ არსებობს იმ განსაკუთრებული, მწერლური ცოდნის მისაღებად, რომელსაც ძალუძს ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი საქციელი საყოველთაო მაგალითად აქციოს, ხოლო თავად მწერლის სახეს «ყოვლისმცოდნის» იერი შემატოს ჩვენს თვალში. და მაინც, მწერლის ფუნქცია წიგნის დაწერით ამოიწურება. გაუშვებს რა ხალხში, მერე ველარაფრით მიეხმარება თავის ნაშეირს. ასე რომ, რასაც მკითხველი აიღებს წიგნიდან, მთლიანად მისი დამსახურებაა, ხოლო თუ ვერაფერს იპოვის ასაღებს, ესე იგი წიგნი თავიდანვე მკვდარი დაბადებულა და ამაზე მხოლოდ «მშობელმა», ანუ მწერალმა უნდა აგოს პასუხი, რასაკვირველია, საკუთარ თავთან, რადგან მკითხველისგან, სხვა რომ არ ვთქვათ, უსამართლობა იქნება, ბრალი დასდოს მწერალს «შეგნებულ მკვლელობაში» – გინდოდა და იმიტომ გამოგივიდა ასეთი უფერული, უსისხლხორცო, ლატაკი და არაფრისმთქმელი რომანიო.

სამაგიეროდ, ყველა კარგი რომანი საერთაშორისო დღესასწაულია, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა დაიბადოს ის, ყველა ჩვენგანის საკუთრებაა. ერთ კარგს წიგნს საოცრად დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ნებისმიერ ლიტერატურაზე, გინდაც მიუწვდომელი იყოს ჩვენთვის, ენობრივი ან სხვა, ძნელად გადასალახავი დაბრკოლების გამო. ის მაინც მოქმედებს, მაინც ავრცელებს თავის მაგიურ ძალასა და ენერგიას, იმიტომ რომ არსებობს და იმიტომ რომ ესაა მისი თვისებაცა და დანიშნულებაც. ზოგიერთი ხალხის ადათ-წესების მიხედვით, ყველა ოჯახი ვალდებულია, თავისი დამარხული განძი ჰქონდეს, რომელსაც ვერც ამოთხრის და ვერც მოიხმარს ყველაზე დიდი გაჭირვების დროსაც კი – მიწაში დამარხული სიმდიდრე, უკვე მხოლოდ თავისი, თუნდაც ხელმეუხებელი არსებობით, გაცილებით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, ვიდრე თუნდაც შიმშილის მოკვლაა, ანდა სიშიშვლის დაფარვაა – ის იმედს უნარჩუნებს პატრონს და ამით არსებობასაც უხანგრძლივებს – მთელი ცხოვრების მანძილზე შველის და არა მხოლოდ უაღრესი გაჭირვების ჟამს. ასეა კარგი წიგ-

ნიც. ყველა კარგ წიგნში, იმაშიც კი, რომელიც ჯერ კიდევ არ წაგვიკითხავს, იმალება ის ძალა, რწმენა და იმედი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიცხოვროთ უფრო თავდაჯერებულად და თამამად. კარგი წიგნი ისევე ახდენს ჩვენზე ზეგავლენას, როგორც მთვარე – ზღვებზე. და ჩვენც ვემორჩილებით ამ ზეგავლენას, რადგან არ შეგვიძლია არ დავემორჩილოთ – ის ჩვენი სულის მიმოქცევას იწვევს და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი შესაძლებლობების შეგრძნებაში გვებმარება. ამის შეგრძნება კი, თავისთავად ცხადია, გვაიძულებს განუწყვეტლივ ველოდებოდეთ კიდევ ერთი ახალი რომანის დაბადებას. მოლოდინი, ბუნებრივია, თავის მხრივ, შიშსა და ეჭვსაც გვიჩენს, რისი გამოძახილიცაა ალბათ თეორეტიკოსთა გაუთავებელი მსჯელობები რომანის ბედზე, საერთოდ მისი ყოფნა-არყოფნის თაობაზე. რომანი შედარებით ახალგაზრდა ჟანრია, მაგრამ უკვე რამდენჯერმე ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, ის კი არა, ამ ცოტა ხნის წინ, საერთოდ გაქრობის პირამდეც მისულა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უფრო ლიტერატურული ცხოვრების მესვეურთა მიერ ატეხილი განგაში იყო, ვიდრე ცხოვრებისეული სინამდვილე, თუნდაც დასაშვები სინამდვილე. უბრალოდ, ჩვენ, მკითხველებს, მომლოდინეებს, მოთმინება გვიმტყუნებს ხოლმე, ანდა, როგორც სხვა ყველანაირი ამქვეყნიური სიამე, კარგი რომანიც ბევრი გვინდა, თანაც – ერთბაშად. მაგრამ ბუნება, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა ლიტერატურა, სრულებითაც არ ექვემდებარება ჩვენს სურვილებსა და მოთხოვნებს, არც ჩვენს გამოთვლებსა და ვარაუდებს; ჩვენი ვარაუდითა და გამოთვლებით, ყოველ ათ წელიწადში ახალი და ახალი სასწაულები უნდა ხდებოდეს ლიტერატურაში. მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასე არ არის. ათი წელი ძალიან ცოტაა. ნებისმიერი ლიტერატურული სიახლე გაცილებით შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანს. დიდხანს, წლებისა და შეიძლება საუკუნეების მანძილზე მზადდება ხალხის სულიერი ცხოვრების წიაღში გინდაც სულ უმნიშვნელო ნაპერწკალი, მოულოდნელად რომ გაიღვავებს ხოლმე ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ლიტერატურული მოსავლის წინასწარ დაგეგმვა ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად გაუმართლებელიც. მხატვრულ ნაწარმოებს, ამ შემთხვევაში რომანს, უყვარს, როცა ელოდებიან, როცა მისი სჯერათ და არავითარ პირობებს არ ახვევენ თავზე რწმენისა და მოლოდინის სანაცვლოდ. რომანი, თუკი შეიძლება ერთი წუთით მისი ცოცხალ არსებად, ადამიანად წარმოდგენა, ბუნებით მოგზაურია, მოხეტიალეა, ხიფათების მაძიებელია, ოდისევსია, რომელსაც თავისი პენელოპეც უნდა ჰყავდეს, აუცილებლად რომ დაბრუნდეს როდისმე შინ (ჩვენთან). პენელოპე ამ შემთხვევაში ჩვენა ვართ, მკითხველები, ლიტერატურის მოყვარულნი, ის ხალხი, ვისაც გვადეღვებს და გვანტერესებს რომანის ბედი. მაგრამ განა ყველა ჩვენგანს შეუძლია პენელოპეს მსგავსი მოლოდინი? საკმარისია, ოდნავ დაუგვიანდეს ჩვენთვის მეტნაკლებად მისაღებ, მეტნაკლებად საინტერესო რომანს – მოლოდინიც მაშინვე გაგვიქრება და სიყვარულიც მაშინვე, სიძულვილით თუ არა, გულგრილობით აუცილებლად შეგვეცვლება. დაუფიქრებლად, დაუნანებლად დავუსვამთ ჯვარს ჩვენი მოლოდინის გამწვანებელს, უძლურებას დავწამებთ, მკვდრად გამოვაცხადებთ, ის კი არა, საერთოდ მშობლიურ ლიტერატურაზეც აგვიცრუვდება ხოლმე გული და ჩვენი ინტელექტუალური შიმშილის მოსაკლავად სხვაგან დავემებთ იმას, რამაც საკუთარ ჭერქვეშ არ გაგვიმართლა. მოლოდინი იცვლება ძიებით. მსგავსი «ძიების» გამოხატულებად მიმაჩნია ამ ბოლო წლებში ეგზომ გახმაურება «ლათინურ-ამერიკული რომანისა». ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი ითქვა და დაიწერა ჩვენშიც, მაგრამ გარკვევით ბევრი არაფერი გარკვეულა. ჟურნალმა «ლათინსკაია ამერიკამ» სპეციალური დისკუსიაც გამართა და რამდენიმე ნომერი დაუთმო ამ დისკუსიის მასალების გამოქვეყნებას. სხვათა შორის, მეც გამოვთქვი ჩემი მოკრძალებული აზრი და თუკი მკითხველი არ გამიწყრება, ახლაც იმავეს გავიმეორებ, რამდენადაც ამ ხნის განმავლობაში არც ახალი აზრი გამჩენია და არც ძველი შემ-



ცვლია. დიახ, ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გარსია მარკესის გამოჩენამდე არავის მოუვიდოდა აზრად, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად გამოეცხადებინა «ლათინურ-ამერიკული რომანი», მიუხედავად იმისა, რომ, დავუშვათ, ჟორჟი ამადუს რომანებშიც მძლავრად სცემდა იქაური ეგზოტიკური ცხოვრების ძარღვი. მით უფრო, არავის მოუვიდოდა აზრად, «ლათინურ-ამერიკული რომანის» გავლენა, მე ვიტყვოდი, ელვისებური გავლენა, ეძებნა ისეთ შორეულ რეგიონებში, როგორიცაა, ვთქვათ, საქართველო. «ლათინურ-ამერიკული რომანის» ასეთ ამადლებას, ჩემი აზრით, საფუძვლად დაედო მოულოდნელობით გამოწვეული გაცემა – ძნელი დასაჯერებელი გახდა უცებ, იმავე ლათინურ-ამერიკულ რომანთან რომ ჰქონდათ საქმე, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ, მარკესის გამოჩენამდე, ნახევრად წაუკითხავს გადავდებდით ხოლმე გვერდზე, ანდა, თუკი მაინც ვკითხულობდით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებოდით, რა პატარა ადგილი ეკავა იქ ნამდვილ, პროფესიულ ლიტერატურას, როგორი ნედლი და დაუმუშავებელი იყო ფოლკლორულ-მითოსური საწყისი. მარკესის დამსახურება სწორედ ამ საწყისის დამღევა და მისი ორიგინალური მეტამორფოზაცია გახლავთ. მარკესმა თავისი მშობლიური მხატვრული სამყარო, გაჩენის დღიდან ძვირფასი და შესახლხორცეული მეტაფორების გალაქტიკა (მსგავსად სხვა ლიტერატურული გალაქტიკებისა) ახლებურად გადაალაგა, გადააჯგუფა, გადაახალისა. მან არამარტო გაიზიარა, არამედ თავის შემოქმედებით მეთოდად აქცია ევროპული რომანის გამოცდილება. მისი მხატვრული სამყაროს ინტერიერი აშკარად ევროპულია. მარკესმა პირველმა გადმოაბიჯა მოჯადოებული წრიდან, ანუ ეგზოტიკური სოციალურობის სამყაროდან პირველი შემობრუნდა ჰემმარიტი ლიტერატურის საუფლოსკენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მან ერთადერთი სწორი გზა აღმოაჩინა და ეს უკვე მისი უდიდესი დამსახურებაა მშობლიური ლიტერატურის წინაშე. ასე რომ, მარკესამდე ლათინურ-ამერიკული რომანი, მიუხედავად აშკარა უფერულობისა, გაცილებით თვითმყოფადი იყო, ვიდრე მარკესის მერეა. რასაკვირველია, მარკესი დიდი მწერალია, რასაკვირველია, იმის ძალაც შესწევს, არათუ მშობლიური, არათუ კონტინენტური, არამედ საერთოდ მსოფლიო ლიტერატურის პრესტიჟი გაზარდოს, მაგრამ ეს მაინც არავის არ აძლევს ნებას, ყველაფერი, რაც კი ამ ბოლო ხანებში შეიქმნა მსოფლიოს მასშტაბით, ხელოვნურად შექმნილი ფენომენის, ანუ «ლათინურ-ამერიკული რომანის» გამოძახილად მიიჩნიოს. მე ამ რომანებს, რომლებიც, თითქოს «ლათინურ-ამერიკული რომანის» გავლენით, ლამის ერთდროულად მოევლინენ ქვეყანას (ვგულისხმობ მარკესის რომანებსაც), იმ კოცონებს შევადარებდი, ოდესღაც, შორეულ წარსულში, საგუშაგო კომპეზზე რომ აინთებოდნენ ხოლმე ერთმანეთის მიყოლებით და ასე, თვალის დახამხამებაში, აუწყებდნენ მთელ ქვეყანას რაღაც უადრესად მნიშვნელოვან ამბავს – ძირითადად, მტრის შემოსევას – საერთო, საყოველთაო უბედურებას. რა თქმა უნდა, ეს პოეტური მსჯელობაა, მაგრამ იქნებ მართლა შეიძლებოდეს ფსიქოლოგიური ხიდის გადება, ფარული, ძლივსგასარკვევი ნათესაობის აღმოჩენა ამ ორ «გამაფრთხილებელ ნიშანს» შორის. რომანიც ხომ თავისებური კოცონია, თავისებურად მაუწყებელი რაღაცისა?! თუკი კრიტიკოსები არ ამიჯანყდებიან, პირადად მე, «ლათინურ-ამერიკულ რომანსაც» (ვგულისხმობ ძირითადად მარკესის რომანებს) და «გავლენით შექმნილ» სხვა რომანებსაც – «საგანგაშო რომანად» მოვნათლავდი. ისინიც ხომ თითქმის ერთმანეთის მიყოლებით აენტნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე «ჩამორჩენილ» და «მიყრუებულ» უბნებში, როგორიცაა თუნდაც იგივე კოლუმბია, და აენტნენ არცთუ მთლად დალხინებულ ეპოქაში, ეპოქაში, როცა მთელს დედამიწაზე არ მოინახება ისეთი წერტილი, დაცული რომ იყოს მოსალოდნელი კატასტროფისგან, არ მოინახება ლერწმისა თუ თოვლის ქოხი, რომლის ბინადრებსაც გარანტირებული ჰქონდეთ ხვალინდელი დღე. ასე რომ, შეიძლება მართლა აღმოჩნდეს სიმართლის ნატამალი

ამ პოეტურ მსჯელობაში. ერთადერთი მსგავსება (გარდა იმისა რომ, ყველა თავისებურად კარგია), რაც ზემოთ ნაგულისხმებ რომანებს ახასიათებს, ეს არის თავგანწირული, ლამის ფიზიკურ ტკივილში გადაზრდილი სწრაფვა საერთაშორისო ასპარეზისკენ. ამ რომანებში ყველაფერი თითქოს უცხო თვალისთვისაა განკუთვნილი, იმისთვის, ვისთვისაც, გეოგრაფიული თუ კიდევ სხვა დაბრკოლებათა გამო, იქაური ამბები უცხოა და მიუწვდომელი. ეს არის ჟინი საკუთარი მეობის წარმოჩენისა, სხვათა ყურადღების მიპყრობისა, და არაფერია ამაში გასაკვირი: დღეს, ატომის ეპოქაში, როცა მანძილის ცნებაც დაკნინებულია და დროისაც, გაცილებით ძნელია, გაცილებით მძიმეა ქვეყნის მიყრუებულ კუნჭულში ცხოვრება – იმის შეგრძნება, არაფერს რომ წარმოადგენ დანარჩენი სამყაროსთვის, რადგან არაფერი იცის შენს შესახებ დანარჩენმა სამყარომ. ღმერთმა დაიფაროს და, ატომური კატასტროფის შემთხვევაში, რასაკვირველია, შენც სხვებთან ერთად დაილუპები, მაგრამ უბედურება სწორედ ისაა, შენს გარდა არავის რომ ეცოდინება ეს ამბავი. ისიც არ ეცოდინებათ, იყავი თუ არა საერთოდ, და თუ იყავი, რას წარმოადგენდი, დასანანია თუ არა შენი დაღუპვა, დამსახურებულად იცხოვრე ბნელში თუ დანარჩენი სამყარო უსამართლოდ იყო მკაცრი და გულგრილი შენს მიმართ. ეს უაღრესად ტრაგიკული მდგომარეობაა სულისა, როდესაც ის არყოფნას კი არ უჯანყდება, არამედ – არცნობას. ეშინია, არ გაქრეს შეუცნობელი. მსგავსი შიში საერთოდ დღევანდელი ყველა ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, დიდი იქნება თუ პატარა, ცნობილი თუ უცნობი – საერთაშორისო, საკაცობრიო მოვლენაა და ამიტომაც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკე აღებული, რომელიც გნებავთ, რომანი – ლათინურ-ამერიკული, ამერიკული, ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, იაპონური თუ ესპანური...

მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. სჯობს, ისევ თანამედროვე რომანს მივუბრუნდეთ. თუმცა, ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, თუ რას ვგულისხმობთ თანამედროვე რომანში, რადგან ყველაფერი, რაც დღეს იქმნება, თანამედროვე როდია. ამავე დროს, ბევრი ადრინდელი, გუშინ თუ გუშინწინ დაწერილი რომანი ჩემთვის უაღრესად თანამედროვეა და არა მხოლოდ გამოხატვის მეთოდითა თუ საშუალებებით, არამედ გამოსახვატი საგნის, ხასიათისა თუ მოვლენის გასაოცარი სიმძაფრით, სიცხოველით. მაგრამ რატომ არიან ერთნი თანამედროვენი და რატომ არ არიან მეორენი?! აი, ეს არის სწორედ ყველაზე ძნელი გამოსათქმელი. ვერაფერი გამოსავალია, მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნო, მაინცდამაინც ანგარიშგასაწევი რომ არ არის ჩემი თეორიული მოსაზრებები; იმდენად ცუდი თეორეტიკოსი გახლავართ, ჩემივე ნაწარმოებების გაანალიზებაც კი მიჭირს. უფრო მეტიც, ბევრი რამე, რაც წერის დროს დღესავით ნათელია ჩემთვის, მუშაობის დამთავრების შემდეგ მიუდგომელ, ამოუხსნელ რეზუსად იქცევა ხოლმე. ამიტომ, მე მგონი, მართლა არსებობს რაღაც მაგიური ძალა, რომელიც წარმართავს მწერალს, და მაინც შევეცდები, გამოვთქვა ჩემი არც მთლად მყარი და არც მთლად სრულყოფილი მოსაზრება «თანამედროვეობის» გაგებასთან დაკავშირებით.

ერთი ქართველი მწერლის გამონათქვამით რომ ვისარგებლო, დღევანდელ ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნებას იმდენად ადამიანის ცხოვრება აღარ აღელვებს, რამდენადაც ადამიანის ბედი. მართლაც, ამბავს, ანუ ცხოვრების აღწერას, დღეს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა – სიკვდილიც სიცოცხლის ნაწილად აღიქმება, იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც, აწესრიგებს და აზრს აძლევს ადამიანის ყოველდღიურ ყოფას, აჩენს იმედს, რომელიც თავის მხრივ, ადამიანური ვნებების მარადიულობას იცავს და ამით, უპირველეს ყოვლისა, გვიდასტურებს მათ ნამდვილობასა და შეუცვლელობას. ადამიანის ბედი დღეს გაცილებით მეტ და ფართო მასშტაბის მოვლენებზეა დამოკიდებული, ვიდრე თუნდაც გუშინ კლასიკურ ლიტერატურაში იყო. დღევანდელი რომანის გმირები, განაგრძობენ რა ლოკალურ გარემოში ცხოვრებას, მსგავსად, დავუშვათ, დიკენსის გმირებისა, უკვე სისხლხორცულად არიან

დამოკიდებულნი მსოფლიო მოვლენათა განვითარებაზე და არა, ვთქვათ, რომელიმე საპატიმროს ზედამხედველისა თუ რომელიმე კანტორის მეპატრონის გუნება-განწყობილებაზე. ერთგვარად შეიცვალა დროისა და სივრცის კატეგორიებიც, უფრო სწორად, შეიცვალა ჩვენი წარმოდგენა დროსა და სივრცეზე. ამავე დროს, ცხოვრების აჩქარებულმა რიტმმა, თავისთავად, მეტი ემოციური დატვირთვა მიანიჭა მოვლენებს, რომლებიც გუშინ ჩვეულებრივად და უინტერესოდაც კი გვეჩვენებოდა. ადამიანი აღმოჩნდა სამყაროს პირისპირ – ადამიანსა და ბუნებას შორის გაბმული ფარდა ჩამოიხსნა და იქამდე არარსებული სცენის მოულოდნელმა სიცარიელემ და სიცივემ, ცოტა არ იყოს, შეგვაკრთო და გაგვაოგნა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ერთადერთი ფარდა არ იყო ჩვენი და ბუნების გამთიშავი, რადგან პირველი დღიდან მოყოლებული, ყველა თაობა მხოლოდ ერთ ფარდას ამორებს იმ საიდუმლოს, რომელიც სამყაროს არსებობის მთავარ აზრს მალავს და რომელსაც ყველა შემოქმედი თანდათანობით უახლოვდება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს შესაძლებელი იყოს, ოდესმე საბოლოოდ აეხადოს ფარდა ამ საიდუმლოს. მადლობა ღმერთს, ბუნება მდიდარია და მსგავსი ფარდები არ დაეღვევა. საბოლოოდ ამოხსნილი სამყარო შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იქ ადამიანი აღარ იცხოვრებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანი თავისი არსებობით ყოველ წამს ახალი და ახალი საიდუმლოთი ავსებს სამყაროს და, აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ძნელად ასახსნელს ხდის თავისთვის, ანუ – კიდევ უფრო იხანგრძლივებს არსებობას ამ სამყაროში. აი, ასეთი ადამიანი მიმაჩნია დღევანდელი მწერლობის კვლევის საგნად. ასეთი ადამიანის შეცნობის გზაზე დღითი დღე იზრდება და მდიდრდება რეალიზმის, როგორც მეთოდის, მნიშვნელობაც, რამდენადაც ადამიანის სულის საიდუმლოთა ამოხსნა მხოლოდ რეალიზმს თუ შეუძლია. მაგრამ ამ მეტად მძიმე და საპატიო ამოცანის შესასრულებლად მწერალს უფლება აქვს ისარგებლოს ყველა არსებული მეთოდით, ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, დღეს ესოდენ გახმაურებულსა და ლამის მოდად ქცეულ, ეგრეთ - წოდებულ «მითოლოგიურ მეთოდსაც». აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემთვის მითი ჭეშმარიტების შეცნობის ერთ-ერთი საშუალებაა და მეტი არაფერი. მაგრამ მაინც უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან მითის შემქმნელი და შექმნილი მითის გამომყენებელი მწერლობა. თუმცა, არც მეორე შემთხვევაა დანაშაული, მით უფრო – ბოროტება. გამოყენება სრულებითაც არ ნიშნავს გამეორებას. ასე რომ, რაღაც ახალი მაინც იქმნება, ანტიმითი მაინც, ანუ – არსებულისადმი დაპირისპირებული, კონტრასტული ხასიათი. და მაინც, მთავარია, ყოველთვის ნათლად ვიცოდეთ, როცა ასეთ საკითხებზე ვლაპარაკობთ, ნამდვილ მწერალთან გვაქვს საქმე თუ ეპიგონთან. ეპიგონი, ეტყობა, მოუშორებელი თანამგზავრია ლიტერატურისა და ალბათ რაღაცით საჭიროც, მაგრამ უფრო ხშირად მხოლოდ და მხოლოდ ბოროტება მოაქვს მისივე შემქმნელი ლიტერატურისთვის. ეპიგონს ხომ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივების ჟინი ამოდრავებს და არა ადამიანის სულის სიღრმეთა წვდომის სურვილი. ამიტომ, ადგილი რომ მოიპოვოს ცხოვრების ზედაპირზე, პირველ რიგში, ყველაფერი უნდა გააუფასუროს თავის გარშემო. სიმაღლეთა დამდაბლება ეპიგონობის მთავარი თვისებაა. რასაც არ უნდა შეეხოს, ყველაფერი მაშინვე კარგავს თავის პირველყოფილ მომხიბვლელობასაც და მნიშვნელობასაც. სამწუხაროდ, ლიტერატურული კრიტიკა ზოგჯერ, უნებურად, ანდა ჩემთვის ძნელად ასახსნელი მიზეზის გამო, თვალს უხუჭავს ეპიგონების მომრავლებას; ის კი არა, თავისი ნაჩქარევი დასკვნებითა და სუბიექტური მოსაზრებებით ხელსაც უწყობს დროებითი პოზიციების დაპყრობაში. მაგრამ ლიტერატურული ნაწარმოები, თუნდაც მთელი ლიტერატურა, რომელიც საკუთარ ეპიგონებს შეეჭმევინება, არც თანაგრძნობის ღირსია და არც დაცვისა. მაგრამ ეპიგონებთან ბრძოლის ლოზუნგით, ვთქვათ, მითოლოგიასაც თუ შევებრძოლეთ, ამით მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურა დაზარალდება ისევ. ეს იგივე იქნება, ალკოჰოლიზმის მო-

სასპობად ჯერ ვენახები მოვსპოთ. ასეთსავე სამწუხარო შედეგს მივიღებთ, თუკი ლიტერატურიდან, ეპიგონების შიშით, მითოლოგია განვდევენთ. თუმცა, ეს შეუძლებელია ალბათ, რამდენადაც ყველა დროის ჭეშმარიტ შემოქმედს მითოსის წიაღიდან თავისი საკუთარი, ახალი მითი ამოაქვს. საკუთარი მითის შექმნა ახალი მოვლენა არ არის ლიტერატურაში – ხდებოდა და ახლაც ხდება. მომავალშიც ასე იქნება ალბათ, რამდენადაც ყველა მწერლის ფარული ოცნებაა, შექმნას საკუთარი მითოლოგია, ანუ თავისი «ადამიანური კომედია». რასაკვირველია, მეც მაწუხებს მითოლოგიზმებით დატვირთული პროზაული ნაწარმოებების აუტანელი სიმრავლე, მაგრამ ნუგეშად თუ გამოგვადგება, ისინი მაინც არ ქმნიან ამინდს ლიტერატურაში. ან ჩვენ ვაქცევთ გადამეტებულ ყურადღებას, ან, როგორც უკვე ვთქვი, ნებსით თუ უნებლიეთ, ჭეშმარიტ ლიტერატურაში ვურევთ. ამიტომ, რაც უფრო მალე გამოარჩივენ ამ სარეველას ნამდვილი ყანიდან, მით უკეთესი. მაგრამ ეს მწერლის საქმე აღარ არის. მწერლის საქმეა, ყოველთვის იდგეს ლიტერატურის მხარეზე, ანუ – რაც შეიძლება ნათლად გამოხატოს თავისი პოზიცია და რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს იგი. ლიტერატურის მხარეზე ყოფნა, ფაქტობრივად, ადამიანის მხარეზე ყოფნას ნიშნავს. ადამიანს კი ყოველთვის დასჭირდება მხარდაჭერა, რწმენა, სილამაზე, სისუფთავე – ყველაფერი, რასაც ჭეშმარიტი ლიტერატურა იძლევა. ლიტერატურა უკვდავია, რამდენადაც თავად ადამიანია უკვდავი. უადამიანოდ არც ლიტერატურა არსებობს, ხოლო ულიტერატუროდ ადამიანი შემადრწუნებლად დატაკი და უშნოა. ამიტომ, მწერალს ყოველთვის სხვაზე მეტი მოეთხოვება და სხვაზე ნაკლები ეპატიება – მისი ყოველდღიური გზა ადამიანის სულზე გადის და დაუფიქრებელი ნაბიჯით შეუძლია გამოუსწორებელი სიავკაცე ჩაიდინოს – სული ატკინოს ადამიანს! ამიტომ, მწერალი განუწყვეტლივ უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ყველაფრისათვის, რასაც ამბობს და წერს. მწერლის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მისი მრავალნაირად გაგება შეიძლება. მწერლის სიტყვაში ყველა თავისი მრწამსის გამართლებას დაეძებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოულობს კიდევ. მწერლის მიერ შექმნილ სამყაროს ურთიერთგაგების სურვილი და თანადგომის მოთხოვნილება მართავს და სწორედ ეს არის ლიტერატურის (რა თქმა უნდა, დღევანდელი ლიტერატურისაც) ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა – აიძულოს ერთი ადამიანი, გაუგოს მეორეს. მწერლები ერთ უღელში შებმული ხარებივით არიან და მწერლური მოვალეობის აღსრულების ჟამს არავითარი განსხვავება არ არსებობს სახელმძღვანელოებსა თუ ნაკლებად ცნობილ მწერალს შორის – მთავარია, საერთო ძალითა და მონდომებით თუნდაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას წინ, ვიდრე ახალი ცვლა გამოჩნდებოდეს. სამუშაო კი ჯერ კიდევ ბევრია, უფრო სწორად, ამოუწურავია, რადგან ყოველი ადამიანი მთელი სამყაროა თავისი საიდუმლოებებით, ვნებებით, სტიქიით, მთელი თავისი განუმეორებელი წუთისოფლით. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, მწერლობამ და მისმა მსახურმა მწერალმა, უპირველეს ყოვლისა, ერთობა უნდა ეძებოს ადამიანებს, ხალხებს შორის, რომლებიც ერთი დედის შვილები არიან და აღარ ახსოვთ (სხვათა შორის, დედამიწა ალბათ იმიტომაცაა მრგვალი, თანასწორუფლებიანობის შეგნება რომ განუმტკიცოს მასზე მცხოვრებ ხალხებს); ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და ვერ ამჩნევენ – ერთი ცა ახურავთ თავზე, რომელიც, მართალია, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ელფერისაა, მაგრამ მაინც ყველგან ცაა. მწერალი ყოველდღე უღებს კარს ამ შეგნებას. რასაკვირველია, მან თავიდანვე იცის, რატომ იქცევა ასე, მაგრამ არ იცის, რას მიაღწევს, რა გამოვა ბოლოს. მუშაობის პერიოდში ბევრი რამ იცვლება, საერთოდ იკარგება, ანდა ისე გარდაიქმნება ხოლმე, როგორც ქალის სახე და სხეული ფეხმძიმობის ჟამს, როცა საკუთარი თავი თვითონვე ვეღარ უცვნია სარკეში. ეს ბუნებრივი ფერისცვალებაა და, ფეხმძიმე ქალისა არ იყოს, მწერალიც გუმანითა გრძნობს ალბათ, წინააღმდეგობის გაწევა ხეირს ხომ არ დააყრის. ხოლო, დაამთავრებს თუ არა სამუშაოს, დასვამს

თუ არა ბოლო წერტილს, საკუთარი ნამოდგაწარით გაოცებულს, ეჭვიც არ ეპარება, სწორედ ამის დაწერას რომ აპირებდა თავიდანვე. დედასაც ზუსტად ასე აოცებს ახალშობილი ჩვილი, მაგრამ ის მისთვის ერთადერთი შესაძლებელი და ერთადერთი სასურველი ვარიანტია. სხვა-ნაირს ვეღარც კი წარმოიდგენს.

ასე რომ, მწერლის მოვალეობაა აღქმა და ათვისება ცხოვრებაში (და არა ლიტერატურულ ცხოვრებაში) განუწყვეტლივ მიმდინარე პროცესისა, განცდა და გაანალიზება ცხოვრებისეული ვნებებისა (და არა ლიტერატურული ჟანრებისა), ადამიანური ტკივილებისა, მიზნებისა და მისწრაფებებისა, რაც მაშინვე თუ არ აღინუსხა, მერე შეიძლება შეუძლებელიც კი გახდეს მათი სამზოვო გამოტანა – ამ თვალსაზრისით, რომანი ბიბლიური კიდობნის ასოციაციასაც იწვევს ჩემში, რამდენადაც იმასაც სიცოცხლის, თუნდაც სიცოცხლის უმნიშვნელო ნაწილის გადასარჩენად აგებს მწერალი, იგივე ნოე, რომლის თავგამოდებისა და, ზოგჯერ, თავგანწირვის ფასად, ვინ იცის, რამდენი ადამიანური სახე, ხასიათი, რამდენი ბუნების სურათი, ხუროთმოძღვრების ძეგლი თუ ადათ-წესი გადარჩენია სამუდამო გაქრობას, დავიწყების გათოშელ ზვირთებს, მხოლოდ იმიტომ, რომანში, იმავე კიდობანში, ადგილი რომ მიუჩინა მათ მწერალმა ანუ მიწიერმა განსახიერებამ ბიბლიური ნოესი, რამდენადაც მწერლის მოწოდებაც სიცოცხლის გადარჩენაა, მხოლოდ ამას, ამ უძნელესსა და უდიადეს საქმეს ემსახურება იგი და ამიტომ სხვა აღარაფრისთვის აღარ რჩება დრო – ზის და თავის კიდობანს აკოწიწებს. ცხოვრება განუწყვეტელი დინებაა და შეყოვნება, ერთ ადგილზე გაყინვა მისი ბუნებისთვის უცხოა. აქედან გამომდინარე, არც მწერალს (ნოეს) დააყრის ხეირს ერთი ადგილის ტკეპნა და ქვიშიდან ოქროს გამორჩევა. მწერლისთვის ცხოვრებისეულ შლამსა და ოქროს ერთი ფასი აქვს, რადგან სახლმა (კიდობანმა), რომელსაც ის აშენებს, გარეგნული ბრწყინვალეობით კი არ უნდა გააოგნოს ამ სახლში მოხვედრილი კაცი, არამედ სულის სიღრმემდე უნდა შეძრას სახლში გამეფებული სიმდიდრისა და სიღარიბის, სინათლისა და სიბნელის, სისუფთავისა და სიბინძურის განუწყვეტელი მონაცვლეობით, ანდა სულაც თანაარსეობით. ამ სახლში ყველას ერთნაირი თეფშით უნდა ჩამოურიგდეს ყველაფერი, რასაც, საერთოდ, ცხოვრების სიავკარგე ჰქვია.

მე, პირადად, შორსა ვარ იმ აზრისგან, თითქოს მწერალი ოქმის სიზუსტით აღნუსხავდეს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება. ერთი დიდი მხატვრის სიტყვებით რომ ვთქვა, შემოქმედება საგნის ზუსტი ასლის გადმოღება კი არ არის, არამედ იმის გადმოცემა, რასაც ეს საგანი ჩვენს გონებაში, ფიქრსა და წარმოდგენაში ტოვებს. ამიტომაც, არსად არ აისახება ხოლმე ისე მძაფრად და შთამბეჭდავად ეპოქის სული, ხასიათი, ყველა მისი დამახასიათებელი ნიშანი თუ თვისება, როგორც ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებაში. მწერლის მიერ შექმნილი სინამდვილე გაცილებით ცოცხალი და გაცილებით საინტერესოა, რამდენადაც მისივე გულწრფელი განცდებით, თანაგრძნობით, თანადგომითა და ტკივილად ქცეული სიყვარულითაა გაკეთილშობილებული.

## შობა და გამოჩეკვა

(საერთო პასუხი მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტის შეკითხვებზე)

თქვენ თუ მართლა გაინტერესებთ, რა გავლენა მოახდინა ჩემზე, როგორც მწერალზე, მშობლიურმა ლიტერატურამ და ისტორიამ, საერთოდ ქართულმა კულტურამ, დაუფიქრებლად გიპასუხებთ, გადამწყვეტი-მეთქი. თუკი ჩემი შემოქმედება მართლა იმსახურებს მკითხველის ყურადღებას, მით უფრო, ასე დიდი მასშტაბით – ვგულისხმობ რუსულენოვან მკითხველს – თუკი ჩემი შემოქმედება არაქართველ მკითხველშიც იწვევს გარკვეულ ინტერესს, თუკი მასაც აღელვებს, აშფოთებს და ახარებს ის, რითაც მე ვღელავ, რაც მე მიმაჩნია აღსაშფოთებლად ან გასახარად, რა თქმა უნდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლიტერატურის, ქართული ისტორიისა და კულტურის დამსახურებაა, რამდენადაც მეც მისი სისხლხორცეული, განუყოფელი ნაწილი ვარ, მისი წესის მიმდევარი და მისი სიტყვის გამტარებელი. ხოლო რაკი საქართველოც, თავის მხრივ, ასევე სისხლხორცეული და განუყოფელი ნაწილია მსოფლიოსი, არანაკლებ მნიშვნელოვანია და, რასაკვირველია, გარკვეულ ზეგავლენასაც ახდენს ჩემზე ის საერთაშორისო, საყოველთაო გამოცდილება კულტურისა და ლიტერატურისა, რაზედაც ხელი მიმიწვდება. ჩემი აზრით, ეს აუცილებელი გავლენაა, რამდენადაც ამგვარი გავლენის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია ნებისმიერი ეროვნული ლიტერატურის არსებობა და, მით უმეტეს, მისი შემდგომი განვითარება.

რაც შეეხება «ლიტერატურნაია გაზეტაში» დაბეჭდილ ლექსებს, სამწუხაროდ, ყველა ლექსი ძველია. უბრალოდ, გვიან ითარგმნა და ამან განაპირობა მათი ასევე დაგვიანებული გამოქვეყნებაც. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ლექსებს აღარ ვწერდე, თითქოს პროზა ვამჯობინე პოეზიას, როგორც კრიტიკოსებს ჰგონიათ. კრიტიკოსებს, ალბათ მათი პროფესიის უაღრესად არისტოკრატიული ბუნების გამო, ხშირად, ნაწარმოებზე მეტადაც, ის მიზეზები, მოვლენები, ხელისშემშლელი თუ ხელისშემწყობი პირობები აინტერესებთ, რომლებიც წინ უძღვის და თან ახლავს ამა თუ იმ ნაწარმოების დაბადებას. მაგრამ კრიტიკოსებმა არ იციან, მწერალზე რომ არ არის ეს დამოკიდებული. მწერლის სათქმელი განაპირობებს ჟანრს და არა მწერლის სურვილი. ოღონდ, თავად მწერლისთვის, თუკი ნამდვილად მწერალია, ყველა ჟანრი ერთნაირად მისაღებია, ანუ ჟანრებს შორის არანაირი არსებითი, მით უფრო, თვისობრივი განსხვავება არ არსებობს მისთვის, ისევე როგორც, ვთქვათ, შობასა და გამოჩეკვას შორის. უბრალოდ, მწერალს ერთიც უნდა შეეძლოს და მეორეც, იმისდა მიხედვით, თუ როდის რომელ ჟანრთან იქნება დაკავშირებული სულიან-ხორციანა, მთელი არსებით... შეგნებულად, წინასწარი განზრახვის, ან რაიმე პროფესიული მოსაზრების გამო არც მე გადავსულვარ პოეზიიდან პროზაში. ამჯერადაც სათქმელმა მოითხოვა ასე, სათქმელმა აირჩია ჟანრი, თორემ მე ჩემი პირველი რომანი თავიდან პოემად მქონდა ჩაფიქრებული. მაგრამ თანდათანობით დავრწმუნდი, ვერანაირი «კვერცხი» ვერ დაიტევდა იმ ზღვა მასალას, რომელიც, ერთი შეხედვით, მართლაც უაღრესად პოეტურმა ვერსიამ მოითხოვა. ვერსიის მიხედვით, კოლხეთის ჭაობების წარმოშობა ახსნილია ოდესღაც აქ არსებული ზღვის სანაპირო ზოლის შეცვლით, რაც საფუძვლად დაედო «შეგნებულად» უკანდახეული ზღვის სახის შექმნას, რამაც, თავისთავად, სხვა უამრავი მეტაფორა მოიყოლა თან და სწორედ ამით განაპირობა მომა-

ვალი ნაწარმოების დაბადების «მეთოდის» და გარეგნული მხარეც. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რამდენად საჭირო და სიცოცხლისუნარიანია, რასაც მწერალი «შობს» ან «ჩეკავს», სულერთია, კიდევ ერთი შვლის ნუკრი იქნება ის, თუ კიდევ ერთი ყვავის ბახალა. ეს კი მხოლოდ მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს. მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა. მან უნდა თქვას, რამე მართლა გვცხია მწერლისა, თუ საერთოდ არ უნდა მოგვეკიდა ამ საქმისთვის ხელი. ამიტომ, თქვენ რომ ბრძანებთ, თქვენი რომანების მიმართ ინტერესი არსებობსო, რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მიზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას ნებისმიერი მეორე ადამიანის წინაშე, რომელიც, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ჩემი მკითხველიც აღმოჩნდეს.

1986

### სიცოცხლისათვის

დღემდე მოღწეული ხალხების უმრავლესობას სულიერი წრთობისა და ბედთან ჭიდილის თითქმის ერთნაირად რთული, ერთნაირად უსაშველო გზა აქვს გამოვლილი. მაგრამ, ერთი დიდი მწერლის ცნობილ გამოთქმას ოდნავ თუ შევცვლით, ყველა ხალხი თავისებურად, განსხვავებულადაა ბედნიერი, ანუ უაღრესად თავისი, სიმარტოვეში გამომუშავებული მეთოდებითა და ხერხებით უმკლავდება დრო-ჟამის დაუნდობელ დინებას. ბედთან ჭიდილი და თავისთავადობის დაცვა ყოველთვის უმთავრეს და უკეთილშობილეს მოთხოვნილებად დარჩება ნებისმიერი ხალხისთვის, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, ხოლო ვინც ამას დაივიწყებს, დაიღუპება, მაშინვე გაქრება საერთაშორისო ასპარეზიდან, როგორც ხალხი, როგორც განსაკუთრებული ენის, ფსიქიკისა და ტრადიციის მქონე დამოუკიდებელი ფენომენი და, ამიტომაც, განუყოფელი, სისხლხორცეული ნაწილი მთელი დანარჩენი კაცობრიობისა, რამდენადაც თავისი განსაკუთრებულობითა და გამორჩეულობით ესა თუ ის ხალხი კი არ უპირისპირდება მთელს, ანუ დანარჩენ კაცობრიობას, არამედ ავსებს და ამდიდრებს შეძლებისდაგვარად, ზუსტად იმ ფერს ამატებს საერთო, «საოჯახო» სურათს, რომლის დამზადებაც მხოლოდ მას ასწავლა ბუნებამ და ურომლისოდაც სურათი სრულყოფილების იერს დაკარგავდა.

ამის შეგრძნება ნებისმიერ ხალხს არამარტო აქეზებს სიცოცხლისთვის, გარკვეული და, ამავე დროს, აუცილებლად კეთილშობილი აზრითაც ტვირთავს მის სიცოცხლეს. აქედან იღებს ალბათ სათავეს ის ამოუხსნელი, ღვთაებრივი მადლიც, რომლის წყალობითაც ყოველთვის სიამაყით ვამბობთ ხოლმე: მე ქართველი, ფრანგი, გერმანელი, ფინელი ან ინდოელი ვარო. ასე რომ არ იყოს, აღარც სიცოცხლეს ექნებოდა აზრი და ყველანი «მშვიდად» დაველოდებოდით აღსასრულს. უფრო სწორად, არაფერს აღარ დაველოდებოდით, ნებაზე მივუშვებდით ცხოვრებას, ჩვენც უზნეობის, განუკითხაობის, განუსჯელობის მაცდურ დინებას მივეცემოდით, ანუ ყმად დავუდგებოდით იმ მანკიერებებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ჯერჯერობით, უმთავრეს და უპირველეს მოვალეობად ითვლება ყველა ჭეშმარიტი ადამიანისთვის და რომელთა აყოლაც არამარტო პირადად ჩვენი, არამედ საერთოდ სიცოცხლის უგულვებელყოფას ნიშნავს.

დღესაც, ატომური ენერჯის ეპოქაში, როცა ადამიანის გონებამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაუშვა დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობა, ბოლოს და ბოლოს, მაინც შეიხიზნა და შეისისხლხორცა ეს ყველაზე შემზარავი ეჭვი, ეროვნული პრობლემა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთული, ბოლომდე ჩაუწვდენელი და ბოლომდე ამოუხსნელი პრობლემაა, რამდენადაც ესეც ბუნების საიდუმლოებაა და მისი ამოხსნის მსურველისგან, რასაკვირველია, პირველ რიგში, ბუნების ცოდნას მოითხოვს. ეს ცოდნა კი, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ საბუნებისმეტყველო დარგების შესწავლით არ მოიპოვება, საამისოდ, საკუთარ სულში შეღწევაა საჭირო, საკუთარი თავის შეცნობა, რის შემდეგაც გაცილებით უკეთესნი და, რაც მთავარია, გაცილებით მეტის შემძლენი ვხდებით: უკეთესნი – თუნდაც იმ თვალსაზრისით, ერთნაირად რომ თანავუგრძნობთ უკვე როგორც ლომის, ისევე პეპლის ტანჯვას; ხოლო, მეტის შემძლენი – რამდენადაც არ არსებობს ცოდნაზე უკეთესი იარაღი ნებისმიერი ბრძოლის გადასახდელად.

მაგრამ დღევანდელმა ადამიანმა განა მეტი იცის საკუთარი თავისა და, აქედან გამომდინარე, ბუნების შესახებ, ვიდრე გუშინ იცოდა?! ყოველ შემთხვევაში, დღევანდელმა ადამიანმა გაცილებით ცოტა იცის, რისი ცოდნაც უბრალოდ აუცილებელიცაა როგორც მისთვის, ისევე საერთოდ სიცოცხლისთვის, როცა საჭიროზე მეტადაა ინფორმირებული ნებისმიერი წვრილმანის შესახებ (ამა თუ იმ სპორტსმენის ფიზიკური მონაცემები, ესტრადის ამა თუ იმ მომღერლის ოჯახური ამბები და ა. შ.), რაც უმნიშვნელო, ანდა თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს მის ცხოვრებაში. აბა, სხვანაირად რითი შეიძლება აიხსნას უმაღლესდამთავრებულთა უწიგნურობა, თავგანწირული, ლამის ტრაგიკული ლტოლვა უადრესად რთული და საპატიო პროფესიებისკენ, მკვდრადშობილი ინჟინრული ჩანაფიქრების შემამფოთებელი სიმრავლე ანდა სულიერ საგანძურთა ხელყოფის დაუოკებელი ჟინი?! დღეს კაცობრიობის უდიდეს ნაწილს უკვე იოლად გააქვს თავი ისეთი სულიერი წინამძღვრების დაუხმარებლად, როგორცაა წიგნი და საერთოდ ხელოვნება. მოსწავლეები სასკოლო პროგრამაში შეტანილ ამ თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს კი არ კითხულობენ, ტელევიზორის ეკრანზე უყურებენ, თანაც, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად... კი არ სწავლობენ, ერთობიან. ტელევიზია დღეს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ერთადერთი წყაროა «ცოდნა-განათლების» მისაღებად. ასე კი იმიტომ მოხდა, მოუშადადებლები რომ აღმოვჩნდით თანამედროვე ადამიანის აღსაზრდელად. სურვილმა ბევრად გადააჭარბა ჩვენს შესაძლებლობებს, ხოლო სიჩქარეში საერთოდ დაგვავიწყდა, რისთვის უნდა ყოფილიყო მოწოდებული, რა ევალებოდა თანამედროვე ადამიანს, რომელიმე გრანდიოზული საინჟინრო კონსტრუქციის ტყვეობა თუ მშვენიერების სამსახური; კიდევ ერთ ჩვეულებრივ «ტექნოკრატად» ჩამოყალიბება, რომელსაც ჰუმანიტარულ საგნებზე საუბარიც კი ჩამორჩენილობად მიაჩნია – რითაც, მხოლოდ და მხოლოდ გლობალური პროვინციალიზმის განვითარებას უწყობს ხელს – თუ კიდევ ერთი ახლებურად მოაზროვნე ინჟინრად, რომელიც მასწავლებლის მოთმინებითა და ექიმის გულისხმიერებით ეპყრობა ბუნებას. ასეთი ინჟინერი, სამწუხაროდ, დღეს სანთლითაა საძებარი და, შეიძლება, ვერც ხვალ ვედირსოთ, თუკი ინჟინრობის ნებისმიერ მსურველს თავიდანვე არ ჩავუნერგავთ ბუნების, საკუთარი გეოგრაფიის, საკუთარი ისტორიის სიყვარულს, თუკი ტექნიკურ განათლებასთან ერთად არ მივალეზინებთ ლიტერატურულ, მუსიკალურ და მხატვრულ განათლებასაც, ანუ, თუკი გონების თვალთან ერთად სულის თვალიც არ აეხილება – არ ეზიარება კულტურას, მშობლიურიდან საკაცობრიომდე, – სხვა შემთხვევაში, ნაცვლად აღთქმული სიკეთისა, აუცილებლად გაუთვალისწინებელ ბოროტებას მოგვიტანს იგი.

რასაკვირველია, ყველა პირადული ნაკლის განზოგადება არ შეიძლება, მაგრამ არც დამალვაა გამართლებული, რამდენადაც უმაღლესი პირადული შეიძლება გადაიზარდოს საზოგადო-



დოში, ვიდრე – პირიქით. ასე რომ, პირადულის დამალვა საერთაშორისო დანაშაულია და განსაკუთრებულად – დღეს, როცა ნებისმიერ ტყეში დაუდევრად მოწყვეტილი ფოთოლი, ნებისმიერი დაბინძურებული წყარო, შეიძლება საბედისწერო დანაკლისი აღმოჩნდეს მთელი მსოფლიოსთვის. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ, ქართველები, ყოველთვის გამოვიჩნებით ცხოვრებისადმი ოდნავ ზერელე, ოდნავ აგდებული, უფრო სწორად, არტიტული დამოკიდებულებით. გვიჩვენია თავი მოვიტყუოთ, ვიდრე ვაღიაროთ, რამე გვტკივაო. გვრცხვენია, როცა ვიღაცის თვალში დაჩაგრულად გამოვიყურებით, გვაღიზიანებს სისუსტის, სიღარიბის ანდა სხვა ნებისმიერი ნაკლის გამომჟღავნება, რაც სხვადასხვა, ზოგჯერ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამოც შეიძლება გვჭირდეს. ამიტომ უცხო კაცს შეიძლება ზედმეტად მხიარულებიც მოვეჩვენოთ. არადა, სწორედ ქართველსა აქვს ნათქვამი ქართველზე – ტრაგედიის შვილიაო. კარგია ეს თუ ცუდი, ძნელი სათქმელია, მაგრამ სრული სიმართლეა და, ამიტომაც, ნაკლებად საინტერესოც. უფრო საინტერესოა იმის გარკვევა, საერთოდ იცვლება თუ არა ეროვნული ხასიათი დროთა განმავლობაში, უფრო ზუსტად, რა რჩება ამ ხასიათიდან და რა მიაქვს სამუდამოდ დროს.

რაც არსებობს, იცვლება კიდევ, ოღონდ მარტო თვითონ კი არა, ყველაფერთან ერთად; შესაბამისად, ყველაფერი იცვლება მის გარშემო და ამიტომ ეს ცვლილება იმდენად ძნელი შესამჩნევია, ლამის უცვლელობის ტოლფარდია. უფრო მეტსაც ვიტყვი: მე მგონი, საერთოდ უცვლელია ხალხის ხასიათი, უცვლელია იქამდე, ვიდრე ის ხალხი არსებობს. თავად ხალხი ემორჩილება დროის დინებას, ბუნებისა და ცხოვრებისეულ მოვლენებს, და არა მისი ხასიათი. ხალხისთვის სახესხვაობა ბუნებრივი და, ამდენად, კანონზომიერი მოვლენაა: კნინდება ან ძლიერდება, მდიდრდება ან ღარიბდება, ლამაზდება ან უმწიფდება, მალღდება ან დაბლდება (მაგალითად, იაპონელებმა, მიზანდასახულად, საგრძნობლად აიყარეს ბოლო დროს ტანი). მაგრამ, საბედნიეროდ, ძირითადი, ანუ ბუნება ხალხისა არ იცვლება – იაპონელი იაპონელად რჩება, რუსი რუსად, ინგლისელი ინგლისელად, ქართველი ქართველად და ასე შემდეგ. და მაინც, ხალხის ეროვნული ხასიათი, ჩემი წარმოდგენით, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ფენომენი არ არის. მართალია, როგორც უკვე ვთქვით, ის ამა თუ იმ ხალხის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ყალიბდება, მაგრამ ეს «ჩამოყალიბება», ბუნებაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესით, განუწყვეტელია, განუწყვეტლივ ემატება ან აკლდება რაღაცა, სამუდამოდ ერწყმის ან დროებით ეტმასნება ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, მაგრამ ვერც «ნამატი» და ვერც «დანაკარგი» ვერ ცვლის ძირითადის არსს, უმალ თავად მოექცევა ხოლმე ძირითადის ზემოქმედების ქვეშ და დროთა განმავლობაში მის განუყოფელ, ზოგჯერ კი, აუცილებელ ნაწილადაც გვევლინება. მართლაც, ღმერთმა ნუ ქნას, ისე აშკარად შეიცვალოს რომელიმე ხალხის ხასიათი, არავის გაუჭირდეს ამის შემჩნევა. ეს იგივე სიკვდილი იქნებოდა ხალხისა, რომელიც ფიზიკურად, შეიძლება, ისევ იარსებებს, მაგრამ არავითარი სულიერი ფასეულობის შექმნა (რაც, ჩემი აზრით, უპირველესი დადასტურებაა სიცოცხლისა), აღარ შეიძლება, რამდენადაც შესაქმნელად მარტო შექმნის სურვილი, ანდა მარტო საამისო ნიჭი კი არ არის საჭირო, არამედ – გამორჩეული თვალთახედვაცა და სამყაროს განცდის განსაკუთრებული უნარიც. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ხალხის სულიერი სამყაროს საკუთრებაა, ანუ იმ უწმინდეს სფეროს განეკუთვნება, სადაც უცხო თვალმა ვერ უნდა შეაღწიოს, რადგან იქ ხალხის დანიშნულების, შესაძლებლობებისა და უკვდავების საიდუმლო ინახება – ხალხის სულის სული! – რაც სხვა არაფერია, თუ არა ის ზღაპრული სამი ჩიტი, კოლოფში ჩაკეტილი, ყველაზე ფხმარდი, ყველაზე მოუხელთებელი ირმის მუცელში რომ ცხოვრობს და ვიღაცის (ამ შემთხვევაში – ხალხის) თვალისჩინს, ჯანღონესა და სიცოცხლეს განასახიერებს, რამდენადაც მათ დაღუპვას ხალხის დაბრმავება, დამაბუნება, მე-

რე კი სიკვდილიც მოსდევს. არადა, დღემდე მოღწეული ყველა ხალხი ერთნაირად სრულყოფილი და განუმეორებელია, ნებისმიერი მათგანის გაქრობა თანაბრად გააღარიბებს, თანაბრად დააკნინებს კაცობრიობას. ამიტომ რაც უფრო ვითარდება ტექნიკა და რაც უფრო იზრდება მასობრივი კულტურის საზღვრები, მით უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ კოლოფში ჩაკეტილი ის სამი ჩიტი, ანუ იგივე ჩვენი მშობლიური ენა, ფსიქიკა და ტრადიცია – ის წმინდა სამება, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება მხოლოდ პიროვნების საფუძველთა საფუძველი, მრწამსთა მრწამსი და აზრთა აზრი, რასაც, უბრალოდ, ეროვნება და ეროვნული თვითშეგნება ჰქვია.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, თუ რამდენად სახარბიელოა, რამდენად «საამაყოა» ჩვენი ხასიათის ამგვარი «სტაბილურობა». იქნებ აჯობებდა, ცოტა ხნით მაინც დაგვევიწყა ქართული გულარხეინობა და მთელი ხმით, ყველას გასაგონად გვეყვირა ჩვენს სატკივარზე?! სატკივარი კი ბევრი გვაქვს, საკმაოდ დაგვიგროვდა დროთა განმავლობაში, რადგან თავის დროზე, ეტყობა, ვერც ერთს ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სათანადოდ ვერ შევაფასეთ ვერც თავის დროზე და ვერც მერე. სამაგიეროდ, მერე ხშირად გვინანია და, რაც კიდევ უარესია, უმისამართო საყვედურებით მოგვიფხანია გული. რამდენადაც ვიცი, ჯერ არავინ დაუდანაშაულებიათ არც ორთაჭალჰესისთვის – რომელიც აგებისთანავე «ჩაქრა» და აბსურდულ ძეგლს უფრო ჰგავს, ვიდრე ელექტროსადგურს – არც დიღმის სასწავლო-სასელექციო ვენახებისთვის და არც თავად დიღმისთვის, თავისთავად უკვე ისტორიული ძეგლისთვის, რომლის ადგილზეც კიდევ ერთი მიკრორაიონი უნდა დაიბადოს, არქიტექტურული მიკროურჩხული, რომელიც, სხვა, უკვე არსებული მიკრორაიონების მსგავსად, პირველ რიგში, სწორედ თბილისის ჭეშმარიტი სახის, ხასიათის, ადათ-წესების შთასანთქმელადაა მოწოდებული; არც სახელმწიფო ენის იგნორირებისთვის რესპუბლიკის ყველა თუ არა, უმრავლეს დაწესებულებასა და წარმოებაში; არც ზღვის სანაპირო ზოლის მოშლისთვის და არც ზვავგადავლილი თუ დამეწყრილი სოფლებისთვის, ასე რომ მომრავლდა ჩვენში და, როგორც ვარაუდობენ, მთის დაუდგრომელი მდინარეების არასწორი «მოთოკვის» გამო.

პირადად მე ამ საკითხებში, რასაკვირველია, არაკომპეტენტური გახლავართ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, არავითარი აზრი არა აქვს არც დაგვიანებულ სინანულს და არც გაურკვეველ საყვედურს, დავუშვათ, იმის თაობაზე, ამ ორმოციოდე წლის წინ ასე დაუფიქრებლად, ასე ჰაიჰარად რომ დავაცარიელებთ ჩვენი მთიანეთი, ასე უგულოდ რომ მოვწყვიტეთ მთიელი კაცი მშობლიურ გარემოს, რის შედეგადაც არამარტო ცხვარ-ძროხა დაგვეღუპა, ჩვენივე ხელით სამუდამოდ ამოვქოლეთ იმ უძველესი და უმკაცრესი ინსტიტუტის კარი, სადაც ქართველი რაინდობას, სულიერ სიმტკიცესა და ზნეობრივ სისპეტაკეს უნდა ზიარებოდა. გარდა ამისა, ბევრმა სხვა უარყოფითმა მოვლენამაც იჩინა თურმე ბუნებაში თავი. აბა, რა გვეგონა?! ანდა რატომ გვეგონა, ყველაფერს რომ გვაპატიებდა ბუნება, უსასრულო რომ იქნებოდა მისი მოთმინება?! «თავს სინანული სჯობიაო» – უკვე რახანია გვასწავლის პოეტი, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ვინ რას გვასწავლის, არამედ – ჩვენ რისი სწავლა შეგვიძლია. ღმერთმა ნუ ქნას და, ორმოციოდე წლის მერე ისევ რომ შემოგვტიროს ვინმემ ტელევიზორის ეკრანიდან – არ უნდა გაგვეყვანა ტრანსკავკასიის რკინიგზაო – განა ამით რამე შეიცვლება?! მართალია, დღესაც საკმაოდ ვართ შემფოთებულნი, დღესაც ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, მაინც მეტი სერიოზულობა გვმართებს ყველას. მე მგონი, გაცილებით აჯობებდა, ჯერ თავად სპეციალისტებს უფრო ნათლად გაერკვიათ თავისთვის ამ რკინიგზის სიაგვარგე, დაედასტურებინათ, დაემტკიცებინათ მისი აუცილებლობა ხვალინდელი საქართველოსთვის (რაკი ასე ლოკალურად

დგას საკითხი!), გაემართლებინათ ის მსხვერპლი, რომლის გაღებაც მსგავსი გრანდიოზული მშენებლობის დროს, გვინდა თუ არა, მაინც მოგვიწევს, და მერეღა გამოეტანათ ესოდენ სერიოზული საკითხი ხალხის სამსჯავროზე, თორემ, ჯერჯერობით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პროექტის ავტორებსაც არ ჰქონდეთ ბოლომდე გათვითცნობიერებული ამ კონკრეტული მშენებლობის მიზანი და იდეა.

ზოგადად რკინიგზის საჭიროებაზე ლაპარაკი დღეს, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა. დიდი ხანია კაცობრიობას შეგნებული აქვს მისი დანიშნულება და, თუ გნებავთ, მნიშვნელობაც. მან უკვე დიდი ხნის წინ დაიმკვიდრა თავისი ადგილი არამარტო ბუნებასა და ცხოვრებაში, არამედ ლიტერატურაშიც, და თუმცა მომავლის ტრანსპორტად ვერ ჩაითვლება (რაც უნდა გაუმჯობესებული, თუნდაც, სრულყოფილი სახით წარმოვიდგინოთ იგი), უიმისოდ ჩვენი მომავალი ცხოვრება, რასაკვირველია, მაინც შეუძლებელია. თავისთავად ცხადია, მხედველობაში მაქვს საქართველოც, რომელიც რკინიგზის ქსელის სიხშირით, როგორც ამასწინათ გვაუწყა პრესამ, თურმე, ბევრად აღემატება საშუალო საკავშირო დონეს. აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, საქართველო არც საავტომობილო და საჰაერო გზების სიხშირით რომ ჩამოუვარდება საშუალო საკავშირო დონეს და, ამავე დროს, საზღვაო-სანაოსნო ქვეყანაცაა – თითქოს არ უნდა გვქონდეს ასაჩქარებლად საქმე. მაგრამ, სამწუხაროდ, აჩქარება მაინც გვეტყობა, მე ვიტყვოდი, მოუთმენლობა, რაც, ბუნებრივია, დამაჯერებლობის უნარს უკარგავს ჩვენს მოსაზრებებს. უფრო მეტიც, მოწინააღმდეგეთა გადასარწმუნებლად გამიზნულ ამა თუ იმ განცხადებას ზოგჯერ უკბილო, უდიდამო ხუმრობას ამსგავსებს. განა, შეიძლება, რკინიგზა ბრაკონიერებისგან ფაუნის დასაცავ საშუალებად წარმოვიდგინოთ?! მაგრამ ასეც რომ იყოს, განა მაინც უმჯობესი არ იქნება, ისევე ბრაკონიერმა მოინადიროს ერთი-ორი ხოხობი, კურდღელი და თუნდაც შველი, ვიდრე დაფეთებული ცხოველი საერთოდ აიყაროს და გადაიხვეწოს მიჩვეული ადგილებიდან?! მსგავსი არასერიოზულობით გამოირჩევა, მაგალითად, ძეგლთა დამცველთა ასეთი განცხადებაც: თუ რკინიგზის მშენებლობა რომელიმე ისტორიულ ძეგლს დააზიანებს, ჩვენ მაშინვე შევაკეთებთო. მაგრამ შეკეთება განა დაცვას ნიშნავს?! მე მგონი, ფუნქციებია აღრეული, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ზოგიერთი თავისი საქმის ენთუზიასტის კეთილშობილური თავგამოდებისა, თუკი რამე აკლია ჩვენს ძეგლებს, სწორედ დაცვა აკლია. კაცმა რომ თქვას, ძეგლი ძირითადად, მართლაც, თვითონ იცავს თავს საკუთარი ერთადერთობისა და განუმეორებლობის ძალით, მაგრამ მისი მთავარი დამცველი მაინც საერთო, სახალხო კულტურაა. რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით უფრო ღრმადა აქვს გადგმული ფესვი მის არსებაში ძეგლის ძალისხმევასა და უკვდავების რწმენას, მით უფრო შეგნებული აქვს, რომ ძეგლი არამარტო მისი წარსულის დადასტურებაა, არამედ – მომავლის გარანტიაც. აქედან გამომდინარე, ძეგლის დაცვა მისი აუცილებლობის შეგნება ყოფილა, იმის შეგნება, ისევე რომაა ის საჭირო დღევანდელი ცხოვრებისთვის, როგორც ცივილიზაციისა და ტექნიკის ნებისმიერი მიღწევა. ამიტომ კიდევ უფრო დამაფიქრებელია, როცა დღესაც, ჩვენს თვალწინ და ჩვენი თანდასწრებით, ბევრი უნიკალური ძეგლი იღუპება, უკვალოდ, უიმედოდ ქრება პირისაგან მიწისა, სანაცვლოდ კი, ამოუვსებ, მარადიულ სიცარიელეს ტოვებს არამარტო დღევანდელი, არამედ ხვალისდელი და ზეგინდელი, ჯერ კიდევ დასაბადებელი ადამიანის სულში. რაც კაცს შეუქმნია, მთელი ხალხის საკუთრებაა, ხოლო ხალხის საკუთრება საერთო, საყოველთაო განძია. თუნდაც ამიტომ, სრულებითაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუკი ნებისმიერ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, როგორც, დავუშვათ, იგივე ტრანსკავკასიის რკინიგზაა, განსხვავებული შეხედულებებიც წარმოიშობა ხოლმე. სხვანაირად ალბათ წარმოუდგენელიცაა. მოქალაქეობრივ პასიურობასა და გულგრილობას, რასაკვირველია, ისევე აზრთა ჭიდილი სჯობს. ყველა-

ფერს რომ თავი გავანებოთ, წარსულის დიადი ნაგებობები ყოველთვის ასევე დიად პიროვნებებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვათ, განა დღესაც გვყავს ისეთი ინჟინრები, ისეთი მშენებლები, თავი ქუდში დავიგულოთ და არ ვიკითხოთ მაინც, რა სასწაული გადაარჩენს შვლის ნუკრისა თუ ხმელი წიფლის სამყაროს, როცა თანამედროვე ტექნიკა მთელი ძალით ამოქმედდება ამ ერთი ფეხის დადგმა მიწაზე?! ადამიანი ყოველთვის ეჭვის თვალთ უყურებს ტექნიკურ სიახლეს და არც გაემტყუნება მსგავსი უნდობლობა, რამდენადაც ადამიანია და ყველაფერში ადამიანურს ეძებს, ვიდრე არ «გააადამიანებს», ვერც იწამებს და ვერც შეითვისებს რამეს.

საქართველოში არსებობს უაღრესად პოეტური ლეგენდა ინჟინერზე, რომელსაც სინამდვილეში არც არაფერი შეშლია და არც თვითმკვლელობით დაუმთავრებია სიცოცხლე. მაგრამ ლეგენდაში უაღრესად ადამიანური სისუსტეებით და, რაც მთავარია, ტრაგიკულის განცდის უნარით დააჯილდოვა ხალხმა იგი. ლეგენდის ინჟინერი თავს იკლავს, რადგან ეჭვითაა შეპყრობილი, ჰგონია, შეცდომა დაუშვა და უღელტეხილის ორივე მხრიდან მომავალი გვირაბები ერთმანეთს არ შეხვდებიან. არადა, თურმე, საათის სიზუსტითა აქვს ყველაფერი გამოთვლილი. მაგრამ ეს კი არ არის მთავარი ლეგენდაში, არამედ – ხალხის დამოკიდებულება საერთოდ ინჟინრის და, თუ გნებავთ, საერთოდ ტექნიკის მიმართ. ხალხის დიდი სურვილია, ინჟინერი – ეს თანამედროვე ჯადოქარი, სასწაულმოქმედი, მანქანების მომთვინიერებელი – უპირველეს ყოვლისა, ადამიანი იყოს: ცდებოდეს, ეჭვიანობდეს, ღელავდეს, თავის შერცხვენას სიკვდილი ერჩიოს. ეს ლეგენდა, ჩემი აზრით, იმის შეხსენებაა, წინ წასვლის მსურველმა ჯერ უკან რომ უნდა მოიხედოს.

დაკარგა რა ჩვენმა გლეხობამ ცხოვრების ძველი წესი, დროთა განმავლობაში დაგროვილი მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილებაც ზედ მიაყოლაო – ჩივის ერთი იაპონელი მწერალი – ოჯახი ოჯახს აღარ ჰგავს, მამა – მამას და შვილი – შვილსო. უაღრესად საგულისხმო სიტყვებია მით უფრო, რომ ისეთი ქვეყნის წარმომადგენელი, როგორც იაპონიაა, სადაც ტექნიკა ლამის ფანტასტიკის დონეზეა აყვანილი, ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბრისას ტექნიკის ყოვლისშემძლეობას კი არ იშველიებს, ოჯახის ბედითაა შეწუხებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკან ბრუნდება და საერთო, საკაცობრიო საწუხარს გამოთქვამს იმის თაობაზე, თანამედროვე ცხოვრებამ ისეთი საიმედო, მრავალგზის გამოცდილი ციხე-სიმაგრეც რომ შეარყია, როგორც ოჯახი იყო, რომლის საფუძველსაც უაღრესად ადამიანური ურთიერთობები და კიდევ უფრო გამაადამიანებელი ადათ-წესები განამტკიცებდა. ადამიანი, როგორც პიროვნება, ფაქტობრივად ოჯახში ყალიბდებოდა. ოჯახი ყოველთვის სკოლის პარალელურად მოქმედებდა და ამ ორი მძლავრი, აღმზრდელობითი ფენომენის წყალობით, ადამიანი გაცილებით მომზადებული იყო სიცოცხლისთვის, სიცოცხლის დასამკვიდრებლად, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, ვიდრე თუნდაც დღესაა. და მაინც, იმის თქმა, რომ დღევანდელი ადამიანი სიცოცხლისთვის არ იბრძვის, ყველანაირად არ ცდილობს მის დამკვიდრებასა და გასახანგრძლივებას, უსამართლობა იქნებოდა ჩვენგან. მაგრამ ბრძოლას გააჩნია. სიცოცხლისთვის ბრძოლის არასწორი, მახინჯი ფორმებიც არსებობს და, რაკი არსებობს, საჭიროების შემთხვევაში, რასაკვირველია, მათაც იყენებს ადამიანი ისევ და ისევ სიცოცხლის სახელით. თანამედროვე ადამიანის ნაკლი (ნაკლი და არა დანაშაული!), უმთავრესად, მაინც ისაა, დროულად რომ ვერ აუღო ალღო ცხოვრებაში მიმდინარე უაღრესად სერიოზულ პროცესებს, რომელთა დანიშნულებაც სხვა არაფერია, თუ არა თავად ცხოვრების გარდაქმნა და ახალი ადამიანის აღზრდა. დაბნეულ ადამიანს კი ბევრი არ გაემტყუნება, ვერც სიტყვით დაარწმუნებ, საბედისწერო შეცდომას რომ სჩადის, როცა აჩეხილი ვაზის ადგილას საზამთრო მოჰყავს, ვითომ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ადამიანი სიცოცხლისთვის იბრძვის მაში-

ნაც, როცა ჭაობს აშრობს ანდა ქარხანას აშენებს, მაგრამ ამგვარ ბრძოლას, საბოლოო ჯამში, შეიძლება თავად სიცოცხლე შეეწიროს, თუკი ჭაობის ამოშრობა ტყის გაჩანაგებას გამოიწვევს, ხოლო ქარხანა საფრთხეს შეუქმნის ბუნების ისეთ საოცრებას, როგორც თუნდაც ტბაა.

სხვათა შორის, ნებისმიერი ისტორიული ძეგლიც სიცოცხლისთვის ბრძოლის კიდევ ერთი გამოხატულებაა, რასაკვირველია, უაღრესად კეთილშობილურიც, რამდენადაც არაფერი მოაქვს კარგის მეტი. ხოლო სიცოცხლის შენარჩუნებაზე, სიცოცხლის გადარჩენაზე, საერთოდ, სიცოცხლის ბედ-იღბალზე ფიქრი ერთ-ერთი უძველესი და ერთ-ერთი ურთულესი ფიქრია კაცისა იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირველად შეიგრძნო სწრაფწარმავლობა სიცოცხლისა და გარდუვალობა სიკვდილისა. ეს ფიქრი აწოვებს ძუძუს კაცის შიშსა და ეჭვს, ეს ფიქრი დაატარებდა გილგამეშსაც უკვდავების ბალახის საძებნელად და დღესაც ეს ფიქრი ადგას თავზე ყველა ჩვენგანს საავდრო ღრუბელივით. დღეს გაცილებით ახლოსაა ადამიანი არარაობის, არყოფნის უფსკრულთან, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მაგრამ საკითხავი ისაა, ბუნებრივად, კანონზომიერად შემცირდა მანძილი ადამიანსა და მარადიულ წყვდიადს შორის, თუ ადამიანურმა სულსწრაფობამ, სიბრყველემ და სიხარბემ წამებში გაარბენინა იმავე ადამიანს საუკუნეების გასავლელი მანძილი. «ჩადენილი შეცდომები ბევრია» და ყველა მათგანის თუნდაც აღსანუსხავად არც დრო გვეყოფა, არც ადგილი. ის კი მაინც უნდა ითქვას, რომ თუ კაცობრიობას დაღუპვა უწერია, ეს კაცის ხელით მოხდება და არა ბუნებისა, იმიტომ კი არა, საკმარისზე მეტი რომ დაუფროვდა კაცს თერმობირთვული იარაღი, არამედ იმიტომ, შემადრწუნებელი სისწრაფით რომ კნინდება იმის სულში საუკუნეების მანძილზე ძლივს აღზრდილი პიროვნება. რასაკვირველია, შექმნაზე ადვილი დანგრევია, მაგრამ სავალალო და გულდასაწყვეტი ისაა, ნგრევის საშუალებები გაცილებით მეტი რომაა დღეს, ვიდრე შექმნის საშუალებები გააჩნდათ ჩვენს სულიერ მამებს კაცობრიობის გარიჟრაჟზე. კიდევ უფრო სავალალოა, რომ შექმნა ყოველთვის ტანჯვასთან, ტკივილთან, მოთმენასთან, თვითგვემასთანაა დაკავშირებული, როცა ნგრევას მიწიერ სიამეთა აღზევება და ლამის სიგიჟემდე მისული აღტკინება ახლავს თან.

მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერი უნდა ვიღონოთ სიცოცხლის გადასარჩენად. რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეობის, ჩვენი თავისთავადობის გადარჩენას ნიშნავს. ასე რომ, არავის არა გვაქვს უფლება, «მშვიდად» დაველოდოთ აღსასრულს, რამდენადაც ცალკე და იზოლირებულად ცხოვრება დღეს არა თუ დაუშვებელი, შეუძლებელიცაა. დღევანდელი მსოფლიო იმდენად შეკუმშულ-შემჭიდროვებულია თუნდაც გასული საუკუნის მსოფლიოსთან შედარებით, კერძო და პირადული პრობლემები თითქმის აღარც არსებობს. ერთი ხე თუ გახმა სადმე, ჩრდილი ყველას თანაბრად დაგვაკლდება. ტექნიკურმა რევოლუციამ, უნდოდა თუ არა, ყველანი ერთმანეთის ჭირ-ვარამის მოზიარენი გაგვხადა. უფრო სწორად, იძულებულნი და ვალდებულნიც ვართ, უფრო ფხიზლად ვადევნოთ ერთმანეთის საქმიანობას თვალი არამარტო მეზობლური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ თვითდაზღვევის მიზნითაც, მოუშადაბელნი რომ არ დავხვდეთ ბუნებისა თუ მეცნიერების მორიგ გამოხდომას. კაცობრიობას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს იმისა, თუ რა სავალალოდ მთავრდება მისი თითქმის ყოველი ცდა ბუნების მარადიული წესრიგის დარღვევისა. ამდენად, ნებისმიერი მდინარისთვის კალაპოტის შეცვლა, ნებისმიერ ტბაში წყლის დონის დაკლება, ნებისმიერი უღელტეხილის გაჭრა გლობალური მნიშვნელობის მოვლენაა და მისი ცალკე, შინაურ წრეში გადაწყვეტა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შეუძლებელია. ამგვარი პრობლემების მიმართ ნაჩქარევი, ზერელე და, რაც მთავარია, გულგრილი დამოკიდებულება ყოველად გაუმართლებელია. ასევე გაუმართლებელია და, ჩემი აზრით, უხერხულიცაა, როცა მსგავსი პრობლემების შესახებ მხოლოდ მაშინ ვიგებთ, როცა აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება, ან-

და რაღაც სასწაულის თუ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, განსაცდელი გვერდს აგვივლის ხოლმე. მაგალითად, ჩვენმა მკითხველმა სულ ახლახან შეიტყო გაზეთებიდან, ისევ ძველი გზებით რომ ივლიან თურმე საქართველოს მდინარეები, ანდა, «გარკვეული სამსახურები» მთლიანად რომ არ აღგვიან პირისაგან მიწისა დავით გარეჯის გამოქვაბულ-მონასტერთა გრანდიოზულ კომპლექსს, ამ მართლაც უნიკალურ ძეგლს, ურომლისოდაც წარმოუდგენელიცაა ალბათ მსოფლიო კულტურის წარსულზე მსჯელობა. მაგრამ ვიდრე მსგავსი პრობლემები გვაღელვებს, ჯერ კიდევ აზრი აქვს ცხოვრებასაც და ბრძოლასაც. დღევანდელი ადამიანი არაფრით ჩამოუვარდება სხვა, რომელიც გნებავთ, ეპოქის ადამიანს. უფრო მეტიც, დღევანდელი ადამიანი ცხოვრების უფრო რთულ პირობებშია ჩაყენებული, უპირველეს ყოვლისა, ისევ ტექნიკის სწრაფი, თავბრუდამხვევი განვითარების გამო და ბევრ რამესთან საერთოდ პირველად უხდება შეხვედრა. ბევრი რამ პირველმა უნდა შეითვისოს ან დაგმოს, დაამკვიდროს ან ამოძირკვოს, რის გამოც, თავის წინამორბედებთან შედარებით, უფრო შემკრთალი, უფრო დაბნეული, თუ გნებავთ, უფრო უზნეოც გამოიყურება. მაგრამ ვერავის, ვერც თანამედროვე და ვერც მომავალ გულშემატკივარს ვერ მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, უვარგისი იყო და იმიტომაც დაამთავრა ასე უსახელოდ ცხოვრებაო. ადამიანი, რომელ ეპოქასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, საბოლოო ჯამში, მაინც ერთნაირად გულუბრყვილო არსებაა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – სჯერა, ივიწყებს, ურიგდება, ელოდება, იმედი აქვს... ასე რომ, მისი გულუბრყვილობა კი არ არის დანაშაული ღმერთისა და ქვეყნის წინაშე, არამედ ამ უაღრესად ადამიანური თვისების ბოროტად გამოყენება ისევ მის მიერ. ადამიანი მშიშარაცაა (და არა ლაჩარი). რაც მთავარია, შიშის მთელი ნაირსახეობები ახასიათებს თურმე და მათ შორის «ფილოლოგიურიც». მაგრამ, როგორც არ უნდა ეთაკილებოდეს, შიში მაინც მისი ადამიანობის დამადასტურებელია, როცა ტექნიკურმა სითამამემ, ადვილი შესაძლებელია, ჩვეულებრივი რობოტის დონემდე დაიყვანოს იგი. ასე რომ, ვიდრე მსოფლიო არეულია და კატასტროფული სისწრაფით ეცემა ადამიანის ნიჭითა და მონდომებით შექმნილი ფასეულობანი, ისევ «ფილოლოგიური» შიში გვერჩიოს ინჟინრულ გამბედაობას, მით უფრო რომ, არავინ ვიცით წინასწარ, რა რითი დამთავრდება, პროგრესული სინამდვილეშიც პროგრესული აღმოჩნდება, თუ ახალ უბედურებად დაგვატყდება თავს.

ჯერ კიდევ გუშინ ბევრი ირწმუნებოდა, ატომური ელსადგურები საშიში კი არა, მისწრებააო, მაგრამ ჩერნობილის ტრაგედიამ, როგორც ყველას მოგეხსენებათ, სრულიად საწინააღმდეგო სურათი დაგვიხატა. რასაკვირველია, დიდი უბედურებაა უკრაინისთვის, და არამარტო უკრაინისთვის, რაც ჩერნობილში მოხდა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ უბედურების მასშტაბები, იგივე შემთხვევა საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაში რომ მომხდარიყო! არათუ ქვეყნის გარკვეული ნაწილი, რაც თავისთავად აუნაზღაურებელი დანაკლისია, არამედ მთელი ქვეყანა მოისპობოდა დედაბუდიანად. ამიტომ არაფერი დაშავდება, თუკი ჩვენს მეცნიერულ-ტექნიკურ მგზნებარებას ცოტა «ფილოლოგიურ» შიშსაც შევუზავებთ და იმაზეც დავფიქრდებით, რამდენად მიზანშეწონილია ყველაფრის ერთი საზომით გაზომვა. განა აუცილებელია, საქართველოც მძიმე ინდუსტრიული ქვეყანა იყოს, მსგავსად, დავუშვათ, ამერიკის შეერთებული შტატებისა?! ჩვენ ღვინის ქვეყანა ვართ, მევენახეობა ჩვენი ისტორიული, ტრადიციული დარგია, ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი და არაფერია ამაში არც საგანგაშო, არც სათაკილო. სათაკილოც და საგანგაშოც ისაა, მამა-პაპის გზა დავაგდოთ და ცული მოვუღეროთ ვენახს. აჩეხილ ვაზს ყველა ჩვენგანის, უფრო სწორად, კაცობრიობის სისხლი სდის და იმ სისხლის ზღვიდან ამოსვლა ყოვლად შეუძლებელია. პირიქით, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო გაიზრდება დანაშაულის სიმძიმე, მით უფრო აგვეხილება თვალი ცოდვის შემზარავი მასშტაბების დასანახად, რომლის გვერდით ბავშვის მკვლელობა თუ ბებრის გაუ-

პატიურება, შეიძლება, ანგელოზთა ხუმრობად მოეჩვენოს ვინმეს. დრო, ამ შემთხვევაში, ძველ ჭრილობას კი არ განკურნავს, უფრო გააღრმავებს, რათა როდისმე ვიღაცამ მაინც შეიგნოს, რა მოსდევს სიბნელეს, უვიცობას, მუცლისა და სხვათა ფეხის ხმის აყოლას. ვაზი ყოველთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა ქართველი გლეხისთვის, ვიდრე შემოსავლის ნებისმიერი საშუალებაა. ვაზი იყო მისი «პური არსობისა» და, ამავე დროს, სულიერი მოძღვარიც. დავივიწყებთ რა წარსულს, იმავე წამს უგულვებელვყოფთ მომავალსაც. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვიცოდეთ, რანი ვართ, რა გვევალება, რა გვსურს და რამდენად შეესაბამება ჩვენი შესაძლებლობები ჩვენსავე სურვილს. ასევე აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, ანდა წარმოდგენილი მაინც უნდა გვქონდეს, რანი ვიქნებით ხვალ, რა ცვლილებები შეიძლება განიცადოს ჩვენმა სულიერმა წყობამ საერთოდ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებათა შესაბამისად. არ შეიძლება ვცხოვრობდეთ დღეს და შეგნებული არ გვქონდეს ტექნიკური პროგრესის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი არათუ დღევანდელი, არამედ ხვალინდელი კეთილდღეობისთვისაც. არ შეიძლება დღესვე არ გვქონდეს გათვალისწინებული, რა დამანგრეველ ძალას შეიძენს ხვალ მასობრივი კულტურა, თუკი ერთხელ მაინც დავივიწყებთ, პირველ რიგში პიროვნებას რომ უპირისპირდება იგი ჩვენს არსებაში და იოლად მოსაპოვებელი, სწრაფწარმავალი სიამოვნების საფასურად, ის სინათლე გააქვს ჩვენი სულიდან, გენივით რომ გადმოგვეცა წინაპრისგან, როგორც ყველა ჩვენგანის და, ამავე დროს, საერთო, საკაცობრიო სიმდიდრე, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი თაობა აგროვებდა ხელოვნების პირველი და სამუდამო პატრიარქების მარადაულაგებელ, ბუნებასავით მდიდარ, ბარაქიან სუფრებზე, სადაც, სხვა, ჩვეულებრივი სუფრებისგან განსხვავებით, ის სასმელ-საჭმელი რიგდება, მხოლოდ სულისთვის რომაა განკუთვნილი, სულიერი შიმშილისთვის, ოღონდ ამ შიმშილის მოსაკლავად კი არა – კიდევ უფრო გასამძაფრებლად, რადგან სწორედ გამძაფრებული სულიერი შიმშილი აძევებს ჩვენი არსებიდან მხეცს და იმის დანატოვარ სიცარიელეში, როგორც ნაჩლიქარში წვიმის წყალი, ნელა, თანდათანობით დგება სინათლე რემბრანდტის ფუნჯისა, ოპიზარის ჩუქურთმისა თუ მოცარტის ნათითარი კლავიშისა. ეს ის სახელებაა, რომელთაც ძალუძთ, კაცობრიობის მასობრივი სიბრძნავის ჟამს, ბრაილის ანბანის ამოზურცული წერტილების მაგივრობა გასწიონ და პირველადი ფერი, სურნელი და ჟღერადობა დაუბრუნონ ისეთ აუცილებელ, ჰაერივით საჭირო ცნებებს, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, სათნოება, თანაგრძნობა, სიკეთე, სიყვარული...

როგორც ერთი ამერიკელი კომპოზიტორი შენიშნავს, «კონცერტი ქადაგება არ არის» და მსმენელმა თვითონ უნდა იაზროვნოს, თვითონ უნდა გამოიტანოს სათანადო დასკვნები. მაგრამ სათანადო დასკვნების გამოსატანად სათანადო აღზრდა, ცოდნა და კულტურაა საჭირო. იმასაც ამბობენ, თითქოს თანამედროვე მუსიკა დამლუპველად მოქმედებდეს ახალგაზრდობაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც ხელოვნურად შექმნილი ურჩხულია, რომელსაც არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია, თუკი შეგვეძლება სწორი ურთიერთობის დამყარება მასთან. ამით იმის თქმა მიწნდა, რომ ვერავითარი მანკიერება ვერ მოგვერევა, თუკი სულიერად მზად ვიქნებით მის აღსაქმელად, მისი სიაგვარგის გასაანალიზებლად. ეს, რასაკვირველია, მეტად სერიოზული საკითხია და ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს ეხება, როგორიცაა სკოლა და ოჯახი, საზოგადოება და სოციალური გარემო, ანუ ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაზე თვალის გახელისთანავე ხვდება ყველა ახალ სიცოცხლეს და რაც, ბოლოს და ბოლოს, განაპირობებს კიდევ მის მომავალს. ასე რომ, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორი იქნება ჩვენი ბავშვობა, რადგან ჩვენი სიბერე ჩვენს ბავშვობაშივე იდგამს ფეხს. ბავშვობაში ეყრება საფუძველი იმ სულიერ ხერხემალსაც, რომლის სიმტკიცეც განსაზღვრავს ჩვენს პიროვნულ თვისებებს, ჩვენი ადამიანურობის ხარისხს, ანუ, როგორც უკვე ვთქვით, გვამღევს საშუალე-

ბას, სწორი ურთიერთობა დავამყაროთ, დავუშვათ, თანამედროვე მუსიკასთან, ტელევიზიასთან, მასობრივ სანახაობებთან...

სულიერი ხერხემალი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ნებას აწონასწორებს, იცავს ჩვენს შინაგან წესრიგს და, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ყველა პირობას გვიქმნის, დაუფიქრებლად არ დავაჭიროთ თითო თუნდაც იმავე ტელევიზორის ღილაკს, იქამდე გავიაზროთ, რა მოჰყვება ამას, ვიდრე ეკრანის მაცდურად მოლივლივე სინათლის ტყვეობაში ამოვყოფდეთ თავს. ეს კი, მხოლოდ და მხოლოდ აღზრდაზეა დამოკიდებული, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომზადებული იქნება თანამედროვე ადამიანი თანამედროვე ცხოვრებისთვის.

აღზრდის ათასნაირი მეთოდი არსებობს და მათ შორის უკეთესის ამორჩევა ასე ერთბაშად, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ დღეს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრადიციას, ტრადიციის სწორ აღქმასა და გათანამედროვეებას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ტრადიციას მუზეუმის საკუთრებად ვაქცევთ ხოლმე, რითაც თითქოს მისდამი უღრმეს პატივისცემასა და მოწიწებას გამოვხატავთ, რაც სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან მუზეუმის ვიტრინებში ხავერდის ბალიშებზე დასვენებული, ჰაერის განსაზღვრულ ტემპერატურაზე განსაკუთრებულად განათებული ტრადიცია მკვდარია და არავითარი სიკეთის მოტანა აღარ ძალუძს; იმ მხატვარსა ჰგავს, რომელსაც ძველი დამსახურებისთვის გვირგვინი კი დაადგეს, მაგრამ ხატვა აუკრძალეს. ტრადიცია არამარტო ჩვენი გუშინდელი დღეა, არამედ ჩვენი მომავალიც, უფრო სწორად, მხოლოდ მისი მეშვეობით შევძლებთ ხვალინდელ დღეში გადასვლას ჩვენი მეობისა და ჩვენი განსაკუთრებული სახის დაუკარგავად. ტრადიცია არამარტო გვასწავლის ცხოვრებას, არამედ გვავალდებულებს კიდევ, ვიცხოვროთ მისი მრწამსისა და შეხედულებების მიხედვით, ანუ, იმიტომ კი არ ვიცოცხლოთ, რომ ვიარსებოთ, არამედ გარკვეული აზრის, გარკვეული მიზნის, რწმენისა თუ ოცნების აღსრულებას მოვახმაროთ ჩვენი სიცოცხლე. ტრადიცია ეროვნულობის კვარცხლბეკია, ეროვნულობა კი – კულტურისა. ამიტომ ყველაფერი არატრადიციული ერთნაირად სახიფათოა სულისთვის, ზნეობისთვის, რამდენადაც, პირველ რიგში, სწორედ ეროვნულობასა და კულტურას უპირისპირდება. კლასიკური მუსიკა ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებს და აძლიერებს ჩვენში – ესაა კლასიკური მუსიკის დიადი უცნაურობა და იმის ნათელი დადასტურებაც, უფრო სწორად, იმის მარადიული შეხსენება, ვერასოდეს რომ ვერ შეიძენს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას ეროვნულ ფესვებს მომწყდარი ხელოვნება. სამაგიეროდ, ზოგადსაკაცობრიო სენად კი შეიძლება იქცეს, რასაც ისევ ეროვნულ ტრადიციასა და კულტურას თუ დავუპირისპირებთ მხოლოდ. ასე რომ, თუკი კაცობრიობას მართლა უწერია დაღუპვა, მაშინ შეიძლება ერთი წამით ზოგიერთივით ჩვენც დავეჭვდეთ – ისევ ატომური კატასტროფა ხომ არ სჯობს გადაგვარების, დეგრადაციის ამაზრზენი გზით გაქრობასო. მაგრამ, რასაკვირველია, ვიდრე პირში სული გვიდგას, ყველა ჩვენგანის უწმინდესი და ალბათ უმძიმესი ვალია, სწორედ სიცოცხლის გადარჩენა, ამ ღვთაებრივი მადლის შენარჩუნება დედამიწაზე. სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი გაგვაჩნია და, ამავე დროს, ის მარტო ჩვენი საკუთრება არ არის, ის უკვე გარდაცვლილთა და ჯერ დასაბადებელთა საკუთრებაცაა და ოლიმპიური ჩირაღდანით გადადის თაობიდან თაობაში, რათა ყველა ადამიანის სულზე გავლით მარადისობაში გაიტანოს ადამიანური ტკივილი და სიხარული.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს სიცოცხლეს არ გააჩნდეს თავისი «ჩრდილოვანი მხარეები». რა დასამალია და, სიცოცხლე ამაზრზენიცაა, მტკივნეულიცაა, მწარეცაა, მძიმეცაა, გულქვაც, დაუნდობელიც, მკაცრიც, ძუნწიც, ხეპრეც, უსინდისოც... მაგრამ, ამავე დროს, ვერც კი წარმოვიდგენთ, რამდენნაირი სიხარულის, შვების, სიამაყის, ბედნიერების მონიჭება შეუძლია თანაგრძნობის ერთ სიტყვას, სიბრალულის ძლივს ჩაყლაპულ ცრემლს,



დაუნანებლად გაყოფილ ლუკმას, თავგანწირვის ნებისმიერ მაგალითს... ესეც სიცოცხლეა. უფრო სწორად, ესეც და ისიც, ერთად, განუყოფლად, და ვაი იმას, ვინც სიცოცხლიდან მხოლოდ კარგის ამოკენკვას შეეცდება – სიცოცხლე როგორცაა, ისეთი უნდა ჩაიხუტო გულში: არც იმისმა სიმახინჯემ უნდა შეგაწუხოს და არც იმისმა სიბინძურემ, რადგან მხოლოდ სიმახინჯისა და სიბინძურის დაძლევიტ მივეახლებით მშვენიერებასა და სიწმინდეს. არ ყოფილა ეპოქა, ერთხელ მაინც არ დაეჩვილოთ, ერთხელ მაინც არ ეთქვათ – ეს რა დრო დადგა, ქალი ქალს აღარა ჰგავს და კაცი კაცსო. ესეც სრული ჭეშმარიტებაა და სიცოცხლის ძირითად თვისებას გამოხატავს. წელან უკვე ვილაპარაკეთ, თუ როგორ იცვლის ხალხი სახეს დროისა და ცხოვრების შესაბამისად. თავისთავად ცხადია, ადამიანიც ექვემდებარება ამ ფერისცვალებას, ოღონდ, გუშინდელი კარგი ადამიანი დღეს ცუდ ადამიანად კი არ გვევლინება, გუშინდელი ცუდი ადამიანი დღეს ცოტათი კიდევ უფრო ცუდი ადამიანია. ესეც სიცოცხლის თვისებაა, პროგრესულად ზრდის თავის ნებისმიერ გამოხატულებას, რადგან მისთვის, ჩვენგან განსხვავებით, ყველაფერი თანაბრად ძვირფასი და თანაბრად მისაღებია, კარგიც და ცუდიც. ასე რომ, პირველი ხულიგანი, ანუ, დამწყები ამ «მიმდინარეობისა», დღევანდელ ხულიგანთან შედარებით, ალბათ მამა აბრამის ბატკანივით გამოჩნდებოდა, მაგრამ ისიც ისევე აღიზიანებდა თავის დროზე საზოგადოებას, როგორც დღევანდელი აღიზიანებს. ოღონდ, რასაკვირველია, ყველაფრის სიცოცხლისთვის გადაბრალება არ შეიძლება. სიცოცხლე თავისებურად იღვწის სრულყოფისთვის. საამისოდ ათასნაირად უცვლის სახეს ნებისმიერ არსებას, რომლის მეშვეობითაც ისეც და ისეც საკუთარ თავს ასახიერებს მხოლოდ, რამდენადაც მისი მიზანია, ბოლოს და ბოლოს, შექმნას ის საუკეთესო, საბოლოო მოდელი, რომელიც სხვებზე უკეთ მოერგება ნებისმიერ დროსა და გარემოს. მაგრამ ადამიანი მაინც განსაკუთრებული არსებაა. მართალია, სიცოცხლისთვის ისიც ერთ-ერთი მოდელია, ანუ თავიდან იმასაც მხოლოდ მსგავსის შექმნა და, აქედან გამომდინარე, სიცოცხლის გაგრძელება ევალებოდა, მაგრამ, შემთხვევით თუ შეგნებულად, სხვებისგან განსხვავებით, აზროვნების უნარიც გამოჰყვა დედის მუცლიდან, რის გამოც, უბრალოდ, ვალდებულებაცაა, ბევრ რამეზე თვითონვე აგოს პასუხი.

გაზეთების ზერელე გადაფურცვლაც საკმარისია (ვგულისხმობ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გამომავალ ნებისმიერი მიმართულების გაზეთს), მაშინვე თვალში გეცეთ ის შიში და შეშფოთება, დღევანდელ ადამიანს რომ დაუფლებია. შეიძლება თამამად ითქვას, გილგამეშის შემდეგ პირველად იგრძნო მან ასე მძაფრად რეალური საფრთხე გაქრობისა, განადგურებისა; მიხვდა, რა იოლად შეიძლება აღსრულდეს, რაც ჯერ კიდევ გუშინ ვარაუდად, მოსაზრებად, ანდა სულაც პოლიტიკურ მუქარად აღიქმებოდა. ადამიანი, ბუნებრივია, დააფრთხო ამ აღმოჩენამ, შეაშინა, შიშმა კი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისა და ხვალისდელი დღის რწმენა შეურყია. ხოლო ადამიანი რწმენის გარეშე ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, უფრო სწორად, აღარ არის, რადგან რწმენა არამარტო უადვილებს (უადვილებდა) არსებობას ამ თითქოსდა მრავალგზის ამოხსნილსა და მაინც ბოლომდე ამოუხსნელ სამყაროში, არამედ ავალდებულებს (ავალდებულებდა) არსებობას. ვალდებულებად ქცეული არსებობა განაპირობებს სწორედ ადამიანური სულის ყველა კეთილშობილურ თვისებას, მოთმინება იქნება ეს, მიმტევებლობა თუ სიმტკიცე. ვალდებულებად ქცეული, ანუ შეგნებული არსებობა, საერთოდ არსებობის ერთადერთი მისაღები სახეობაა ადამიანისთვის, რაც თავისთავად გმირობაა, რამდენადაც მხოლოდ ბიოლოგიური არსებობა მისთვის (ადამიანისთვის) დიდი ვერაფერი შეღავათია. რწმენადაკარგული ადამიანი ყველაზე დიდი მტერია საკუთარი თავისა – იმავე წამს იწყებს იმ ტოტის ჭრას, რომელზედაც ჯერ კიდევ მისი პაპის პაპა მჯდარა და მისი შვილთაშვილიც დაჯდებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ექვიც არ ეპარება, სწორად რომ იქცევა, ეს რომაა ერთადერთი გამოსავალი საკუთარი უმწეობი-

დან და საკუთარი სიბნელიდან. რწმენის გაქრობა ყველაზე ვერაგული და ყველაზე საზარელი სენის აღზევებას იწვევს. ამ სენს სულის ეროზიას დავარქმევდი, რამდენადაც, მიწისა არ იყოს, ადამიანის სულსაც ახასიათებს მიდრეკილება გამოფიტვისკენ, დაშლისკენ; ისიც კარგავს განაყოფიერებისა და შობის უნარს. ასე რომ, პირადად მე, კაცობრიობის ყველაზე დიდ საფრთხედ სულის ეროზიას ვთვლი, რომლის აშკარა სიმპტომებიც, სამწუხაროდ, უკვე შეიმჩნევა და დღითიდღე მეთოდურ ხასიათსაც იღებს. ოღონდ, ნუგეშის ნაცვლად, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს სენიც ადამიანივით ძველია და, მრავალი ძნელად მოსარევი სენივით, გარკვეული ღმობიერებაც ახასიათებს – წინ არ უსწრებს ადამიანს, ანუ, იქამდე იცდის, ვიდრე თავად ადამიანი შეუქმნიდეს შესაფერ პირობებსა და სამოქმედო ასპარეზს. როგორც ჩანს, ისევ ადამიანი გამოდის დამნაშავე და ისევ იმან უნდა აგოს პასუხიც, რაკი აქამდე ვერ შეიგნო, თუ რა მწარედ ისჯება მისი ნებისმიერი გულმავიწყობა, რანაირი უბედურება არ დაატყდება ხოლმე თავს, როგორც კი ივიწყებს ადამიანობას, ანუ თავის განსაკუთრებულ, ყველასაგან გამოსარჩევ და, რაც მთავარია, თავად ღმერთის ხელიდან მიღებულ ნიშან-თვისებებს. მართლაც, საკმარისია, ერთი წამით მოუხუჭოს ადამიანმა თვალი საკუთარი არსებობის აზრსა და დანიშნულებას, პანდორაც მაშინვე თავზე დააბერტყავს ათასნაირი სენითა და უბედურებით სავსე ყუთს. ის კი არა, თავის დროზე პროგრესული, თითქოს ჰუმანური იდეებიც, თვალსა და ხელს შუა, ისე დაუმახინჯდება ხოლმე, არათუ ამაზრზენი, სახიფათოც ხდება. განა სექსუალური თავისუფლება სქესის არჩევის თავისუფლებასაც გულისხმობდა თავიდან?! რასაკვირველია, არც ემანსიპაცია გულისხმობდა ქალის გამამაკაცებას, თუმცა მსგავსი სურვილი შეიძლება ყოველთვის არსებობდა ბუნებაში. ბოლოს და ბოლოს, არსებობდნენ ამორძალები, რომლებიც ძუძუსაც კი იჭრიდნენ, უკეთესად, უფრო კაცურად რომ მოეზიდათ მშვილდი. მაგრამ ისინიც კი ქალებად დარჩნენ ბოლომდე (მათმა ბელადმა თეზევსს შვილიც გაუჩინა), შეუნარჩუნეს მამაკაცებს თავიანთი ქალობა, ეს მართლაც ღვთაებრივი საჩუქარი, ურომლისოდაც, ადრე თუ გვიან, მაინც დაინგრევა ქვეყანა, თუნდაც ერთ გრამსაც არ აღემატებოდეს მთელი ატომური იარაღის მარაგი. სამწუხაროდ, ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს – მამაკაცთან გათანაბრების არაბუნებრივმა სურვილმა თუ ჟინმა ქალს მთავარი დააკარგვინა – თაყვანისმცემელი! ჩამოვიდა რა საკუთარი ნებით მხოლოდ და მხოლოდ მისი სიმშვენიერისთვის, მისი განუმეორებელი მადლისთვის მამაკაცთა თავდაუზოგავი შრომით აგებული კვარცხლბეკიდან, მაშინვე საზოგადოების სრულუფლებიან, მაგრამ რიგით წევრად იქცა, როცა, ჩემი ღრმა რწმენით, გაცილებით მეტის ღირსია იგი, თუნდაც, როგორც სიცოცხლის შემოქმედი. მთელი თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, შეიძლება ითქვას, გაჟღენთილია ქალისადმი გასაოცარი მოწიწებით, ქალის სიდიადის, ქალის სიძლიერის შეგრძნებით, ოღონდ იმ ქალისა, რომელსაც თავადაც შეგნებული აქვს თავისი განსაკუთრებული, ძნელად ჩამოსაყალიბებელი და ძნელად გამოსათქმელი მოვალეობა; უფრო სწორად, მხოლოდ იმასა აქვს შეგნებული, ნათლად და ბოლომდე, თანდაყოლილი, ქალური გუმანის წყალობით, რადგან ჩვენთვის, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის, ძნელია ამის სიტყვებით განსაზღვრა. განა ვიცით, რა ევალეობა მზის სხივს, ცისკრის ვარსკვლავს ანდა გაზაფხულის სიოს?! მაგრამ თავიანთი არსებობით ისინი ჩვენს ცხოვრებას სიმშვენიერეს მატებენ. ასეა (ასე იყო) ქალიც. განა სამზარეულოში მოფუსფუსე დიასახლისის შემხედვარეს შეიძლება დაეუფლოს განგაშისა და განსაცდელის შეგრძნება?! სამაგიეროდ, არ შეიძლება არ დაგვეუფლოს მსგავსი შეგრძნება, როცა იგივე დიასახლისი ქვას ამტვრევს ძალაყინით, ანდა რეზინის ჩექმებს დააჭყლაპუნებს ტუნგოსა თუ ჩაის პლანტაციაში.

ბევრი დღევანდელი მანკიერება საერთო, საკაცობრიო მოვლენაა და დარწმუნებული ვარ, ყველას ერთნაირად აღელვებს და აფრთხობს კიდევ, მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი მაინც

ქალის დაკარგვის საფრთხეა. ეს საფრთხე გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე, ვთქვათ, ატომური ყუმბარა შეიქმნებოდა, მაგრამ ნებისმიერ ყუმბარაზე მეტ დამანგრეველ ძალას შეიცავს. ეს საფრთხე თითქოს ყველაზე მშვიდ, თითქოს ყველაზე ადამიანურ, ყველაზე მოწესრიგებულ საუკუნეში აღმოცენდა, მაგრამ სწორედ სიმშვიდის, ადამიანურობისა და წესრიგის წინააღმდეგაა მიმართული, რამდენადაც სიცოცხლის მარადიულობას განსხვავებული სქესების ჯანსაღი, ბუნებრივი ურთიერთობა განაპირობებს და არა, დავუშვათ, ხორციელი აღვირახსნილობა; შეუღლების, ერთ არსებად გარდაქმნის იდუმალება და არა ჩვეულებრივ, თავშესაქცევ სანახაობად გადაქცევა ამ უწმინდესი, უდიადესი საიდუმლოსი; დაბოლოს, მარადიული, დაუოკებელი სწრაფვა განსხვავებული სქესისკენ და არა ამბოხი საკუთარი სქესის წინააღმდეგ. ბუნებას ვერაფრით გავაკვირვებთ – ამ დაუქანცავი შემოქმედისა და სწორუპოვარი გამომგონებლის ლაბორატორიაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ათასნაირი საოცრება და უცნაურობა შექმნილა, მაგრამ ბუნების ხუმრობები სხვაა და ამ ხუმრობების კანონზომიერებად, ჩვეულებრივ მოვლენად აღიარება – სხვა. ეტყობა, ბუნებისა არ იყოს, ცხოვრებაშიც მარადიული, მყარი მხოლოდ სიბნელეა, სინათლე კი მიდის და მოდის. ჩვენც სხვა რა გზა გვაქვს – უნდა დავუცადოთ სინათლეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, დროულად გამოფხიზლდება ადამიანი და დროულად მიიღებს ზომებს ნებისმიერ სენთან საბრძოლველად. რასაკვირველია, სხვა სენტა წინააღმდეგ ამხედრებულებს არც ომი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რადგან ომიც სხვებზე არანაკლებ სახიფათო სენია და ძნელად მოსაშორებელიც. ჯერ კიდევ ჰეროდოტეს არ ეგულებოდა ისეთი უგნური, რომელსაც ომი ერჩია მშვიდობას, მაგრამ ჰეროდოტეს შემდეგ ადამიანს უომრად ლამის ერთი დღეც არ უცხოვრია. ომი კი, უპირველეს ყოვლისა, ბუნების, ყოფის, არსებობის ჰარმონიის დარღვევაა. ომიანობის დროს მამები მარხავენ შვილებს, რაც დაუშვებელ უსამართლობად და ულოგიკობად მიაჩნდა იმავე ჰეროდოტეს, რომელიც ალბათ მიახლოებითაც ვერ განსაზღვრავდა იმ მასშტაბებს, თანამედროვე ომებმა რომ მიაღწიეს. და მაინც, ნებისმიერი საუბარი ამ საკითხზე დანაშაულად მიმაჩნია – ამ ურჩხულის ნებისმიერი ხსენებაც კი მის წისქვილზე ასხამს მხოლოდ წყალს. ვიცავთ თუ უარვყოფთ, ორივე შემთხვევაში საშუალებას ვაძლევთ იბატონოს ჩვენს ფსიქიკაზე, იყოს ჩვენს არსებაში, ვითომ თავისთვის გასუსული, როგორც ობობა ხვრელში, საიდანაც მოულოდნელი სისწრაფით გამოვარდება ხოლმე მისგან დიდი ხნის წინათ გაბმული და ყველა წინდაუხედავი, სულელი მწერისთვის ერთნაირად განკუთვნილი ქსელის შერხევაზე. ომის ყველაზე დიდი დანაშაული ისაა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნებას სპობს და ადამიანის მსგავს მხეცებს ამრავლებს, რომელთა ხელახლა გაადამიანებას (თუკი საერთოდ შესაძლებელია), გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კიდევ ერთი ახალი ომის მომზადებას. დანგრეული თეატრისა და ეკლესიის აღდგენა კიდევ შეიძლება, მაგრამ მათი დანგრევის შემყურე ადამიანის სულში უფრო მნიშვნელოვანი რამ ინგრევა და თანაც სამუდამოდ – ინგრევა გარანტია იმისა, ამ ქვეყანაზე რაღაცა მაინც რომ არსებობს ხელშეუხებელი, შეუბღალავი, წმინდა. და აი, მეც იძულებული ვარ, ერთხელ კიდევ მივუბრუნდე ტრადიციასა და რწმენას, რადგან თუკი შეუძლია, მხოლოდ მათი მეშვეობით შეუძლია ადამიანს დათმობილი პოზიციების დაბრუნება. ტრადიცია ერთადერთი სანდო ჯებირია, რომელსაც თანამედროვეობის ყველა ცუდი გავლენის შეკავება შეუძლია. ხოლო რწმენა ის ერთადერთი სარკმელია, რომლის მეშვეობითაც ჯერ კიდევ შეუძლიათ ჯურღმულის ბინადრებს ათასში ერთხელ მაინც ჩაისუნთქონ სუფთა ჰაერი და რამდენიც უნდათ, იმდენი იოცნებონ სინათლეზე, სივრცეზე, ცაზე... მთავარია, ყოველთვის იყოს ვიღაც, ვისაც საერთო სიბნელეში იმ სარკმლის პოვნა და გამოღება შეეძლება. ის «ვიღაცა» ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია – არსებობდეს და, აგიოგრაფიული წმინდანისვით, შეეძლოს კიდევ,

პირადი მაგალითით გაახსენოს დანარჩენ კაცობრიობას, თუ რა დიდი მადლია ადამიანობა და რა პატარა, რა უმნიშვნელო მოჩანს ყველაფერი მასთან შედარებით. კაცობრიობას ყოველთვის ჰყავდა, დღესაც ჰყავს და ხვალაც ეყოლება დაუძინებელი, დაუნდობელი და ძნელად მოსარევი მტრები. მაგრამ კაცობრიობა მართლა არ იქნება სიცოცხლის ღირსი, თუკი მტრის არსებობა თავგზას აუბნევს, ოჯახს მოაშლევინებს, მკვდარს დაავიწყებს, ქალს დაამცირებინებს, ბავშვს შეაძულებს, წიგნს გადააგდებინებს, ჭიქაში ჩაახრჩობს და, ნარკოტიკით გაბრუებულს, მიაგდებს არარაობის, გადაგვარების, გამოლენჩების ამაზრზენ მონძებზე.

ადრე ჩვენში მტრის სადღეგრძელოც ისმებოდა ნათესავთა და მეგობართა სადღეგრძელოს გვერდით, რადგან ქართველ კაცს მტრის არსებობა (მტერი კი ყოველთვის მრავლად ჰყავდა), უპირველეს ყოვლისა, ძალას ჰმატებდა და კვლავ საბრძოლველად აღაგზნებდა. მსგავსი წესი თუ ჩვეულება ყველა ხალხს ჰქონდა ალბათ და, თუნდაც ამიტომ, დღესაც ღირსეულად უნდა დაუპირისპირდეთ ყველანი ნებისმიერ საერთო საფრთხეს. რაკი განგებამ კოსმოსურ უსასრულობაში მაინცდამაინც ჩვენ გვანდო დღეს ადამიანის სახელისა და ღირსების ტარება, ჩვენც კეთილი ვინებოთ, შევიშნოვოთ ეს მართლაც უდიდესი პატივი და, რაც არ უნდა ძნელი იყოს, არ მოვიდრიკოთ მისი სიმძიმის ქვეშ. მე პროფესიით მწერალი ვარ და, ამდენად, ოპტიმისტიც. უფრო სწორად, არც კი წარმომიდგენია უადამიანოდ დარჩენილი სამყარო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამიტომ, მოდიოთ, დროულად შევუდგეთ (ვისაც როგორ შეგვიძლია), ადამიანის სულის ხელახლა განაშენიანებას, ხელახლა ჩავყაროთ სიკეთის, სიყვარულის, სათნოების ტყეები, რათა ხვალ და ზეგ სულის აღდგენილ ქანებს კვლავ დაუბრუნდეთ თესლის მიღებისა და აღმოცენების უნარი. ვიდრე ქალი მშობიარობს, სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ქალის წინაშე წყალბადის ბომბიც უძლურია. ასევე უძლურია ნებისმიერი მანკიერება. ოღონდ, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს არ ვცნობდე და არ ვაღიარებდე იმათ მომაკვდინებელ სიძლიერეს. მთელი ჩემი არსებით ვეწინააღმდეგები და ვგმობ ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს, სექსუალურ დაბნეულობას, მაგრამ მაინც არ მიმაჩნია იმის ღირსად, სიცოცხლეს დაუპირისპირო რომელიმე მათგანი. მაშინ არც სიცოცხლე ყოფილა ჩვენი დაცვის ღირსი. ისინი სახიფათონი მაშინ იქნებიან, როცა ადამიანისგან, ანუ, მოაზროვნე ლერწმისგან, მხოლოდ ლერწამილა დარჩება.

## მონოლოგი დიალოგიდან

(საერთო პასუხი ჟურნალ «მნათობის» ანკეტაზე)

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც, მეტნაკლებად, დაინტერესებულია ლიტერატურით, ისიც კარგად ესმის (უნდა ესმოდეს), თუ რატომ იქმნება საერთოდ ლიტერატურა, რა განაპირობებს არამარტო მის აუცილებლობას, არამედ მის მარადიულობასაც. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ზოგადად მწერლობისა და კერძოდ მწერლის დანიშნულება, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავებული არ იყოს არათუ სხვადასხვა ეპოქებისთვის, არამედ სხვადასხვა ლიტერატურული რეგიონებისთვისაც კი. ამით იმის თქმა მინდა, რომ თითქოს მარადიული, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული შეხედულებაც ემორჩილება დროისა და გარემოს ზემოქმედებას და, შესაბამისად, თვითონაც იცვლება. ამ, თითქოსდა, უბრალო მიზეზის გამო არაფრით არ შეიძლება, ერთნაირად ესმოდეს თავისი მწერლური დანიშნულება, ვთქვათ, ქართველსა და, ვთქვათ, ფრანგ მწერალს, რამდენადაც ფრანგ მწერალს აზრადაც არ მოუვა ალბათ, მშობლიური ენისა და საერთოდ თავისი მშობლიური ხალხის გადარჩენაზე იფიქროს დღეს (მხედველობაში არა მაქვს, რასაკვირველია, საერთაშორისო, მსოფლიო კატასტროფის შესაძლებლობა). ეს ეტაპი ფრანგულმა მწერლობამ დიდი ხნის წინ გაიარა, თუკი გაიარა საერთოდ, ხოლო ქართული მწერლობა, ასევე დიდი ხანია, ამ ეტაპზეა «გაჩერებული». ეს ამბავი, თავისთავად ცხადია, ქართული მწერლობის ნაკლად ან დანაშაულად არ ჩაითვლება (ამ ბოლო დროს, დამეთანხმებით, ქართული მწერლობა ხშირად გვევლინება ბრალდებულის როლში,) სამაგიეროდ, ამის გამო ქართულ მწერლობას, ნებისმიერ სხვა სერიოზულ მწერლობასთან შედარებით, გაცილებით მეტი სასიცოცხლო ძალების დახარჯვა უხდება, მწერლობა რომ ერქვას დღესაც, ანუ საკუთარი მეობაც დაიცვას და საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებშიც მიიღოს მონაწილეობა. მისი «წვლილი» მსოფლიო ლიტერატურაში შეიძლება მიახლოებითაც ვერ გამოხატავდეს მის «შესაძლებლობებს», მაგრამ საჭიროზე მეტია იმის დასადასტურებლად, დღესაც უაღრესად ცოცხალ, უაღრესად მგრძობიარე და უაღრესად ენერგიულ ორგანიზმს რომ წარმოადგენს.

და მაინც, როგორც არ უნდა ცვლიდეს, როგორც არ უნდა ართულებდეს ან ამარტივებდეს დრო და გარემო, მწერლის დანიშნულება, საბოლოო ჯამში, დღესაც ის არის, რაც გუშინ იყო და ხვალაც ის იქნება, რაც დღეს არის – თანაგრძნობა, დაიმედება, გამხნევება ცხოვრების ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანისა. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მწერლის დანიშნულებას რომელიმე ერთი მწერალი, ანდა თუნდაც რომელიმე ერთი ლიტერატურული თაობა ასრულებდეს. როგორც «დანიშნულებაა» მარადიული, ისევე მისი აღსრულების პროცესიც მარადიულია, განუწყვეტელი... სიზიფეს ლოდისა არ იყოს, ერთხელ და სამუდამოდ ვერავინ განთავისუფლდება მისგან და ის ლიტერატურაა მნიშვნელოვანი, რომელსაც ამ «ლოდის მთრეველი» არ დაეღევა, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რომელსაც თაობათა უწყვეტობა ახასიათებს, რომლის ნებისმიერი წარმომადგენელი თავის საკუთარ «სიზიფეს ლოდს» ეზიდება საკუთარი შესაძლებლობების მწვერვალისკენ. ლიტერატურის სიცოცხლისუნარიანობას არამარტო უკვე დაპყრობილ მწვერვალთა, არამედ (და ალბათ უფრო მეტადაც) ახალ მწვერვალთა დაპყრობის მოსურნეთა არსებობა განაპირობებს. უშთამო-

მავლოდ მწერლობაც ისევე ილუპება, როგორც ოჯახი. ასე რომ, თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურის პატრონები, ჩემი აზრით, იმითაც უნდა ვამაყობდეთ დღეს, ჯერ კიდევ რომ არ განდგომიან ჩვენს მწერლობას ამ ხელობის მიმდევარნი, ერთი წამითაც რომ არ დაეჭვებულან თავიანთი არჩევანის სისწორეში, თუმცა კი არავის გაუკვირდებოდა ალბათ მათი მერყეობა, მათი შინაგანი ბუნების გაორება და ხშირი ცვალებადობა, მით უფრო დღევანდელ, უაღრესად დამაბულ ვითარებაში, როცა მცირერიცხოვან ხალხთა ენები სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან და არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა (რასაკვირველია, მსოფლიო მასშტაბით), როცა ამა თუ იმ მწერალს უკვე დამოუკიდებლად, პირადი ინიციატივით, მდგომარეობისდა შესაბამისად, გამოაქვს სათანადო დასკვნები – ან ენას იცვლის, ან, თქვენ წარმოიდგინეთ, ორი ლიტერატურის მსახურობას კისრულობს ერთდროულად, ორენოვან მწერლად გვევლინება, რაც, თუკი საღად ვიმსჯელებთ, კურიოზია და მეტი არაფერი. რაც უნდა მახვილგონივრული თეორიული მოსაზრებებით გაამართლონ თავად ამ მწერლებმა თავიანთი არჩევანი (ენის შეცვლა, ანდა ორენოვნება), მათ არჩევანს მხოლოდ და მხოლოდ გარემოსთან შეგუების, ანდა, თუ გნებავთ, თავდაცვის ბიოლოგიური ინსტინქტი წარმართავს და, ამდენად, თავისთავად უკვე არასაკადრის საქციელად აღიქმება ისეთი ინტელექტუალური, უაღრესად გონიერი პიროვნებისგან, როგორც არის, ანდა როგორც უნდა იყოს მწერალი. მაგრამ საერთოდ არ ამოიღებდა კაცი ხმას ამ ამბავზე, მწერლის (განსაკუთრებით, ნიჭიერის) მიერ ენის შეცვლა, ანდა მეორე ენის მიმატება მხოლოდ და მხოლოდ ერთი პიროვნების გადარჩენის (თუნდაც, კეთილდღეობის) საქმეს რომ ემსახურებოდეს – ერთ მწერალს (გინდაც ნიჭიერს), მით უფრო მშობლიური ენის უარყოფელს, ასე თუ ისე, მაინც შეეღევა ხალხი, დროთა განმავლობაში დაივიწყებს კიდევ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ენისადმი მწერლის დამოკიდებულება საერთო სახალხო მასშტაბის აქტია და ამ დამოკიდებულების ნებისმიერ შეცვლას, ისევე როგორც პირველ, გამაფრთხილებელ სეისმურ ბიძგს, შეიძლება გრანდიოზული ხასიათის კატასტროფები მოჰყვეს ერის ცხოვრებაში. ენის შეცვლა ადამიანს (ესე იგი, ხალხსაც) ეროვნებასაც უცვლის და ერთი გენეტიკური ატმოსფეროდან მეორეში გადაჰყავს. ენის შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების კონსტრუქციის და, აქედან გამომდინარე, პიროვნების შეცვლას იწვევს. მსგავსი რამ, ჯერჯერობით, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული მწერლობისთვის უცხო და, მე ვიტყვოდი, მიუღებელი მოვლენაა, თუმცა, გულისტკივილით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენშიაც იყო გარკვეული ცდები მწერლის ახალი «სახეობის» დამკვიდრებისა. ჩემმა ნათქვამმა მკითხველი რომ არ დააბნოს, აქვე ვიტყვი, რასაც ვგულისხმობ. პირადად ჩემთვის (იმედი მაქვს, ყველასთვის) წარმოუდგენელია, ქართველი მწერალი ერქვას კაცს, რომელსაც ქართულად წერა არ შეუძლია, ანდა, კიდევ უარესი, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, უცხო ენაზე წერას ამჯობინებს. მწერლის «ეროვნულობის» დასადგენად ერთადერთი კრიტერიუმი არსებობს – რა ენაზე აზროვნებს ის და რა ენაზე წერს. ხოლო ენის შეცვლა, როგორც უკვე ვთქვით, გენეტიკური სტრუქტურის შეცვლას ნიშნავს: იწყებს რა სხვა ენაზე წერას, მწერალი თავის არსებაში იძულებით წყვეტს ბუნებრივ გენეტიკურ ხაზს და, უნდა თუ არა, სხვა გენეტიკურ სფეროს უკავშირდება ხელოვნურად. ასე რომ, მე თუ მკითხავთ, გაოცების მეტს არაფერს უნდა იწვევდეს ჩვენი კრიტიკოსებისა და ლიტერატორების მგზნებარება, როცა კიდევ ერთი რუსულენოვანი თუ კიდევ ერთი გერმანულენოვანი ქართველი მწერლის აღმოჩენას მოგვახარებენ ხოლმე პრესის ფურცლებიდან. ქართული მწერლობა მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანია და, დარწმუნებული ვარ, ასეთადაც დარჩება ყოველთვის (თუნდაც – ბოლომდის).

წედან ვთქვი, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცხოა ასეთი მოვლენები-მეთქი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, ჩვენთანაც რომ არ მოხდება როდისმე (თუკი ფხიზლად არ ვიქნებით), რაც სხვაგან

უკვე მოხდა, ანდა ახლა ხდება. ვერც იმით ვინუგეშებთ თავს, მოსახდენი მაინც რომ მოხდება, ანუ თავისთავად, უჩვენოდ გადარჩება, რაც ღმერთს შეუქმნია, ურომლისოდაც საერთოდ დაეკარგებოდა აზრი კაცობრიობის მრავალხმიან, მრავალფეროვან ცხოვრებას. ქართული ანდაზაა – წყალწადებული ხავსს ეჭიდებოდაო – და აქ არამარტო წყალწადებულის უიმედო მდგომარეობაა ხაზგასმული, არამედ უკანასკნელ წამამდე ბრძოლის, ცდის, შეურიგებლობის აუცილებლობაც. ვიდრე ხავსი არსებობს, ყველაფერი არ არის დაკარგული. მწერლის პროფესიაც ხავსის მოჭიდებაა მხოლოდ – თუ ორი კაცი მაინც ლაპარაკობს მის ენაზე, მწერალს უფლება არა აქვს ხელი გაუშვას ხავსს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის თვალნათელი, მე ვიტყვოდი, ამის კლასიკური მაგალითია დავით გურამიშვილის მთელი ცხოვრება და შემოქმედება. გურამიშვილის დროს ალბათ არავის გაუკვირდებოდა ენისა და რჯულის შეცვლა – ქვეყანა ისე იყო არეული, ძალდი პატრონს ვეღარ სცნობდა, მეფეს არ ედგომებოდა საკუთარ სამეფოში – მაგრამ მან, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილმა, სრულიად უცხო გარემოში, უთვისტომოდ, არათუ შეინარჩუნა ენა და რჯული (რასაკვირველია, მშობლიური ხალხისა და მშობლიური ლიტერატურის უკვდავების რწმენით), არამედ უაღრესად ეროვნულ პოეტადაც ჩამოყალიბდა. ამიტომ ნურც ჩვენ ავუბნევთ მწერლებს თავგზას. დაე, ყველამ იმ ლიტერატურის წიაღში სცადოს ბედი, რომელსაც განგებამ მიაკუთვნა და არა – რომელიმე თეორეტიკოსის ჟინმა თუ აჩემებამ. ან ცხოვრება (თუ გნებავთ ბედისწერა) აკეთებს ჩვენს მაგივრად არჩევანს, ანდა ჩვენ თვითონ ვირჩევთ, ისევ და ისევ ცხოვრებიდან გამომდინარე. მსგავსი შემთხვევა იმდენად ბევრია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი კია, ვინც ირჩევს, ერთხელ და სამუდამოდ ირჩევს, ან აქეთ დგება, ან – იქით, რადგან ერთდროულად დგომა აქეთაც და იქითაც არ შეიძლება. ეს არამარტო ლიტერატურისთვის არის მავნე, უკადრისი საქციელი, არამედ საერთოდ მწერლური და, თუ გნებავთ, საერთოდ ადამიანური ზნეობისთვისაც.

ასე რომ, სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუკი, როგორც თქვენ «გეჩვენებათ», ხალხი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მწერლობა კი – თავისით. მე თუ მკითხავთ, ეს მაინცდამაინც შემაშფოთებელი «მოჩვენება» არ უნდა იყოს. ეჭვი არ მეპარება, ყველა ეპოქაში ეჩვენებოდათ მსგავსი რამ ლიტერატურის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს, რადგან ცხოვრება და ლიტერატურა ძალიან ზედაპირულად ჰგავს ერთმანეთს და, როგორც კი ღრმად ჩავუკვირდებით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი განსხვავება გვეცემა თვალში. ხალხს ისევე არ შეუძლია ლიტერატურული გმირით ცხოვრება, როგორც ლიტერატურულ გმირს – ხალხით, თუნდაც იმიტომ, ხალხი ყოველდღიური ცხოვრებით რომ ცხოვრობს, ლიტერატურული გმირი კი – მარადიულით. რაც შეეხება ლიტერატურის შემოქმედებას ხალხზე, ეს პროცესი გაცილებით რთულია და ძნელად შესამჩნევი. შემოქმედება ერთბაშად და დროის გარკვეულ მონაკვეთში კი არ ხდება, არამედ განუწყვეტლივ, დღიდან ამ ლიტერატურის წარმოშობისა, და ამის შედეგად ყოველ საუკუნეში ერთი კაცით მაინც თუ იზრდება ნამდვილ მკითხველთა რიცხვი, ეს უკვე დიდი დამსახურებაა ლიტერატურისა. მაგრამ რაკი «მოჩვენებებზე» ჩამოვარდა ლაპარაკი, მეც გაგიმხელთ ჩემსას, რომელიც, თუ არ მიწყენთ, თქვენს «მოჩვენებაზე» შემაშფოთებლად და, აქედან გამომდინარე, სერიოზულადაც მიმაჩნია. მეჩვენება, რომ ამ ბოლო დროს ძალიან აგდებულად, მე ვიტყვოდი, უგუნურთა უტიფრობით ექცევიან ქართულ ლიტერატურას. ამ ბოლო დროს იმდენი არამწერლური, არალიტერატურული წერილი, ინტერვიუ თუ ჯგუფური განცხადება გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში ერთმანეთის მიყოლებით, კაცმა შეიძლება იფიქრო, ეს ყველაფერი წინასწარ ორგანიზებული კამპანია ხომ არ არისო.

ზემოთ ნახსენები პუბლიკაციები, მართალია, უაღრესად ცხოვრებისეულ მისწრაფებებს გამოხატავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე უაღრესად არამწერლურ მიზნებს ისახავენ. რასაკვირველია, ყველა ლიტერატურას აქვს თავისი ნაკლი და, ვინაიდან ადამიანია, ნებისმიერი მწერალიც შეიძლება აღმოჩნდეს ცუდი პიროვნება, მაგრამ როცა ლიტერატურის ამა თუ იმ ნაკლს, ანდა, ამა თუ იმ მწერალს ვამხელთ, ერთი წამითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, ობივატილისთვის არავითარი მნიშვნელობა რომ არა აქვს ჩვენს «პრინციპულობას», მას ყველაფრის განზოგადება ახასიათებს და ყველაფერში «გულის მოსაფხანს» დაემებს – უმაღლესი იტყვის, «აჰა, ეგეც თქვენი ქართული მწერლობაო», ვიდრე კრიტიკისგან შერისხულ რომელიმე ავტორს წაიკითხავდეს, აბა, ერთი ვნახოთ, სამართლიანად ასწორებენ მიწასთან თუ არაო. ამიტომ ჩვენც მეტი პასუხისმგებლობა და, სხვათა შორის, მეტი გულისხმიერებაც გვმართებს, როგორც საერთოდ მწერლობაზე, ისევე კონკრეტულ მწერალზე ლაპარაკისას. უპირველეს ყოვლისა კი, მაშინვე უნდა დავაზუსტოთ, მართლა მწერალია – წერილის ავტორად გვევლინება ის თუ წერილის ადრესატად – თუ მწერლად «გადაცმული» ავანტიურისტი, რამდენადაც მწერლის «მხილება», აბუჩად აგდება თუ გაბიაბრუება უძველესი, მრავალგზის წარმატებით ნაცადი ხერხია და ალბათ მომავალშიც ბევრჯერ გამოიყენებენ მას, ძირითადად, შედარებით ილბლიანთა მიმართ, მწერლობაში თავად ხელმოცარულნი და, ამიტომაც, შურისძიების ჟინით შეპყრობილი მედლეურები, რომლებიც, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მაინც მწერლობის ქომაგთა, გამგებთა და მესვეურთა ნიღაბს არიან ამოფარებულნი. მამების გამტყუნება გვიყვარს, მათი მეთოდებით კი ვცხოვრობთ. გულმავიწყობაც ადამიანური თვისებაა. მაგრამ სავალალო და სამწუხარო ისაა, მწერლობისა და მწერალთა «მხილება» გარკვეულ წრეებში დღესაც ერთგვარ გამბედაობად, მართლის მთქმელობად და, თქვენ წარმოიდგინეთ, «მამულიშვილობადაც» ითვლება. თუმცა, ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ ამაზე, რომელი ჭეშმარიტი მამულიშვილი დააკნინებს სხვათა თვალში საკუთარ მწერლობას, რაც არ უნდა სუსტი იყოს იგი. ნამდვილი მამულიშვილი პირიქით იქცევა: იცის რა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლიური დამწერლობისა და მშობლიური ლიტერატურის არსებობას ერის თვითმყოფადობის, ეროვნული სიამაყის შესანარჩუნებლად, კი არ ტუქსავს, კი არ დასცინის ამ დამწერლობასა და ამ ლიტერატურის მსახურებს, არამედ აქეზებს, ამხნევეს და, რაც მთავარია, იმედს უნერგავს, იმის რწმენას უღვივებს, უკეთილშობილეს, უაღრესად საჭირო საქმეს რომ ემსახურებიან ისინი.

წელან უკვე ვთქვი და, თქვენი ნებართვით, ერთხელაც გავიმეორებ, რომ ამა თუ იმ ლიტერატურის სიდიადეს მისივე მწვერვალების სიმრავლე კი არ განაპირობებს მხოლოდ, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ყოველდღიურობაც – ანუ – მისი მსახურების ყოველდღიური, ხელედაკაპიწებული შრომა, მიუხედავად ყველაფრისა, შრომა იმ რწმენითა და იმედით – რუსთველობას თუ ვერ შეძლებ, რუსთველის ფენომენს მაინც შეუნარჩუნებ საიმედო (საკუთარი ოფლითა და სისხლით ჩადულაბებულ) საფუძველს. ასე რომ, არამართო «თანამედროვე», ანუ მიმდინარე, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურაა თანამედროვე, დასაბამიდან დღემდე, რამდენადაც, ქართული ლიტერატურის ჩანასახშივე წამოჭრილ პრობლემათა უმრავლესობა დღესაც გადასაჭრელია. ნამდვილი ლიტერატურა ყოველთვის თანამედროვეა. ღმერთმა დაიფაროს, ასე არ იყოს. ეს იგივე სიკვდილი იქნებოდა ლიტერატურისა. თუმცა, იმასაც გააჩნია, რას ვგულისხმობთ თანამედროვეობაში, ჩვენი თვალსაზრისით, რა განაპირობებს ლიტერატურის თანამედროვეობას. პირადად მე ლიტერატურის გასათანამედროვეებლად სრულებითაც არ მიმაჩნია საჭიროდ ჟურნალისტური ჩარევა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლიტერატურა თანამედროვეა არა ყოფის სურათების დეტალური აღწერით, არამედ ყოფის ერთი სურათიდან მეორეში გარდამავალი ვნებებისა და განწყობების მარადიულობით.



ასევე არა მგონია, რამე საერთო ჰქონდეს ამ საკითხთან ქართველი მკითხველის ერთგვარ «გაცივებას». მე მგონი ეს ხელახლა აღმოჩენილი და, ამდენად, ჩვეულებრივი მოვლენაა, ვიდრე – ახალი, ჩვენი დაკნინების დამადასტურებელი კიდევ ერთი უბედურება. ჩვენი ლიტერატურის მესვეურები ყოველთვის უჩიოდნენ მკითხველის ამგვარ «სიცივეს», მაგრამ აქვე უნდა შევთანხმდეთ იმაშიც, რომ ნამდვილი მკითხველი ისეთივე იშვიათობაა, როგორც ნამდვილი მწერალი. ჩემი აზრით, ჩვენი ლიტერატურის მესვეურებსაც ყოველთვის ის მკითხველი ჰყავდათ მხედველობაში, რომელსაც საკუთარი უწიგნურობისა და უკულტურობის გამო თვალი სულ უცხოსკენ გაურბის, ყველაფერი უცხოური მოსწონს, ენაც კი, თუნდაც იმიტომ, უცხოურს შემოწმება რომ აღარ სჭირდება, რაკი უცხოურია, კარგიცაა, შენი კი, მით უფრო შენი თანამედროვე, ჯერ საფუძვლიანად არცაა შეფასებული და, ღმერთმა იცის, შეფასდება თუ არა როდისმე. ეს მარტო ქართველი მკითხველის ნაკლად ვერ ჩაითვლება, ეს ზოგადსაკაცობრიო თვისებაა, ძნელად მოსარევი, რამდენადაც ჩვენივე ყოვლისმომცველი და მარად ამოუწურავი ცნობისმოყვარეობიდანაა ამოზრდილი. ამ სენითაა შეპყრობილი მსოფლიო მკითხველი და მართლაც, განა ცოტა შემთხვევა ვიცით, როცა სამშობლოში შეუმჩნეველად დარჩენილი მწერლები სამშობლოს გარეთ აღმოუჩენიათ?! აქვე, ნამდვილი მკითხველის დასაცავად, იმასაც ვიტყვი, რომ მე რატომღაც პირიქით «მეჩვენება» – ამ ბოლო დროს, მე მგონი, იმატა ჩვენში ნამდვილი მკითხველის რიცხვმა და, მიუხედავად მრავალგვარი, მრავალმხრივი ჯებირებისა, მაინც გაიზარდა ინტერესი სწორედ მშობლიური ლიტერატურის მიმართ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს მკითხველი (გინდაც, ნამდვილი) რაიმე მონაწილეობას იღებდეს შემოქმედებით პროცესში. უკეთეს შემთხვევაში ის ამ პროცესს ასრულებს. მისი გამოჩენა იმის დამადასტურებელია, მწერალმა თავისი გასაკეთებელი უკვე რომ გააკეთა და გაკეთებულს, ავია თუ კარგი, ვეღარც მიამატებს რამეს, ვეღარც მოაკლებს, მკითხველმა ისეთი უნდა მიიღოს ის (ან არ მიიღოს), როგორც არის. მწერალი კი უკვე ახალ ნაწარმოებზე ფიქრობს, თუკი საამისო ძალა კიდევ შესწევს და საამისო სურვილიცა აქვს, თუკი არ ირწმუნა, უკვე რომ დაწერა, რაც უნდა დაეწერა, უკვე რომ შექმნა საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამომხატველი ნაწარმოები, «რომელსაც ვეღარ დაძლევს, ვეღარ აჯობებს შემოქმედებითი თვალსაზრისით». როგორც კი ამას იწამებს მწერალი, მისი საქმე წასულია, ვეღარაფერს შექმნის ფასეულს, როგორც არ უნდა აინტერესებდეს მკითხველს მისი შემოქმედება. ზემოთ ვთქვი, მკითხველი შემოქმედებით პროცესს ასრულებს-მეთქი. ახლა კი დავამატებ, რომ მხოლოდ მისი აქტიური ჩარევის შედეგად იწყება სულ სხვა პროცესი: წიგნის დამოუკიდებელი ცხოვრება, მისი მიწიერი სიცოცხლე და, შეიძლება, მისი უკვდავებაც. რაც უფრო ერუდირებული და ალღოიანია მკითხველი, მით უფრო მალე აღმოაჩენს ხოლმე ახალ წიგნს, თუკი, რასაკვირველია, საერთოდ ღირსია სიცოცხლისა ის წიგნი. პირადად მე ჩვენი მკითხველის ღრმად ერუდირებულობისა და შეუმცდარი ალღოიანობის საუკეთესო დადასტურებად მიმაჩნია ნანა შენგელაიას «მცირე განმარტება» ლეო ქიაჩელის «გვადი ბიგვას» არასწორი წაკითხვის თაობაზე; ეს მართლაც მცირე განმარტება, უპირველეს ყოვლისა, იმის მაუწყებელია, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ რომ მიმდინარეობს ჩვენში ლიტერატურული ცხოვრება და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს «მცირე განმარტებაც» კმარა იმის ნიმუშად, თუ როგორ გვესმის დღეს მწერლობა და როგორ ვკითხულობთ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებს. სხვათა შორის, ნანა შენგელაიას მოსაზრებები მოგვიანებით პროფესიონალმა ლიტერატორებმაც გაიმეორეს, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, მთავარია, მთლად ხელიდან წასული რომ არ ყოფილა ჩვენი საქმე და ჯერ არამარტო წიგნის დაწერა, არამედ, რაც კიდევ უფრო მეტია, წიგნის წაკითხვაც შეგვძლება. შეიძლება ეს რომელიმე თეორეტიკოსის «თვალსაზრისს» არ ამართლებდეს (სხვათა შორის, ყველაზე დიდი გულცივობა ქართველმა თეორეტი-

კოსებმა გამოიჩინეს ეგრეთწოდებული «ქართული პროზის ფენომენის» მიმართ, რომელიც, გვინდოდა თუ არა, არაქართველმა ლიტერატორებმა «მოგვახვიეს» თავს), მაგრამ არც ჩემი დაკვირვება უნდა იყოს მთლად უსაფუძვლო. თუმცა მწერლის დაკვირვებას თეორეტიკოსებისთვის დიდი ღირებულება არა აქვს: ჩვენ ხომ გულით ვზომავთ და არა გონებით?! მაგრამ, ასეა თუ ისე, ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მე მხოლოდ ოპტიმისტურად ვუყურებ ჩვენი ლიტერატურის მომავალს, თუკი, რასაკვირველია, საამისოდ აუცილებელი ყველა პირობაც შეგვიწყობს ხელს. ვგულისხმობ, როგორც კერძოდ საქართველოს, ისევე საერთოდ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ხვალინდელ დღეს, თორემ, მარტო იმის იმედზე ყოფნა, რომ «სამყაროს სილამაზე იხსნის», ჩვენს დროში, სხვა რომ არ ვთქვათ, გულუბრყვილობა იქნება და მეტი არაფერი.

მართალია, მე თვითონვე ვთქვი, ჩემი თეორიული მოსაზრებები დიდად არ ფასობს-მეთქი, მაგრამ სრულებითაც არ არის აუცილებელი, სიტყვაზე დამიჯეროთ. მწერალი ისეთი უცნაური არსებაა, შეიძლება მოულოდნელად წამოსცდეს ის, რასაც ლიტერატურის მკვლევრები მთელი სიცოცხლე უშედეგოდ დაეძებენ. ამიტომ გაგკადნიერდები და ჩვენი მწერლობის დასაცავად კიდევ ერთ მოსაზრებას გამოვთქვამ: ლიტერატურა კულტურის საფუძველია, კულტურის საყრდენია და, თუნდაც ამიტომ, არაფრით არ შეიძლება წარმატებას მიაღწიოს, ანუ გარკვეულ მსოფლიო სტანდარტამდე ამაღლდეს, დავუშვათ, თეატრალური ცხოვრება და, რაც კიდევ უფრო ანგარიშგასაწევია ამჟამად ჩვენთვის, თარგმანის კულტურა იმ ქვეყანაში, რომელსაც მძლავრი ლიტერატურული ტრადიციები არ გააჩნია. ქართულმა თეატრმა მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა რომ შეძლო, ამაზე ალბათ იოლად შევთანხმდებით (თუმცა, ყველა სიხარულით როდი აღიარებს ამ ფაქტს). ასევე არანაკლები მნიშვნელობის (რასაკვირველია, ლოკალური, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენი მწერლობის მასშტაბით) ფაქტად მიმაჩნია, დავუშვათ, «ულისეს» თუნდაც ასეთი დაგვიანებული დაბადება ქართული მწერლობის წიაღში (თარგმნილი ლიტერატურა ხომ მშობლიური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია); ანდა შექსპირის თხზულებათა სრული გამოცემა ქართულ ენაზე, რაც მსოფლიო მასშტაბითაც იშვიათი შემთხვევაა. როგორც მოგეხსენებათ, ყველა წიგნი თავისებურად რთული და ძნელად სათარგმნია. «ულისეს» თარგმნა კი საერთოდ წარმოუდგენელია ისეთ ენაზე, რომელსაც ღრმა ლიტერატურული ტრადიციები არ გააჩნია და რომელზედაც დღესაც არ იქმნება ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებები. განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მდგომ ხალხს მოსალოდნელია ჰქონდეს საკუთარი ფოლკლორი, ანუ თხზავდეს ლექსებს, ლეგენდებს, ზღაპრებს... და ცეკვა-სიმღერით მოგვითხრობდეს თავის თავგადასავალს, გვიხატავდეს თავის ყოფას – მაგრამ პროფესიული თეატრიცა და თარგმნილი ლიტერატურაც მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი კულტურის გამოხატულებაა. მხედველობაში მაქვს უშეღავათო, უკომპრომისო დამოკიდებულება როგორც მეორე ადამიანის გარეგან სახესთან, ანუ ხატთან, ისევე მის შინაგან ბუნებასთან, ანუ სიტყვასთან. «უშეღავათო და უკომპრომისო»-მეთქი, რამდენადაც, ხელოვნების ეს დარგებიც იძლევიან «სულის მოთქმის», «უკან დახევის» საშუალებას – სათარგმნი ნაწარმოების თავისუფალი გადამღერება, რასაკვირველია, გაცილებით იოლია, ვიდრე მისი ზუსტად (თუნდაც, მაქსიმალური სიზუსტით) გადმოტანა მეორე ენის სტიქიაში. პირველ შემთხვევაში მთარგმნელს შეუძლია თავისუფლების სახელით გაამართლოს ნებისმიერი მარცხი; მეორე შემთხვევაში კი მთარგმნელი ორიგინალის მონაა და ეს ნებაყოფლობითი მონობა აძლევს მხოლოდ სტიმულს, გაუტოლდეს ორიგინალის სიმაღლეს.

რაც შეეხება თქვენს მომდევნო შეკითხვას, «ველი თუ არა უახლოეს წლებში ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში სასწაულს» და ასე შემდეგ, თქვენი ნებართვით, პასუხისგან თავს შევიკავებ, რამდენადაც ასეთი «მკითხაობა» მწერლის საქმე არ არის. შემოქმედებით

პროცესს იმდენი წვრილმანი პრობლემა, ბუნდოვანი საკითხი, რებუსი, ქარაგმა თუ ვარაუდი ახლავს თან, უბრალოდ, ერთი წამით მაინც რომ მიაქციოს მწერალმა ყურადღება, თანაც სერიოზულად, თავფეხიანად გაიხლართება შიგ. ეს კი ნამდვილად არ ეკადრება, უფრო სწორად, რაღა დაბნევა უნდა, როცა ისედაც დაბნეულია, ისედაც ალაღბედზე დაეძებს იმას, რისი სახელიც წესიერად თვითონაც არ იცის ჯერ და, ვიდრე იპოვიდეს, დაახლოებითაც ვერ წარმოიდგენს, როგორ გამოიყურება მიზეზი და მიზანი მისი უგზო-უკვლო ხეტიალისა არსაიდან არსაით მიმავალ გზაზე...

შეიძლება ვინმეს ეხამუშოს, არ მოეწონოს შემოქმედებითი პროცესისა და ამ პროცესის ერთადერთი მონაწილის ასე არასახარბიელოდ წარმოდგენა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, ფაქტი ჯიუტია – მწერლის ნიჭსა და უნარს მისი საქმიანობისთვის უაღრესად, სისხლხორცეულად საჭირო მადნის ადგილსამყოფლის ცოდნა კი არ წარმართავს, არამედ ურყევი, ლამის ჭეშმარიტებასთან გათანაბრებული რწმენა იმისა, აუცილებლად რომ უნდა არსებობდეს ბუნებაში მსგავსი მადანი. ამდენად, როგორც ნებისმიერი ძიება, მწერლური ძიებაც ალღოსმიერია. მწერლური წარმატება-წარუმატებლობა, ძირითადად, ეგრეთ წოდებულ «იღბლიანობასთანაა» დაკავშირებული. რაც უფრო იღბლიანია მწერალი, მით უფრო უკეთ ეძებს და მით უფრო მეტსაც პოულობს. ყოველ შემთხვევაში ეს განუწყვეტელი ძებნა და პოვნაა მისი დანიშნულება და არა ლიტერატურის თეორიის საიდუმლოთა, თუნდაც, უაღრესად საინტერესოთა, ამოცნობა-ამოხსნა. დავუშვათ, სპორტში კიდევ შეიძლება მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება, დასაშვებია, თამაშის დაწყებამდე, უფრო ზუსტად კი, თამაშის მსვლელობისას მოვთხოვოთ მაყურებელს, ანდა თავად სპორტსმენს, საუკეთესო მოთამაშის დასახელება, რომელიც მიმდინარე თამაშის ბედს აუცილებლად მისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყვეტს. თუმცა, ნებისმიერი სპორტული თამაშის ბედიც შემთხვევითობასა და მოულოდნელობაზეა დამოკიდებული – თავისუფლად შეიძლება, სახელგანთქმულ მოთამაშეს იქამდე ყველასთვის უცნობმა მოთამაშემ აჯობოს. მაგრამ, სპორტისგან განსხვავებით, ლიტერატურაში «სასწაულები» არ ხდება. აქ ნებისმიერი «მოულოდნელობა» უფრო კანონზომიერია და ხანგრძლივი, ერთობლივი მეცადინეობის ნაყოფს წარმოადგენს. არადა, ლიტერატურული ცხოვრება, შინაგანი წესებითა და კანონებით, ალბათ დიდად არც განსხვავდება სპორტული ცხოვრებისგან. აქაც ხდება «მოთამაშეთა» გადარჩევა, დახარისხება, დაჯგუფება, გამოცალკევება... აქაური ატმოსფეროც პროგნოზებითა და ვარაუდებითაა დამუხტული.

ლიტერატურაზე და საერთოდ ხელოვნებაზე ფიქრი, მსჯელობა და კამათი – ერთ-ერთი უძლიერესი სულიერი მოთხოვნილებაა გათვითცნობიერებული ადამიანისა. ასე იყო დასაბამიდან, ასე იქნება ყოველთვის. მაგრამ ყველა ახალ თაობას თავისი სინჯი და საზომი მოაქვს და ცდილობს თავისებურად, ახლებურად, თანამედროვეობის პოზიციიდან ახსნას, განმარტოს, შეაფასოს ხელოვნების ესა თუ ის დარგი. თავისთავად ცხადია, ლიტერატურული ცხოვრება, გარკვეული თვალსაზრისით, ხელს უწყობს ლიტერატურის შემდგომ განვითარებას, მაგრამ აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავად «ცხოვრების» დონეს. ამიტომ დასავლეთის მიბაძვა, ანუ დასავლეთის მეთოდებით კვლევა-ძიება ჩვენს ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებისა ალბათ არ გამოგვადგება, არ გამოგვადგება თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ლიტერატურული ცხოვრება შედარებით დაბალ დონეზე რომ დგას ჩვენში. ლიტერატურული ცხოვრების დონის დაცემა ინტელიგენციის შინაგანი გათიშვის შემდეგ გახდა მხოლოდ შესაძლებელი. ინტელიგენცია, რომელიც თავისი არსითა და მოწოდებით ქვეყნის მოაზროვნე ნაწილის გაერთიანებას გულისხმობს, ვიწრო პროფესიონალურ სფეროებად დაიშალა და, რაც კიდევ უარესია, თითოეულმა სფერომ თავისი დანიშნულებაც პროფესიისდა შესაბამისად დააკონკრეტა. «სხვათა» სატკივარი არათუ არ ესმით, გაგონებაც არ უნდათ. რა-

საკვირველია, ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, ნებისმიერ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ხალხი მაშინვე მწერლობას რომ მოიკითხავს ხოლმე, მწერლები სად არიანო, მაგრამ განა ნაკლებად ეხება იგივე საკითხი, დაუშვავთ, მხატვარს, მუსიკოსს, ეკონომისტს, იურისტსა თუ ქიმიკოსს?! განა პროფესია ინტელიგენტს ათავისუფლებს მისი უპირველესი მოვალეობისგან – იყოს საკუთარი ხალხის ვნებათა და მისწრაფებათა გონიერი წარმმართველი?! მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამჟამად ინტელიგენტის ახალი სახეობაა გავრცელებული (დიახაც რომ გავრცელებული, რადგან თუკი მართლა წარმოადგენს ის ანგარიშგასაწევ ძალას, მხოლოდ თავისი სიმრავლით), რომელსაც, რასაკვირველია, არ შეუძლია აქტიურად ჩაებას ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში, რადგან ძირითადად საკუთარი კეთილდღეობის მოწყობითა და საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებითაა დაკავებული. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით «ლიტერატურული ცხოვრება», რამდენადაც ჯერ არც უნარი შეგვწევს სიმართლის თქმისა, არ გაგვაჩნია ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შესაფასებლად საჭირო გემოვნება, გვიჭირს პირადულზე მაღლა დავაყენოთ საზოგადო, არ ვფლობთ ზუსტ, მკაცრ, ურყევ კრიტერიუმებს, რის გამოც ადვილად ახერხებს აღზევებას შემთხვევითი, თავისი არსითა და ბუნებით, ანტილიტერატურული მოვლენა, რაც, თავის მხრივ, საუკეთესო პირობებს უქმნის კარიერიზმს, ამ უმძლავრეს და, ჯერჯერობით, ლამის ერთადერთ სტიმულატორს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა. ასე კი იმიტომ ხდება, რეალურსა და არსებულს ლეგენდა რომ გვიჩვენია, ცაში გაბაწრულ წეროებს ვეპოტინებით, იდუმალისა და რომანტიკულის ბურუსში ვახვევთ ჩვეულებრივ ბანალობასაც კი (რასაკვირველია, ისევ და ისევ ჩვენი უკულტურობისა და პროვინციულობის გამო), საერთოდ რომ არ შევამჩნიოთ ჩვენი მწერლობის მარადიული ქვრივ-ობლობით გამოზრდილი ერთი-ორი, თუნდაც, შეუხედავი, უფერხორცო წიწილა. წვდომის, ამოხსნისა და სწავლის ჟინი, რაც ოდესღაც ნამდვილად გვახასიათებდა, ჩვენდა შეუმჩნეველად, დროთა განმავლობაში, წრეგადასულმა განურჩევლობამ და ყოვლად გაუმართლებელმა გულგრილობამ შეგვიცვალა. იმდენი ვიძახეთ – არცოდნა არცოდგაო – უვიცობა ლამის პატიოსნების კრიტერიუმად გვექცა. არადა, უვიცობამ შეიძლება ისეთი ცოდვაც ჩაგვადენინოს, ღმერთმა კი არა, ეშმაკმაც ვეღარ მიგვიტევოს.

«ცისფერყანწელები», სხვათა შორის, იმიტომაც იმსახურებენ ჩვენგან პატივისცემას, არარსებული ლიტერატურული ცხოვრება რომ გაითამაშეს არარსებული თეატრის სცენაზე. სინამდვილეში, ლიტერატურული ცხოვრების ილუზია შექმნეს მხოლოდ და ეს იმდენად ეფექტური (რასაკვირველია, მათი ნიჭიერების წყალობით) და იმდენად მოულოდნელი (რასაკვირველია, ჩვენი მოუმზადებლობის გამო) აღმოჩნდა, აქამდე «ვცხოვრობთ» იმ ცხოვრების ინერციით. დასავლეთში კი ლიტერატურული ცხოვრების დონე მაღალია. ყოველ ათწლეულში შეიძლება არც იქ იზადებიან ახალი სერვანტესები და პრუსტები, მაგრამ სერვანტესისა და პრუსტის შემფასებელთა «თვალთახედვის არე» განუწყვეტლივ იზრდება მათდამი უდიდესი, უანგარო სიყვარულისა და პატივისცემის გამოც. დასავლეთის ლიტერატორები ხანდახან განგებაც ტეხენ ხოლმე განგაშს და ასე იმიტომ იქცევიან, უკეთ მომზადებულნი რომ დახვდნენ ლიტერატურის მოსალოდნელ «კრიზისებსა» და «სიკვდილებს», თორემ, არა მგონია, ჩვენზე ნაკლებად იცოდნენ, ხელოვნების, განსაკუთრებით კი პოეზიის სიკვდილი წარმოდგენელი რომაა, ვიდრე ადამიანი იარსებებს ამ ქვეყანაზე. პოეზია დედამიწასავით ბებერია, მაგრამ იმავე დედამიწასავით მარადიული განახლების და გაახალგაზრდავების უნარიც გააჩნია. ადამიანი შეიძლება ყოველთვის ერთნაირი გულისხმიერებით არ ეკიდებოდეს ხელოვნების ამა თუ იმ დარგს, მაგრამ ეს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის სიკვდილზე კი არ მეტყველებს, არამედ ერთხელ კიდევ წარმოაჩენს ადამიანის ბუნების ევოლუციურობას. წარ-

მოაჩენს მის სულიერ მდგომარეობას მისივე მარადიული გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე და, ამდენად, მისი გაუცხოვებაც, ვთქვათ, პოეზიისადმი, ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დღე-ღამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა გზისა და დროის ამა თუ იმ მონაკვეთზე, მიუღწევლისკენ ლტოლვა და იდუმალის ამოხსნის ჟინი მაინც მის გამოსარჩევ თვისებად დარჩება, რაც თავისთავად იმის გარანტიაცაა, ყოველ წამს რომ შეუძლია სინათლისკენ შემობრუნება, ყოველ წამს რომ შეუძლია ამაღლება ოდესღაც, უკეთეს დროს, მისივე ხელით შექმნილ შედეგრამდე. საამისოდ კი, პირველ რიგში, ცოდნაა საჭირო. ცოდნა ყველასთვის კარგია, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, მაინც სხვებზე მეტის ცოდნა გვმართებს. იმიტომ კი არა, სხვათა ჯობნის, სხვებთან თავის მოწონების ჟინით რომ ვართ შეპყრობილნი (როგორც შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს), არამედ ჩვენი ყოფნა-არყოფნის ელემენტარულ საკითხებში რომ გავერკვეთ დროულად.

როგორც უკვე ვთქვით, ქართველი მწერლის დანიშნულება ცოტა განსხვავებულია და სავსებით ბუნებრივია ეს ამბავი – ქართველ მწერალს ყოველთვის მზად უნდა ჰქონდეს პასუხი ნებისმიერ ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ისტორიულ, გეოგრაფიულ თუ კულტურულ კონფლიქტთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავე დროს, რკინისებური მოთმინებით უნდა იკავებდეს თავს «წვრილმანი კინკლაობისგან» და მხოლოდ და მხოლოდ იმ გადამწყვეტ მომენტს ელოდებოდეს, როცა არჩარევა უკვე დანაშაულია. პასუხის გაცემას, ემოციაზე მეტად, გონიერება და, თავისთავად ცხადია, ცოდნა სჭირდება. მწერლის «პასუხი» კი იგივე მისი ნაწარმოებია, ანუ მშობლიური ხალხის სულიერი პოტენციის კიდევ ერთი თვალნათელი მაგალითი. ამიტომ ჩვენი ნებისმიერი ნაწარმოები კვლავინდებურად უნდა გამოირჩეოდეს თავისი ადამიანურობით, კაცთმოყვარეობით, კეთილშობილური პოზიციით, სინათლით, გაგებისა და მიტევების რწმენით; საპირისპირო შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია, ყველა ჩვენი ისტორიული უბედურება ისევ ჩვენს პირადულ თვისებებს მიაწერონ და დანაშაულად ჩაგვითვალონ, რისი მაგალითებიც, სამწუხაროდ, ბევრია და უმაღლესი მოიმატებს, ვიდრე მოიკლებს მომავალში, რამდენადაც ჩვენი მაგინებლების უადრესად არაეთიკური საქციელი ზოგჯერ მათივე დაბნეულობითაა განპირობებული, ვიდრე ჩვენდამი მტრული დამოკიდებულებით. მართლაც, რა მტრობა უნდა ამოქმედებდეს, მაგალითად, ამერიკელ გამომცემელს, რომელიც, დავუშვათ, ჯვარსა და სვეტიცხოველს, ქართული სულის სიმბოლოებს, სომხურ კულტურას მიაკუთვნებს; ანდა, რა უნდა რჯიდეს რუს მეცნიერს, რომელიც ჩვენივე დაუდევრობით ხსნის «ჩვენს ქუჩებსა და ოჯახებში» მშობლიური ენის იგნორირებისა და დანაგვიანების მაგალითებს. ღმერთმა ხომ იცის, ერთიც ცდება და მეორეც! მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, ისინიც მართლები არიან: განა ჩვენი არხეინობის ბრალი არ არის, ასე დაუკითხავად რომ აფათურებს ხელს ჩვენს ეროვნულ საგანძურში ყველა ამვლელ-ჩამვლელი?! განა ჩვენი განუსჯელობის ბრალი არ არის, ძირითადად არაქართული წარწერებით რომაა გადაჭრელებული ჩვენი ქალაქები და დაბა-სოფლები, ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიები, ჩვენი დასვენების კერები თუ სპორტული მოედნები?! განა ჩვენი უკულტურობის ბრალი არ არის (რატომ დაეცა ჩვენში კულტურა, ეს სხვა საკითხია), ჩვენი ოჯახების გარკვეული ნაწილი ქართულად რომ აღარ კადრულობს ლაპარაკს, ქართულ სკოლებში რომ აღარ შეჰყავთ ბავშვები, აქაოდა მაინცდამაინც ჩვენი შვილები უნდა გამოვიდნენ პარტუმუშაკები და მეცნიერები, უზრუნველყოფილნი რომ იყვნენ მთელი ცხოვრების მანძილზე?! ვაი ასეთ უზრუნველყოფას! მაგრამ საცა სამართალია, განა როდისმე ავუხსენით, განვუმარტეთ ობივატელს, მისი საქციელი იგივე სამშობლოს დალატი რომ არის?! არც აგვიხსნია, არც განვიმარტავს. სამაგიეროდ, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია დაუზარებლად, დაუზოგავად ამათ-

რახებს ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს, პროსტიტუციას, რითაც უმაღლეს ადვივებს, ვიდრე სპობს ამ მართლაც რომ სახიფათო მოვლენებს, თუმცა, მიზნად, იმედი უნდა ვიქონიოთ, მათთან ბრძოლა აქვს დასახული. უვიცობა და პროვინციალიზმი გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მანკიერება. ნარკოტიკი რომ მავნე ნივთიერებაა, ამის ცოდნა სრულებითაც არ კმარა მის მოსასპობად. დიდი, მე ვიტყვოდი, გადაძწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის მეთოდებსა და ბრძოლის კულტურას. არ შეიძლება, მაგალითად, ექიმის ანდა მასწავლებლის სახელს ამოფარებული მორიგი ვიგინდარას მხილებისას საერთოდ ექიმი და მასწავლებელი ვაგინოთ, როგორც ვიქცევით ხოლმე, რადგან, სხვა თუ არაფერი, ყოვლად წარმოუდგენელია, ჭეშმარიტმა ექიმმა ავადმყოფს წამალი მოჰპაროს, ანდა ჭეშმარიტმა მასწავლებელმა მოწაფეს ფული გამოსძალოს. ამიტომ, ჩვენი წინდაუხედაობისა თუ მოუმზადებლობის გამო, შეიძლება გაცილებით დიდი ბოროტება ჩავიდინოთ, ვიდრე ათასი ცრუ ექიმი და ცრუ მასწავლებელი ჩაიდენდა; შეიძლება, საერთოდ ამ უკეთილშობილესი და უწმინდესი ცნებების გარეშე დავტოვოთ ადამიანი. ასე კი იმიტომ ხდება, ცუდს რომ ვაზოგადებთ, ხოლო კარგს ვაფუჩჩებთ და ყველაფერი ეს არ სცილდება საგაზეთო ციებ-ცხელების ფარგლებს. ესე იგი, გარდა ლანძღვისა და დუმილისა, არაფერი კეთდება მდგომარეობის შესაცვლელად თუ არა, გამოსასწორებლად მაინც. ისევ არ გვაინტერესებს, სად, რომელი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხება ჩვენი «ცოდნასმოწყურებული» ახალგაზრდობა, რომლის უკანაც ამოუვსებელ სიცარიელედ რჩება მიტოვებული, სასიკვდილოდ განწირული სოფლები და რომელსაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, მატერიალური უზრუნველყოფა, «ხალხში გამოსვლა» აინტერესებს და ამიტომაცაა სულერთი, სად ისწავლის, რას ისწავლის, რა ენაზე ისწავლის... ჩვენ კი მაინც სიმრავლეს მიველტვით ყველაფერში (ეგაა რომ, გამრავლება არ გვინდა, ანდა აღარ შეგვიძლია) და გვავიწყდება (თუ შეგნებულად ვივიწყებთ), სიმრავლე გაუფასურების საწინდარი რომაა. ერთი მეორეს განაპირობებს: სიმრავლე აუფასურებს, უფასურება ამრავლებს. «ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიაო» – ჯერ კიდევ როდის გვასწავლიდა რუსთაველი და მართლაც, კაცმა რომ თქვას, რა ისეთი ძნელი მისახვედრია, ბევრ ცუდს ცოტა კარგი რომ სჯობს. მაგრამ ჩვენ (უბედურებაა, აბა, რა არის!) მაინც ბევრი ცრუ ინჟინერი, ბევრი ცრუ ექიმი, ბევრი ცრუ მასწავლებელი და, თუ გნებავთ, ბევრი ცრუ მწერალი გვირჩვენია.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სიკეთის ჩადენასაც ცოდნა სჭირდება. გაუაზრებლად, უმიზნოდ ჩადენილი სიკეთე (რაც, სხვათა შორის, ყველას საკმაოდ გვეხერხება) ხვალ და ზეგ შეიძლება უკვე ბოროტებად გარდაქმნილი დაგვიბრუნდეს უკან. ჩვენი დღევანდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, სიკეთე არც ერთგანზომილებიანი ცნება ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, სხვათა თვალში თურმე სრულებითაც არ გამოვიყურებით ისეთებად, როგორებადაც თავი წარმოგვიდგენია. ბევრს თურმე არათუ მოსწონს, აღიზიანებს ჩვენი ბუნება, ანუ ჩვენი სულიერი მოთხოვნილება ყველას გამასპინძლებისა, ყველას მოფერებისა, ყველას დამეგობრებისა და, რაც მთავარია, უკანასკნელი ლუკმისა და ისედაც პატარა ჭერის გაზიარებისა ყველასთვის, ვინც კი ულუკმაპუროდ და უჭეროდ დაუტოვებია ბედსა თუ უბედობას. ჩვენ რომ უფრო მეტი ვიცოდეთ, ვიდრე ვიცით, ალბათ იმასაც ადვილად შევამჩნევდით, გუშინ სხვათა შემფარებლები, დღეს მაინცდამაინც დაჯერებული მასპინძლები რომ ვერა ვართ საკუთარ სახლში. რამ გამოიწვია ეს, ამის გარკვევა ახლა არ მოხერხდება, მაგრამ ამის გარკვევა მხოლოდ მოგვეხმარება, თუკი გულისყურით მოვისმენთ დღეს ჩვენს მიმართ გამოთქმულ ნებისმიერ საყვედურს, დაცინვასა თუ გინებას, გამოვაცალკევებთ, რაც ნამდვილად ჩვენ შეგვეხება და მშვიდი გონებით განვსჯით, გავანალიზებთ, ავწონ-დავწონით («აწონ-დაწონვაც» უნდა ვისწავლოთ, ცხოვრება თუ გვინდა) და გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით

გავაგრძელებთ ჩვენს უბოლოო გზას. ჩვენგან რომ წასვლა არ უნდათ ჩვენს ყოფილ ხიზნებსა და სტუმრებს, ეს ძალიან კარგია და (რაც არ უნდა ილაპარაკონ) მაინც ჩვენს კაცთმოყვარეობასა და ხელგაშლილობაზე მეტყველებს, მაგრამ, მეშინია, ისე არ გამოვიდეს ბოლოს, ჩვენივე გულუბრყვილობის გამო, ჩვენ თვითონვე აღმოვჩნდეთ ზედმეტნი საკუთარ ჭერქვეშ. ასე რომ, ჩვენგან, საერთოდ ქართველებისგან და განსაკუთრებით კი ქართველი მწერლებისგან დაუფიქრებლად ნათქვამ ყველა სიტყვას შეიძლება ათასნაირი კუდი გამოეხას და ათასნაირი, ჩვენგან გაუთვალისწინებელი მნიშვნელობა შეემატოს.

მწერლის ძირითადი საქმიანობა წერაა. ის თავის სამუშაო მაგიდასაა მიჯაჭვული სამუდამოდ, ამირანივით, და ღმერთმა ნუ ქნას, თავი აიშვას როდისმე. თავაშვებული, ანუ მოვალეობისგან განთავისუფლებული მწერალი, თავაშვებული ამირანისგან განსხვავებით, უმწეო, უფერული არსებაა – ვერც შურისმაძიებლად გამოდგება, ვერც ახალ-ახალი გმირობების ჩასადენად. მაგრამ თუკი გარემოება მოითხოვს, რასაკვირველია, მწერალმაც უნდა გადადოს გვერდზე კალამი. მწერალი გაცილებით რთული და გაცილებით ბევრისმომცველი ცნებაა, ვიდრე ჩვეულებრივი ინდივიდი და, უნდა თუ არა (უფრო სწორად, გვინდა თუ არა ჩვენ), განუწყვეტლივ მონაწილეობს თავისი ერის ცხოვრებაში (სიკვდილის შემდეგაც), გაჩენის დღიდანვეა «ჩართული», როგორც თქვენ ბრძანეთ, «ერისთვის კრიტიკულ, ექსტრემალურ სიტუაციებში», ნათლად გამოხატული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული და, რაც მთავარია, მისი ხალხისათვის მისაღები მწერლური პოზიციით. ყველა მწერლის შემოქმედება მისი ეროვნული კულტურის წიაღში იღებს სათავეს და, მშობლიური ხალხის სულზე გადავლილი, მსოფლიო საგანძურთა უკიდევანო ოკეანეს უერთდება. თავს ნებას მივცემ და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ ეს გზა, თავისი ხიფათებითა და საოცრებებით, ოდისევსის გზასა ჰგავს და მწერლისგან დიდ შინაგან დამაბულობასა და სიჯიუტეს მოითხოვს – ამ გზაზე დამდგარი არც ცდუნებებისგანაა დაზღვეული და არც გონების დაკარგვისგან. ამიტომ შეუძლებელი რომ შეძლოს, მას თავისი პენელოპეც სჭირდება, ანუ მეორე ადამიანი, როგორც თქვენ ამბობთ, «განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლობელი» (სულერთია, ჩვეულებრივი მკითხველი იქნება ის თუ პროფესიონალი ლიტერატორი), რომელსაც სჯერა, რომელიც ერთგულია ოდისევსისა. როგორც უკვე ვთქვით, მწერალი, ამავე დროს, ჩვეულებრივი ადამიანიცაა, ჩვეულებრივი მოქალაქე (ელიოტის ბიოგრაფები წერენ – წვიმიან ამინდში კალოშებსა და ქოლგას ხმარობდაო) და არაფრით განსხვავდება ერის ნებისმიერი წარმომადგენლისგან. მართალია, ერთი ანტიკური ხანის ფილოსოფოსისთვის პოეტი (ამ შემთხვევაში – მწერალი) «მსუბუქი, ფრთოსანი არსებაა», მაგრამ კაცობრიობა არაერთგზის გამხდარა მოწმე ამ «მსუბუქი, ფრთოსანი არსების» დიადი, ვაჟკაცური ცხოვრებისა. ასე რომ, არც ერისთვის თავის განწირვაა – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – მისთვის უცხო რამ, რისი სამწუხარო მაგალითებიც მრავლადაა მსოფლიო ისტორიაში. «სამწუხარო» კი იმიტომ, მწერლის დაღუპვა ყოველთვის განსაკუთრებულ ფაქტს რომ წარმოადგენს და ერის ცხოვრების ყველაზე ბნელსა და მძიმე მონაკვეთს ემთხვევა, როცა, მტრისა თუ მტრების შორსგამიზნული ვერაგობისა და დაუნდობლობის წყალობით, თეთრისა და შავის გარჩევის უნარი ქვეყანაში ყველას დაკარგული აქვს, ახალგაზრდობა უაზრო, უმიზნო დროსტარებით იკლავს თავს, გლეხი მომხვეჭელობის ჟინითაა შეპყრობილი, ხოლო მწერლის გარშემო თანამემამულეთაგან აღარავინაა დარჩენილი მისი ჭეშმარიტი შესაძლებლობებისა და დანიშნულების მცოდნე.

ამიტომ ცოტას ავჩქარდები და ორიოდ სიტყვას ბარემ აქვე ვიტყვი მწერლისათვის «განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლობელი» ადამიანის შესახებ, რომლის არსებობაც, ჩემი ღრმა რწმენით, ჰაერივით აუცილებელია ნებისმიერი მწერლისთვის და ვისაც ასეთი ადამიანი არ ჰყავს (საბედნიეროდ, პირადად მე მყავს და მისი «ვიზის» გარეშე ჯერ არცერთი ნაწარმოები

არ გამომიტანია ფართო მკითხველის სამსჯავროზე), მთელი სიცოცხლე იმას დაემებს, რამდენადაც, უიმისობა გაცილებით დამთრგუნველია, ვიდრე, ვთქვათ, უსახსრობა. ჩემი გაგებით, ეს ის ადამიანია, რომელსაც არამარტო მოსმენა შეუძლია, არამედ ჭკუის დარიგებაც. ასეთი ადამიანი, რასაკვირველია, იშვიათია არამარტო ჩვენს სინამდვილეში, არამედ მთელი ჩვენი ლიტერატურული არსებობის მანძილზე. და მაინც, ის რომ არა, ალბათ ბევრს დაკარგავდა საერთოდ ლიტერატურა. მხატვრულად რომ ვთქვათ, შემოქმედების უკიდევანო ოკეანეში შეცურებულ მწერალს ის ერთდროულად შუქურის მაგივრობასაც უწევს და იმ პატარა ძრავისაც (ანდა სულაც ნიჩბის), რომლის მემშვობითაც შუქურისკენ უნდა წაიყვანოს მწერალმა თავისი ნავი. ხოლო, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, თავისი არსებობით არამარტო ამხნეებს მწერალს მუშაობის პერიოდში, არამედ რაღაც-რაღაცებს «კარნახობს» კიდევ ჩუმად, სხვების ზურგსუკან. ამგვარი «თანაარსებობისა» თუ «თანამშრომლობის» შესახებ ყველაზე ბოლოს მკითხველი იგებს და ასედაც უნდა იყოს, რამდენადაც მკითხველს მწერლის მზა პროდუქცია აინტერესებს და არა ამ პროდუქციის შექმნის საიდუმლოებანი.

მწერალი ციდან არ ვარდება. ისიც ჩვენს შორის, ჩვენსავით იზრდება, იმავე პურით, იმავე ჰაერით, იმავე ზღაპრებითა და ლეგენდებით... და იმ ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება მომავალში (ამაზე, მგონი, ზემოთაც ვილაპარაკეთ), რომელსაც თავიდანვე ძალდაუტანებლად შეესისხლხორცება ხოლმე. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს მისთვის სხვა ლიტერატურული ტრადიციები არ იყოს ანგარიშგასაწევი. ოღონდ სხვა ლიტერატურული ტრადიციები უფრო გონებრივი საზრდოა, ვიდრე სულიერი, ანუ – იმის შექმნაში კი არ ეხმარებიან ისინი, რისი შექმნაც ევალება, არამედ იმის გარკვევაში – სწორად ქმნის თუ არა, საერთოდ, რასაც ქმნის. ამიტომ რაც მეტი იცის მწერალმა, მით უკეთესი მისთვისაც და ჩვენთვისაც – მით უფრო ნათლადაა გამოკვეთილი მისი გზა სხვა უთვალავ გზათა შორის და მით უფრო ადვილი დასადგენია, თუ სად იღებს სათავეს და საით მიემართება ეს, მისგანვე შექმნილი, მისივე გრძნობებითა და ვნებებით მოკირწყლული, მისივე ცრემლითა და სისხლით მორწყული გზა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ყველა ჭეშმარიტი მწერალი თავის თავსაც არ აკუთვნებდეს იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც პირადად მოსწონს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, მას ბოლომდე არა აქვს გარკვეული არც თავისი დანიშნულება და არც თავისი შესაძლებლობა. იმას კი არ აკეთებს, რისი გაკეთებაც ევალება, არამედ, რისი კეთებაც მოსწონს. მწერალს კი თავისი საქმიანობა არამარტო მოსწონს, არამედ უყვარს კიდევ – ესე იგი, უნდა თუ არა, მაინც უნდა გააკეთოს! ხოლო როგორ, რანაირად, დღის რომელ მონაკვეთში, «როგორი სულიერი განწყობილებისას» ქმნის ის თავის ნაწარმოებს, დილით მუშაობს თუ ღამით, დამჯდარი თუ დაწოლილი, პერიოდულად თუ სისტემატურად, ზომიერად თუ გონების დაკარგვამდე – ნაკლებად საინტერესოა. უფრო სწორად, ეს მაშინაა საინტერესო, როცა მწერალი უკვე სამუდამოდ იმკვიდრებს ადგილს, როგორც მშობლიურ, ისე მსოფლიო ლიტერატურაში და არამარტო მისი შემოქმედება, არამედ მისი პირადი ცხოვრებაც საყოველთაო განსჯისა და კვლევა-ძიების საგანი ხდება. რასაკვირველია, ამასაც დამსახურება უნდა – შემოქმედებითაც და ცხოვრებითაც – პირველი ნაბიჯებიდან სულის უკანასკნელ ამოხდომამდე. ამის გამოცაა ალბათ, პრესის ფურცლებზე ახალი სახელის გამოჩენა განსაკუთრებულ ინტერესს რომ ბადებს ჩვენში: სულერთია, რას გთავაზობს ეს ახალი სახელი – რომანს, მოთხრობას, ლექსსა თუ პიესას, პუბლიცისტურსა თუ კრიტიკულ წერილს – რადგან მწერლის ნიჭიერების დასადგენად ჟანრი კი არ არის გადამწყვეტი, ანდა ავტორის გვარი და სახელი (თუნდაც უკვე ცნობილი), არამედ ის ახალი, «დღემდე განუცდელი» ტკივილი და სიხარული, სიძლიერე თუ უმწეობა, ბოლოს და ბოლოს, ის სიცრუე თუ სიმართლე, რომლის გაზიარებასაც ავტორი გვიპირებს, რასაკვირველია, იმ ოსტატობასთან ერ-



თად, ურომლისოდაც ვერავითარი «გაზიარება» ვერ აღიქმება მხატვრულ ნაწარმოებად. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმოთ და მეც ვაღიარო, «სულ უფრო და უფრო რომ ჭირს, ძნელდება ჟურნალის გვერდების შევსება ნიჭიერი, საინტერესო, ორიგინალური ნაწარმოებებით». განსაკუთრებით ჩვენთვის, მწერლებისთვისაა ძნელი ამის აღიარება. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რომელ ლიტერატურულ პერიოდს არ აწუხებდა მსგავსი პრობლემა?! განა ყოველთვის ნამდვილის სიმცირესა და «ბანალური, პროფანული ლიტერატურული პროდუქციის კატასტროფულ ზრდას» არ უჩიოდნენ ლიტერატურის გულშემატკივრები?! ამის მიზეზები თქვენც ჩამოთვლილი გაქვთ შეკითხვის ბოლოში და ვერაფერს დავამატებ, ოღონდ, რაკი თავიდანვე ვაღიარე ჩემი ოპტიმისტობა (თუ არ გჯერა, რატომღა წერ?), შევეცდები თქვენც გაგინელოთ არც მთლად უსაფუძვლო, მაგრამ არც მთლად შეუვალი შიში. განა ტალანტის თვისება სიმრავლეა?! განა შექსპირის ეპოქაში ყველა შექსპირი იყო?! განა შთაგონება ფეხმოუცვლელად დგას მწერლის სამუშაო მაგიდასთან?! განა «სინამდვილის მეტისმეტი გაპროზაულება», როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, მკითხველის გაუცხოვებასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივი ევოლუცია არ არის იმავე სინამდვილისა?! თქვენ, რასაკვირველია, ფაქტს აღნიშნავთ, ფაქტი კი ჯიუტია, მაგრამ თუკი ისტორიული მაგალითებით ვიმსჯელებთ შექმნილ სიტუაციაზე, აღნიშნული ფაქტი მომაკვდინებელი არ უნდა იყოს ჭეშმარიტი ლიტერატურისთვის. დროის ქურაში ხომ სწორედ შემთხვევითი და ყალბი იფერფლება! მარგალიტს თუ ფერი შეეცვალა, მამალს ჩააყლაპებენ და მამლის კუჭ-ნაწლავში გამოვლილი, პირველყოფილ ბრწყინვალეებას იბრუნებს. ეს, შეიძლება, არაპოეტური შედარება იყოს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, «ფერმეცვლილ» ლიტერატურასაც უნდა ახასიათებდეს მარადიული «გამობრწყინების» უნარი. ავტორების სიმრავლე კი, გარკვეული თვალსაზრისით, ლიტერატურისადმი, ანდა, თუ გნებავთ, ლიტერატურული ცხოვრებისადმი გაზრდილი ინტერესის გამოხატულებაცაა და თუ არ აჩქარებს, არც აფერხებს «კიდევ ერთი რუსთაველის» დაბადებას. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მისი დამსახურებაცაა, დღითიდღე რომ ძნელდება ავისა და კარგის გარჩევა, თუნდაც იმიტომ, დღეს გამოსული ყველა წიგნი, რეცენზენტებისა არ იყოს, მათ ავტორებსაც ქართული ლიტერატურის შენამძენად რომ მიაჩნიათ. კრიტიკისგან ყველას თავისი ადგილი რომ ჰქონდეს მითითებული, ეს მოვლენა, თავისთავად ცხადია, ნაკლებად შემამოფოთებელი იქნებოდა. განურჩევლობა აბნევს მკითხველს; დაბნეულობა, როგორც მოგეხსენებათ, გულგრილობის საფუძველია; გულგრილობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ზოგადად ლიტერატურისადმი აგდებული, ცინიკური დამოკიდებულების დამკვიდრებას (დამერწმუნეთ, ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი მე-20 საუკუნის მიწურულს), აგდებული, ცინიკური დამოკიდებულება კი ერის სულიერი და გონებრივი ცხოვრებისთვის მომაკვდინებელი სენია – აქედან იწყება ადამიანის დაბრუნება გამოქვაბულის წყვდიადში, ინსტინქტების სამეფოში, რაც ჩვენს მკითხველს, დიახაც რომ, არ ეკადრება – რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის დიდებული აჩრდილები არ მისცემენ ამის ნებას – ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიყვანონ აქამდე არც იმ ავტორებმა, რომელთა ერთფეროვანი, ცარიელი და, ამიტომაც, არაფრის მთქმელი წიგნები ლოთის სიჯიუტით, მიიწვევენ წიგნის მაღაზიის დახლებისკენ, და არც იმ რედაქტორებმა, გამომცემლებმა თუ კრიტიკოსებმა, რომელთა შეგნებული თუ შეუგნებელი მონაწილეობითაც გამოდიან ეს წიგნები სამზეოზე. რა თქმა უნდა, ალბათ სხვა, უფრო ძნელად შესამჩნევი და ძნელად დასაჯერებელი მიზეზიც ბევრი არსებობს, რომელთა გარკვევა ასე ჰაიჰარად ძნელია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, «ფაქტი ჯიუტია» და საქმეს მიხედვა სჭირდება. «მეტი სინათლეო» – კი ვიმეორებთ ხშირად გოეთეს უკანასკნელ სიტყვებს, მაგრამ სინათლესაც დანახვა უნდა. ყოველ შემთხვევაში, ზურგი არ უნდა შევაქციოთ, დარაბები უნდა გავულოთ, ოთახშიც რომ

შემოვიდეს; კი ვუჩივით «პროფანული ლიტერატურული პროდუქციის კრიტიკულ ზრდას», მაგრამ არავითარ ღონეს არ ვხმარობთ ამ პროცესის შესაჩერებლად. პირიქით, უნებლიეთ (ალბათ უნებლიეთ), ხელსაც ვუწყობთ ამგვარი პროდუქციის ხელოვნურად გამრავლებას.

სხვათა შორის, ხელოვნებისადმი და კერძოდ პოეზიისადმი მკითხველის «ერთგვარ გაცივებას», რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ჩემი აზრით, ბეჭდვის გაიოლებამაც შეუწყო ალბათ ხელი. მაგრამ განა მართლა ასე უკიდურესობამდღეა მისული ჩვენი მწერლობის საქმე, როგორც ჩვენი კითხვა-პასუხიდან შეიძლება მოეჩვენოს კაცს?! მე მგონი, იმედის მომცემიც ბევრი გაკეთდა და კეთდება დღესაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, შესამჩნევად რომ გაიზარდა ამ ბოლო დროს ინტერესი ჩვენი ლიტერატურისა და საერთოდ ჩვენი კულტურული ცხოვრების მიმართ როგორც საკავშირო, ისე მსოფლიო მასშტაბით. რამდენადაც მე ვიცი, ბევრ ევროპულ ქვეყანას ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის ნიმუშები თავიანთთვის მიუღწეველ დონედ მიაჩნიათ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ, მწერლები, შორი გზის მგზავრები ვართ და ეპიზოდური წარმატებებით თავის დამშვიდება არ გამოგვადგება. «ჩვენ»-მეთქი, ამ შემთხვევაში, სხვების სახელითაც იმიტომ ვამბობ, ლიტერატურას კოლექტიური შრომის ნაყოფად რომ ვთვლი მაინც, მიუხედავად მისი ნებისმიერი წარმომადგენლის ხაზგასმული, უაღრესი ინდივიდუალობისა. ყველა მწერალი თავის განსაკუთრებულ ყანას კი მკის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა ერთ საქმეს ემსახურება, ამ «განსაკუთრებულ ყანებში» მოყვანილი ხორბლით ერთი, საერთო პური ცხვება. უფრო სწორად, ცალკე, სიმარტოვეში მოწეული მოსავალიც საერთო, ეროვნული საკუთრებაა და ამით არის სწორედ მნიშვნელოვანიცა და განუმეორებელიც. თუნდაც ამიტომ ძალიან გამიჭირდება უკანასკნელ წლებში შექმნილი ყველა, მეტნაკლებად საყურადღებო ნაწარმოების ჩამოთვლა. ჩვენი შრომა კატორღულ შრომასავით მძიმე კია, მაგრამ რაკი ჩვენ თვითონვე ავირჩიეთ, თავჩაღუნულებმა, პირში წყალჩაგუბებულებმა უნდა ვიშრომოთ ბოლომდე, არც ქებას ავყვეთ, არც ლანძღვას და ჩვეულებრივი მშრომელივით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ოფლით მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა.

აქედან გამომდინარე, და მიუხედავად მოჩვენებითი, თითქოს გარდაუვალი შეხლა-შემოხლებისა, არ შეიძლება არ არსებობდეს სრული თანხმობა, «წმინდა სულიერი კავშირი» ლიტერატურულ თაობათა შორის (თუკი, რა თქმა უნდა, ჯანმრთელები არიან ისინი), არ შეიძლება, არ აინტერესებდეთ სხვადასხვა თაობის მწერლებს ერთმანეთის «სულში» ჩახედვა ცალი თვალთ მათზე, რადგან არ არსებობს მწერალი, განურჩევლად ასაკისა და რანგისა, რამეს არ იღებდეს მეორე მწერლისგან, რასაკვირველია, გაცემულის სანაცვლოდ. ჩვენ ერთმანეთს ვზრდით, ერთმანეთის «წამხედურობით» ვიზრდებით, როგორც ერთი დედ-მამის შვილები. კი განვსხვავდებით ერთმანეთისგან სიმაღლითა თუ თვალის ფერით, მაგრამ ერთ დღესაც ვერ გავძლებთ უერთმანეთოდ. ასევე აუცილებელია ჩვენთვის საკუთარი კრიტიკის არსებობაც, მისი დგომა ჩვენს გვერდით, მისი ფიზიკურად აღქმა და შეგრძნება – კრიტიკოსობა მწერლობის ქომაგობას ნიშნავს და არა მწერლობის წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობებს. თუ ლიტერატურას საკუთარი, მისი ჭირ-ვარამის მოზიარე კრიტიკა არ გააჩნია, უბორბლებო ეტილივითაა და ვერასოდეს, ანდა საბედისწერო დაგვიანებით თულა მიაღწევს საბოლოო სადგურამდე – მკითხველის გულამდე. მწერლისა და კრიტიკოსის ძარღვებში ხომ ერთი და იგივე სისხლი დგას და ერთის პირუთვნელობა, პრინციპულობა, მეორის ნაყოფიერების საწინდარია, ანუ მხოლოდ მაშინ მყარდება მათ შორის სრული (სასურველი) ჰარმონია, როცა კრიტიკოსი დამსახურებულად აქებს მწერალს და ასევე დამსახურებულად აძლევს შენიშვნას. ერთსაც და მეორესაც (კომპლიმენტსაც და შენიშვნასაც) მარტო სიკეთის მოტანა შეუძლია მწერლისთვის და მწერლობისთვის, თუკი, ვიმეორებ, ორივე დამსახურებულია. ამიტომ რო-

მელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება პირადად მწერლისგან გაცილებით ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ამავე დროს, ერთიცა და მეორეც, როგორც უკვე ვთქვით, აუცილებელი პირობაა კრიტიკოსსა და მწერალს შორის სავალდებულო ურთიერთობის დასამყარებლად და ისეთივე ზემოქმედების უნარი გააჩნია ორივეს, როგორც – ფულს, ჯილდოსა თუ წოდებას, რის გამოც, მათი გაყალბებაც დასაშვებია და მათი ბოროტად გამოყენებაც შეიძლება, თანაც არამარტო რომელიმე კონკრეტული მწერლის (აკი ვთქვით, მწერალი ჩვეულებრივი ადამიანისაა!), არამედ – საერთოდ მწერლობის მიმართ: თუკი დაუშვას ხურებელი კომპლიმენტი (ნაცვლად დამსახურებული შენიშვნისა) მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მწერალს აკნინებს და აბითურებს, დაუშვას ხურებელი შენიშვნა (ნაცვლად დამსახურებული კომპლიმენტისა) ზოგადად მწერლობის პრესტიჟს აყენებს ჩრდილს.

მწერლობის პირველი მცნება სხვათა სამსახურია. ხოლო სხვათა სამსახური რომ შეძლო, ბევრ რამეზე უნდა უთხრა უარი საკუთარ თავს. სხვანაირად არაფერი გამოვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, მწერალმა შეგნებულად ჩაიგდოს თავი სილატაკეში, შეგნებულად აარიდოს თავი ამქვეყნიურ სიამოვნებებს. ნურას უკაცრავად! მწერალს ისევე სჭირდება ყველაფერი ამქვეყნიური, როგორც სხვა ნებისმიერ ადამიანს. მაგრამ ასეთი შეკითხვა და, სხვათა შორის, ბევრი სხვაც, მწერლის ფენომენტთან თითქოს ძნელად მისასადაგებელი, ალბათ იმიტომ დაგებადათ საერთოდ – და ამისთვის თავიდანვე, საუბრის დაწყებამდე უნდა მიგვექცია სათანადო ყურადღება – მკვეთრად, კატეგორიულად რომ არ გაგვიმიჯნავთ ერთმანეთისგან ნამდვილი და თვითმარქვია მწერალი, ანუ, მწერლად დაბადებული და, გარკვეული მოსაზრებებისა თუ მიზნების გამო, მწერლობას გამოკიდებული კაცი. ეს კი დიდი დანაშაულია ყველასთვის, ჩვენი ჩათვლით, ვისაც მწერლობისა და ლიტერატურის თაობაზე თავისი აზრის გამოთქმა უხდება და ერთი საზომით კი ზომავს ყველას, ანუ მწერლად მიიჩნევს ყველას, ვისაც მწერალთა კავშირის წიგნაკი უდევს ჯიბეში (ანდა იმ წიგნაკის ხელში ჩასაგდებად «იღვწის» მხოლოდ). პირადად მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლი მწერლად, დავუშვავთ, ისეთ ადამიანს, რომელიც, როგორც თქვენ ბრძანეთ, თურმე, «საიუბილეო დღეებში თვითონვე უწევს ორგანიზებას რეცენზიებსა და წერილებს საკუთარი შემოქმედების შესახებ». ამიტომ, არც ის მაინტერესებს, თუ «რა მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ასეთ რეცენზიებს თვით ამ ავტორისთვის». ჯანდაბამდის გზა ჰქონია! რა ჩემი საქმეა! მაგრამ თუკი მართლა ხდება მსგავსი რამ (რასაკვირველია, ხდება!), იმიტომ ხდება, განურჩევლობა რომ გავაბატონეთ ყველგან და თითზე ჩამოსათვლელ რამდენიმე მწერალს, რაც სავსებით საკმარისია ნებისმიერი ნორმალური კულტურული ქვეყნისთვის, მწერლის სახელზე მონადირეთა არმია დაფუპირისპირეთ. ხოლო რაკი დაფუპირისპირეთ, კეთილი უნდა ვინებოთ და შევინახოთ კიდეც ეს არმია, ისევ და ისევ იმ თითზე ჩამოსათვლელი რამდენიმე მწერლის ხარჯზე. მწერლის სახელის მამიებელი, რასაკვირველია, მწერალი არ არის, მაგრამ ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა ჩვენგანი და, თუნდაც ამიტომ, არაფერი ადამიანური არ ეუცხოვება – არც კარიერა, არც მომხვეჭელობა, არც დემაგოგია, არც სიხარბე, არც დაუნდობლობა... კიდეც უარესი, ხომალდის თავისა არ იყოს, პირველი ის რეაგირებს ამინდის ნებისმიერ მონაცვლეობაზე და პირველი იღებს სათანადო ზომებს, ცხოვრების ზედაპირზე რომ აღმოჩნდეს ისევ ავდრის გადავლის შემდეგაც. მას უაღრესად გამძაფრებული აქვს თავდაცვის ინსტინქტები და მასთან ბრძოლა, განსაკუთრებით თითზე ჩამოსათვლელი მწერლებისთვის, მეტი რომ არ ვთქვათ, სახიფათოა. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ნებისმიერ ეპოქაში და, თავისთავად ცხადია, არც ჩვენი ეპოქა გამონაკლისი. ამიტომ, მე მგონი, უფრო სამართლიანი იქნება, თუკი ლიტერატურაზე ლაპარაკის დროს მაინც გამოვაცალკევებთ მათგან ნამდვილ მწერლებს, რაც მხოლოდ მოგვეხმარება ვითარების გარ-

კვებაში, ზოგადად მწერლობის მაგინებელს კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდება. მართალია, ზოგადად მწერლობის გინება ძირითადად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი აპარატის გინებას გულისხმობს, მაგრამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი აპარატის გაიგივება არ შეიძლება ქართულ მწერლობასთან – ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. ფაშისტური გერმანიის დაპყრობითი პოლიტიკა, ცინიკურად, სხვათა შორის, იმასაც ითვალისწინებდა, ხელოვნურად გარყვნილ ხალხებში, შემთხვევით, შეუბღალავად გადარჩენილ ერთეულებს უკვე თავისიანები რომ მოუღებდნენ ბოლოს. ხოდა, რაკი ანგარიშსწორების ამგვარი მეთოდი უკვე შეუქმნია ადამიანის გონებას, ჩვენც მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულება გვმართებს, უნებლიეთ იგივე რომ არ ჩავიდინოთ, ანუ შეუბღალავად გადარჩენილიც არ ჩავითრიოთ უზნეობის საერთო ჭაობში.

როგორც ხედავთ, ყველანაირად ვცდილობ, განვაზოგადო ყველაფერი, რასაც თქვენ შეგნებულად აკონკრეტებთ თქვენს შეკითხვებში. მაგრამ ასე იმიტომ ვიქცევი, საკუთარ თავზე ლაპარაკი, ნამდვილად, ყოველგვარი «ბოროტი» განზრახვის გარეშე, ძალიან რომ მიძნელებდა (საბოლოო ანგარიშში, ამით ისევ მარტო მე ვზარალდები ალბათ, რამდენადაც თვითრეკლამას, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, დიდი გასავალი აქვს ჩვენში). საკუთარ თავზე ლაპარაკისას არავინ არ არის გულწრფელი და არც შეიძლება იყოს, რადგან, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ყველა ადამიანი ერთნაირად ცდილობს უკეთესი გამოჩნდეს სხვათა თვალში. ეს მისი დამსახურება კი არ არის, ეს მისი თვისებაა და საკმაოდ მძლავრად განვითარებულიც. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა (გარდა პათოლოგიურისა), ვინმეს გუნებაში ენატროს, ნეტავი უარესი ვიყო, ვიდრე ვარო. ადამიანი ცუდსაც იმიტომ ბამავს, კარგი რომ ჰგონია, რასაკვირველია, მისივე მიუხვედრელობისა და მოუმზადებლობის გამო. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი საუბრიდან ყველაზე ნაკლებად საინტერესო სწორედ ის იქნება, რაც მე შემეხება პირადად. მართლაც, რატომ უნდა იყოს საინტერესო მკითხველისთვის, თუ რა რეაქციას იწვევს ჩემში, ვთქვათ, კრიტიკოსის არაგულწრფელობა რომელიმე ჩემი ნაწარმოების შეფასებისას?! ისიც არ მესმის, თუ რატომ უნდა იყოს ჩემი რეაქცია, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული! აი, მარტო მე რომ მაღიზიანებდეს ის, რაც საერთოდ ყველას ახარებს, კიდევ გამართლებული იქნებოდა საკუთარ განცდებსა და შეგრძნებებზე ლაპარაკი. მე კი, რამდენადაც ვიცი, უაღრესად ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და, საბედნიეროდ (ჩემდა საბედნიეროდ), ნებისმიერი მოვლენის მიმართ ბუნებრივი რეაქცია მახასიათებს, თუმცა, არაგულწრფელი, ანგარებიანი კრიტიკის ობიექტიც ვყოფილვარ, თანაც ბევრჯერ (ერთხელ აბსტრაქციონისტობაც კი დამწამეს) და შეგნებული იგნორირების სიმწარეც მიგემია. მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვა, არც უანგარო, უმწიკვლო ყურადღება მომკლება მკითხველისგან. ჩემი მკითხველი, თავისთავად ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მკითხველია, მას ეკუთვნის ყველაფერი, თუკი მისი ღირსი რამე შემიქმნია, მაგრამ მწერლისთვის არც უცხო მკითხველის აზრია მეორეხარისხოვანი, თუნდაც იმიტომ, მისი მეშვეობით რომ შეუძლია შეიტყოს მხოლოდ, თუ რამდენად საჭიროა საერთოდ, რასაც ის მშობლიურ ენაზე ქმნის. ამიტომ მწერლის სხვა ენებზე თარგმნაც აუცილებელ პირობად მიმაჩნია ლიტერატურის განვითარებისთვის და ძალიანაც მაინტერესებს ეს საკითხი. თუმცა, როგორც თქვენ ამბობთ, არა მგონია, მწერლის «ინიციატივა» აჩქარებდეს მისი ნაწარმოებების თარგმნის პროცესს. ამ საქმეში მწერალი «პატარა კაცია», ამ შემთხვევაში გამომცემლის ინტერესია მთავარი და არა მწერლისა, მაგრამ ასეთ «ცხოვრებისეულ წვრილმანებზე» ლაპარაკი მე მაინც მომავლის საქმედ მიმაჩნია, თუკი, რასაკვირველია, მომავალშიც საინტერესო იქნება ვიღაცისთვის, რასაც დღეს ვაკეთებთ. ამიტომ, თუკი თქვენც დამეთანხმებით, სჯობს ისევ ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე ვილაპარაკოთ, ოღონდ უფრო მათ გასაგონად, ვიდრე – მათ შესახებ.

ახალგაზრდობაზე ილაპარაკებ თუ ახალგაზრდობასთან – ერთნაირად ძნელია, ერთნაირად სახიფათოცაა, რადგან ისეთ ფენომენტთან გაქვს საქმე, ვერავითარ ჩარჩოს რომ ვერ ეგუება, განუწყვეტილად, თვალსა და ხელს შუა იზრდება, იცვლება და ცვლილებათა ყველა ახალ საფეხურზე სწორედ საკუთარ თავსა ჰგავს ყველაზე ნაკლებად. მაგრამ ერთი მაინც უნდა ითქვას: ჩემი აზრით, ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას, ჯერჯერობით, ის აკლია, რაც ნებისმიერ ლიტერატურულ თაობას აკლდა თავის დროზე, ახალგაზრდობის პერიოდში – მყარი, მტკიცე პოზიცია! ისინი, ჯერჯერობით, არც კითხვებს სვამენ, არც პასუხობენ კითხვებზე. ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ის «გარდამავალი ასაკია», წინ რომ უსწრებს ნებისმიერი სერიოზული ცხოვრების დაწყებას. ასე რომ, ჯერჯერობით, «მოსამზადებელი სამუშაოებით» უნდა იყვნენ ისინი დაკავებულნი – იმ ტერიტორიის გასუფთავებით, რომელზედაც მათი მომავალი შემოქმედება უნდა ამოიზარდოს. ამასთანავე, პარალელურად, უფრო ღრმად, უფრო დაკვირვებით უნდა სწავლობდნენ და აანალიზებდნენ წინა თაობათა ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რათა დიდი გზის დასაწყისშივე იცოდნენ, რა გამოადგებათ, რას დაიტოვებენ იქიდან და რას მოიშორებენ ზედმეტი ტვირთით. ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა, რა თქმა უნდა, ჩემი დაკვირვებით, ამჟამად იმ გასაღების ძებნითაა გართული, რომელიც დიდი ხანია მორგებული აქვს კარს და გადატრიალებულა აკლია, ახალი, დღემდე არარსებული სამყარო რომ გაიხსნას ჩვენ წინ. ვინ გადაატრიალებს გასაღებს, სულერთია, რამდენადაც ამ საპატოო მოვალეობის აღსრულება მაინც მთელი თაობის დამსახურებად ჩაითვლება (ასეთია «პირველადმომჩენთა» ხვედრი ლიტერატურაში). ყველა თავისთვის კი არ ალებს იქამდე არარსებული ქვეყნის კარს, არამედ – ყველა ყველასთვის! მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, თავიდანვე არ აგვიცრუვდეს გული მოყვასზე, რომლის ერთადერთ ქომაგადაც მაინცდამაინც ჩვენ მოგვავლინა ღმერთმა ქვეყანაზე. ჩვენ ადამიანის სიგლახის, სიმდაბლისა თუ გარყვნილების ერთხელ კიდევ აღმოჩენა კი არ გვევალება, არამედ – კიდევ ერთი თანაგრძნობის გამოცხადება ადამიანისთვის. ის ხომ ლამის ფეხმოუცვლელად დგას აუხდენელი ოცნებებისა და განუხორციელებელი მიზნების კუბოსთან. ასე რომ, დიდი «ომები» აქვს გადასატანი ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას და ღმერთმა წარმატებით გადაატანინოს გადასატანი. თუმცა ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით იმ ომებშიც, ყველანი, ცურტაველიდან მოყოლებული ყველაზე უსაკო თანამოკალმემდე – მემკვიდრეობა მწერლობაშიც თაობიდან თაობაზე გადადის, მაგრამ მწერლები სიკვდილის მერეც აგრძელებენ ბრძოლას. ამიტომ ნურასოდეს ნუ ავარიდებთ სიმახინჯეს თვალს, ნუ შევიზიზღებთ ცხოვრებისეული ჭუჭყის ამორებულ წუმპეებს – ჩვენთვის ყველაფერი ცოდნის წყაროა. ბიბლიოთეკებში გაზრდილ ექიმს ყოველთვის ის ექიმი აჯობებს, რომელიც, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მარტო, უამხანაგოდ იპარებოდა საცხედრეში და ჯიბის ფარნის შუქზე სწავლობდა სუნდაკრული გვამის აგებულებას. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, რისი მოცემაც ცხოვრებას შეუძლია, საკუთარ თავზე უნდა ვიწვნიოთ და, რაც მთავარია, არამარტო საკუთარის, არამედ სხვისი ცრემლის გემოც უნდა ვიცოდეთ. როგორც სხვათა მაგივრად არ გავჩენილვართ ჩვენ, ისევე სხვა არავინ მოკვდება ჩვენს მაგივრად.

## თავისუფლების სიმბოლო

ადამიანს ყოველთვის უჭირდა მიწაზე ცხოვრება და ყოველთვის გაურბოდა თვალი ცისკენ. ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, თავისი არსებობის გარიჟრაჟზე შექმნა მან იმედის, რწმენისა თუ ოცნების სიმბოლოები, რადგან უიმართოდ უარესად გაუჭირდებოდა ალბათ ცხოვრება, მით უფრო კი ადამიანობის შენარჩუნება და, ძლივს სამზეოზე გამოსული, ისევ გამოქვაბულის წყვდიადს დაუბრუნდებოდა, ახლა უკვე სამუდამოდ. თუ მკრეხელობად არ ჩამეთვლება, შეიძლებოდა, ეს დიდებული სიმბოლოები კაცობრიობისთვის გონივრულად შერჩეულ სათამაშოებად წარმოგვედგინა, რამდენადაც გონივრულად შერჩეული სათამაშო არამარტო ართობს «ბავშვს» – ზრდის კიდევ; მისი მეშვეობით «ბავშვი» არამარტო ითვისებს გარესამყაროს, არამედ კავშირსაც ამყარებს მასთან. ეს კი უალრესად საჭირო კავშირია, აუცილებელიც, რამდენადაც, ცალ-ცალკე, ორივეს არსებობა, როგორც სამყაროსი, ისევე «ბავშვისა», უმნიშვნელოცაა და უინტერესოც. უფრო სწორად, მათ შეკავშირებამდე სიცოცხლე ვერ გარდაიქმნება ცხოვრებად, ანუ ბიოლოგიური ყოფა ვერ იქცევა თავგადასავლად, მითად, ლეგენდად... ანუ განუწყვეტელ სწრაფვად რაღაცისკენ და განუწყვეტელ ოცნებად რაღაცაზე.

კაცობრიობის მარადიული სიმბოლოებიდან, ჩემი აზრით, უპირატესობას მაინც დედალოსი – თავისუფლების სიმბოლო – იმსახურებს. ის უფრო ახლობელია ჩვენთვის, უფრო ჩვენკენაა და სწორედ თავისი უალრესად ადამიანური ბიოგრაფიის გამო. რაც მთავარია, დედალოსი იმის დაჟინებული შეხსენებაა, თავისუფლების სიყვარული და მონობის სიძულვილი შეუძლებელს რომ შეაძლებინებს ადამიანს, ჩვეულებრივ ადამიანს, როგორც თვითონაა, მიუხედავად მართლაც რომ ღვთაებრივი ნიჭიერებისა. ყველაფერი, რაც კი ადამიანურია, არათუ მისაღები, დამახასიათებელიცაა მისთვის. უფრო მეტიც, ადამიანური ვნებების გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია როგორც მისი მიწიერი, ისევე მითოლოგიური ცხოვრება. მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური ვნებების წყალობით მაღლდება იგი ზოგადასაკაცობრიოდ და, რაც კიდევ უფრო სასიამოვნოა ჩვენთვის, ყველაზე პოეტურ სიმბოლომდე. რაკი ჩვეულებრივი ადამიანია, არც პატივმოყვარეობაა მისთვის უცხო, არც შურიანობა, არც მშიშრობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მოყვასის მკვლელობა. დიახ, დედალოსს შეუძლია საკუთარი დისშვილიც მოკლას, თუკი ის (დისშვილი) გარკვეულ დაბრკოლებად გადაეღობება დიდებისკენ, უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე. თუმცა ისიც ახლავე უნდა ითქვას, რომ ცხოვრებისგან განსხვავებით, მითოლოგიაში «დაბრკოლება» ძირითადად სრულიად საწინააღმდეგო ფუნქციას ასრულებს, უფრო ბიძგის მიმცემია, ვიდრე შემფერხებელი და ეს რომ ასეა, ამას თუნდაც იმავე დედალოსის მაგალითი ადასტურებს. დედალოსი ჩვენთვის მაშინ დაიბადა, როცა დისშვილს ხელი ჰკრა და კლდიდან გადაჩეხა. ესაა მისი პირველი «დამსახურება», რითაც საფუძველი ჩაუყარა საკუთარი ფენომენის შექმნას. მაგრამ რაც მითში ადვილად ითქმის, ცხოვრებაში ძნელი შესასრულებელია. რამდენისთვის უჯობნიათ, რამდენს გასჩენია შურის მტანჯველი გრძნობა, მაგრამ ყველას როდი მოუკლავს თავისი მჯობნი თუ შურის აღმძვრელი. ნებისმიერი მკვლელობა განსაკუთრებული შემთხვევაა, მით უფრო – სახელოვანი ადამიანის მიერ ჩადენილი, მაგრამ მითის შემქმნელებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – მათ, კაცობრიობის სასარგებლოდ, მაინცდამაინც დამნაშავე დედალოსი

სჭირდებათ, რომელიც იძულებულია ათენიდან გადაიხვეწოს, საკუთარი ფეხით ეახლოს მი-  
ნოსს – ტირანიის, სიმახინჯისა და სისასტიკის სიმბოლოს – ვისგანაც მხოლოდ და მხოლოდ  
გაფრენით თუ დააღწევს თავს. ასე რომ, სრულებითაც არ არის გასაკვირი, არავითარი ყუ-  
რადღება რომ არ ექცევა დედალოსის სულიერ განცდებს, არც მკვლელობამდე და არც მკვლე-  
ლობის შემდეგ. იქ მხოლოდ მკვლელობის მოტივია ხაზგასმული (დისშვილმა აჯობაო) და  
მკვლელობის სახეობა (ხელი ჰკრა და გადაჩეხაო). მაგრამ სინამდვილეში (თუკი ყველა მითს  
სინამდვილის მარცვალი უდევს საფუძვლად), რასაკვირველია, მთლად ასე «მარტივად» არ  
იქნებოდა საქმე. როგორც უკვე ვთქვით, დედალოსი ჩვეულებრივი ადამიანი კია, მაგრამ ის  
პიროვნება არ არის (ქანდაკების გაცოცხლებაზე ოცნებობს), საკუთარი დისშვილის წარმატე-  
ბა შემურდეს და, რაც კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, სასიკვდილოდ გაიმეტოს საკუ-  
თარი სისხლი და ხორცი – ტალოსი ხომ იგივე იკაროსია, უფრო სწორად, რაც ტალოსია, იკა-  
როსიც ის არის – ყმაწვილური უმეცრების, ყმაწვილური სითამამისა და სულსწრაფობის  
თვალნათელი გამოხატულება, რაც უაღრესად მძაფრ, უაღრესად დრამატულ დატვირთვას  
იძენს ცხოვრებისგან უკვე გამოზრმედილ, უკვე დაბრძენებულ ადამიანთან ურთიერთობი-  
სას. დედალოსი მითის დასაწყისშივე უკვე საქვეყნოდ განთქმული მოქანდაკეა, რომლის  
ქმნილებებიც ცოცხლებივით დადიან და მეტყველებენ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სიყ-  
მაწვილე ორივე შემთხვევაში, ანუ როგორც ტალოსის, ისევე იკაროსის სახით, იღუპება, როცა  
სიბრძნე და სიჭარმაგე არათუ ინარჩუნებს სიცოცხლეს, კიდევ უფრო იწრთობა, კიდევ უფრო  
მტკიცდება და ბოლოს ნებისმიერი წინააღმდეგობის დამლევისა და გადალახვის უნარიც  
შესწევს – შეუძლია გაფრინდეს კიდევ.

ტალოსი (იგივე იკაროსი), თუნდაც ასაკობრივად, დედალოსის საპირისპირო მოვლენა, სა-  
პირისპირო ვნება, მიზანი, აზრი და მისწრაფებაა. კაცობრიობის საძირკველში კი სწორედ ეს  
ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ვნება, მიზანი, აზრი და მისწრაფება ჩატანებული და, რაც  
უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მხოლოდ მათი დაპირისპირება აწონასწორებს მის მარადიუ-  
ლობას. საკმარისია ისინი შეთანხმდნენ და ყველაფერი დაიღუპება. ამიტომ არასოდეს არ უნ-  
და შეთანხმდნენ და ვერც შეთანხმდებიან, რადგან ცალ-ცალკე ორივე მართალია, ორივე ჭეშ-  
მარიტებას იცავს, ოღონდ ერთი (უმცროსი) – თავისას, მეორე კი (უფროსი) – საყოველთაოს.  
ასეა დასაბამიდან. ყველა შემადღებულ ადგილზე, ათენის აკროპოლისი იქნება თუ იერუსა-  
ლიმის ტაძრის გუმბათი, ეს ორი ერთმანეთის საპირისპირო სული დგას, მაგრამ გააჩნია, ზე-  
ბუნებრივი არსებები არიან ისინი, როგორც ქრისტე და ეშმაკი, თუ ჩვეულებრივი მოკვდავე-  
ბი, როგორც ტალოსი და დედალოსი. მეორე მოკამათე წყვილი, რომელიც ისევ ტალოსმა და  
დედალოსმა გაგვახსენა, რასაკვირველია, აზრობრივი განვითარების უფრო მაღალი საფეხუ-  
რია – ისინი ერთმანეთს ხელს არ ჰკრავენ, რადგან შეგნებული აქვთ ერთმანეთის აუცილებ-  
ლობა. უფრო სწორად, მარადიულობა აერთიანებს მათ და არა ცხოვრება. თუ არ იქნება ეშმა-  
კი, არ იქნება ქრისტეც, ანდა, პირიქით, თუ არ იქნება ქრისტე, არ იქნება ეშმაკიც, რადგან კა-  
მათისთვის და დაპირისპირებისთვის, ანუ თანხმობისთვის და წონასწორობისთვის ორივე  
უნდა იყოს. მართალია, «ხელის კვრის» იდეა იქაც არსებობს, მაგრამ ეშმაკისა და ქრისტეს და-  
პირისპირება იგივე თანაარსებობაა, მათი კამათი საკუთარ თავთან ლაპარაკსა ჰგავს, რადგან  
ისინი წინასწარ არიან შეგუებულნი ერთმანეთის არსებობას და ეს შეგუება სამყაროს  
სამყაროს მარადიულობის შეგნებითაა გამოწვეული. ეშმაკმა სიტყვით გამოსცადა მეტოქე და,  
მის ღირსებებში დარწმუნებული, მეტი პატივისცემით განიმსჭვალა საკუთარი თავისადმი.  
ხოლო დედალოსი და ტალოსი ჩვეულებრივი მოკვდავეები არიან და ამიტომ, მითის შემ-  
ქმნელთა აზრით, კამათისთვის არ სცალიათ, მათ თავიანთი მიწიერი ცხოვრება აქვთ მოსაგ-  
ვარებელი, მიწაზე უნდა დამკვიდრდნენ ჯერ და თუმცა მათი სამკვიდრო ათენის აკროპო-

ლისიდან საკმაოდ ვრცელი ჩანს, მაინც ვერასოდეს გაიყოფენ მას უსისხლოდ და უმტკივნეულოდ – სადაც არ უნდა წავიდეს რომელიმე მათგანი, მაინც მეორის საკუთრებაში შეიჭრება, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, უკვე რომ არსებობს და, რაც მთავარია, მეორემაც იცის მისი არსებობის შესახებ. თუკი ქრისტესა და ეშმაკის კამათში პირადული გამორიცხულია, მათი წინაპრების, ტალოსისა და დედალოსის კამათი მხოლოდ პირადულითაა შთაგონებული. დიდი მხატვარი ვერ ურიგდება მეორე მხატვრის, თანაც საკუთარი დისშვილის წარმატებას, იმიტომ რომ ადამიანია, ხოლო რაკი ადამიანია, მასთან ერთად მთაზე განმარტოება სახიფათოა. სიმაღლე ადამიანს თავბრუს ახვევს, განსჯის უნარს უკარგავს, ილუზიებით უვსებს სულსა და გონებას, მარადიულს წამიერად, ხოლო წამიერს მარადიულად მოაჩვენებს, რის შედეგადაც ჭეშმარიტება კი არა, კიდევ ერთი დასახიჩრებული გვამი იბადება მხოლოდ, კიდევ ერთი უაზრო მსხვერპლი, კიდევ ერთი უნებლიე ბოროტმოქმედი.

მითი გვარწმუნებს, დედალოსს ადამიანური შური ტანჯავდა და იმიტომ ჰკრა ხელი (ალბათ გაოცებისგან პირდაღებულ) დისწულსო. ვინ იცის, ეგონა, მეტოქესთან ერთად მტანჯველ გრძნობასაც მოიშორებდა, მაგრამ სინამდვილეში, ამ გრძნობის მარადიულობა დაამტკიცა მხოლოდ, ანუ სხვებისთვის (ჩვენთვის) განაზოგადა ის, რასაც კონკრეტულად შეეწირა თავად, არამარტო როგორც ადამიანი, არამედ როგორც შემოქმედიც, რადგან მისი მოწინააღმდეგე, საპირისპირო ვნება, აზრი და მისწრაფება, რომლის არსებობაც უკვე თავისთავად განაპირობებდა მისი, როგორც ხელოვანის არსებობას, სადღაც ქვევით, სისხლით გადაწითლებულ ლოდებზე ეგდო ხევში და უკვე ყველაფერი სულერთი იყო იმისთვის, მიწიერი ცხოვრებაც და მითოლოგიური უკვდავებაც.

ისე, კაცმა რომ თქვას, ადამიანი სწორედ თავისი სისუსტეებითაა საინტერესო. უფრო მეტიც, სისუსტეებითაა ძლიერი, ყოვლისშემძლე, ყოვლის ამტანი. შეიძლება ითქვას, ადამიანის ჭეშმარიტ სახეს მისივე სისუსტეები განაპირობებს. ადამიანი სუსტი რომ არ იყოს, არც გაფრენის სურვილი გაუჩნდებოდა ალბათ. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, ტალოსი რომ არ მოეკლა დედალოსს. არაფერიც არ მოხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერაფერს გავიგებდით – იკამათებდნენ, იჩხუბებდნენ, დაიქანცებოდნენ ერთმანეთის განქიქებით და ისევ თავ-თავიანთ სახელოსნოებს დაუბრუნდებოდნენ. გაცოფებული დედალოსი ყველაზე მსუქან ფუნჯს ყველაზე კაშკაშა საღებავში ამოუსვამდა და დიდი, აცაბაცა ასოებით დაჯღაბნიდა კედელზე: ჩემი დისწული უნიჭო მხატვარი და ნიჭიერი დემაგოგიაო. რასაკვირველია, არც ტალოსი ჩამორჩებოდა ბიძას და ის უფრო დიდი ასოებით დაწერდა: ბიძაჩემი დესპოტია, გასაქანს არ მამლევს ცხოვრებაშიო. მერე ალბათ ხალხამდეც მიაღწევდა ბიძა-დისწულის სათაკილო პაექრობის ამბავი და ისიც (ხალხი), როგორც სჩვევია, თავისი სტიქიური, დაუკონკრეტებელი სიკეთის გამო უმაღ უმცროსს მიემხრობოდა, ვიდრე ღირსეულს. დედალოსიც იძულებული შეიქნებოდა, ენაზე კბილი დაეჭირა, რადგან მაინც ვერ განუმარტავდა ყველას, მით უფრო ხალხს, თვითონ გენიოსი რომ იყო, ტალოსი კი მხოლოდ და მხოლოდ გენიოსის დისწული. თუმცა რაკი აჯიბრებდნენ, ალბათ ისიც წარმოადგენდა რაღაცას, მაგრამ მართლა მჯობნი რომ ყოფილიყო დედალოსისა, მითის შემქმნელები იძულებულნი გახდებოდნენ, სხვა კონფლიქტი მოეგონებინათ, რადგან მათი თვალსაზრისით (რაც მითოლოგიაში უაღრესად ტრადიციული ხერხია), ბიძა-დისწულის ურთიერთობას გაუგებრობა უდევს საფუძვლად და ამითაა მომხიბლავი, თუ გნებავთ, დრამატულიც – ღირსეულს უღირსისა შურს, უფრო სწორად, სხვა ჰგონია ის, რაც თვითონაა. მოკლედ, დედალოსს ტალოსი რომ არ მოეკლა, მოხდებოდა ის, რაც ყოველდღიურად ხდება ჩვენთანაც და სხვაგანაც და რაც უმაღლ ამაგრებს, ვიდრე არღვევს ჩვენს წარმოდგენას ქცევისა და ზნეობის ნორმებზე. ეს მკვლელობა დედალოსს თავად «ღმერთებმა» შთააგონეს და ისევ და



ისევ კაცობრიობის სასიკეთოდ. რა თქმა უნდა, სამწუხაროა ტალოსის სიკვდილი, მაგრამ ეს დანაკლისი, შესაძლებელ დანაკლისთან შედარებით, მაინც ადვილი ასატანია, მით უფრო რომ უბედური ტალოსი აქამდე მილიონჯერ მოკვდებოდა თავისი სიკვდილით და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, უსახელოდ და უშედეგოდ. ტალოსი მითის შემქმნელებისგან თავიდანვე მსხვერპლად იყო გამიზნული – დიად, უდიადეს ჩანაფიქრს უნდა შესწირვოდა. ადამიანმა რამეს რომ მიაღწიოს, წინააღმდეგობა სჭირდება. როგორც უკვე ვთქვით, წინააღმდეგობა კი არ აფერხებს, კიდევ უფრო უბიძგებს ხოლმე მიზნისკენ, ძალასა და ენერგიას ჰმატებს გზადაგზა, როგორც ისარს – ლარი, მხტომელს – ჭოკი, ცხენს – დეზი. სწორედ ლარის, ჭოკისა და დეზის მაგივრობა უნდა გაეწია ტალოსს დედალოსისთვის. დედალოსს ტალოსი რომ არ მოეკლა, არც კრეტაზე გასაქცევად გაუხდებოდა საქმე, ხოლო კრეტაზე თუ არ გაიქცეოდა, არც მინოსს ჩაუვარდებოდა ხელში, ესე იგი, არც ლაბირინთში ამოყოფდა ბოლოს თავს და, აქედან გამომდინარე, არც არასოდეს დაებადებოდა გაფრენის სურვილი. ეს სურვილი კი ყველა საჩუქარზე ძვირფასია კაცობრიობისთვის და უსასრულოდ აღემატება ყველაფერს, რისი მოცემაც დედალოსს შეეძლო თავისი მხატვრობით, თანაც დისწულთან ერთად. დედალოსმა თავისუფლება დაკარგა და ფრთები მოიპოვა, ანუ ჩვეულებრივი ბიძა და თუნდაც არაჩვეულებრივი მხატვარი, ერთ-ერთ უკეთილშობილეს სიმბოლოდ იქცა, სიმბოლოდ თავისუფლებისა, სიმტკიცისა, სიჯიუტისა, დაუოკებელი, დაუღვეველი, დაუქანცველი მისწრაფებისა სინათლისკენ, იმედისკენ... მან, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სულში გამოისხა ფრთები და, ოცნების თვალუწვდენელ ლაჟვარდებში აფრენილმა, ყველა მინოსს ერთდროულად გამოუყო ენა.

კრეტის პერიოდი, ანუ მონობაში გატარებული დრო, უაღრესად მდიდარია ცხოვრებისეული მოვლენებით. სხვას რომ თავი გავანებოთ, აქ აშენებს დედალოსი ლაბირინთს და აქ იბადება იკაროსი – იგივე ტალოსი – მკვდრეთით აღმდგარი, კიდევ ერთხელ დასაღუპად, ანუ, იმ იდეების უკეთ წარმოსაჩენად, მითის შემქმნელებსაც რომ არ ჰქონდათ ბოლომდე გარკვეული, უფრო სწორად, თვითონაც რომ არ იცოდნენ და უნდოდათ გაეგოთ, ყველანაირი ხერხი გამოდგება თუ არა თავისუფლების მოსაპოვებლად, სჭირდება თუ არა ადამიანს თავისუფლება, თუკი ადამიანობის დაკარგვის ფასად მოიპოვებს მას, დაბოლოს, რამდენად სახარბიელოა კაცობრიობისთვის თავისუფლება საერთოდ. ამიტომაცაა ალბათ, სრულებითაც რომ არ გვიკვირს, როცა ეს ნატიფი ხელოვანი უყოყმანოდ კისრულობს ლაბირინთის აშენებას, ოღონდ, იმიტომ კი არა, ეს რომ მიაჩნია თავის უმთავრეს მოვალეობად, არამედ ასე მაინც გამოთქვას თავისი დაბნეულობა და გულისწყრომა, მონური თვალთმაქცობითა და მონური ვერაგობით გამოხატოს ქვაში მიწიერი ცხოვრების მოდელი – ყველაზე საზარელი სახლი, სადაც კი ადამიანს როდისმე «უცხოვრია». განა მისი ცხოვრებაც ლაბირინთივით დახლართული არ იყო და განა მისი სულიც, გაჩენის დღიდან, უჩინარ კედლებს შორის არ დაძრწოდა, უაზროდ დაკარგული დროისა და გარდაუვალი დაღუპვის შიშით შეძრწუნებული?! დიახაც ასე იყო, მაგრამ დედალოსს სახელი ვერ დაერქმია, ვერ მოეხერხებინა დაკონკრეტება იმ დიდი ცოდნისა და გამოცდილებისა, რაც უკვე საკმაოდ დაეგროვებინა ამქვეყნიურ წუმბეებში ხეტიალით. ხოლო სიტყვა «ლაბირინთმა», მით უფრო მინოსის პირიდან ამოსულმა, ყველაფერს ერთად მოუყარა მის გონებაში თავი, დაახარისხა, დაალაგა და სინამდვილის ამაზრზეონი სურათი, რომელსაც იქამდე ყოველდღიური საქმიანობა და საზრუნავი აფერმკრთალებდა, მთელი თავისი თავზარდამცემი სიდიადით, სიმტკიცითა და სიცარიელით, ისევ მაღლა ამოცურდა, როგორც ხანგრძლივი, მაგრამ უშედეგო ძებნის შემდეგ თავისთავად ამოცურდება ხოლმე დამხრჩვალის გვამი წყლის ზედაპირზე, რათა წელში გამწყდარ მყვინთავებს შრომა მართლა წყალში არ გადაეყაროს, ხოლო ჭირისუფლის გულიდან ერთი დაკვრით სამუდა-

მოდ ამოიძირკვოს უნებურად, მხოლოდ და მხოლოდ უშედეგო ძიების გამო აღმოცენებული იმედი, უდღეური ნაყოფი წარმოდგენისა და არა სინამდვილისა. მაგრამ რაც არ უნდა მტკივნეული იყოს ამ უდღეური ნაყოფის მოსპობა ჭირისუფლისთვის, გვამის ხილვა მაინც აბათილებს მას, რადგან გვამი უტყუარი საბუთია და, ამავე დროს, გამართლებაც გაწეული შრომისა. ჭირისუფალმა უკვე იცის, როგორ უნდა მოიქცეს, მას ნამდვილი, სერიოზული საქმე უჩნდება და ნაპირზე საყურყუტოდ და საოცნებოდ აღარ სცალია.

ასე ცხოვრობდა კრეტაზე დედალოსი, უფრო სწორად, ასე ელოდებოდა იმ დიად წამს, როცა ჩვეულებრივი მოკვდავი უკვდავებას უნდა ზიარებოდა. ხოლო ვიდრე ის თავის ლოდს დააგორებდა კრეტაზე, კონტინენტურ საბერძნეთშიც ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო, როგორც განგებას ჰქონდა ჩაფიქრებული. ღმერთებმა თავიანთი საქმე იცოდნენ და შეუცდომლად მოქმედებდნენ. მათ უკვე თეზევსი სჭირდებოდათ, თუნდაც იმიტომ, დედალოსისთვის ლაბირინთიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა რომ ჩაეგონებინა. თეზევსი უკვე თექვსმეტი წლისაა და, რომ იტყვიან, მტრის თვალს არ ენახვება, თუმცა ცოტა ხნის მერე მტრები უკვე თვითონ არიდებდნენ თვალს. თეზევსი აუცილებლად უნდა მოვლენოდა ქვეყანას, სადაც პროფესიული ტირანები, პროფესიული მკვლელები, პროფესიული გარეწრები და პროფესიული სადისტები არსებობდნენ, რომლებიც მსხვერპლს სიკვდილის შიშით ჯერ ადამიანურ ღირსებას ართმევდნენ და მერე სიცოცხლეს, ანუ შეგინებულსა და დამცირებულს კლავდნენ და სწორედ ეს ანიჭებდათ უდიდეს სიამოვნებას. ასე რომ, შეგინებული და დამცირებული კაცობრიობა მოუთმენლად ელოდებოდა თეზევსის გამოჩენას. ყველა ადამიანს სიცოცხლის დათმობა ერთნაირად უჭირს და, ვინ იცის, რამდენ დამცირებას, რამდენ უკუღმართობას იტანს იგი, რათა ერთი დღით, ერთი საათით მაინც გაიხანგრძლივოს წუთისოფელი. ყველანი გმირებად არ იბადებიან. გმირები ერთეულები არიან, ხოლო კაცობრიობის უმთავრეს ნაწილს ჩვეულებრივი ადამიანები შეადგენენ, რომლებიც ძალადობას ექვემდებარებიან და მოძალადის ნება-სურვილს იქამდე ასრულებენ, ვიდრე პირში სული უდგათ, ვიდრე ფიზიკურად შეუძლიათ ამ ნება-სურვილის შესრულება. ასე კი იმიტომ ხდება, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები რომ არიან და შიში და სისუსტე მათი დამახასიათებელი თვისებებია, რაც, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ არის დასაცინი, პირიქით, ისინი მხოლოდ სიბრალულსა და თანაგრძნობას იმსახურებენ, თუმცა მათი ფიზიკური სისუსტე ხელს უწყობს მათივე გონების ზრდასა და განვითარებას. განა მათი გონების ნაყოფი არ არის ყველა ის გმირობა, რაც თეზევსმა უნდა ჩაიდინოს?! რაც მათმა მკლავმა ვერ შეძლო, გონებამ აღასრულა და ამით, უპირველეს ყოვლისა, მტკიცე საყრდენი აუშენა საკუთარ სისუსტეს, დაიიმედა, გაიმხნევა საკუთარი თავი. თეზევსი ჩვეულებრივი ადამიანის მიერ დაშვებული შესაძლებლობაა, ის ჩვეულებრივი ადამიანის სურვილსა და ოცნებას ასახიერებს. იმიტომ ნურც ზედმეტად მომთხოვნნი ვიქნებით, ნურც ზედმეტად გულგრილნი – ერთიცა და მეორეც წყალს უსამართლობის წისქვილზე ასხამს, უსამართლობა კი, როგორც მოგეხსენებათ, ბოროტების სამსახურში დგას, იმის სალაროდან იღებს ხელფასს. ხოლო ზღაპარსა და მითს, ყველა სიკეთესთან ერთად, სხვა, განსაკუთრებულად მიმზიდველი თვისებაც გააჩნია: რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო ან მოისმინო, ყოველთვის ახალ მნიშვნელობას იძენს, სულ სხვა მხარეს მიმართავს ხოლმე ჩვენს გონებას და აუცილებლად ახალ საოცრებას, ახალ იდუმალ სამყაროს გაგვიხსნის, თუკი, თავისთავად ცხადია, მეტი გულისყურით, მოთმინებითა და ინტერესით წავიკითხავთ, ანდა მოვისმენთ, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს უნარსა და სურვილზეა დამოკიდებული. ასე რომ, როგორი მოსაწყენიც არ უნდა იყოს ჩვენთვის, გუნებაში მაინც, ერთხელ კიდევ გავიაროთ გმირთან ერთად ხიფათებით სავსე გზა ტროიძენიდან ათენამდე და, რაც ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ათენიდან კრეტამდე. კრეტაზე

დედალოსი იცდის, უკვე თექვსმეტი წელიწადია მისი არსება ერთადერთი ფიქრითაა შეპყრობილი და ამ ფიქრს ისე ჩაბლაუჭებია, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვი – დედის კალთას, რადგან ღრმადაა დარწმუნებული, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფიქრმა უნდა გაიყვანოს იგი უკვდავების მოედანზე, ბოლოს და ბოლოს მოუპოვოს თავისუფლება, ურომლისოდაც ადამიანი უბედურია და ეს უბედურება იმდენად თვალნათელი, იმდენად ხელშესახებია, მისი უარყოფა ანდა მიჩქმალვა ყოვლად შეუძლებელია. დაიმსახურა თუ არა დედალოსმა ეს უბედურება, სხვა საკითხია და ახლა ამას აღარა აქვს არავითარი მნიშვნელობა. რაც მთავარია, ის ნამდვილად უბედურია და ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი, ანუ ნათქვამია მთავარი: ღმერთების თავისუფლება ადამიანისთვის გაკვეთილი არ არის, ადამიანს თავისი, ადამიანური თავისუფლება სჭირდება და მხოლოდ და მხოლოდ თვითონ უნდა მოიპოვოს ის, საკუთარი არსების გარეთ კი არა, შიგნით, სულსა და გონებაში. თუ ერთი ადამიანი მაინც, ვინც არ უნდა იყოს იგი, მონაა – კაცობრიობას თავისუფლების ნება არა აქვს, რადგან თუ ერთი კაცი მაინც ფიქრობს, მთელი კაცობრიობის სახელით ფიქრობს და რასაც იგი მოიფიქრებს, მთელი კაცობრიობის საკუთრებაა. დედალოსიც ყველა ჩვენგანის სახელით ფიქრობს, ვიდრე თეზევსი ათენისკენ მიემუშრება და პოსეიდონის ღვთაებრივი სისხლით დაბერილ მკლავებს უქმად არ აცდენს. დედალოსი აღგზნებული, აფორიაქებული ფიქრობს და მალე მისი ნაფიქრალი მიწაზე ჭიპით მიბმულ კაცობრიობას ფრთებით შემოსავს. ესაა მისი მოწოდება, ესაა მისი მთავარი დანიშნულება და, როგორც მოგეხსენებათ, არავითარ შემთხვევაში არ დაიხვეს უკან, ნებისმიერ მსხვერპლზე წავა თავისი თავგანწირული ოცნებისა თუ გამოგონების გულისთვის. ისიც საგულისხმოა, ცაში გამოკიდული რომ გლოვობს საკუთარ სისხლსა და ხორცს, ახლა უკვე საბოლოოდ, უკვე ვეღარც ნაშიერის დაღუპვა (თუნდაც განმეორებითი) ააღებინებს განზრახვაზე ხელს, რაც არ უნდა ცუდად ახასიათებდეს ეს ამბავი მას, როგორც ჩვეულებრივ ადამიანსა და მშობელს. დედალოსი ყველაფერს დაუფიქრებლად სწირავს საკუთარ განზრახვას და ეს, უპირველეს ყოვლისა, თავად განზრახვის სიდიადეზე, განზრახვის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე მეტყველებს. მაგრამ ისიც ხომ ერთ რამედა ღირს, აქამდე რომ ვერ შექმნილა მსოფლიო ლიტერატურაში უფრო შემძვრელი, უფრო ადამიანურად ტრაგიკული სურათი შვილთან, ანუ, საერთოდ მიწიერ ცხოვრებასთან გამოთხოვებისა. და მართლაც, როგორი წარმოსადგენია: გვერდით შვილი გელუპება, ხედავ, ხვდები – მიშველება კი არ შეგიძლია, ცაში ხარ გამოკიდული, ხელოვნურ ფრთებზე ხარ მილურსმული, ჯვარცმული. ხოლო შვილის ფრთებზე ცვილი უკვე დნება – შენც დაგეცა სახეზე ერთი მსხვილი, ცხელი წვეთი – შენი შვილი კი უფრო მაღლა მიიწევს, მზისკენ... შენ უნდა გაჯობოს. დარწმუნებულია, შენზე მეტად უყვარს მზე, შენზე მეტად გრძნობს უსაზღვრო სივრცეში ლივლივის სიამეს. არადა, ჩვეულებრივი ბრიყვია – ჯერ ადრე იყო იმისთვის გაფრენა, რადგან ჯერ კარგად არც თავისუფლების ფასი იცის, საერთოდ არ იცის, რადგან, მამისგან განსხვავებით, მონობაშია დაბადებული და მონობა ბუნებრივი მდგომარეობაა მისთვის. ცაში აფრენილი, კი არ განთავისუფლდა რაღაცისგან – მტანჯველისგან, აუტანლისგან, დამაკნინებლისგან – არამედ ჩვეულებრივად აცუნდრუკდა უმეთვალყუროდ დარჩენილი ნებისმიერი ბავშვივით, ანდა იალაღზე გაშვებული კვიცივით. თავისუფლება მისთვის შეგნებული, გათვითცნობიერებული მისწრაფება კი არ იყო სულისა, არამედ ბნელი და გაურკვეველი, შემაწუხებელი და შემბორკავი მოთხოვნილება ხორცისა. ამიტომაც დაიღუპა. განთავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, დაბრძენებას გულისხმობს. ის კი, როგორც უკვე ვთქვით, სწორედაც რომ აცუნდრუკდა, სხვა სიტყვას ვერც მონახავს კაცი, ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა, რასაც მამა უხსნიდა და ასწავლიდა წლების განმავლობაში, გაფრენამდე, ლაბირინთის აქოთებულ წყვიდადს მიყურადებული. მაინც ისე მოიქცა, როგორც არ უნდა მოქცეულიყო. მაგ-

რამ მაინც შენი შვილია და ხელოვნურ ფრთებზე მილურსმული, აჰბლავი ცას – ძირს, იკაროს, ძირს, მიწისკენო. ცრემლმა ლამის დაგახრჩოს, პირში ჩაგდის, შენ კი მაინც გაჰყვირი: ძირს, ძირს, ძირს! – მაგრამ უკვე გვიანია: ცვილი სულ მთლად გადნა. შენი შვილი, ხელფეხგაფარ-ჩხული, თავდაყირა მიჰქრის მიწისკენ. აი, გაგისწორდა. სახე აღარ ადევს, უზარმაზარ, ცარიელ თვალებადაა ქცეული. შენ, ფრთებგაშლილი, ლივლივებ შვილის თვალებში. აი, ჩაგცდა კიდეც – შვილო, შვილო, შვილო! – ჩასძახი ახლა ზემოდან და გამალეებული იქნევ ფრთებს, შენც რომ არ წახვიდე თავქვე. მართალია, შვილი გელუპება, მაგრამ გონიერი არსება ხარ და, უბრალოდ, ვერ შეძლებ ასე უგნურად დაღუპვას.

დედალოსის სულში თავისუფლების თესლი რომ არ გაღვივებულიყო, მისი სახელიც ისევე დაიკარგებოდა ჩვენთვის, როგორც მისი შემოქმედება. დედალოსი მაშინ გახდა ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელი, როცა მის თავისუფლებას საფრთხე დაემუქრა. ყველაფერი, რაც იქამდე მოხდა, იმიტომ მოხდა, დედალოსს ეს რომ ეგრძნო და, მიუხედავად მსხვერპლის სიმძიმისა, მაინც აღესრულებინა თავისი გიჟური განზრახვა, თუკი უნდოდა, კაცობრიობა თავიდანვე არ შეჰკუებოდა მონობას.

დედალოსმა ყველა ჩვენგანს აჩუქა თითო ბუმბული თავისი ფრთისა...

1969-1988

### ვგმობ სისასტიკეს!

(რადიოგამოსვლა 1989 წლის 11 აპრილს)

დარწმუნებული არა ვარ, რაიმე ზემოქმედებას თუ მოახდენს ჩემი სიტყვა თქვენს სულსა და გონებაზე, მაგრამ აღარც გაჩუმება შემიძლია – არა რომელიმე ჩვენგანის, არამედ საერთოდ საქართველოს ხვალინდელი დღეა საფრთხეში. არასოდეს არ ყოფილა ალბათ ასე საჭირო ჩვენი განუყოფლობის, ჩვენი ერთიანობის შეგრძნება და შეგნება, შეგნება და გაანალიზება უბედურებისა, ყველას ერთნაირად რომ დაგვატყდა თავს. მთელი ჩემი არსებით ვგმობ იმ არაადამიანურ სისასტიკეს, ანგარიშსწორების იმ ბარბაროსულ მეთოდს, მსხვერპლისადმი იმ ცინიკურ განურჩევლობას, რისი მოწმენიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ცხრა აპრილის ღამით გავხდით. ეს ღამე ალბათ ახალ «ბართლომეს ღამედ» ჩაიწერება მსოფლიოს ისტორიაში, ხოლო ჩვენს შეგნებაში მარადიულ წყვდიადად დარჩება – აღარასოდეს გათენდება, როგორც არ უნდა წარიმართოს ხვალისა და ჩვენი ცხოვრების გზები. ჩვენ კი არ დაგვსაჯეს, როგორც, დავუშვათ, პოლიტიკური დამნაშავენი, არამედ ბნელში, ფაცაფუცით, გაუსამართლებლად ამოგვხოცეს, როგორც, დავუშვათ, ქვეწარმავლები. ჩვენი ყველაზე დიდი დანაშაული კი თავისუფლებისკენ სწრაფვა იყო და სხვა არაფერი. ხოლო თავისუფლებისკენ სწრაფვა საერთოდ ადამიანის მთავარი თვისებაა და არაფერია ამაში არც გაუგებარი, არც მოულოდნელი, არც გადამეტებული და, რაც მთავარია, არც სხვებისგან გამოსარჩევი. პირიქით, თუკი გვამსგავსებს, სწორედ ეს უკეთილშობილესი თვისება თუ მოთხოვნილება გვამსგავსებს იმ ბედნიერ ხალხებს, სხვებზე ადრე რომ გაიარეს თვითგამორკვევის, თვითდამკვიდრების, თვითშემეცნების გზა. ეს გზა, ადრე თუ გვიან, ყველა ხალხმა უნდა გაიაროს და მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენც. მაგრამ საქმეც ისაა, ვინ როგორ გაივლის ამ გზას, ანუ ბოლომდე გაივლის, თუ შუა გზაში შეფერხდება, დაიბნევა, გადაცდება, მხარი ექცევა... სიბნელიდან სინათლეზე ერ-

თბამად გამოსვლა სახიფათოა – გადაჩვეულმა სინათლემ, შეიძლება, ისე დაგვაბრმავოს, სულ უბრალო დაბრკოლებაც საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენთვის; შეიძლება ისე მოვიქცეთ, როგორც არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეოდა, თუნდაც დაბადებით ბრმა ადამიანი, რადგან მან ასევე დაბადებიდან იცის – ბრმაა – და ბუნებისგან მომზადებულიცაა მარადიულ სიბნელეში საცხოვრებლად. ჩვენი მოვალეობა კი სიბნელიდან გამოსვლა, სიბნელის დაძლევაა სწორედ. ამიტომაცაა ახლა ჩვენთვის აუცილებელი დამშვიდება, გონებისა და ძალის მოკრება. ჩვენი დღევანდელი უბედურება როდი ნიშნავს იმას, ჩვენს მიზანზე, ანუ ადამიანის მთავარ მოთხოვნილებაზე ავიღოთ ხელი. მიზანი იგივეა, ხოლო რაკი მიზანი გვაქვს, სიცოცხლესაც უნდა გავუფრთხილდეთ, რამდენადაც ერთი განაპირობებს მეორეს: სიცოცხლის გარეშე ვერავითარ მიზანს ვერ მივაღწევთ და უმიზნოდ არანაირ სიცოცხლეს არა აქვს აზრი. თუკი კაცობრიობას მართლა უწერია მომავალი, მიუხედავად მისი დღევანდელი ზნედაცემულობისა და გულმხეცობისა, ჩვენს შთამომავლობას ალბათ ძალიან გაუჭირდება ამ მასობრივი მკვლევლობის მესვეურთა როგორც პოლიტიკური, ისევე ადამიანური მრწამსის გაგება, მით უფრო – გამართლება. საამისოდ არც ის ანტისაბჭოური პლაკატები იქნება საკმარისი, რომლებიც უმაღლეს ჩვენს გულუბრყვილობას ადასტურებდა, ვიდრე ჩვენი პოზიციის სიმტკიცესა და სიძლიერეს. და მაინც, როგორც ყოველთვის, სასჯელის ზომა ახლაც უკიდურესი აღმოჩნდა. ალბათ ესეც ჩვენი ბრალია, როგორც სხვა ყველაფერი. ალბათ ჩვენივე ეროვნული თვისებები განაპირობებს არამართო დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დასჯის მეთოდსაც. ასეთია, სამწუხაროდ, მწარე სიმართლე, ასე გვიყურებენ სხვები. ბევრი ჩვენი ეროვნული უბედურება ჩვენს ეროვნულ დანაშაულადაა მიჩნეული. ასე კი იმიტომ ხდება, ოდითგანვე მტრებით რომ ვართ გარემოცულნი, გამკითხავი კი არავინაა. დაჩაგრულნი კი არა ვართ სხვათა თვალში, არამედ – მჩაგვრელები; აბუჩად აგდებულნი კი არა – აბუჩად ამგდებნი. არადა, ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ნებისმიერი ლტოლვილი თავს მასპინძლად გრძნობს, თავის ენაზე ნათლდება, თავის ტაძარში ლოცულობს, თავის თეატრში იღებს სულიერ საზრდოს, როცა მსგავსიც არაფერი შეუქმნია არც თავისუფლების სიმბოლოს – საფრანგეთს, და არც «ინტერნაციონალიზმის მედროშეს» – რუსეთს. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი არავის არ ესმის. ნურც ჩვენ მოვიტყუებთ თავს, გავუსწოროთ სიმართლეს თვალი და კვლავინდებურად გავმაგრდეთ «ჭირსა შიგან». არც ქალბატონი ტეტჩერი და არც ბატონი ბუში გამოიღებენ თავს ჩვენი გულისთვის. ჩვენ არავის ვჭირდებით, თუნდაც იმიტომ, ჩვენი გამოქომაგება გარკვეულ რისკთან რომაა დაკავშირებული. ასე იყო ყოველთვის. ამიტომ როგორც აქამდე დაგვიცავს ჩვენი მეობა, ახლაც ისე უნდა დავიცვათ – გარე-გარე ყურებითა და ფუჭი იმედით კი არა, საკუთარ სულში ჩაღრმავებითა და მწარე სიმართლის ხვრეპით. დიახაც რომ ღმერთი ჩვენთანაა, რაკი დღესაც გვახსოვს ჩვენი ქართველობა და დღესაც შეგვიძლია მისთვის თავის გაწირვა. სამშობლოს დაკარგვა იგივე მეობის, ადამიანობის დაკარგვაა; მამის საფლავის დამვიწყებელს სხვაზე ადრე საკუთარი შვილი შეაქცევს ზურგს; ღირსებააყრილ კაცს არც მტერი სცემს პატივს და არც მოყვარე. გარდა ამისა, ჩვენ შემოქმედი ხალხი ვართ და დაღუპვის უფლება არა გვაქვს. დიდი გზის მგზავრები ვართ და სხვებზე მეტის მოთმენა გვმართებს. ღმერთმა ქნას, ჩვენი შვილები თუ არა, ჩვენი შვილიშვილები მაინც განწმენდილიყვნენ იმ უსამართლო სიძულვილისგან, ცილისწამებებისგან, ცოდვებისგან – დაუნდობელმა ისტორიამ რომ მოგვახვია თავს. ხვალინდელ ქართველზე მაინც ეთქვას თვალახელილ, გონებაგახსნილ მსოფლიოს ის ეპითეტები, ჩვენმა წინაპრებმა ბევრი დღევანდელი მოწინავე ქვეყნის ჩასახვამდე რომ დაიმკვიდრეს სამართლიანად: ზრდილი, გონიერი, ღვთისნიერი, კაცთმოყვარე, გულადი, გულუხვი, სულგრძელი... ჩვენი გზა ძნელი გზაა, ჩვენი ბედი ჭირვეულია, მაგრამ მაინც უნდა შევეგუოთ ბედს, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშ-

ნავს, აღარ ვცადოთ საცდელი. ლეგენდებს რომ მივყვეთ, ჩვენ დაბმული გმირის შთამომავლები ვართ და იმისგან მოგვდევს ნებისმიერი ბორკილის გაწყვეტის ჟინი. ქართველობა მართო ეროვნება არ არის, გარკვეული თვალსაზრისით, სასჯელიცაა – ამას ადასტურებს მთელი ჩვენი ისტორია, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენდა საბედნიეროდ და საამაყოდ, ქართველობა არასოდეს ყოფილა მონობის, უმწეობის, ჩაგრულობის, უსახლკარობის სიმბოლო, რის გამოც არასოდეს დაგვიმსახურებია არც თანაგრძნობა და არც სიბრალული დანარჩენი მსოფლიოსგან. სამაგიეროდ, დანარჩენი მსოფლიო ყოველთვის მეტოქეს, პარტნიორს ანდა კონკურენტს ხედავდა ჩვენში. მე მხედველობაში მყავს ისეთი დიდი სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც საქართველოსხელა სამხედრო პოლიგონები აქვთ. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ისევ სიცოცხლისკენ, ისევ გადარჩენისკენ მოგვიწოდებს. პირადად მე, თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, სხვათა სიბრალულსა და თანაგრძნობას ისევ სხვათა შური და ჯიბრი მირჩევნია. ამიტომ მოდით, ისევ ჩვენი, სხვათა დაუხმარებლად, ფუჭი იმედის გარეშე ვზიდოთ ჩვენი ყველაზე მძიმე და ყველაზე ძვირფასი ტვირთი – ჩვენი მეობა. რაც არ უნდა მწარე იყოს, ერთხელ კიდევ ჩამოვიბანოთ ჩვენი მარადიული, მარად პირდაღებული, მარად შეუხორცებელი ჭრილობები; კიდევ ერთხელ მივაბაროთ მიწას, ვინ იცის, მერამდენედ მოკლული, მერამდენედ შეურაცხყოფილი, აბუჩად აგდებული ცხედარი ჩვენი ჯერ კიდევ გასათენებელი მომავლისა; ერთხელ კიდევ დავიჩოქოთ ჩვენი ამოუვსებელი სამარის წინ და ერთხელ კიდევ დავდოთ ფიცი: არასოდეს, არავითარ შემთხვევაში, არაფრის გულისთვის რომ არ მოვიშორებთ ტვირთს, რომელიც ღმერთმა და დედაბუნებამ აგვიკიდა, არ ვუღალატებთ გზას, რომელიც ჩვენმა კეთილშობილმა წინაპარმა გაგვიკვალა, არ დავკარგავთ თვალთახედვიდან მიზანს, რომელიც ჩვენმა უკეთესმა თანამემამულეებმა დაგვისახეს.

1989

### სიყვარულის სამსახური

აღბათ არასოდეს არ ყოფილა თანაგრძნობა და სიყვარული ისე საჭირო ადამიანისთვის, როგორც დღესაა. დღეს მთელი კაცობრიობა უდიდესი განსაცდელის წინაშე დგას და ბევრი რამ თავად ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს პირადულ თვისებებსა და ღირსებებზე. დიახ, დღეს გამოჩნდება, რანი ვართ და რისი ღირსნი ვართ საერთოდ, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია კანონზომიერებაა სამყაროსთვის თუ შემთხვევითობა. პირადად მე ეჭვიც არ მეპარება, უკეთეს ცხოვრებას, უკეთეს მომავალს რომ იმსახურებს ადამიანი, მაგრამ ნებისმიერ ეპოქაში დგება ჟამი, როდესაც ის (ადამიანი) იძულებულია ერთი სიტყვით, ერთი ნაბიჯით გამოთქვას და გამოხატოს, რის გამოც აუცილებლობად მიაჩნია თავად საკუთარი არსებობა და რის გამოსათქმელად და გამოსახატავად საერთოდ განუსაზღვრელი დრო აქვს გამოყოფილი ღმერთისგან. აი, სწორედ ის სახიფათო, ის გადამწყვეტი ჟამი გვიდგას დღეს და ყველა ჩვენგანმა მთელი თავისი შეგნება, მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი ცოდნა-განათლება, მთელი თავისი გრძნობები და განცდები იქითკენ უნდა მიმართოს, იმ ერთი გადამრჩენი სიტყვის თქმა და იმ ერთი გადამრჩენი ნაბიჯის გადადგმა რომ გაგვიადვილდეს როგორმე, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევძლოთ, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს. ჩემთვის ის ერთი გადამრჩენი სიტყვა «სიყვარულია», ის ერთი გადამრჩენი

ნაბიჯი მოყვასისგან კი არა, მოყვასისკენ გადადგმული ნაბიჯია. სიყვარული ჩვენი დამსახურება კი არ არის, ჩვენი მოვალეობაა. ამ გრძნობით ჩვენს უპირატესობას კი არ ვამტკიცებთ სხვებთან შედარებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ადამიანობას წარმოვაჩინებთ სხვების დასანახად. ამ გრძნობით თავის მოწონება არ შეიძლება, რადგან ღმერთისგან ბოძებული მაღლია და ვისაც არ გააჩნია, ის ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. თუ შევთანხმდებით, რომ სიყვარული აუცილებელი, საყოველთაო და სავალდებულო გრძნობაა, მაშინ იმის შეგნებაც გაგვიადვილდება, სიყვარული მხოლოდ ადამიანის სასიკეთოდ რომ უნდა იყოს მიმართული.

რასაკვირველია, ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ბევრი ხარვეზი, ბევრი ძნელად გადასაჭრელი პრობლემის არსებობა, ბევრი ძნელად მოსარევი სენისა თუ საფრთხის მოზღვავება, უპირველეს ყოვლისა, საერთოდ სიყვარულის, ყველანაირი სიყვარულის გაიშვიათების კანონზომიერი შედეგია. პოეტი ამბობს, უსიყვარულოდ უკვდავებაც არ არსებობსო, ჩვენ კი, რატომღაც, სიყვარულის გარეშე მოვინდომეთ ცხოვრებაში ფონს გასვლა, რადგან, ასევე ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო, არათუ ბიძგის მიმცემ, არამედ ხელის შემშლელ, შემაფერხებელ ფაქტორებს მივაკუთვნეთ ისიც. თუკი სიყვარულის გულისთვის ადრე ოჯახი ინგრეოდა (რის შედეგადაც მხოლოდ და მხოლოდ კიდევ უფრო მტკიცდებოდა საერთოდ ოჯახის საფუძველი), ახლა პირიქითაა – სოციალურად შედარებით უზრუნველყოფილი «ოჯახი» რომ შევექმნათ, დაუფიქრებლად, დაუნანებლად ვკლავთ სიყვარულს, რითაც, საბოლოო ჯამში, საერთოდ ოჯახის არსებობას ვხდით საეჭვოდ. შეიძლება ამის თქმა ჩემგან მკრეხელობაა, მაგრამ მირჩევნია მკითხველს გული ვატკინო, ვიდრე მოვატყუო – გავაწბილო, ვიდრე უსაფუძვლოდ გავახარო. პირადად მე ანგარებაზე დაფუძნებულ ბედნიერებას, ანუ ობივატელური თვალსაზრისით მოწესრიგებულ ყოფას, უანგარო, უჭერო, უსასთუმლო სიყვარული მირჩევნია, ანუ უბედურება, სიგიჟე, სიბრიყვე და სისუსტეც კი – დღევანდელი გაგებით. მაგრამ მე მე ვარ, ადამიანი კი გაცილებით ფართო ცნებაა. ადამიანი, ფართო გაგებით, ყოველთვის იმას ირჩევს, რაც იმ წუთას სჭირდება, რაც იმ წუთას გამოადგება. მხატვრულად რომ ვთქვათ, ცხოვრებას არსებობა ურჩევნია, თუნდაც იმიტომ, ცხოვრება თვითონვე რომ უნდა შექმნას, თანაც განსაკუთრებული, მისი ღირსი და მისი შესაფერი. არსებობისთვის კი მხოლოდ და მხოლოდ საარსებო საშუალებების მოპოვებაა საჭირო. გარდა ამისა, ცხოვრებაში არაფერია სანდო და საიმედო – იქ შეიძლება გაზაფხული შუა ზამთარში დადგეს, ხოლო ერთი «მშვენიერი წამი» დროის ყველაზე ვრცელი მონაკვეთი აღმოჩნდეს. გაუშვი, ქვის ქვეშ დაყურსული გომბეშო ვიყო, ოღონდ ცოცხალი ვიყო – ესეც ადამიანის ნათქვამია და, სხვათა შორის, უფრო ადამიანურიც, ვიდრე, ვთქვათ, ჯულიეტას უკანასკნელი რეპლიკა: «...მომკალ, შენ კი აქ მოისვენე». ქვის ქვეშ ხანგრძლივ სიცოცხლეს მილიონები ამჯობინებენ, ჯულიეტა კი ერთია, ყოველ შემთხვევაში, გამონაკლისია და სიყვარულის სახელით ყოველდღე იმიტომ კი არ იკლავს თავს ქვის ქვეშ დაყურსული მილიონების თვალწინ, თავის ჭკუაზე რომ მოაქციოს ისინი, არამედ – წამიერად მაინც რომ მოუოხოს იმათ გული, წამიერად მაინც გამოთიშოს ისინი გაუთავებელი, ყელში ამოსული საფიქრალიდან, რომელიც ყოველდღიური ყოფის ათასნაირი წვრილმანისგან შედგება და არათუ უნარი, სურვილიც არა აქვს, ოდნავ მაინც გასცდეს ოცნებასა და სინამდვილეს შორის გავლებულ ზღვარს.

უსიყვარულოდ დარჩენილმა ადამიანმა, რაც ჩვენი დროის ყველაზე დიდ ტრაგედიად მიმაჩნია, პირველ რიგში ოცნებაზე აიღო ხელი, რის გამოც თავისთავად გაუქრა მარადიულობის შეგრძნება და შეშინებული, გამწარებული ჩააფრინდა წარმავალს, ოღონდ, ამ წუთას რეალურად არსებულს, ხელჩასავლებს... უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, ადამიანი საკუთარმა ადა-

მიანობამ დათრგუნა – გაუთავებელი გულისხმეების, მღელვარების, შფოთვის, თვითგვემის, თავშეკავებისა და თავგანწირვის სურვილის მეტი ვერაფერი მისცა, ანუ, რაც კულტურამ შექმნა საუკუნეების მანძილზე, მაინცდამაინც ვერ მიესადაგა შეუზღუდავ, უკიდევანო, ურეგულამენტო ცივილიზაციას. მას კი (ადამიანს), განსაკუთრებით დღევანდელ დაძაბულ სიტუაციაში, ურჩევნია გომბეშო იყოს და გარანტირებული ჰქონდეს ხანგრძლივი სიცოცხლე, ვიდრე ოცნების ფრთებგამობმული იდუმალისკენ, მიუწვდომლისკენ, დიადისკენ მიისწრაფოდეს სულ. სამწუხაროდ, ასე მოხდა, ასეა დღეს და არც მთლად შემთხვევით. კონკრეტული დამნაშავეების მითითებაც შეიძლება, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საქმეს ვერ გამოასწორებს. ადამიანი ყოველთვის კლავდა მოყვასს, ყოველთვის შურდა მოყვასისა, ყოველთვის გაურბოდა თვალი და ხელი სხვისი სიმდიდრისკენ, სხვისი ცოლისკენ... როგორც უკვე ვთქვით, ასეთია მისი ბუნება, მაგრამ, ამავე დროს, ის აღზრდასაც ემორჩილება და ვნებათა მოთოკვის ძალაც შესწევს, მით უფრო, როცა აქეთკენ მოუწოდებ, როცა გარკვევით ეუბნებიან, რა ითვლება ცოდვად და რა – მადლად. ამიტომ რელიგია იქნება, ფილოსოფია, პოლიტიკური მოძღვრება თუ მხატვრული ლიტერატურა, პირველ რიგში, სიყვარულის უნარს უნდა უღვივებდეს ადამიანს. სიყვარულმა, შეიძლება, ბევრ რამეზე ათქმევინოს ადამიანს უარი, მაგრამ გაცილებით დიდი ბოროტებაა, როცა რაღაცაზე, თუნდაც უმნიშვნელო წვრილმანზე, უსიყვარულოდ თანხმდება იგი.

ვიღაცას უთქვამს: ქალები ან უნდა გიყვარდეს, ან უნდა შეისწავლო ისინიო. მე მგონი, ეს უფრო ლამაზი ნათქვამია, ვიდრე ჭეშმარიტება. სიყვარული უკვე სწავლაა, ოღონდ არამარტო ქალისა, რაც თავისთავად უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი ამბავია, არამედ ყველაფრისა, რაც ჩვენი ადამიანობის დონესა და ხარისხს განაპირობებს, სამშობლო იქნება ეს, ბუნება, კულტურა, ისტორია თუ საკუთარი თავი; მოკლედ, ყველაფერი დიადი და მარადიული, რაც ღმერთს მოუცია და ადამიანს შეუთვისებია. მეც მთელი ჩემი შეგნებით ვაცხადებ, რომ ვიყავი, ვარ და დავრჩები ყურმოჭრილი მსახური სიყვარულის ნებისმიერი გამოვლინებისა. ამავე დროს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიყვარულსაც ისევე უნდა შველა დღეს, როგორც დაბინძურებულ ზღვებსა და ოკეანეებს. არადა, ზღვებსა და ოკეანეებს კი არა, ერთ საცოდავ ბელურასაც ვერ გადავარჩენთ, თუკი გული პირამდე სავსე არ გვექნება სიყვარულით. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «სიყვარული აღგვამაღლებსო» – ყველაზე თავისუფალი ადამიანი ისაა, ვისაც სიყვარულის უღელი ადგას, ვინც სიყვარულს ნებაყოფლობით ემონება. ამიტომ, ჩემი რწმენით, ნებისმიერი, თუნდაც სულ უმნიშვნელო სიყვარულის ჩაკვლა, უარყოფა ანდა დათრგუნვა, არამარტო კონკრეტული ადამიანების, არამედ მთელი კაცობრიობის, მთელი სამყაროს აბუჩად აგდებაა.

მწერლის მთავარი ამოცანა სიყვარულის სამსახურია, ხოლო ლიტერატურა, ბოლოს და ბოლოს, სიყვარულის ისტორიაა და სხვა არაფერი. აქედან გამომდინარე, უთქმელადაც ცხადია, კვლავაც ყველანაირად რომ აღვუდგები წინ ძალადობის, სიძულვილის, ჩაგვრისა თუ ხელყოფის ყოველგვარ სახეობას. რა დასამალია და, ჯერჯერობით ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის დონეზეა გადაწყვეტილი. ხოლო სიტყვა საქმედ რომ იქცეს, ერთმანეთს კი არ უნდა ვუყუროთ ხელებში, ერთმანეთს უნდა ავუბათ მხარი, ანუ ყველამ ის ვაკეთოთ, რისი კეთებაც გვევალება. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, ნამდვილად რომ დაუბრუნდეს, დავუშვათ, ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი; ყველამ ერთად უნდა გავაგდებინოთ ხელიდან ბუნებაზე აღზევებულ ტექნოკრატს ბუნების «მოსათვინიერებლად» მომარჯვებული ნებისმიერი «გრანდიოზული პროექტი», ძირითადად ქვენა, შორს გამიზნული ზრახვებისა და პირადი ინტერესების შესანიღბად შექმნილი. ღვთის წყალობით, კიდევ ბევრი ბრძოლა გვაქვს გადასატანი, ალბათ უფრო მძაფრი და უფრო დაუნ-



დობელი, მაგრამ მომავალშიც მე ისევ ჩემი ძველი იარაღით – ჩემი კალმითა და ჩემი საბეჭდი მანქანით – ვიბრძოლებ მაინც, რამდენადაც მარტო მათი ხმარება ვიცი. ასევე, რასაკვირველია, კვლავინდებურად ვეცდები «ჩრდილში დგომას», ანუ არც მომავალში შევაწუხებ ზედმეტად რადიოსა და ტელევიზიას, რადგან როგორც ადრე მჯეროდა, ახლაც ისევე მჯერა, საქმე მხოლოდ «ჩრდილში» კეთდება (უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ მწერლის საქმეს). მთავარია, მართლა რაღაცას წარმოადგენდეს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და მართლაც გამოადგეს რამეში ვინმეს, თუნდაც ერთ ადამიანს.

1989

### **ღია წერილი ინგლისელ მეცნიერს** **ბატონ ჯორჯ ჰიუიტს**

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს უნებლიე «პაექრობაში» პირადული საერთოდ გამოვრცხულია. ხოლო თუკი თქვენც ამავე აზრს იზიარებთ, მაშინ, იქნებ ინგლისელი მკითხველისთვისაც გაგეცნოთ ჩემი წერილი. ამას, უპირველეს ყოვლისა, ჩაგითვლიდით თქვენს მეცნიერულ ობიექტურობად და, აგრეთვე, იმ დემოკრატიზმის გამოხატულებადაც, რომელიც, თქვენი სიტყვით, ჩვენში, საქართველოში, არ აღმოჩნდა. ამასთანავე, მშვენიერი შემთხვევა მომეცემოდა, პირადად გამეფრთხილებინა დიდებული ინგლისელი ხალხი, საერთო კატასტროფის წინაშე რომ ვდგავართ ყველანი და ვერაფრით ავიცილებთ ამ კატასტროფას თავიდან, ვიდრე სერიოზულად არ დავინტერესდებით ერთმანეთის ცხოვრებით, არ გავითავისებთ ერთმანეთის ჭირსა და ვარამს.

ადამიანი ყველა ეპოქაში სწავლობდა უცხო ენებს, ძირითადად, რასაკვირველია, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრისით პრივილეგირებულ ენებს, რამდენადაც ენის შესწავლის აუცილებლობას უმთავრესად პრაქტიკული მოსაზრება განაპირობებს. თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, იმის მაგალითიც ბევრია, როცა პრაქტიკულ მოსაზრებას პირადი ინტერესი, პირადი სიმპათია სჭარბობს და თანაც, ერთი შეხედვით, პრაქტიკულად თითქმის სავსებით გამოუსადეგარი ენების მიმართ. ამის საუკეთესო მაგალითი ისევ თქვენი თანამემამულე გახლავთ, ქალბატონი მარჯორი უორდროპი, რომლის სახელიც, ადვილი შესაძლებელია, არც იცოდეს რიგითმა ინგლისელმა, მაგრამ ყველა ქართველისთვის წმინდა სახელია – ქართველ წმინდანებთანაა გათანაბრებული ეს ინგლისელი ქალბატონი და არამარტო უანგარო სიყვარულისთვის, რომლითაც მან უსამართლოდ დაკნინებული უცხო ქვეყანა შეიყვარა, არამედ იმ შეშფოთებისთვისაც, იმ საერთო-საკაცობრიო უსამართლობის შეგრძნებისთვისაც, მაინცდამაინც საქართველოში, მაინცდამაინც ილია ჭავჭავაძის პატარა სახლის მყუდრო აივანზე, მაინცდამაინც მზეზე ალაპლაპებული არაგვისა და არაგვს გაღმა გარინდული მთების შემყურეს რომ დაეუფლა. საქართველო არასოდეს ყოფილა ბრიტანეთის კოლონია, მაგრამ, პოეტურად რომ ვთქვათ, ზოგადად იმპერიალიზმის მთელი სისასტიკე, სიმახინჯე, არაადამიანურობა და არასამართლიანობა კონკრეტულად საქართველოს მაგალითზე იგრძნო ქალმა, რომელიც პოლიტიკური მოღვაწეების ოჯახიდან გახლდათ და, რა თქმა უნდა, საქართველოში ჩამოსვლამდეც მრავლად ექნებოდა ნანახი კოლონიური სისტემით დასახინჩრებული ცხოვრების სურათები. და მაინც, საქართველოს ცის ქვეშ შეძრა მისი

გული კაცობრიობის განუსჯელობამ, განუკითხაობამ, გულგრილობამ. მისთვის ქართული ენის შესწავლა ინტელექტუალური ვარჯიში კი არ იყო გრამატიკის ლაბირინთებში, არამედ უკეთილშობილესი სურვილი დაჩაგრულის გაგებისა, დამხობილის აღდგენისა, წაბილწულის განბანისა და, რაც მთავარია, ბოდიშის მოხდისა ყველა უსამართლოდ დასჯილი ხალხის წინაშე, ყველა აღზევებული, გალალეული, თავისუფალი და განსწავლული ქვეყნის სახელით.

ჩვენდა საბედნიეროდ, მარჯორი უორდროპი გამონაკლისი არ არის, სხვაც ბევრი დაადგა მის კეთილშობილ გზას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი შესწევს ნიჭი და უნარი უცხო ენის (ამ შემთხვევაში ქართული ენის) იდუმალი ფსკერიდან ჩვეულებრივი შლამი კი არ ამოიღოს, არამედ ქართული სულის ნიჟარაში დაბადებული მარგალიტი. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ თქვენც «მარგალიტის მაძიებელთა» იმ კატეგორიას განეკუთვნებით, წყალქვეშ სუნთქვის შეკავება რომ უჭირთ და რაც ხელში მოხვდებით, მხოლოდ ის ამოაქვთ ფსკერიდან. ჩემგან დიდი კადნიერებაა ამაზე ლაპარაკი, რამდენადაც, მშობლიურის გარდა, არც ერთ ენას არ ვფლობ სრულყოფილად, იმდენად მაინც, მთელი სისავსით რომ განვიცადო სხვა ენის იდუმალება, სასიამოვნოდ დამთრგუნველი, დამაბრძენებელი ზემოქმედება სხვა ენისა, მაგრამ როგორც მწერალს, მსოფლიოში არსებული ყველა ენა, მოქმედიცა და მკვდარიც, ერთნაირად საჭიროდ და საინტერესოდ მიმაჩნია. ოღონდ კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ მეცნიერებს, რომლებსაც თვითმიზნად გაუხდიათ ენების შესწავლა, შედარება, შეჯვარება და, აქედან გამომდინარე, სენსაციური, მაგრამ მეცნიერული სერიოზულობისგან სავსებით დაცლილი დასკვნების გაკეთება. ისინი ენას ხალხის ბედისგან იზოლირებულად განიხილავენ და არ უწყიან, ენა იგივე ბედი რომაა ხალხისა. ყოველი ენა დამოუკიდებელი სამყაროა თავისი განსაკუთრებული მზის სისტემით, გეოგრაფიული განზომილებებით, და კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიურ წყობასა და სულიერ ძვრებს ასახავს, უფრო სწორად, მხოლოდ ის ასახავს და თანაც სრულყოფილად, უნაკლოდ. მთარგმნელის წყალობით, შექსპირი ქართულადაც დიდი მწერალია, მაგრამ ინგლისური ენაა ერთადერთი სარეცელი, სადაც შეიძლება შექსპირის გენიის ჩასახვა, ანუ მხოლოდ ინგლისური ენის მეშვეობით შეგვიძლია ჩვენ ჩავწვდეთ იმ ჯადოქრობას, რომელიც მაინცდამაინც შექსპირს ბადებს და მაინცდამაინც ინგლისში.

ამიტომაც სხვა ენის შესწავლა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის სულის წვდომას უნდა ნიშნავდეს პირველ რიგში, ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ჭეშმარიტი სახისა და ჭეშმარიტი ბუნების ამოხსნას. ვერ დავიჩემებ, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო ზუსტად კი, ჩემი წარმოდგენით, ნებისმიერი ენის შესწავლას აუცილებლად უნდა უძღოდეს წინ ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურით, ისტორიით, კულტურით, ანდა სულაც ადათ-წესებით დაინტერესება. დაინტერესება, თავის მხრივ, აჩენს სურვილს კიდევ უფრო უკეთ გაცნობისა, დაახლოებისა, და ეს უკეთილშობილესი მოთხოვნილება სულისა ჩირაღდანით გვინათებს გზას უცხო ენის სამყაროში შეღწეულებს. რას აღმოვაჩენთ იმ სამყაროში, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული. მაგრამ ნამდვილად სამწუხაროა, როცა მხოლოდ გრამატიკული კანონების შესწავლით ვიფარგლებით და უცხო ენის კარიბჭესთანვე ვკარგავთ ჭეშმარიტების მაძიებლის ჟინსა და ალღოს, რის შედეგადაც ერთი რიგითი ენათმეცნიერი კი იბადება, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, ამ ენაზე მოხსენების წაკითხვაც კი შეუძლია, მაგრამ ეს მეცნიერი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ჭკუის დამრიგებლად, იმ უბრალო მიზეზის გამო, არაფერი რომ არ გაეგება ამ ხალხისა, ანუ, გაეგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ სიტყვათა მოძრაობის წესები (შეიძლება სიტყვათა ეტიმოლოგიურ წარმომავლობასაც ჩასწვდეს), მაგრამ არ გაეგება ამ სიტყვებში სამარადისოდ ჩა-

ბუდებული აზრი, რომლის ამოხსნაც მხოლოდ გრამატიკის მეშვეობით ყოვლად შეუძლებელია, უფრო მეტიც – საერთოდ წარმოუდგენელია, თუკი შენთვის სულერთია, შენგანვე არჩეული ენა ლათინურივით მკვდარია თუ, დავუშვათ, ინგლისურივით ცოცხალი. თქვენი წერილის წამკითხავს, ძალიან მიკვირს, საერთოდ რომ შეგისწავლიათ ქართული ენა, რაკი ასეთი გულგრილი და უგრძნობელი დარჩენილხართ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ბედისა თუ უბედობის მიმართ. ისიც მიკვირს, თავს უფლებას რომ აძლევთ მთელ ხალხს დასდოთ ბრალი და, ამავე დროს, ჩაუდენელი დანაშაულის მონანიებაც მოსთხოვოთ. დიახაც რომ გასაკვირი სითამამეა თქვენგან, საქვეყნოდ გამოხვიდეთ მთელი ხალხის მსაჯულისა თუ ბრალმდებლის როლში! არ ვიცი, თავიდან რამ გაიძულათ ქართული ენის შესწავლა, მაგრამ ჯერჯერობით არამეცნიერული ზრახვებისთვის რომ იყენებთ, აშკარაა. ეს კი უადრესად სამწუხარო ფაქტია, რამდენადაც ინგლისი და ინგლისელი ქართველი კაცის შეგნებაში ყოველთვის ღირსებასთან და პოეზიასთანაა დაკავშირებული. ამდენად, ძნელი დასაჯერებელიცაა ამგვარი პოლიტიკური სიბეცე და ადამიანური სიმდაბლე შექსპირისა და მარჯორი უორდროპის შთამომავლისგან. თქვენ რომ რიგითი ჟურნალისტი იყოთ და არა ქართულის მცოდნე ინგლისელი მეცნიერი, კიდევ შეიძლებოდა გაჩუმება, მაგრამ სწორედ იმიტომ, ინგლისელმა კაცმა ქართული რომ იცით, თქვენს ყოველ სიტყვას, ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის, რასაკვირველია, განსაკუთრებული და, ამავე დროს, ობიექტური ჟღერა ენიჭება. არადა, თქვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები, ბრალდებები თუ რჩევები იმდენად ამახინჯებენ სინამდვილეს, იმდენად არასწორად წარმოაჩენენ ქართველი ხალხის მიზნებსა და მისწრაფებებს დანარჩენი მსოფლიოს თვალში, უბრალოდ, გაჩუმება დანაშაული იქნება და არამარტო საკუთარი ხალხის, არამედ მსოფლიოს წინაშე. სიმართლე რომელიმე ხალხის, რომელიმე სახელმწიფოს ანდა რომელიმე პიროვნების კერძო საკუთრება კი არ არის, საერთო-საყოველთაო არსებობის, უფრო სწორად კი, თანაარსებობის ნიშანსვეტია და მისი უარყოფა, არშემჩნევა ანდა შენიღბვა ასევე საერთო-საყოველთაო კატასტროფას იწვევს, ანუ საერთო-საყოველთაო სიბეცეს, რომელიც, დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად მიგვიყვანს კატასტროფამდე. ჩემი ღრმა რწმენით, თქვენი ღია წერილიც ამ საერთო-საყოველთაო სიბეცის კიდევ ერთი გამოვლენაა. მე მგონი თქვენგან, ინგლისელი მეცნიერისგან, უფრო ბუნებრივი საქციელი იქნებოდა, თვითონვე განგემარტათ თქვენი ახლობლებისთვის, თუ რა უსაფუძვლო სიძულვილით არიან ისინი გაჟღენთილნი საქართველოს მიმართ; მეცნიერულად აგეხსნათ, ქართველების სასიკეთოდ კი არა, სწორედ რომ ქართველების საზიანოდ ჩაგრავდნენ მათ გარკვეული წლების მანძილზე; დაბოლოს, დაგერწმუნებინათ, მხოლოდ და მხოლოდ ქართველებთან ტრადიციული მეგობრობით რომ შეუძლიათ მათ თავიანთ მეობისა და მშობლიური ენის შენარჩუნება. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და არ მოხდა იმიტომ, პირადი ინტერესი, პირადი სიმპათია რომ არ ედო საფუძვლად თქვენს გატაცებას ქართული ენითა და, საერთოდ, საქართველოთი.

თქვენი წერილით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო ინგლისივით წელგამართული, გალადებული ქვეყანაა, რომელიც გუნება-განწყობილების შესაბამისად წარმართავს თავის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას – უნდა რუსს აუკრძალავს რუსულად ლაპარაკს, უნდა აფხაზს გადაუჭერს ზურგზე მათრახს. სასაცილოა, სამწუხარო, სავალალო რომ არ იყოს თქვენი გულუბრყვილობა. თქვენი წერილის დამწერმა აშკარად არ იცის, როგორც საერთოდ საქართველოს, ისე კერძოდ აფხაზეთის ისტორია და არათუ არ იცის, არც აინტერესებს, არ აინტერესებს იმიტომ, გული რომ არ შესტკივა სრულებით და ვერ გრძნობს, მიწის ამ პატარა ნაგლეჯზე დატრიალებული ნებისმიერი ტრაგედია მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა რომაა. ვერ იქნა და ვერ შევიდა ჩვენს შეგნებაში, ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არაფე-

რი რომ არ არსებობს სამყაროში, დიდს პატარა განაპირობებს, პატარას – დიდი, კოლოს მოსპობა ტყეს აჩანაგებს, ტყის მოსპობა ზღვებს აშრობს და ასე შემდეგ, ასე შემდეგ, უსასრულოდ, გაუთავებლად, საბოლოო გადაშენებამდე, გაქრობამდე, არარაობამდე... რაც დღეს საქართველოში ხდება, ხვალ დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეიძლება მოხდეს. განსაკუთრებული კი თითქოს არაფერი ხდება. იღვრება «უმანკო სისხლი», ვინ იცის, მერამდენედ. სისხლით მართლაც რომ ვერ გააკვირვებ მსოფლიოს, მაგრამ შემზარავი, წარმოუდგენელი უსამართლობაა, როცა მკვლელის ქომაგობით მოგვაქვს თავი და მოკლულს შეუმოწმებლად, გამოუძიებლად ვაწებებთ მჩაგვრელისა და დესპოტის იარაღს. ნათქვამია: სხვა სხვის ომში ბრძენი, მაგრამ დღეს ისე შეიცვალა საქმის ვითარება, სხვისი ომი აღარ არსებობს და ესეც მეტად დამაფიქრებელი, ანგარიშგასაწევი ფაქტია.

ამ ათიოდე წლის წინათ, იმავე აფხაზეთში, დარბეული ქართული სკოლის ეზოში ჯერ კიდევ რომ იწვოდა ქართული წიგნები, პროგრესულმა, დემოკრატიულმა, გათვითცნობიერებულმა ევროპამ ლამის ყველა ენაზე აუწყა მსოფლიოს, თუ როგორ ჩაგრავდნენ «დესპოტი ქართველები» «პატარა, მაგრამ ამაყ ერს». განა ამის შემდეგ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ საერთოდ თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, კაცთმოყვარეობაზე, უკეთეს მომავალზე?! რასაკვირველია, არ შეიძლება. სამაგიეროდ, სრულებითაც არ იქნება გასაკვირი, მთელი მსოფლიოს ხალხები ერთმანეთს დაერიონ ხვალ, ფრჩხილებით, კბილებით გამოლადრონ ერთმანეთს ყელი. უსამართლობა, უსინდისობა ადამიანში უპირველესად მხეცურ ინსტინქტებს აღვიძებს. და აი, აკი მივადექით კიდევ საბედისწერო საზღვარს – მსოფლიო კატასტროფის შესაძლებლობაზე უკვე ისე ვლაპარაკობთ ყველანი, თითქოს ერთ-ერთი გამოსავალი ესეც იყოს ჩვენი საერთო სიბნელიდან, საერთო სიბეციდან, საერთო სიყრუიდან. ასე იცის საქმეში ჩაუხედაობამ და ნაადრევი დასკვნების გამოტანამ. მხოლოდ ცოდნაა საფუძველი ჩვენი დღევანდელი ადამიანობისა და გარანტია ჩვენი ხვალისდელი არსებობისა. ასე რომ, არც საქართველოში მომხდარა რამე განსაკუთრებული. ოღონდ, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობა იქნება და მეტი არაფერი, თუკი საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას აღვიქვამთ, როგორც ორი ხალხის შეჯახებას ეროვნულ ნიადაგზე. ყველაფერს თუ თავის სახელს დავარქმევთ, ეს არის წინასწარ მომზადებული, წინასწარ გაწვრთნილი და სათანადოდ შეიარაღებული ბანდის თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე; ეს არის უნივერსიტეტის დარბევა წაქეზებული ხულიგნების მიერ; ბოლოს და ბოლოს ეს არის ჩვეულებრივი ტერორისტული აქტი, ჩადენილი საერთოდ საქართველოსა და ქართველობის წინააღმდეგ. ასე რომ, მართლაც არაფერი მომხდარა უცნაური და მოულოდნელი, უბრალოდ, ჯერ კიდევ გრძელდება 9 აპრილს დაწყებული სისხლისღვრა და, ღმერთმა იცის, როდის დამთავრდება, თუკი დამთავრდება საერთოდ, რამდენადაც ეს ეპიზოდური გამოხდომები ძველისძველი, შორსგამიზნული და სულისშემძვრელად ვერაგული ჩანაფიქრის გამოხატულებაა და ძირითადად იმ «ბრძენი» მრჩევლებისა თუ მოსამართლეების მოსაქცევადაა გამიზნული, რომელთაც სუსტთა ქომაგობა სამართლიანად კი მიაჩნიათ კეთილშობილურ საქმედ, მაგრამ არ გამოდგებიან კეთილშობილური საქმის ჩასადენად თუნდაც იმიტომ, შავი თეთრისგან რომ ვერ გაურჩევიან. ხოლო თქვენი წერილი, მარტივად რომ ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ «უმანკო სისხლისღვრის» გამართლებაა და სხვა არაფერი. თავი რომ დავანებოთ თქვენს მიერ ქართველი ხალხის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს, თქვენი წერილის მიხედვით, ან ნათელმხილველი ბრძანდებით, ანდა წინასწარ, რამდენიმე თვით ადრე ხართ ინფორმირებული, საქართველოში «უმანკო სისხლი» რომ დაიღვრებოდა დღეს, რაც, გულწრფელად რომ ვთქვათ, ძალიან საკვირველია, მაგრამ არც ესაა მოულოდნელი. ჩვენ ისე არასოდეს გავუნებვივართ ბედს, უსამართლობა გვიკვირდეს. ალბათ უფრო უცნაური და მოულოდნელი ის იქნე-

ბოდა, პირიქით მომხდარიყო, იმავე «თავისუფალ ევროპას» ამჟამად თქვენი პირით ეთქვა ჩვენთვის: ბარაქალა თქვენს მოთმინებასო! მსგავსი რამ ჯერ არ მომხდარა და არც მომავალში მოხდება, რადგან მსოფლიო ჯერ კიდევ სერიოზულადაა ავად უსაფუძვლო სიძულვილით. უსაფუძვლო სიძულვილია სათავე მრავალი ბოროტებისა. უსაფუძვლო სიძულვილს კი ისევ ადამიანური სიბეცე და პირუტყვი სიხარბე აღვივებს ჩვენს გულეში. ებრაელებისათვის მშობლიურ გარემოში რომ დაეცლიათ ცხოვრება თავის დროზე, ანტისემიტიზმი არ იქნებოდა. ასევე არ იქნებოდა რასიზმიც, ამერიკელი პლანტატორები იაფფასიან მუშახელს რომ არ დახარბებულყვნენ. ადამიანი თავად შობს პრობლემას, რომელსაც თავადვე ეწირება. ქართველებიც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ყველაფერი ზემოთ თქმული ჩვენზეც ვრცელდება. განა ჩვენ თვითონვე არ ჩავუნერგეთ ჩვენს მტრებს ჩვენი მოსპობის იდეა?! ჩვენ ხომ გამოუსწორებელი მფლანგველები ვართ ყველაფრისა, რაც გვაბადია, დრო იქნება ეს, ნიჭი, მიწა, ჯანმრთელობა თუ თავად სიცოცხლე. ხოლო სანამ საკუთარ სიცოცხლეს ვფლანგავთ, მტერი გასუსული გვზვერავს და ფიქრობს: ესენი ხვალამდე თავს ვერ გაიტანენ და იქნებ ამათი ნასახლარი მე დამრჩესო. თითქოს სწორად ფიქრობს, მაგრამ ასეთი ფიქრი მტრისთვისაც კი დამაკნინებელია, მტრისგანაც უსინდისობაა. თუმცა ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ არ გვებება. დე, ყველამ საკუთარი გვამი ზიდოს და ყველა საკუთარი სახით დაენახოს ქვეყანას. ნიღბით კი არა, სახით, რადგან სახეზე განუმეორებელი, ყველასაგან განსხვავებული, უაღრესად ინდივიდუალური სულიერი ცხოვრებაა ასახული, ნიღაბზე კი, რასაც მოისურვებ, იმას მიახატავ. ამიტომაც ცდილობს მტერი, ნიღბით შეგვიცვალოს სახე, თავისივე ხელით მოხატული ნიღაბი აგვაკრას სახეზე. აგვაკრა კიდევ, რაკი თავისუფლებისათვის, გადარჩენისთვის ოცსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ ჩვენვე აღმოვჩნდით დამპყრობლები, მჩაგვრელები, სხვათა მიწა-წყლის, სხვათა საფლავისა და სალოცავის მიმტაცებლები საკუთარ სამშობლოში. ცინიზმის უფრო ფართო გამოვლენა წარმოუდგენელიცაა, მაგრამ არც ესაა გასაკვირი. მტრისთვის ყველა იარაღი მისაღებია, რომლითაც მოგერევა. ამგვარი მორალური კოდექსებითაა აღზრდილი დღევანდელი კაცობრიობა. ამიტომაც ჭირს სიმართლის დადგენა. სიმართლე ღვთაებრივი სინათლეა, რომელიც უცებ გამოააშკარავებს ხოლმე ნებისმიერ ბოროტ განზრახვას. ამიტომაც ცდილობს მტერი, ისე გაგვიხადოს საქმე, სიმართლის ძებნაში აღმოგვხდეს სული. მაგრამ, მტრების გულის გასახეთქად, აქვე უნდა განვაცხადოთ, ჯერ რომ არ ვაპირებთ ქართველები სიკვდილს, ჯერ კი არა, საერთოდ. ჩვენ სიმართლე გაურკვეველი, ბნელი მომავლის გასანათებლად გვჭირდება და არა საფლავის ლოდად. ამიტომ ვინც სიკვდილისკენ მოგვიწოდებს, ან გულადი ბრიყვია, ან მხდალი პროვოკატორი. სამშობლო ერთი დღით არავის მოუბარებია ჩვენთვის. ის მარადიული ცნებაა, მარადისობას განეკუთვნება და ამის ცოდნა არამარტო ქართველებისთვისაა სავალდებულო. სამშობლო კი არ არის, ჩვენა ვართ წარმავალნი; ის კი არ გვეძლევა ერთი დღით, ჩვენ გვასაჩუქრებს განგება «ერთი ბედნიერი დღით», რომელიც ისევ და ისევ სამშობლოს სამსახურში უნდა გავლიოთ. მთავარია, როგორ გავლევთ ამ «ერთ ბედნიერ დღეს», აქ გამოჩნდება ყველაზე ნათლად, რას წარმოვადგენთ საერთოდ, როგორია ჩვენი ადამიანური მრწამსი, მოქალაქეობრივი პოზიცია, მორალურ-ზნეობრივი დონე. ის «ერთი ბედნიერი დღე» ყველა ჩვენგანის პირადი საკუთრებაა და როგორც გვინდა, ისე მოვიხმართ. შეგვიძლია, საერთოდ არ მოვიხმართ. ეს კი თავისთავად იმდენად დიდი უფლებაა განგებისგან ბოძებული (ალბათ ისევ ჩვენი ადამიანობის შესამოწმებლად), არ შეიძლება, ერთხელ მაინც არ ჩავვარდეთ საგონებელში, ერთხელ მაინც არ აღმოვჩნდეთ დილემის წინაშე, ერთხელ მაინც არ მოგვიწიოს მტკიცე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ, რას მოვახმართოთ ჩვენი ერთადერთი საკუთრება – ჩვენი სიცოცხლე – გამოვიზოგოთ თუ ერთბაშად მოვსპოთ. მაგრამ არც ერთი

ჩვენგანი უფლებამოსილი არ არის, პირადი გადაწყვეტილება განაზოგადოს, სხვებისთვისაც სავალდებულო გახადოს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საერთო გადაწყვეტილებად, თუკი ისევე სამშობლოს და, აქედან გამომდინარე, სამყაროს მარადიულობას განაპირობებს და არა რომელიმე ჩვენგანის კეთილდღეობას ერთი ადამიანური სიცოცხლის მანძილზე.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნა, დამეთანხმებით, გლობალური მოვლენაა, მთელს მსოფლიოზე ვრცელდება და, ნებისთ თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, უპირველეს ყოვლისა, გადარჩენას ისახავს მიზნად. მაგრამ არა მგონია, გადარჩენას აზრი ჰქონდეს, თუკი გარდაქმნა ეროვნულ თვითმყოფადობას, ეროვნულ თვისებებსა და მიდრეკილებებსაც შეეხება. მართლაც, რა აზრი ექნება, ვთქვათ, ქართველის სიცოცხლეს, თუკი მის სახლში სტუმარი ვერ მოილხენს, ლტოლვილი თავშესაფარს ვერ იპოვის, გლახა არ დაპურდება, სწეული წამალს ვერ ეღირსება და გალახული – ქომაგს. ქართველ კაცს სულიერ სიამეს სხვათა ხელის გამართვა ანიჭებს და არა სხვათა უბედურების თვალთვალს. ასე რომ, მომავალშიც, გარდაქმნის შემდეგაც, მრავალ ლტოლვილსა და უპოვარს შევიფარებთ ალბათ ჩვენს მიწა-წყალზე, მაგრამ, ეტყობა, საქმისთვის სჯობს, ყველამ აქედანვე იცოდეს, ვერავის ვერ დავუთმობთ სამშობლოს თავცოცხალნი, რაც არ უნდა გულუხვნი და გულკეთილნი ვიყოთ უცხოელთა მიმართ. საამისოდ კი საჭიროა, ხვალაც ფეხზე ვიდგეთ და, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტი სახით წარვდგეთ დანარჩენი მსოფლიოს წინაშე. იცოცხლე, კარგია მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ყოფნა, კარგია, ყველამ იცოდეს სიმართლე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, თავად ჩვენ როგორ დავიჭერთ თავს: წავექცევინებით უბედურებას, თუ იმასაც მოვინელებთ, როგორც არა ერთი და ორი სხვა უბედურება მოგვინელებია აქამდე. ჩვენი დღევანდელი სულიერი მდგომარეობის გაანალიზებას, დავუშვათ, ამერიკელი, ფრანგი თუ იგივე ინგლისელი მეცნიერის მიერ, სწრაფწარმავალი, უფესვო და უხერხემლო კმაყოფილების, ანდა იმდაგვარივე გაწბილების მოტანა შეუძლია მხოლოდ. რაც უნდა მტკივნეული იყოს, მთავარია, ჩვენ თვითონვე შევძლოთ საკუთარი ჭრილობების გახსნა და გაკერვა. ჩვენ თვითონვე უნდა დავუსვათ ჩვენს თავს დიაგნოზი და ჩვენ თვითონვე უნდა გადავწყვიტოთ, რამდენად აუცილებელია დანარჩენი მსოფლიოსთვის ჩვენი არსებობა. სხვას არავის არა აქვს უფლება ხელყოს ჩვენი სიცოცხლე: არც მტერს, არც მოყვარეს. დღევანდელი მსოფლიო ხელახალი, ანდა, საბოლოო გამოღვიძების ფაზაში იმყოფება და ჩვენც ყველანი ერთნაირად უნდა განვიცდიდეთ, ეს გამოღვიძება ჩვენივე წარმოდგენის, ჩვენივე ფარული ოცნებისა და იმედის უდღეური ნაყოფი არ აღმოჩნდეს. გამოღვიძება საფუძველიცაა და გარანტიაც ყველა სხვა ადამიანური სიკეთისა. და კიდევ ერთი, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ თავი გამოღვიძებულად, როცა მთელი დედამიწის მასშტაბით აღარსად აღარ მოხდება ისეთი რამ, რაც რომელიმე ჩვენგანის ეროვნული ღირსებისა თუ ადამიანურობის დასაკნინებლად იქნება გამიზნული. ჯერჯერობით მაინც ძნელი სათქმელია, აღმა მივდივართ თუ დაღმა, გზას ვაგრძელებთ თუ ადგილზე ვიტკეპნებით, ვიღვიძებთ თუ გვესიზმრება გამოღვიძება, ხვალაც ამ მშვენიერ დედამიწაზე შევხვდებით ერთმანეთს თუ მარადიულ უკუნეთში აღმოვჩნდებით ყველანი ერთად... მაგრამ რაც არ უნდა გამაღლდეს წუთისოფელი, მაინც სიცოცხლე სჯობს სიკვდილს, რამდენადაც ჩვენი საბოლოო მიზანი საკუთარ სისუსტეებზე, საკუთარ მანკიერებებზე და, კიდევ უფრო მეტი, საკუთარ სიპატარავეზე ამაღლებაა და არა, დავუშვათ, ერთმანეთთან ანგარიშის გასწორება. რაც არ უნდა გულნატკენნი, დაჩაგრულნი, ათვალწუნებულნი ვიყოთ ბედისგან, თავსდამტყდარი უბედურებისგან, მაინც უკადრისი საქციელი იქნება ჩვენგან, ნებისმიერი გზითა და საშუალებით ამოვიყაროთ ჩვენი სულმოკლე, ვერაგი თუ დაუნდობელი მოყვასის ჯავრი. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხვალ და

ზეგ მსოფლიო ისევ გამოიხედავს თვალში და ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. დღეს კი მოთმინება და ამტანობა გვმართებს, საყოველთაო მოთმინება და ამტანობა. ჩვენ ყოველგვარი ტიტულების, წოდებების, დამღებისა და იარლიყების გარეშე უნდა ვზიდოთ ჩვენი ტვირთი, ჩვენი ადამიანობა, და ყველამ იმდენი – რამდენსაც მოვერევით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეგვშურდეს, თუკი სხვას ჩვენზე მეტის აწევა შეეძლება. კი არ უნდა შეგვშურდეს, უნდა გაგვიხარდეს, რადგან ვინც მეტს ასწევს, ჩვენს მაგივრადაც, ჩვენი სახელითაც ასწევს. ჩვენში «სხვა» არ არსებობს. ჩვენ ყველანი ერთი პლანეტის მკვიდრნი ვართ, ერთნი ვართ და მარტონი ვართ უსასრულო, ჩვენთვის დღემდე ამოუხსნელ სამყაროში. ჩვენი საერთო სული ერთმანეთშია განაწილებული. ნებისმიერი ჩვენგანი ყველა დანარჩენისთვის ცოცხლობს და ყველა დანარჩენს უკვდება.

P. S. სამწუხაროდ, ჩემი წერილის ბოლო სიტყვები არ შემიძლია თქვენი მისამართითაც ვიხმარო. ვერც იმათ შორის გიგულისხმებთ, სიმართლისა და ნათელი აზრის სამსახური ცხოვრების მიზნად რომ გაუხდიათ, რომელთა ღრმა რწმენით, ყველა ხალხი ერთნაირად იმსახურებს გაგებასა და პატივისცემას.

1989

### გაურკვევლობის მარწუხებში

(საერთო პასუხი «ლიტერატურნაია გაზეტას» შეკითხვებზე)

ამ ერთი წლის წინ იძულებული გავხდი ღია წერილით მიმემართა ლენინგრადელი თანამოქალმისთვის, რომელიც «თავის მეგობარ ქართველ მწერლებს» გულგრილობასა და უმოქმედობაში გვდებდა ბრალს და გულწრფელად უკვირდა, როგორც შეგვეძლო პირში წყალჩაგუბებულებს გვეცქირა იმ უმსგავსოებისთვის, რასაც, მისი ღრმა რწმენით, ჩვენივე თანამემამულენი სჩადიოდნენ ჩვენს თვალწინ. მისი მღელვარება, თავისთავად ცხადია, ქართველ მწერლებსაც გადაგვედო და პირადად მე, შეძლებისდაგვარად, შევეცადე განმემარტა მისთვის, რატომ ხდებოდა, თუკი მართლა ხდებოდა უმსგავსოებები ჩვენში და თუკი მართლა ვდუმდით, რატომ ვდუმდით «მისი მეგობარი ქართველი მწერლები». მაგრამ «ცხელ გულზე» დაწერილი წერილი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაიბეჭდა და, გულწრფელად რომ ვაღიარო, იმხანად მეც ასე ვამჯობინე: ჯერ ერთი, შესაძლებლობა მომეცა შევხვედროდი «გაუგზავნილი წერილის» ადრესატს და სიტყვიერად გადამეცა ჩემი გულისტკივილი; მეორეც ერთი, სრულებითაც არ მიმაჩნია «კარგ ტონად» ღია წერილების ესოდენ ენერგიული, შესაშურად ოპერატიული გაცვლა-გამოცვლა, რაც, ცოტა არ იყოს, იაფფასიან გართობად იქცა ჩვენს უჩვეულოდ გამოცოცხლებულსა და ხელოვნურად დემოკრატიზებულ პრესაში.

გულგრილობა, უმოქმედობა, მით უფრო მწერლისთვის, რასაკვირველია, სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ მაშინ, როგორც უკვე ვთქვი, არ ჩავთვალე საჭიროდ, უფრო ფართო აუდიტორიის წინაშეც მემართლებინა თავი და, როგორც ახლა ვხვდები, არ ჩავთვალე ჩემივე გულუბრყვილობის გამო, რადგან, მიუხედავად ისტორიული გამოცდილებისა, ბოლომდე მაინც ვერ ვიწამე, ყოველგვარ საზღვარს რომ შეუძლია გადასცილდეს ნებაზე მიშვებული სიყალბე და ცილისწამება. მას შემდეგ არათუ იკლო, კიდევ უფრო იმატა, როგორც უმსგავსო-

ბებმა ჩვენი რესპუბლიკის შიგნით, ისევე ბრალმდებლებმა ჩვენი რესპუბლიკის გარეთ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრმა მათგანმა წესიერად არც იცის, რაში უნდა დაგვდოს ბრალი.

და მაინც, ალბათ ბევრად აჯობებდა, ბოლომდე შემეკავებინა თავი, საერთოდ არ ამომელო ხმა და ამ სამწუხარო, ამ სამარცხვინო სენის «მკურნალობა» (ცილისწამებას ვგულისხმობ) ისევ დროსთვის დამეცლია, თუმცა დროც საკმარისზე მეტი გავიდა და სათქმელიც საკმარისზე მეტი ითქვა მტყუანისა და მართლის გასარჩევად. მაგრამ სულ უკანასკნელი პუბლიკაციებიც, რომლებსაც ბევრი მეტად ცნობილი პიროვნებაც აწერს ხელს და რომლებშიაც თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება უკვე ლამის ტრადიციად ქცეული ბრალდება, მხოლოდ იმის დადასტურებაა, სიმართლე (ვგულისხმობ სიმართლეს საქართველოს შესახებ) ჯერ კიდევ დიდხანს რომ დარჩება გაურკვეველი რუსი ინტელიგენციის ყველაზე მოწინავე ნაწილისთვისაც კი. სამწუხაროდ, ისინიც დეზინფორმაციის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ნებისმიერი დეზინფორმაცია ძირითადად უფრო ფართო წრეებისთვისაა გათვალისწინებული. ქართველი კაცი ამბობს, არცოდნა არცოდვას, მაგრამ ეს მიმტევებლური სიბრძნე ამ შემთხვევაში აშკარად არ გამოგვადგება, რადგან პოლიტიკაში საკუთარი სურვილით ჩართული კაცისგან თუნდაც რაიმე უმნიშვნელო დეტალის არცოდნაც ბოროტების ტოლფასია, მაშინვე დამნაშავეთა თანამზრახველად აქცევს. ხოლო სიკეთის სახელით მოქმედი ბოროტება გაცილებით ძნელი გასარჩევია და გაცილებით ძნელი მოსარევიც.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი ამჟამინდელი ადრესატების უმრავლესობაც მწერლები, ანდა მწერლობასთან ახლო მდგომი, მწერლობის ბედ-იღბალზე მზრუნველი პიროვნებები არიან, რაც უფლებას მაძლევს, არათუ უფრო მეტად გულახდილი, არამედ უფრო მეტად მომთხოვნიც ვიყო მათ მიმართ. იმედია, არც იმას მიწყენენ, თუკი ყველას ერთად მივმართავ და ყველას ზოგადად მწერლებად მოვიხსენიებ, რამდენადაც არც ისინი გამოირჩევიან ერთმანეთისგან პოზიციისა თუ პათოსის ორიგინალურობით. პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათი განცხადება თუ მომართვა მწერალთა უკანასკნელი ყრილობიდან იღებს სათავეს და, ამდენად, კანონზომიერი გაგრძელებაა იმ «გულწრფელი» და «ობიექტური» ბრალდებისა, ერთ-ერთმა მათგანმა ამ ყრილობაზე რომ წაუყენა ქართველ მწერლებს. მწერალთა უკანასკნელ ყრილობაზე ქართველმა მწერლებმა დატოვეს სხდომათა დარბაზი. მოხდა, მაშინდელი თვალსაზრისით, ყოვლად წარმოუდგენელი რამ და იმიტომ კი არა, ქართველი მწერლები მიჩვეულნი რომ არ იყვნენ იქამდე დამცირებასა და აზუჩად აგდებას, არამედ იმიტომ, ამჯერად, რომელიმე ოფიციალური ხელმძღვანელის ნაცვლად, მათმა თანამოკალემ, წესითა და რიგით, მათი ბედის მოზიარემ რომ მისცა თავს უფლება და შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ქართველ ხალხს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ პირველი მერცხალი აღმოჩნდა, როგორც მოჩვენებითი სიამტკბილობის დასასრულის, ისევე უსამართლო, უსაფუძვლო სიძულვილის დასაწყისის მაუწყებელი. ასე რომ, საქართველოს თემა თავიდანვე, ჯერ კიდევ გარდაქმნის დაწყებამდე, არასასიამოვნოდ, გამაღიზიანებლად ჩაერთო უაღრესად რთულსა და ხიფათებით სავსე პროცესებში.

მწერალი არ შეიძლება უპირისპირდებოდეს ვინმეს, მით უფრო – მთელ ხალხს და, ამდენად, მისი ნებისმიერი უკმაყოფილება, საყვედური, გნებავთ, შენიშვნაც – სხვა ხალხის მიმართ გამოთქმული – უმაღლესი პოლიტიკური ზრახვებით იქნება განპირობებული, ვიდრე წმინდა და მწერლური მოსაზრებებით. რაც მთავარია, მწერლის «შენიშვნა» გაცილებით სახიფათოა, ვიდრე, ვთქვათ, პროფესიონალი პოლიტიკოსის გულისწყრომა. მწერალს, პოლიტიკოსთან შედარებით, უფრო იოლად ენდობიან და უფრო ხალისითაც აჰყვებიან ხოლმე და ამის დადასტურებაა ისიც, თუკი დროთა განმავლობაში კი არ კლებულობს, კიდევ უფრო მატუ-



ლობს ყოვლად უსაფუძვლო, ყოვლად უმსგავსო გამოხდომები იმავე ქართველი ხალხისა და საერთოდ საქართველოს წინააღმდეგ.

სხვას რა უნდა მოვკითხოთ, თუკი მწერალმაც ვერ აუღო სიმართლეს ალღო. და მართლაც, პირველი და უმთავრესი, რის გამოც საქართველოს მისამართით გამოთქმული საყვედურები იწვევს უნდობლობას, რის გამოც ამდენი, თითქოსდა კაცთმოყვარული, მოწოდება ჩვეულებრივ ცინიკურ მოვლენად აღიქმება, ის ფაქტი გახლავთ, სხვა ხალხთა ბედით დაინტერესებული და შეძრული მათი ავტორები საერთოდ არაფერს რომ ამბობენ საკუთარ ხალხზე, რომელიც, ჩემი აზრით, ტრაგედიის მთავარი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟი ნამდვილად არის. რუს ხალხს არათუ უკლებლივ ეკუთვნის ყველა ის ქათინაური, რომელიც აღნიშნულ პუბლიკაციებში ასე გულუხვადაა გამოთქმული თუნდაც კავკასიელი ხალხების მიმართ, არამედ, ამ ხალხებისგან განსხვავებით (და ეს არ შეიძლება ვინმემ არ იცოდეს), განუსაზღვრელი როლიც აკისრია ნებისმიერი სიტუაციის შექმნასა და გადაწყვეტაში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ასე რომ, წარმოდგენილ ტრაგედიას აშკარად აკლია ერთი მოქმედი პირი, ურომლისოდაც არაფრით არ მოხერხდება სრული შთაბეჭდილების შექმნა ამ ტრაგედიაზე. ამიტომ ვიდრე ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, ვერც იმ მიზეზს აღმოვაჩინთ და გავარკვევთ, რამაც ეს ტრაგედია დაბადა, რასაც თითქოს ყველანი გადამეტებული თვაგამოდებითაც კი დავეძებთ, ოღონდ სულ სხვა ადგილას.

მწერლობა ადამიანისადმი განუსაზღვრელი ნდობაცაა. ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციათა პოზიცია კი ჩვენდამი, ქართველებისადმი, უნდობლობის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს. ამასთანავე, მათი გულისწყრომაც იმდენად არ შეესაბამება სინამდვილეს, იმდენადაა მოკლებული ყოველგვარ დასაბუთებას, მეტი რომ არ ვთქვათ, გაოცებას ნამდვილად იწვევს, თუნდაც იმიტომ, უპირველეს ყოვლისა, მწერლობისგან რომ ელოდება ქართველი ხალხი (და არამარტო ქართველი ხალხი) სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენას თუ არა, იმ სამარცხვინო მითქმა-მოთქმისა და ჭორიკნობის შეწყვეტას მაინც, რითაც დღესდღეისად ასე ვართ გატაცებულნი და, გვსურს თუ არა, უმაღლეს ვუწყობთ, ვიდრე ვაფერხებთ ხალხებს შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებას. მართლაც, თუ არა მწერლებმა, სხვამ ვინ უნდა დაიცვას თუნდაც საკუთარი ხალხი სხვათა მიმართ უსაფუძვლო სიძულვილისგან, რაც, პირველ რიგში, რასაკვირველია, მასვე ვნებს: არამარტო სახელს უტეხს, არამედ სულსაც უმძიმებს ზედმეტი, თავსმოხვეული ცოდვით, რომელიც შეიძლება არც კი ჩაედინა თავად, ერის სულიერ მამებს რომ არ ებიძგათ აქეთკენ.

ახლა, რა თქმა უნდა, უაზრობაა იმაზე ლაპარაკი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუკი ისე არ მოხდებოდა, როგორც მოხდა. ალბათ ყველასთვის ცნობილია, ამ ორასი წლის წინათ, უკიდურესმა გაჭირვებამ რომ გვაიძულა მფარველობის თხოვნა ერთმორწმუნე ქვეყნისთვის და ალბათ ისიც კარგად მოგეხსენებათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში (ბოლო ორი საუკუნის მანძილზე) ჩვენსავე «მფარველთან» რომ გვიხდებოდა განუწყვეტლივ ბრძოლა ისტორიული ტერიტორიის, მშობლიური ენისა თუ სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, რაც მარტო «მფარველის» ხელში ორჯერ დავკარგეთ, თუმცა ხელშეუხებლობის გარანტიაც, შესაბამისად, ორჯერ გვქონდა მისგანვე მიღებული. ამიტომ სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუკი დღეს გაცილებით დალეულნი და დაკნინებულნი გამოვიყურებით რუკაზე, ვიდრე ორი საუკუნით ადრე, «გადარჩენამდე» გამოვიყურებოდით. და მაინც, არამარტო უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე, საერთოდ საქართველოს ისტორიაში ვერ დაასახელებთ შემთხვევას ქართველი ხალხის არაკეთილი განწყობილების დამადასტურებელს მასთან ბედითა თუ უბედობით დაკავშირებული, რომელიც გნებავთ, ხალხის მიმართ. ამიტომაცაა განსაკუთრებულად შემამფოთებელი და განსაკუთრებულად საყურადღებო ყველაფერი, რაც დღეს (და არამარტო

დღეს) საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ხდება. ან ისევ პრიმიტიულ ძალადობასთან გვაქვს საქმე, ანდა უმადურობის, უსინდისობის, სულმდაბლობის, იუდობის კიდევ ერთ ჩვეულებრივ გამოვლენასთან, რასაც ჩვენ, ღვთის წყალობით, შეჩვეულნი ვართ, მაგრამ ჩვენი გულშემატკივრებისთვის, რამდენადაც შემიძლია მათი წარმოდგენა, თანაბრად დამამდაბლებელი იქნება, როგორც ერთის, ისევე მეორის გამართლება.

როცა ბოროტება ხდება (სადაც არ უნდა ხდებოდეს ის), გაჩუმება, რასაკვირველია, დანაშაულია, მაგრამ დანაშაულია არამარტო, ვთქვათ, ქართველი მწერლებისთვის, არამედ – საერთოდ, ყველასთვის! ყველაზე დიდი ბოროტება კი სიმართლის უარყოფაა. მწერლები უბრალოდ ვალდებულნიც არიან ნებისმიერი გზითა და საშუალებით ჩასწვდნენ სიმართლეს, ვიდრე ბრალს დასდებენ ვინმეს. ყოველ შემთხვევაში, სხვაზე მეტის ცოდნა მართებთ ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ნებისმიერი ბრალდება, სამართლიანიცა და უსამართლოც, ადამიანიდან მოდის და ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული. მწერალს თავად ბრალდება კი არ უნდა აინტერესებდეს, არამედ ადამიანი, რომელიც ბრალს სდებს და რომელსაც ბრალსა სდებენ. ღმერთმა იცის, რომელი მათგანი უფრო უბედურია და რომელს უფრო სჭირდება ყურადღება. ამის გარკვევაა მთავარი მწერლისთვის, თორემ უმსგავსობისთვის თვალის არიდება და ყურის მოყრუება ნამდვილად რომ მიუტევებელი საქციელია, ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა და არც ქართველი მწერლები არიან სხვა აზრისა, ოღონდ მათი ხმა ან ცილისმწამებელთა ხმაურშია ჩაკარგული, ანდა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ვერ სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს. სამაგიეროდ, ზოგიერთი გულშემატკივრის წარმოდგენა საქართველოსა და ქართველებზე თითქმის მთლიანად ემთხვევა იმავე ცილისმწამებელთა მიერ შეთხზულ ლეგენდებს, რის შედეგადაც საკავშირო (და არამარტო საკავშირო) მკითხველის თვალწინ სინამდვილის უაღრესად დამახინჯებული სურათი იხატება და ამ სურათის მიხედვით, დავუშვათ, წიგნის წამბილწავი და სკოლის დამარბეველი, შეიძლება, მამა აბრამის ბატონად წარმოვიდგინოთ, ხოლო ექიმი, რომელმაც დაჭრილს ზურგი შეაქცია, დაჭრილის ეროვნების გამო – სათნოებისა და გულისხმიერების განსახიერებად. ამიტომაც ზოგიერთი თანამოკალმე, მიუხედავად კეთილშობილური განზრახვისა – იყოს სამართლიანი – უნებურად უსამართლობის სამსახურში დგება, რითაც, შეიძლება ბევრს ვერაფერს აკლებს, მაგრამ ვერც ვერაფერს ჰმატებს სახარბიელოს ზოგადად მწერლის სახელს.

ადამიანის დადანაშაულება ადვილია, ამის მეტი რა ვიცი თუნდაც ჩვენივე ცხოვრებიდან, საამისოდ არც ბევრი დროა საჭირო, მაგრამ ძალზე ძნელია მისი დაცვა და გამართლება, რაც არ უნდა უდანაშაულო იყოს ის. ძნელია, არამარტო ცხოვრებაში, არამედ წიგნშიც. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სხვა არც არაფერია ჭეშმარიტი მწერლისა და ინტელიგენტის მოვალეობა. ამიტომ, ვიდრე ვინმეს გავამტყუნებდეთ, ბევრად აჯობებს, თუკი ჯერ საკუთარ სულში ჩავიხედავთ – უფრო ღრმად, უფრო დაკვირვებით, უფრო გაბედულადაც. მაგრამ სხვათა გამტყუნება მაინც გაცილებით იოლია, ვიდრე საკუთარი, თუნდაც უმნიშვნელო ნაკლის აღიარება. საერთოდ ადამიანია ასეთი – სხვის თვალში ბეწვსაც ამჩნევს, როცა საკუთარში დირეც ვერ დაუნახავს. გარდა ამისა, სხვათა გამტყუნება შენს გამართლებასაც გულისხმობს. რაკი სხვას ადანაშაულებ, თავად მართალი ყოფილხარ, როგორ კაცის, ისევე ღმერთის წინაშე. ამის ბრალიცაა ალბათ, ამ ბოლო დროს ყველანი რატომღაც სხვებისგან რომ მოვითხოვთ მონანიებას. მარტო ჩვენი თავი გვგონია დაჩაგრული და მარტო სხვა გვგონია დამნაშავე. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს, აქ კიდევ უფრო საინტერესო, დიახაც რომ ჭეშმარიტად უნიკალურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე: საქართველოსგან არამარტო ჩაუდენელი, არამედ (და ეს არის სწორედ შემაშფოთებელი), მის მიმართ ჩადენილი დანაშაულების მონანიებასაც მოითხოვენ. მაგრამ თუკი დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება, ასე თუ ისე, მაინც შეიძლება, ყოველად

შეუძლებელია, სხვას მოვანანიებინოთ ჩვენი ცოდვები, რაც არ უნდა გამმაფრებული გვქონდეს მწერლური ფანტაზია. მწერალი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანობის მაგალითსა ქმნის და ეს აიძულებს, ყოველთვის იმის მოლოდინში იყოს, რისიც ყველაზე მეტად ეშინია. ღმერთმა ნუ ქნას, მწერალიც როდისმე მკითხველივით გამბედავი გახდეს, მკითხველი კი – მწერალივით ფრთხილი. მწერლური სიფრთხილე განსაკუთრებული ფენომენია და არაფერი აქვს საერთო თუნდაც პოლიტიკოსის სიფრთხილესთან. რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო სიმხდალესთანაც. პირიქით, ჭეშმარიტი გამბედაობა, რაც ღვთაებრივი სინათლით ავსებს ჩვენს მიწიერ არსებობას, მწერლური სიფრთხილის ნაყოფია. მწერალი თუ ფრთხილობს, მხოლოდ იმიტომ ფრთხილობს, ჩვენ რომ არ დავსაჭურისდეთ სულიერად, ჩვენ რომ არ დავაშინოს ცხოვრებამ, ანუ არ წამოვეგოთ და სამარცხვინოდ არ ავფართხალდეთ ნებადართული გამბედაობის ანკესზე. ამიტომ, ყველა ჩვენგანს, ვიდრე ვიტყოდეთ, ჯერ გუნებაში უნდა გვქონდეს მტკიცედ ჩამოყალიბებული, დაკანონებული, გარდაუვლობის დონემდე აყვანილი ჩვენი ნებისმიერი მოსაზრება, მრწამსი თუ მიზანი, ბრალდებაზე რომ არაფერი ვთქვათ, და ამავე დროს, აუცილებელია განუწყვეტლივ გვახსოვდეს, რანი ვიყავით გუშინ, დაახლოებით მაინც უნდა წარმოვიდგინოთ, რანი ვიქნებით ხვალ, თუნდაც იმიტომ, დღეს ნათქვამი ხვალ სანანებელი რომ არ გაგვიხდეს.

გუშინ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა და თქმას აზრი ჰქონდა, დღეს კი ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ სათქმელმა დაკარგა აზრი. და იქნებ მართლა აღარ ღირდეს, არათუ ლაპარაკი, არამედ საერთოდ ცხოვრებაც, თუკი ჩემი არსებობაც იმდენად აღიზიანებს ვინმეს, რომ ჩემს დასაკნინებლად, ჩემს დასათრგუნად და ალბათ ჩემს მოსასპობადაც, მზად არის ნებისმიერი უსინდისობის ჩასადენად. მაგრამ ჩემი სიკვდილი, მით უფრო ნებაყოფლობითი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუკი ჩემი სიკვდილის მოსურნე ამის შემდეგ უკეთესი გახდება. ეს კი ძნელი წარმოსადგენია. უფრო სწორად, ძნელი დასაჯერებელია, რამდენადაც ცხოვრებისეული გამოცდილებით უფრო საწინააღმდეგოა მოსალოდნელი. ჩემი სიკვდილის მსურველი ჩემს მერე სხვას დაადგამს თვალს და ახლა სხვისი, მორიგი მსხვერპლის ყოფნა-არყოფნის საკითხი გახდება გადასაწყვეტი.

ბოროტების სათავე არასწორი ინფორმაციაა და ასე თუ გაგრძელდება, ადვილი შესაძლებელია, მართლა იმძლავროს ბოროტებამ – საქართველოს არამართო ადმინისტრაციულ, არამედ ფიზიკურ არსებობასაც დაესვას კითხვის ნიშანი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ასე. ნებისმიერი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოც განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია კაცობრიობისა, გინდაც კაცობრიობამ არც იცოდეს მისი არსებობის შესახებ, ანდა ყურმოკრულად გაეგოს მისი სახელი და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, საკავშირო მკითხველივით, მასაც (კაცობრიობას) მხოლოდ მცდარი წარმოდგენა ჰქონდეს ქვეყანაზე, რომელიც, მიუხედავად სიპატარავისა და სიმარტოვისა (ასეთია მისი ხვედრი), ხმლითა და გუთნით, საჭრეთლითა და წიგნით იცავდა ყოველთვის ადამიანურ ღირსებას, ეროვნულ თვითშეგნებასა თუ რელიგიურ მრწამსს, რისთვისაც, მთელი კაცობრიობის სამარცხვინოდ, უსასტიკესად ისჯებოდა და ისჯება დღესაც. თუნდაც მარტო ამის გამო კატეგორიულად ვერ გავიზიარებ ზოგიერთი ჩვენი კოლეგის მოწოდებას, ზეეროვნული პოზიციიდან განვსაჯოთ ჩვენს თვალწინ მიმდინარე პროცესები. ვერ გავიზიარებ, რადგან სწორედ ზეეროვნული იდეების გაუთავებელმა ქადაგებამ წარმოშვა ამდენი კონფლიქტი და გაუგებრობა ჩვენს ისედაც დაძაბულსა და გართულებულ ცხოვრებაში. ზეეროვნული იდეების ქადაგება, ნებისით თუ უნებლიეთ, იმპერიული სულისკვეთების სამსახურია და არა თანამედროვე, ჰუმანისტი, დემოკრატი, თავისუფლებისთვის მებრძოლი ინტელიგენტის საკადრისი პოზიცია, რამდენადაც ინტელიგენცია ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება მაინცდამაინც ეროვნული ინტე-

რესების გამომხატველი და დამცველი. ასევე ვერ დავეთანხმები ზოგიერთის განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს სიბერესა და ბავშვობას ეროვნება არ გააჩნდეს. ბავშვმა შეიძლება მართლა არ იცოდეს თავისი წარმომავლობა, მაგრამ დაუშვებელია ინტელიგენტსა და მწერალს არ ესმოდეს მნიშვნელობა ეროვნული წარმომავლობისა. ეროვნება, რასაკვირველია, ბავშვსაც აქვს და მოხუცსაც, თუკი ძალითა და სივერაგით არ წაართმევს სხვა. უფრო მეტიც, ეროვნება ბედისწერასავითაა, ბუნების კიდევ ერთი საიდუმლოა და ადამიანისთვის ხელმიუწვდენელ სფეროებს განეკუთვნება. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანზეცაა დამოკიდებული, რა მნიშვნელობას მიანიჭებს მას, უპირველეს ყოვლისა, პირად ცხოვრებაში. ეროვნება გენეტიკური ცნებაა და არა ასაკობრივი მოვლენა, მოსახდელი სენისა თუ დროებითი მიდრეკილების მსგავსი. ის ჩვენთან ერთად იბადება, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, უკვდავია. უფრო სწორად, მხოლოდ იმ შემთხვევაში ამთავრებს არსებობას, როცა ხალხი კვდება. ზოგმა, საბედნიეროდ, ეს ბოლო ამოსუნთქვამდე იცის, რაც არ უნდა ღრმა სიბერეში ეწვიოს სიკვდილი; ზოგი კი, სამწუხაროდ, სიკვდილამდე რამდენჯერმე ივიწყებს გარემოებისდა მიხედვით. ერთი კი ყველასთვის სავალდებულოა: არ შეიძლება, მხოლოდ ეროვნების გამო ვზრუნავდეთ ან არ ვზრუნავდეთ ბავშვებზე და მხოლოდ ეროვნების გამო მივაგოთ ან არ მივაგოთ პატივი მოხუცს. ჩვენი უთანხმოების მთავარი მიზეზი, ამ შემთხვევაში, ის გახლავთ, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, სამკვდრო-სასიცოცხლო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არათუ საკუთარი, არამედ ნებისმიერი ეროვნების დაცვასა და შენარჩუნებას. ვიდრე ოსმა, რუსმა, ტაჯიკმა თუ ესტონელმა ბავშვმა იცის, რომ ის მაინცდამაინც ოსი, რუსი, ტაჯიკი თუ ესტონელი ბავშვია, მანამდე ქართველი ბავშვის ადამიანად აღზრდასაც ნაკლები საფრთხე ემუქრება. ხოლო რაც შეეხება სიბერეს, ბევრი ჩვენგანი უკვე მიახლოებულნი ვართ ამ ასაკს და ძნელი წარმოსადგენია, ისევე მძაფრად არ განვიცდიდეთ ჩვენს ეროვნებას, როგორც ადრე, სიჭაბუკეში. პირიქით, ჩემი აზრით, ახლა ალბათ უფრო მეტადაც განვიცდიდით, რამდენადაც სიბერე ჩვენი ეროვნული შეგნების გვირგვინიცაა და, შეიძლება, ამის გამოც ვაიგივებთ სიბრძნესთან.

მართალია, ახლა ისეთი დროა, ძალაუნებურად ყველანი პოლიტიკაში ვართ ჩათრეულნი – ერთადერთი, რაც დღეს კიდევ გვაკავშირებს, ალბათ ისევე პოლიტიკაა – მაგრამ ეს სრულეზობითაც არ ნიშნავს იმას, მართლა პოლიტიკოსებად წარმოვიდგინოთ თავი, თითქოს პოლიტიკის წარმართვა ერთნაირად გვეხერხებოდეს ყველას, ანდა პოლიტიკის წარმართვაც ჩვენს გუნება-განწყობილებაზე იყოს დამოკიდებული ისევე, როგორც ჩვენგანვე გამოგონილი გმირის ბედისა. განა ვინც, დაუშვავთ, მხატვრული ლიტერატურითაა დაინტერესებული, მწერალიცაა?! ანდა – ლიტერატორია?! ასევეა პოლიტიკოსობაც. ეს კი ჩვენ ჩვენი საქმის საკეთებლად მოგვიწოდებს ყველას, ანუ მხოლოდ იმ იარაღით საბრძოლველად, რომლის ხმარებაც არამართო გვასწავლა ღმერთმა, არამედ დაგვაკისრა კიდევ. რასაც ახლა ვამბობ, ესეც ალბათ ზემოთ უკვე ნახსენები მწერლური სიფრთხილის ბრალია, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, სრულეზობითაც არ არის დასაძრახი, მით უფრო – დღეს, როცა არამართო საქართველო, არამედ მთელი კაცობრიობა დგას გამოცდისა და განსაცდელის წინაშე. დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, საქართველოს გასაჭირი კი არა, მისი სახელიც უცნობია ბევრისთვის. უფრო მეტიც, ვინც ასე თუ ისე იცის ჩვენი თავგადასავალი, იმასაც არ აღელვებს, ჩვენი ეროვნული ნიჭი და ენერჯია ჩაუდენელი დანაშაულების მონანიებას რომ ხმარდება აქამდე და სხვანაირად თითქოს წარმოუდგენელიცაა, როცა იმპერიის სივერაგით დაქუცმაცებულ ქვეყანას იმპერიობას სწამებენ და სხვებისგან გაბრიყვებულსა და ჩაწიხლულს, სხვათა მჩაგვრელად აცხადებენ, არამართო ჩვეულებრივი პოლიტიკური ყალთაბანდები, არამედ «ერის მამებად» და «ჰუმანიზმის მედროშეებად» მონათლული პიროვნებები. ეს იმათ სინდისზე იყოს. საქართველომ კი აქამდე

თუ მოაღწია, მხოლოდ იმიტომ მოაღწია, სიყვარულის უნარი რომ არ დაუკარგავს არასოდეს (თუმცა, მის ბედში მყოფისთვის, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, პირიქით მომხდარიყო), მოწყალების გაცემის სურვილი ცხოვრების მეგზურად რომ გაიხადა და სახელის მოხვეჭა არჩია «ყოველსა მოსახვეჭელს». ეს არის მთელი მისი დანაშაულიც და ამას იმიტომ კი არ ვამბობ, მართლა ვიმართლო თავი ვინმეს წინაშე, არამედ საქართველოს კიდევ ერთ ახალ «კეთილისმყოფელს» მაინც ავადებინო ხელი სამარცხვინო ცოდვაზე. სხვათა შორის, აქამდე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ჩვენი «კეთილისმყოფელი» გაუგებრობის მსხვერპლია. ისინი ბრმად მიენდვნენ ვიღაცას, ვინც მათზე ეშმაკიცაა და უკეთესადაცაა გაწვრთნილი ამგვარ საქმეებში. სხვანაირად ვერც ვიფიქრებ, თუნდაც იმიტომ, ისეთი არაფერი რომ ჩაუდენია ჩემს ხალხს, არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ბუნებრივად მივიჩნით მისი ლანძღვა-გინება სხვა ეროვნების კაცისგან, მით უფრო მწერლისგან. შეცდომა კი, შეიძლება, ყველას მოუვიდეს და მათ შორის, თავისთავად ცხადია, მწერალსაც. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ბოლო დროს იმდენი «შეცდომაა» დაშვებული საქართველოს მიმართ, საქმეში ჩაუხედავ კაცს, შეიძლება კარგად ორგანიზებულ, წინასწარ დაგეგმილ ანტიქართულ მოძრაობადაც მოეჩვენოს. მით უფრო რომ, ჯერჯერობით, არცერთ ჩვენს მეგობარს არ უცდია სხვისი თუ საკუთარი «შეცდომის» გამოსწორება თუ არა, აღიარება მაინც. ანდა თავად თუ არ უგინებია, არც ხმა აღუმაღლებია იმ ხალხის დასაცავად, რომლის ავ-კარგიც სხვებზე უკეთ უნდა მოეხსნებოდეს. ამავე დროს, იმედი მაქვს, ჩემი ხმა არ დარჩება უდაბნოში მლაღაღებლის ხმად და იქნებ ნაწილობრივ მაინც გავუფანტავ ვინმეს იმ არასწორ წარმოდგენებს, საქართველოში მიმდინარე პროცესების გარშემო რომ შექმნილა ოფიციალური თუ არაოფიციალური გზით, პატიოსანი თუ უპატიოსნო მეთოდებით, მეგობრებისა თუ მტრების მიერ. ეს წერილი თუ დაიბეჭდება, იქნებ მართლა დაფიქრდეს ვინმე იმ არასაკადრისი «ომის» თაობაზე, რომელშიაც, მისდა უნებურად, საქართველოა დღეს ჩათრეული და, საუბედუროდ, ჯერჯერობით არც გამგები ჩანს, არც გამკითხავი.

ბოროტების მიზეზი, ვიმეორებ, საქმეში ჩაუხედაობაა. კერძოდ ჩვენს შემთხვევაში კი – საქართველოს ტრაგიკული ისტორიის უცოდინრობა და, რაც მთავარია, გულგრილი, ზერეღე, სნობისტური და ამდენად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სხვა ხალხის ბედისადმი. განა საქართველოს თუნდაც «მცირე იმპერიად» მოხსენიება მართლაც ბედის დაცინვა არ არის, თუ უფრო ცუდ მოვლენასთან არა გვაქვს საქმე?! ყოველ შემთხვევაში, საქართველოს იმპერიად გამოცხადება არამარტო პოლიტიკური სიბეცეა, არამარტო დიდი მოქალაქეობრივი უსამართლობაა, არამედ მისი (საქართველოს) აბუჩად აგდებაც – ველიკორუსი ჩინოვნიკის ხუმრობას ჰგავს, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, სწორედ იმპერიისგანაა დაგლეჯილი ეს პატარა ქვეყანა ამდენ ავტონომიურ რესპუბლიკად თუ ოლქად, რელიგიურ თუ ეთნიკურ რეგიონად. მაგრამ ამაზე საუბარი ახლა შორს წავვიყვანს. ჯობს იმედი ვიქონიოთ, რომ ხვალ და ზეგ არ გაგვიჭირდება ერთმანეთისთვის თვალის გასწორება, თუნდაც, ფიქრში, ანუ სინდისის წინაშე. ადამიანის სიცოცხლე, ხანმოკლეა თუ ხანგრძლივი, საბოლოო ჯამში, მაინც ერთადერთი ნაბიჯით განიზომება, იმ ნაბიჯით, რომელსაც მაინცდამაინც მეორე ადამიანის და, აქედან გამომდინარე, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ გადადგამს იგი. მაგრამ სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმაა ძნელი. იმდენ სირთულესთანაა დაკავშირებული, როგორც ობიექტური, ისევე სუბიექტური თვალსაზრისით, ხშირად შეუძლებელიცაა. სამაგიეროდ, ამ გადამწყვეტ ნაბიჯთან შედარებით, სხვა ყველაფერი იოლიცაა და მარტივიც. მწერალზე უკეთ ვინ იცის, თუ რა იოლად შეუძლია ძალასა და ძალაუფლებას სინამდვილის გამრუდება, თუ რა მარტივად იცვლება ნებისმიერი ფარსის დეკორაცია და ნიღბებიც – მგელი შეიძლება ცხვრად, ცხვარი კი მგლად მოგვევლინოს – მაგრამ მშობლების თვალწინ ჯგუფურად გაუპატიურებული გოგოს-

თვის, ანდა საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად ქცეული ბავშვებისთვის ეს დიდი ვერაფერი შეღავათია. სინამდვილე გაცილებით შემზარავი და შთამბეჭდავია, ვიდრე რომელიმე ჩვენგანის კალამს ძალუმს დახატოს. ხოლო რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო ძნელი გადასარჩენია, განსაკუთრებით კი დღეს, სისასტიკის, სიდატაკის, გაყალბებული დემოკრატიის, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ანექსიების ეპოქაში. პატარა ქვეყნისთვის ყველაფერი წადმა-უკუდმა შეტრიალებული – ის, რაც სხვებისთვის საზეიმოა, მისთვის შეიძლება სამგლოვიარო აღმოჩნდეს, სასაცილო – სატირალი, საიმედო – სახიფათო და ასე შემდეგ. მაგრამ თავისუფლება პატარა ქვეყნისთვისაც გარდაუვალია, ოღონდ, ჯერჯერობით, თავისუფლებისკენ მიმავალნი, სხვებთან შედარებით, კიდევ უფრო მძიმე დღეში ვართ ჩავარდნილნი და ესეც გარდაუვალი, აუცილებელი მძიმე დღეა, თუკი თავისუფლება გვინდა. თავისუფლება, რასაკვირველია, დიდი მადლია, მაგრამ ასევე დიდი ტვირთიცაა. თავისუფლებისკენ სწრაფვა ადამიანის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა – დაიძვრება თუ არა ნაყოფი დედის საშოდან, იწყება მისი თავისუფლებისთვის ბრძოლა, რაც, ადვილი შესაძლებელია, სიკვდილამდეც გაგრძელდეს. სიკვდილით კი ყველაფერი მთავრდება, ყველაფერი ბათილდება, ყველაფერი უქმდება. სიკვდილი მარადიული შვება კია, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, ფარ-ხმლის დაყრაცაა. სიკვდილის მერე ისევ სიკვდილია, ანუ – არაფერი; მაგრამ, საბედნიეროდ, ხალხი უკვდავებისთვისაა გაჩენილი – მისი სასჯელიცა და ჯილდოც უკვდავებაა, ანუ განუწყვეტელი ტანჯვა და მოლოდინი. ხოლო კაცობრიობამ, თუკი ხვალაც აპირებს ცხოვრებას, დღეს უკვე უნდა იცოდეს სიმართლე ყველაფრისა და ყველას შესახებ. სილამაზისა რა მოგახსენოთ, სიმართლემ კი შეიძლება კიდევ იხსნას ჩვენი ცოდვილი დედამიწა, კიდევ აღადგინოს, ვინ იცის, რამდენწაირად დაგლეჯილი, რამდენგზის გადანაწილებული მისი სხეული – ყველა ჩვენგანის საერთო აკვანიცა და საერთო სამარეც.

კაცობრიობა, მართალია, ზოგადი ცნებაა, მაგრამ კი არ უარყოფს, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ყოველი ჩვენგანის განუმეორებლობას, ერთადერთობას, აუცილებლობას. კაცობრიობა სამშობლოდან იწყება და ვისაც ეროვნული ღირსება არ გააჩნია, მისთვის კაცობრიობა ცარიელი, არაფრის მთქმელი სიტყვაა, რომელსაც ნებისმიერი მნიშვნელობა შეგიძლია მიანიჭო შენი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. და კიდევ ერთი, ჩვენდა ჭირად თუ ჩვენდა ბედად, ერთხელ და სამუდამოდ ვერავინ მოიპოვებს იმას, რისი დაკარგვაც შეიძლება. ბუნებაში კი მხოლოდ ის მოიპოვება, რაც იკარგება კიდევ. მოპოვება თავის არსში დაკარგვასაც გულისხმობს, დაკარგვა კი, შესაბამისად, მოპოვებასაც, და ეს ვერაგული სიკეთე, თუ კეთილი ვერაგობა ქმნის იმ მოჯადოებულ წრეს, რომელშიაც იმედისა და უიმედობის განუწყვეტელი მონაცვლეობით გაბრიყვებული ადამიანია გამოძწყვდეული – მორჩილებისთვის, მოთმინებისთვის, ყველა სიკეთესთან ერთად, მახსოვრობითაც დაჯილდოებული და, ამდენად, არამართო რაღაცის დამმახსოვრებელი, არამედ რაღაცის დამვიწყებელიც. იმ ადამიანის სიცოცხლე მარადისობის ტოლფარდია. ანუ რაც იყო, კიდევ ბევრჯერ იქნება, რაც არის, უკვე ბევრჯერ ყოფილა. მწერლობაც ხომ იმისი მეთოდური შეხსენებაა, რაც უკვე არაერთხელ გადაგვხდენია თავს. მაგრამ ჯერარნახული განსაცდელი გველოდება წინ, თუკი ჩვენც, მწერლებიც პოლიტიკური ავანტიურისტებით, დასანგრევს გავამაგრებთ, დასაგმობს გავამართლებთ, დრომოჭმულს განვაახლებთ და, ამავე დროს, შეგვეძლება აუღელვებლად, თანამიმდევრულად, ჭკუის დარიგებითა და დაყვავებით, კიდევ ერთი სასიკვდილო ჭრილობა მივაყენოთ ხალხს, რომელსაც არათუ პირადად ჩვენთვის, არავისთვის არაფერი დაუშვავებია, თუკი თავისუფლებისკენ სწრაფვასა და ეროვნული ღირსების დაცვას არ ჩავუთვლით დანაშაულად. არა მგონია, თუნდაც ერთი წამით მართლა დაიჯეროს რომელიმე მწერალმა, რომ ქართველ ხალხს, ვისგანაც არ უნდა იყოს ის ათვალწუნებული, შეუძლია პური, წყალი და სით-

ბო დაამადლოს ვინმეს, ანდა მშვიდად ეძინოს, თუკი მისი მიზეზით ერთი ბავშვი, ანდა ერთი მოხუცი მაინც იტანჯება. მატეო ფალკონე შვილს კლავს, მაგრამ განა რომელიმე ჩვენგანს აზრად მოგვსვლია, შვილის მკვლელობა კორსიკელთა დამახასიათებელ თვისებად ჩაგვეთვალა?! ამ მოთხრობიდან, უპირველეს ყოვლისა, ყველამ ის ამოვიკითხეთ, რამაც უბედურ ფალკონეს ამგვარი გადაწყვეტილება მიაღებინა. ჩვენ, შეიძლება პროსპერ მერიმეები არა ვართ, მაგრამ მწერლურ ობიექტურობაში არც იმას უნდა ჩამოვრჩებოდეთ, არც ჩვენ უნდა გვქონდეს იმაზე ნაკლებად განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა როგორც ადამიანის, ისევე სიტყვის მიმართ. ჩვენს საერთო იერს, რომელსაც თავიდანვე ბევრი დიდებული პიროვნება გულმოდგინედ ქმნიდა და ამკვიდრებდა, სრულებითაც არ შეეფერება გულგრილობა და სისასტიკე. ხოლო, რაც შეგვეხება ჩვენ, ქართველებს, რაკი აქამდე არ მოხერხდა, დაე, გასაჭირში ჩავარდნილნი მაინც გაგვიცნოს დღეს მსოფლიომ. კაცისა არ იყოს, ხალხიც გაჭირვებაში იცნობა. გაჭირვება ზოგს აბეჩავებს, აკნინებს, ზოგს კი, პირიქით, კიდევ უფრო უმდაფრებს სიცოცხლის ჟინსა და უნარს. გაჭირვებაში ჩავარდნილი ყველა ნორმალური ადამიანი და, აქედან გამომდინარე, ხალხიც, უპირველეს ყოვლისა, გასაჭირიდან თავის დაღწევას ცდილობს და არავისა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ამ ურთულესსა და უკეთილშობილეს ბრძოლაში. რასაკვირველია, ასევე გასაჭირში ჩავარდნილსაც არა აქვს უფლება, სხვების იმედზე იყოს სულ, სხვებს აბრალებდეს საკუთარ უმაქნისობას. ვინც გაჭირვებულს ვერ შველის, იმას ალბათ შველა არც შეუძლია, ხოლო, ვინც შეგნებულად არ შველის, ის გაჭირვებულზე კიდევ უფრო უბედური ყოფილა და იქითაა მისახედი. ჩვენც მივხედავთ და მივუტევებთ ყველას, ვისაც ჩვენი შველა არ ძალუძს და იმასაც, ვინც შეგნებულად არა გვშველის, რადგან ისიც ადამიანია და არ უწყის, რას სჩადის. მხოლოდ ასე თუ ამოვალთ გასაჭირიდან. უფრო სწორად, მხოლოდ ასე უნდა ამოვიდეთ – თამამად, თავისუფლად რომ გავუსწოროთ თვალი კაცსაც და ღმერთსაც. მაგრამ ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ იმსახურებს მსაჯულისა და განმკითხავის წოდებას. ატომური ფსიქოზის, ეკონომიკური ტერორიზმის, აღზევებული პროვინციალიზმისა თუ პოლიტიკური სიბეცის საუკუნემ თითქმის ყველა ერთნაირად დაგვამდაბლა, დალხინებულნიცა და გაჭირვებულნიც. დალხინებულებზე ნაკლებად არც გაჭირვებულნი ვართ დამნაშავენი საყოველთაო სიყრუისა და სიბრძავის გახანგრძლივებაში. ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება, მორიდებით რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი უსინდისობაა და კარგს არაფერს მოგვიტანს მომავალშიც. სხვამ კი გვასწავლა, მაგრამ ჩვენც საფუძვლიანად შევისწავლეთ პურის ქვაზე თესვა და სახლის ქვიშაზე აშენება. რაც ჩვენ გადაგვიტანია, გასაკვირიცაა, უარესები რომ არა ვართ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, დროთა განმავლობაში ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის აღდგენა. ამიტომ ძალიან მინდა საქართველოს ბედზე დაფიქრებული ყველა ადამიანი იმ ხალხში მეგულებოდეს, რომლებსაც საქართველოსთვის და, ამდენად მთელი კაცობრიობისთვის, დიახაც რომ უმძიმეს და ურთულეს მომენტში, კეთილშობილებაც ეყოფათ და გამბედაობაც, სიმართლეს დაუჭირონ მხარი, ანუ არამართო საქართველოს ხვალისდელი დღე, არამედ ზოგადად ადამიანის ცნება იხსნან სამარადისო შერცხვენისგან. მეც ვსარგებლობ შემთხვევით და ერთხელ კიდევ ვგმობ ნებისმიერ დემაგოგიას, ნებისმიერ პროვოკაციას, ნებისმიერ ძალადობას ნებისმიერი ხალხის წინააღმდეგ მიმართულს და ჩემი წერილის ადრესატად ვგულისხმობ ყველას, ვისაც ოდესმე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა და გაუმართლებელი ტკივილი მიუყენებია ჩემი ხალხისთვის, რითაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ღირსება დაუმდაბლებია უკეთესი კაცობრიობის თვალში.

## რაკი ვხედავ და მესმის...

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი შინაომი არც გუშინ დაწყებულია და, რასაკვირველია, არც ხვალ დამთავრდება. ჩვენ ამ უშეღავათო, ლამის უსასრულო ომის მხოლოდ გარკვეული ეტაპის მოწმენი თუ მონაწილენი აღმოვჩნდით, შეიძლება ჩვენდა უნებურადაც, მაგრამ რაკი ასე ინება განგებამ, გვინდა თუ არა, უკვე ყველას ჩვენი საკუთარი წვლილი შეგვაქვს, თუნდაც ჩვენი არსებობით, ყოველი ცალკეული საბრძოლო ეპიზოდის წარმართვაში. ისტორიისთვის სულერთია, ვინ საით ვდგავართ, ამას მხოლოდ თითოეული ჩვენგანის პირადი მსოფლმხედველობისა და სულისკვეთების გამოსარკვევად და გამოსავლენად ენიჭება მნიშვნელობა, რამდენადაც მეომარი მხარეები განუყოფლის გაყოფასა და ხელშეუხებლის ხელყოფას ცდილობენ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ორივე მხარე დარწმუნებულია სამშობლოს თავისუფლებისთვის რომ იბრძვის, თავად სამშობლო კი ორივე მხარისთვის ერთია და ორივე მხარე ერთნაირად იტანჯება საუკუნეთა მანძილზე უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი მონობისგან. ჩვენი ომი იმითაცაა განსაკუთრებული, ნებისმიერი მხარის გამარჯვება საერთო უბედურებად რომ შეიძლება იქცეს, ანუ იძულებითი მონობა ნებაყოფლობითი მონობით შეიცვალოს. ეს ომი მხოლოდ მაშინ განახლდება ხოლმე, როცა გარდაქმნებით აფორიაქებული იმპერიის ხალხებს განთავისუფლების შესაძლებლობა უჩნდებათ და, თავისთავად ცხადია, დასაღუპად განწირული ხომალდის მგზავრებით, თავადაც ფორიაქდებიან, რის გამოც ხშირად ერთმანეთს უფრო ვნებენ, ერთმანეთის მოუთმენლობასა და გადარჩენის ცხოველურ ინსტიქტებს უფრო ეწირებიან, ვიდრე საერთო განსაცდელს.

საუკუნის დასაწყისში, აკაკის თქმით, თურმე, მამა შვილს აღარ ზოგავდა და შვილის მამას, ძმა – ძმას და მეგობარი – მეგობარს. ასეა დღესაც. ოღონდ ცოტა კიდევ უფრო მძაფრად, რადგან ამ ხნის განმავლობაში არამარტო ბრძოლის წესები გამკაცრდა, არამედ ომის გამჩაღებლებიც გაიწაფნენ თავიანთ საქმეში. სამაგიეროდ, საუკუნის მიწურულსაც იმავე მოვლენებმა განაპირობა ჩვენი მარადიული ომის განახლება, ანუ, დღესაც მოახლოებული თავისუფლების მძაფრმა სურნელმა შეძრა ჩვენი გულები და იქამდე მივაწყდით სატუსაღოს ჩაჟანგულ კარს, ვიდრე ბოლომდე გაიღებოდა. რა მოჰყვება ჩვენს სულსწრაფობას, ჯერ გაურკვეველია. მაგრამ დღეს თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ საუკუნის დასაწყისში ვერ შევძელით პოლიტიკური პროცესების საღად შეფასება და კიდევ ერთი ისტორიული შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, უფრო სწორად, მხოლოდ სამი წლის მანძილზე გავითამაშეთ გამოგონილი თავისუფლება გამოგონილი სახელმწიფოს სცენაზე. ქართველმა ხალხმა, ისევ და ისევ ხანგრძლივი, მოუშორებელი მონობის გამო, ვერ მოახერხა მისთვის სასარგებლოს არჩევა ეროვნულსა და სოციალურს შორის. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ილია ჭავჭავაძეს ნოე ჟორდანიას ამჯობინა და დაისაჯა კიდევ, რამდენადაც ილია, თავისი არსითა და ბუნებით, მარადიულის, მყარის განსახიერებაა, როცა ჟორდანიას (რასაკვირველია, ჩემი თვალსაზრისით), ეფემერულისა და მოჩვენებითის განმასახიერებლად ამოატივტივა დრომ ჩვენი მრავალგზის გაწბილებული და გაბითურებული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ის სამწლიანი სპექტაკლიც უაღრესად საჭირო აღმოჩნდა ჩვენი მომავალი არსებობისთვის თუნდაც იმიტომ, სამუდამო ძილისთვის რომ არ მიგვეცა თავი, საბოლოოდ არ ჩაგვექნია ხელი და, თუკი შესაძლებლობა მოგვეცემოდა, ერთხელ კიდევ გვეცადა



საცდელი, რისი მოწმენიცა და მონაწილენიც დღესა ვართ ყველანი: მორწმუნენიც და ურწმუნონიც, მშობრებიცა და გულადებიც, ბრიყვნიც და ჭკვიანნიც. მაგრამ ომი არამართო რაღაცის მოსპობას, არამედ რაღაცის გადარჩენასაც გულისხმობს, არამართო – მხილებას და გამტყუნებას, არამედ – დაცვასაც და გამართლებასაც. ძმათა ომი, სამწუხაროდ, თითქმის აუცილებელი უბედურებაა თავისუფლებისთვის, ღირსებისთვის, სამართლიანობისთვის მებრძოლი ხალხებისა. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ერთხელ კიდევ განმეორდეს წარსული, ანუ მარადიულს ისევ ეფემერული ვამჯობინოთ, რისი შეტყობაც, თავისთავად ცხადია, დღეს არავის შეუძლია და გარკვეული დრო უნდა გავიდეს, დაბეჯითებით რომ ვთქვათ, გაღმა გავყავართ ბორანს, თუ უკანვე გვაბრუნებს. მაგრამ, ასეა თუ ისე, დღეს ყველამ ის უნდა ვაკეთოთ, რისი კეთებაც მხოლოდ საერთო საქმისთვის მიგვაჩნია სწორად. თუმცა ჯერჯერობით ისიც ძნელი გასარკვევია, რა ჯობს საერთო საქმისთვის, ვინ უფრო მართალი აღმოჩნდება ბოლოს როგორც ღმერთის, ისევე საკუთარი სინდისის წინაშე. ამიტომ ძმათა ომის ყველა მონაწილეს მთავარ იარაღად მაინც გაგება და მიტევება უნდა ჰქონდეს მომარჯვებელი, რამდენადაც ძნელი დასაჯერებელია, შეგნებულად იბრმავებდეს რომელიმე მათგანი თავს, შეგნებულად უშვებდეს შეცდომას, ანუ არ იყოს ღრმად დარწმუნებული, სწორედ იქ რომ დგას, სადაც უნდა იდგეს.

ჩვენ ყველანი, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის მსხვერპლნი ვართ. ხოლო სიყვარული თუკი მართლა ბრმაა, მაშინ ყველაზე ბრმა სწორედ სამშობლოს სიყვარული ყოფილა – სიტყვის შეუბრუნებლად ვემორჩილებით, უანგაროდ ვემსახურებით და სიამაყით ვეწირებით. ვეწირებით, მაგრამ არ ვიღუპებით, რადგან სამშობლოსთვის სიკვდილი მეორედ დაბადებას ნიშნავს, ანუ უკვდავებაში გადასვლას – იქამდე ვიქნებით ჩვენც, სანამ ჩვენი სამშობლო იარსებებს ამ ქვეყანაზე, ესე იგი, სულ, უსასრულოდ, სამყაროს აღსასრულამდე. ამიტომ ვერ დავეთანხმები იმათ, მომხდარი ტრაგედიის კომენტარისას, საკმაოდ დაჯერებულად რომ აცხადებენ დღეს: «ერი დამარცხდაო». ერი გუშინაც დამარცხებული იყო და გუშინწინაც... ჩემი აზრით, ერთხელ კიდევ მოხდა მოსახდენი, რაც არ უნდა ძნელი გადასატანი იყოს ყველა ჩვენგანისთვის, როგორც მსხვერპლის სიმძიმე, ისევე საკუთარი სიბრმავის, სისასტიკის თუ სიბრიყვის შეგრძნებაც. შინაომი, გარკვეული თვალსაზრისით, საკუთარ სულში ჩაღრმავების ცდაა, რადგან მხოლოდ იქ თუ აღმოვაჩინოთ თანდაყოლილ და შეთვისებულ მანკიერებათა აღიარების უნარს, ურომლისოდაც, უბრალოდ, უფლებაც არა გვაქვს უკეთეს მომავალზე ფიქრისა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია საკუთარი შეცდომების კვლევა და გამოსწორება. შეცდომა კი ნამდვილად ბევრი ჩაგვიდენია და ალბათ მომავალშიც მრავლად ჩავიდენთ. შეცდომა ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრია და ამიტომაც არ ითვლება დანაშაულად, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობას იმ ხალხს მაინც უნდა უმძაფრებდეს, რომლებსაც პოლიტიკური მომზადებაც და მდგომარეობაც ავალდებულებს, სხვებზე უკეთესად ერკვეოდნენ მიმდინარე პროცესებში და თუ შეცდომად თვლიან, დავუშვათ, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას მსოფლიო რუკაზე ფაქტობრივად ჯერ არარსებულ სახელმწიფოში, გვერდზე კი არ უნდა გადგნენ გადამწყვეტ მომენტში, ხელი უნდა დაუჭირონ რომანტიკული პატრიოტიზმით აღტყინებულ ამომრჩეველს, რათა ერთხელ კიდევ დაფიქრდეს ის, ვიდრე საკუთარ ხმას, მით უფრო თავის სიცოცხლეში პირველად, შეგნებულად მისცემდეს ამა თუ იმ კანდიდატს, სინამდვილეში კი, ერთხელ კიდევ განუსჯელად მიანდობდეს ბედს ურნის წყვილიად. რომანტიკული პატრიოტიზმი ხომ იმის ბრმა თაყვანისცემაა, რაც, შეიძლება, არც არსებობდეს, ანდა იმ სახით არ არსებობდეს, რა სახითაც შენ წარმოგიდგენია. «ეს ხალხი მხოლოდ იმიტომ თვლის თავს ბედნიერად, მისი ახალი ტირანი რუსულ სახელს რომ ატარებს და არა თათრულსო,» – ასე წერდა რუსებზე მეცხრამეტე საუკუნის ერთი ფრანგი მწერალი და, სამ-

წუხაროდ, იმავეს თქმა ჩვენზეც შეიძლება. ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესო. ჩვენ კი, აგერ უკვე ორასი წელია, რუსეთზე ვართ მიბმული და ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ფერიც ვიცვალეთ და ზნეც. მაგრამ მე მაინც არ ვთვლი ქართველ ერს დამარცხებულად და არც ამის ხმამაღლა განცხადება მგონია მამულიშვილური გულწრფელობის მაგალითი. ამან, შეიძლება, კიდევ უფრო განგვიძაფროს დამნაშავის კომპლექსი, ზედმეტი კი ყველაფერი ერთნაირად მავნებელია, ცუდიც და კარგიც. ერი, რომელიც თუნდაც ქაოტურად, ალალბედზე იბრძვის თავისუფლებისთვის, უპირველეს ყოვლისა, იმას ადასტურებს, მონობაში დაკარგული სახის დაბრუნების სურვილით რომ არის შეპყრობილი და თუნდაც მარტო ამ სურვილისთვის იმსახურებს პატივისცემას სხვებისგანაც თუ არა, ჩვენგან მაინც. ასე რომ, კი არ დავმარცხდით, ცოცხლები აღმოვჩნდით, ანუ კიდევ ერთი შესაძლებლობა მოგვეცა ცდილა. რა თქმა უნდა, ბევრად აჯობებდა სხვა გზებითა და მეთოდებით შეემოწმებინათ ჩვენი ბედის გამრიგებებს ჩვენი სიცოცხლისუნარიანობა, მაგრამ, ასეა თუ ისე, მოსახდენი უკვე მოხდა. მთავარია, ჩვენს ხალხს იმდენი სულიერი ძალა კიდევ აღმოაჩნდეს, საკუთარი შეცდომები აღიაროს. შეძლებს თუ ვერა ამ შეცდომების გამოსწორებას, სხვა საკითხია. ამას მხოლოდ დრო დაგვანახებს. ჩვენ დღეს ყველანი მიმდინარე პროცესის მონაწილენი ვართ და შეძლებისდაგვარად მივყვებით კიდევ დინებას, რამდენადაც დინების მიმართულებით სვლაც თავისებური ბრძოლაა, ყოველ შემთხვევაში, ბრძოლის ილუზიას ნამდვილად გვიქმნის, ბრძოლა კი, როგორც უკვე ვთქვით, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, უპირველეს ყოვლისა, იმის დადასტურებაა, ჯერ კიდევ ცოცხლები რომ ვყოფილვართ, თანაც ერთხელ კიდევ გამოგვიღვიძია და ადვილი შესაძლებელია, ამჯერად უფრო იბლიანი აღმოჩნდეს ჩვენთვის თუნდაც დროისმიერი, თუნდაც თავსმოხვეული ცვლილებები. მართალია, ჩვენი მიზანი თავისუფლებაა, მაგრამ თავისუფლებისთვის ბრძოლა არსებობისთვის ბრძოლასაც გულისხმობს, ოღონდ ვინც შეგნებულად იბრძვის, ის, რა თქმა უნდა, თავისუფლების გარდა არავითარ სხვა გასამრჯელოს არ ელოდება ამ ბრძოლიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ბარიკადის ორივე მხარეს საკმარისზე მეტნი აღმოჩნდნენ მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მსურველნი, ანუ ანგარებით დამცველნი ხელისუფლებისა და ანგარებით გაოპოზიციონერებულნიც. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ერთნი უკვე საკუთარი ნაკვალევის ამოშლას ცდილობენ, მეორეებმა კი, დამსახურება არ დაგვეკარგოსო, ლამის ცარციტ შემოხაზონ ყველა ადგილი, სადაც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ მიტინგზე მდგარან. ასე კი იმიტომ ხდება, თავიდანვე, ძირშივე რომ ვერ შევძელით თავისუფლების გამორჩევა თავნებობისგან. თავისუფლება დაბრძენების გამოხატულებაა, თავნებობა – ქრონიკული სიბრიყვისა და თუნდაც მარტო ამის შიშით, არასოდეს არ უნდა დავაყენოთ შეუგნებელი მოუთმენლობა შეგნებულ მოთმინებაზე მაღლა, რამდენადაც პირველი სწორედ თავისუფლების მტრების წისქვილზე ასხამს წყალს, როცა მეორეს ოდესმე მაინც შეიძლება მოჰყვეს ნანატრი თავისუფლება.

ნოემბერმა და აპრილმა, თავის დროზე, რასაკვირველია, უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა მოგვაყენა ყველას, მაგრამ სანატრელი შემჭიდროვების, აუცილებელი წესრიგისა და ბუნებრივი კაცთმოყვარეობის ნაცვლად, რაც თითქოს თავისთავად უნდა მოჰყოლოდა ამ ორ გრანდიოზულ, უაღრესად ეროვნულ მოვლენას, კიდევ უფრო გავიფანტენით, კიდევ უფრო გავუცხოვდით, კიდევ უფრო შევიძულეთ ერთმანეთი. ასე კი იმიტომ მოხდა, დიდი ხნის წინ რომ შევაქციეთ ზურგი გონებას და სრულიად მოუმზადებელნი, ლამის მარტო გულის ამარა აღმოვჩნდით კიდევ ერთი ისტორიული გარდატეხის წინაშე, რის შედეგადაც არათუ მივიღეთ, გაგვიტკბა კიდევ ნებადართული თავისუფლება, რაც, არც მეტი და არც ნაკლები, სულიერი ნარკოტიკია უწვრთნელი, ნებაზე მიშვებული, «უმეთვალყუროდ» დარჩენილი ადამიანისთვის, რადგანაც მოპოვებული, დამსახურებული თავისუფლებისგან განსხვავებით

(რომელსაც დროც მეტი სჭირდება და ფიქრიც), პირველ რიგში, სხვათა ფეხის ხმის აყოლას გვავალდებულებს მხოლოდ, ანუ, ერთხელ უკვე გადაყრილი დროშების ფრიალსა და ბოლომდე გაუცნობიერებელი ლოზუნგების ამოძახებას. თავისუფლება, ეტყობა, გარდუვალია – აქეთკენ მიდის მთელი კაცობრიობა – მაგრამ მოჩქარეს, სამუდამოდ თუ არა, შეიძლება, საკმაოდ დიდი ხნით მოუგვიანდეს, თუკი ისევ გულით განვჭვრეტთ და არა გონებით. გაღმა გასვლის მსურველები, შეიძლება, უკანვე დაგვაბრუნოს ბორანმა და აკი დაგვაბრუნა კიდეც, რადგან რაც დღემდე ვაკეთეთ თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით, ერთხელ უკვე არსებული უდღეური რესპუბლიკის რესტავრაციის მცდელობა იყო მხოლოდ და სხვა არაფერი. ეს კი, რამდენადაც ვიცი, სრულებითაც არ უნდა იყოს ჩვენი სანუკვარი მიზანი. მაგრამ თუ რატომ მოხდა ასე, ალბათ უთქმელადაც გასაგებია ყველასთვის. ჩვენი ხალხი ისე ღრმად და შეურაცხყოფილი გაუთავებელი მონობით, ისე დანატრებული ნამდვილად მის, ნამდვილად მისთვის არსებულ ხელისუფლებას, არც გაემტყუნება, თუკი ხანდახან შეგნებულადაც დახუჭავს თვალს ბევრ რამეზე, ანუ, ჩვეულებისამებრ, საკუთარი მეობის გადარჩენის მიზნით, ისევ ლეგენდას მიანიჭებს უპირატესობას სინამდვილესთან შედარებით. მაგრამ ლეგენდაში დაყოვნებაც სახიფათოა, რადგან ნანატრი თავისუფლებისა და დემოკრატიის ნაცვლად, ბოლოს იქნებ ცრუ სასახლეებითა და ციხე-კოშკებით მოფენილი, ცრუ უფლისწულებითა და მზეთუნახავებით დასახლებული ცრუ ქვეყანა შეგვრჩეს ხელში, რომლის ადგილიც, მართლაც, ლეგენდაშია და არა მსოფლიო რუკაზე.

ყველა მოწოდება, რომელიც სახელოვან სიკვდილს სამარცხვინო სიცოცხლეზე მაღლა აყენებს, კონკრეტული ადამიანისთვისაა გამიზნული და არა ხალხისთვის. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ დროს, ესე იგი, საერთო განსაცდელის ჟამს, ყველა ჩვენგანი ხალხია, ანუ ქვეყნის ნებასურვილის აღმსრულებელია და არა პირადი ინტერესების დამცველი. ყველა ჩვენგანი თავისთავად ხდება იმ თვისებების გამომხატველი, რაც ხალხს ახასიათებს საერთოდ და იმ ერთიანი, განუყოფელი არსების ნაწილად აღიქვამს თავს, რომელსაც ხალხი ჰქვია და რომელიც გაცილებით ძლიერიცაა და გონიერიც, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება იყოს. ამიტომ, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს ყველა ჩვენგანის მრწამსს, მოსაზრებას... ჩვენს მიერ წარმოთქმულ ნებისმიერ სიტყვას და ჩვენს მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს. აქედან გამომდინარე, არასოდეს არ ჰქონია ალბათ ესოდენ დიდი მნიშვნელობა თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეს, სულ ერთია, ბარიკადის რომელ მხარეს ვდგავართ, რადგან თავად ბარიკადი, გვინდა თუ არა, ჩვენს საერთო გულზე გადის ყოველთვის და, ამდენად, გაცილებით მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა ბარიკადის ორივე მხარეს, ოღონდ საკუთარი სიმართლისა კი არა, ამ გულივით საერთოსი. რასაკვირველია, ადვილია მონობაში ზნეშეცვლილ კაცს ქვა აალებინო ხელში, თუნდაც მოყვასის ჩასაქოლად, მაგრამ შეუდარებლად ძნელია, მოყვასის ჩასაქოლად ალებული ქვა როგორმე გააგდებინო იმავე კაცს ხელიდან. სისხლი მხოლოდ მხეცს ალვიძებს ჩვენში, ჩვენ კი თავისუფლებაცა და დემოკრატიაც ადამიანობის გადასარჩენად გვინდა უპირველეს ყოვლისა. ადამიანი, რაც არ უნდა რთული ცხოვრებით ცხოვრობდეს, უაღრესად საცოდავი არსებაა და თუ არ მიუტყვევ, თუ არ დაინდე, თუ არ გაამართლე – საერთოდ უაზრობად იქცევა მისი ამქვეყნიური ყოფა. რაც მთავარია, თავადაც უნდა შევიგნოთ და მეორე კაცსაც შევაგნებინოთ, რომ ჩვენს შორის კარგი და ცუდი არ არსებობს. უფრო სწორად, ჩვენი სიკარგეცა და ჩვენი სიცუდეც ერთმანეთის ტოლფასია, ერთმანეთს აბათილებს, გამორიცხავს, რადგან ორივე ხანგრძლივი, უსაშველო, გაუთავებელი მონობის შედეგია, მონობაშია შობილი, მონობის რძითაა გამოზრდილი და, საბოლოო ჯამში (რა თქმა უნდა, თუკი მართლა განვთავისუფლდით), ორივე მოსაშორებელია,

რამდენადაც თავისუფალი სამყაროსთვის მონური ერთგულებაც ისეთივე გაუგებრობაა, როგორც მონური დაუნდობლობა.

ჯერჯერობით კი, ჩვენდა ჭირად, თითქოს მხოლოდ იმიტომ ვთავისუფლდებით, ერთმანეთის შურითა და სიძულვილით დაბრმავებულებმა, ჩვენივე ხელით რომ წავბილწოთ და მოვსპოთ ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ გუშინ ამ ქვეყანაზე არსებობის უფლებას გვაძლევდა. დღესაც პირველყოფილი ძალით წამოუყვია თავი დაუნდობლობის, სისასტიკის საზარელ ასპიტს და დაუნანებლად გესლავს ყველაფერს, რითაც ჯერ კიდევ გუშინ შეგვეძლო თავი ადამიანად ჩაგვეთვალა, აგვეტანა აუტანელი, გაგვეძლო გაუსაძლისისთვის. თითქოს საერთოდ იმიტომ გამოვიღვიძეთ, მტერზე მეტი სიმკაცრით რომ დავრეოდით ერთმანეთს მტრის დანატოვარი იარაღით. რასაკვირველია, ორასწლიანი მონობა უკვალოდ არ ჩაივლიდა და აკი არც ჩაიარა, თუკი შეიძლება ჩავლილად ჩავთვალოთ. ჩვენ მონობის ხეობები ვართ – მონობით დაბრმავებულნი და მონობით დაყრუებულნი – მაგრამ თავი კი არ უნდა მოვიკლათ, ან ერთმანეთი კი არ უნდა მოვსპოთ თავსმოხვეული სიბრმავისა და სიყრუის გამო, არამედ ყველა საცდელი უნდა ვცადოთ, ყველა ღონე უნდა ვიღონოთ, ერთ ჩვენგანს მაინც რომ აეხილოს თვალი გადამრჩენი გზის დასანახად და ერთ ჩვენგანს მაინც გაეხსნას სმენა გზაზე გამყვანი სიტყვის გასაგონად. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველას ერთნაირად გვწამდეს, რომ თუ ვდგავართ, მხოლოდ სიყვარულის უნარით ვდგავართ მაღლა სხვა ნებისმიერ ცოცხალ არსებაზე. მაგრამ არც ისაა დასაძალი, რომ სწორედ ამ მარტივი, თითქოს ყოვლად უწყინარი ჭეშმარიტების შეგნებაა ძნელი. ამის ქადაგებაც ძნელია, ხშირად სახიფათოც (გააჩნია საზოგადოების ზნეობრივ დონეს) და ასეა მას შემდეგ, რაც თავი ახსოვს ადამიანს. კაცობრიობის ისტორიაში ისეთი პერიოდებიც ყოფილა, როცა სიყვარულის ნებისმიერი გამოვლენა დანაშაულად და ბოროტებად ითვლებოდა; ძალიან ხშირად ეს დიადი გრძნობა, ადამიანის გულიდან გამოდევნილი, მხოლოდ და მხოლოდ წიგნში პოულობდა თავშესაფარს. სხვათა შორის, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესიც თუ აშკარად არ უპირისპირდება, არც ფარულად თანაუგრძნობს სიყვარულს და ასე იმიტომ ხდება, ვერაფრით რომ ვერ შეუთანხმებია ადამიანს აქამდე, ვერ შეუხმატკბილებია ერთმანეთისთვის სულიერი უსაზღვრობა, ანუ სიყვარული (რაც ღმერთმა დაამადლა) და ხორციელი შეზღუდულობა, ანუ სურვილი (რაც ტალახისგან მოსდევს). ასე რომ, რაც არ უნდა სამარცხვინო და სამწუხარო იყოს ყველა ჩვენგანისთვის, ადამიანს თავისი საკმაოდ გრძელი გზა კაცის კვლით, მოყვასის სიძულვილით, სიძვითა და შურით აქვს გამოვლილი და, რაც მთავარია, ასე ერჩიათ იმათაც (ყოველ შემთხვევაში, იმათ უმრავლესობას), ვისაც მისი ბედი ებარა – ბელადები იყვნენ ისინი, ფარაონები, კეისრები, მეფეები თუ პრეზიდენტები – ისინი არამარტო თვალს უხუჭავდნენ ადამიანურ უმსგავსოებს, არამედ საგანგებო «აღზრდა-განათლების» სისტემებსაც ქმნიდნენ, საერთოდ რომ ამოეძირკვათ ადამიანში ადამიანური, ჯერ კიდევ ჩანასახშივე აღეძრათ მისთვის ზიზღისა და სიძულვილის გრძნობა სწორედ იმის მიმართ, რის გარეშეც ყოვლად წარმოუდგენელია პიროვნების ჩამოყალიბება, ანუ ყოვლად წარმოუდგენელია საერთოდ იფიქრო თავისუფლებაზე, განუწყვეტლივ ესწრაფოდეს მას და განუწყვეტლივ იტანჯებოდეს უიმისოდ. სამაგიეროდ, ასეთი ადამიანი საიმედო დასაყრდენია ნებისმიერი უკანონობის, ნებისმიერი ძალადობის, ნებისმიერი უსინდისობის დასამკვიდრებლად. ეტყობა, ჩვენშიც, საქართველოშიც საკმაოდ მძლავრად იყო ფეხმოკიდებული ამგვარი «აღზრდა-განათლების» ტრადიცია, თორემ სხვანაირად მართლაც ძნელი ასახსნელია თუნდაც ის მოუთოკავი, შეუნიღბავი სიძულვილი, ვთქვათ, საკუთარი კულტურის მიმართ, რაც, არც მეტი და არც ნაკლები, გაუცნობიერებელი ამბოხია საერთოდ გონიერების, ნიჭიერების, კეთილშობილებისა თუ წესიერების წინააღმდეგ. ვინც საკუთარ კულტურას უგულვებელყოფს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ის,

უპირველეს ყოვლისა, საერთოდ საეჭვოს ხდის ამ კულტურის შემქმნელი ხალხის გონებრივ-სა და სულიერ პოტენციალს. მისთვის არც წმინდა არსებობს რამე, არც ხელშეუხებელი. მისი ერთადერთი მიზანი არსებობის უფლების მოპოვებაა, უფრო ზუსტად, ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა, და საამისოდ არაფერს მოერიდება, არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან. უსიყვარულოდ გაზრდილი ადამიანის გულში, თავისთავად ცხადია, მთავარ ადგილს სიძულვილი იკავებს, სიძულვილი ყველაფრის მიმართ, რაც გარს ახვევია. მაგრამ ეს მტანჯველი, გამომფიტავი, გამომაყეყეჩებელი გრძნობა მხოლოდ შურისძიების იარაღი კი არ არის მისთვის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს მისი აგრესიულობის გამო, არამედ – თავდაცვის ერთადერთი საშუალებაცაა, რისთვისაც უმაღლეს სიბრალულს აღძრავს (უნდა აღძრავდეს), ვიდრე გულისწყრომასა და მრისხანებას. უსიყვარულოდ გაზრდილი ადამიანი ჯერ საკუთარი თავის მტერია და მერე დანარჩენი კაცობრიობისა. თუ სწავლობს, სიძულვილით «სწავლობს»; თუ შრომობს, სიძულვილით «შრომობს»; ოჯახს თუ ეკიდება, სიძულვილით ეკიდება და რაკი თავად უვიცია, უქნარაა და უპოვარია, ყველაზე მეტად სწორედ სხვისი ცოდნა, სხვისი მუყაითობა და სხვისი ჭირნახული აღიზიანებს. მისი გამოსარჩევი თვისება განურჩევლად ყველაფრის უარყოფა და განურჩევლად ყველაფრისადმი უნდობლობის გამოცხადებაა, რასაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ვერც მშობლიური მწერლობა გადაურჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, არაფერი რომ არ რჩება მწერლობას შეუმჩნეველი, აღუნუსხავი – არც რეალურად არსებული და არც წარმოდგენილი, თუნდაც – ნაგულისხმევი. გარდა ამისა, ვიდრე მწერლობა გვაქვს, ჯერ კიდევ ხალხად ვითვლებით, ჩვენი არსებობა არამარტო ბრმა შემთხვევითობაა, არამედ გააზრებული, გამიზნული თავგანწირვაც, ანუ, არამარტო პურისთვის ბრძოლაა, არამედ სულისთვისაც, უფრო სწორად, თავისუფლებისკენ სწრაფვის მარადიული გამოხატულებაა, რაც, თავის მხრივ, არათუ ასატანს, არამედ აუცილებელსაც ხდის ჩვენს მიწიერ ყოფა-ცხოვრებას. და მართლაც, მას შემდეგ, რაც ადამიანმა ხელოვნური ფრთა გამოიბა, კაცობრიობა თავისუფლებას ესწრაფვის განუწყვეტლივ; მისი ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა, რადგან, ჩვენდა ჭირად თუ ჩვენდა გასახარად, ერთხელ და სამუდამოდ არაფრის მოპოვება არ შეიძლება. ამის ბრალიცაა, ცოტა ვინმემ თუ შეძლო საერთოდ ფრთის შენარჩუნება. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ცოტა ვინმემ თუ მოახერხა საკუთარ სულში შეხიზვნა, შინაგანად თავისუფალი რომ დარჩენილიყო ბოლომდე, რამდენადაც შინაგანი თავისუფლების გარეშე თავისუფლების ნებისმიერი ზოგადი გამოხატულება მხოლოდ და მხოლოდ ფარსია და სრულიად სხვა, ძირითადად თავისუფლებისთვის საზიანო მიზნების შესანიღბადაა გათამაშებული. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, ნებისმიერი ტოტალიტარული სახელმწიფო ყოველთვის თავისუფლების სახელით რომ გამოდის ასპარეზზე, ანუ არ ყოფილა შემთხვევა, სიტყვით დაეგმოს და საქმით დაეცვას თავისუფლება.

დიახვაც რომ მძიმე დღეში ვართ ჩავარდნილნი. რითაც დავიწყეთ ეს საუკუნე, იმითვე ვამთავრებთ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, დიდი ვნებათა ღელვისა, მაინც ვერ გამოვიტანეთ ჩვენთვის სასარგებლო დასკვნა ამ უაღრესად დამაბული, დაუნდობელი, სისხლიანი ასწლეულიდან. ისევ სისხლი დავღვარეთ და ისევ ჩვენიანის, საკუთარი. პირადად მე დაუფიქრებლად ვამჯობინებდი, საერთოდ არ შემეძლოს არათუ აზრის გამოთქმა, არამედ დანახვა, მოსმენა და აღქმა იმისა, რაც დღეს ხდება, რაც დღეს ისმის და მოქმედებს ჩვენს გარშემო. და მაინც, რაკი ვხედავ, მესმის და აღვიქვამ გარესამყაროსაც და ამ სამყაროში მიმდინარე პროცესებსაც, თავს ვალდებულად ვთვლი, ვთქვა, რასაც ვფიქრობ, თუმცა სასარგებლოს ალბათ ვერაფერს იპოვნინ ჩემს ნათქვამში, უმაღლეს გაწბილდებიან და განაწყენდებიან, ვიდრე გულს მოიოხებენ, რამდენადაც ჩემთვის მოჩხუბართა ორივე მხარე ერთნაირად ძვირფასია, ერთნაირად უფლებამოსილია იყოს ჩვენი განუყოფელი სამშობლოს პატრონი. ჩემი ყველაზე დიდი

ადამიანური ბედნიერება სწორედ ის გახლავთ, საქართველოს არც ერთ კუთხეში თავი უცხოოდ რომ არ მიგრძენია და, ამავე დროს, არც ერთი კუთხისთვის არ მიმიცია უპირატესობა მხოლოდ ჩემი წარმომავლობის გამო. უბედურია ქვეყანა, და გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენც ამგვარი ქვეყანა ვართ დღეს, სადაც ხალხი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა პარტიკულარული აზროვნებისგან, ანუ ვიწრო, კუთხური პატრიოტიზმისგან, რითაც იწყება პროვინციალიზმი – ყველაზე დიდი ეროვნული ბოროტება, რამდენადაც თავისი არსით უმაღლეს ქვეყნის დაქუცმაცებისკენაა მიდრეკილი, ვიდრე გაერთიანებისკენ. თუნდაც ამიტომ არ შეიძლება ქვეყნის ჭეშმარიტ გულშემატკივრად ჩათვალოს ვინმე, თუკი მხოლოდ კუთხური, ტომობრივი პოზიციიდან ამართლებს ან გმობს, იცავს ან ანადგურებს მეორე ადამიანის მრწამსს. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს დამაკნინებელი, დამაბეჩავებელი, თავლაფდამსხმელი თვისება თუ მიდრეკილება მხოლოდ ქართველთა საკუთრება არ გახლავთ. ამ სენით იყო შეპყრობილი ყველა ის ქვეყანა, რომელიც თავის დროზე ვერ გადაურჩა ფეოდალურ დაქუცმაცებას. ოღონდ ის ქვეყნები ასევე თავის დროზე და ამიტომ შედარებით უმტკივნეულოდაც განთავისუფლდნენ, განიკურნენ სენისგან, ანუ განვითარების ახალ ფაზაში გადავიდნენ; ჩვენ კი ისტორიამ, დანარჩენი კაცობრიობისგან განსხვავებით, თვითჩამოყალიბებისა და თვითგამორკვევის უფრო რთული და, მე ვიტყვოდი, უფრო დამამცირებელი გზის გავლა დაგვავალა. ჩვენს ხმაღს მართლა სხვათა ხმლებზე უკეთ რომ გაეჭრა, დღეს ხომ ჩვენც ერთ-ერთი მოწინავე ცივილიზებული ქვეყანა ვიქნებოდით და არა, ვთქვათ, ორ დაპირისპირებულ სამყაროს შორის მოქცეული და ორივესთვის ერთნაირად სასურველი ტერიტორია. თავისთავად ცხადია, ჩვენი ხარბი მეზობლების ბრალიცაა, აქამდე რომ გაგვიგრძელდა ავადმყოფობა – არ დაგვაცალეს მკურნალობა – გაგრძელებული ავადმყოფობა კი, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ მოურჩენელ, ქრონიკულ პროცესში გადაგვეზარდოს და მაშინ ნებისმიერი ცალკეული პიროვნების კეთილშობილური განზრახვა და თავგამოდება უაზრო ფაფხური იქნება და მეტი არაფერი – ვეღარასოდეს, ვერაფრისდიდებით ვეღარ ვიქცევით სახელმწიფოდ, უკეთეს შემთხვევაში, ბროწეულივით, «გარედან ატლასი და შიგნიდან ათასი» ქვეყანა ვიქნებით, ანუ მარადიული, გაუთავებელი შუღლისა და ქიშპის ბუდე, სადაც სიცოცხლე სასჯელად გვექცევა და სიკვდილი სანატრელი გაგვიხდება. ამისი ეშინოდა ყველა დიდ ქართველს, მეფე იყო თუ პოეტი, მაგრამ ეს «საშიშროება» რომელიმე პიროვნების ნებას კი არ ემორჩილება, შესაფერისი დროისა და გარემოს პირმშოა და, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ ჩვენგან დამოუკიდებლადაც არსებობდეს, ანუ გარეშე მტერი წარმართავდეს, რასაკვირველია, ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენთან შეუთანხმებლად. მმათა შუღლმა, ერთ მშვენიერ დღეს, იქნებ საერთოდ დაგვავიწყოს ჩვენი მთავარი მიზანი და ეროვნული ენერჯია მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობათა გასარკვევად დაგვხარჯოთ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ასე, თუკი ჩვენი დაპირისპირების მიზეზი მართლა სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრია... თუკი მართლა თავისუფლებას ვესწრაფვით, ჩვენს შორის ნებისმიერი დაპირისპირება, სოციალური იქნება ის, პოლიტიკური თუ ინტელექტუალური, მხოლოდ შეგვაფერხებს, თუ საერთოდ არ გადაგვაცდენს გზიდან. ჩვენ ყველანი ერთად და ერთნაირად უნდა განვთავისუფლდეთ: ურწმუნონიც და მორწმუნენიც, მომხვეჭელნიც და მშრომელნიც, უპარტიონიც და პარტიულნიც, უვიცნიც და მცოდნენიც, სოფლელებიც და ქალაქელებიც... ადრე, რატომღაც, ყოველთვის ღრმად ვიყავი დარწმუნებული (და ალბათ სწორედ ამიტომ არ ვარ პოლიტიკოსი), რომ თუკი ჩვენში მართლა გახდებოდა როდისმე შესაძლებელი არსებულის (ესე იგი, კომუნისტურის) გარდა კიდევ სხვა პარტიის შექმნა, ის სხვა მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი წინააღმდეგობის ფრონტი იქნებოდა, დაუპირისპირებოდა არსებულს (ესე იგი – კომუნისტურს) და მერე, დროთა განმავლობაში, დროისა და მოვლენე-

ბის კარნახით, საკუთარ წიაღშივე აღმოაცენებდა ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობებსა და დაჯგუფებებს, რაც ჩვენი პოლიტიკური გაწაფვის, პოლიტიკური დაბრძენების აშკარა გამოხატულება იქნებოდა და არა შინაგანი განხეთქილებისა. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა: ბევრნი გავჩნდით ერთბაშად და ვერაფრით ვეღარ მოვიყარეთ თავი, რამაც, უპირველეს ყოვლისა, პარტიული გამიჯვნის, პარტიული ბრძოლის გარდუვალობა განაპირობა და აშკარად შეაფერხა საერთო ეროვნული მოძრაობა. ისე, საბჭოეთში ნაცხოვრები კაცისთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, ასე რომ მოხდებოდა. მაგრამ მოსახდენი უკვე მოხდა და ახლა იმითღა თუ ვინუგეშებთ თავს, რომ ეროვნული მოძრაობა თავისთავად მარადიულია, უსასრულოდ გრძელდება, როცა პარტიული ბრძოლა, დროის თვალსაზრისით, შეზღუდულია, უფრო სწორად, მხოლოდ დროის გარკვეულ ეტაპზეა შესაძლებელი და იმ ეტაპის ხელიდან გაშვება, რასაკვირველია, მისთვის მომაკვდინებელია. სიკვდილი კი თავისი ნებით არავის არ სურს. რაც მთავარია, რომელიმე პარტიის სიკვდილი არათუ საზიანო, შეიძლება სასარგებლოც იყოს ქვეყნისთვის, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით ეროვნულ მოძრაობაზე. ეროვნული მოძრაობა თუ დამარცხდება, ეს ყველა ჩვენგანის სულიერი განადგურება იქნება, თუ ფიზიკურიც არა. ჩვენი გზა, რა თქმა უნდა, დემოკრატიისა და თავისუფლებისკენ მიდის, ოღონდ წინაპრების საფლავებზე გადავლით კი არა, წინაპრების საფლავებიანად. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი უპირველესი საზრუნავი, ჯერჯერობით, სამშობლოს გადარჩენაა. ყველა დემოკრატიულ ქვეყანას, რომელიც მაგალითად გვესახება, სამშობლოს კეთილდღეობის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებული აქვს და მათი წინაპრები მშვიდად განისვენებენ საფლავებში. ჩვენ კი ჩვენი წინაპრების სიცოცხლე, სისხლად და ცრემლად დანთხეული, აქამდე უჩინარი თუნგებით გვკიდია ზურგზე და ვერც ვერასოდეს მოვიშორებთ, ვიდრე საბოლოოდ არ აგვეხილება საკუთარი უმეცრების დასანახი თვალი. ჩვენი თავისუფლებაცა და დემოკრატიაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოა. საქართველოს დაღუპვის ნება კი, არათუ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, მამაზეციერსაც არა აქვს, რადგან სწორედ მამაზეციერისგან ველოდებით საქართველოს ხსნას, განათლებასა და განდიდებას. ამავე მოსაზრებებით ვამართლებთ საერთოდ ნებისმიერი პარტიის არსებობასაც. იდეა, მრწამსი, თეორია თუ მოძღვრება, რომელსაც უნარი შესწევს სამშობლოც შეიწიროს, რაც არ უნდა ზოგადსაკაცობრიო ელფერს ატარებდეს, უნაყოფო ხესავით მოსაკვეთია, რათა ეფემერულმა და შემთხვევითმა ისევ არ სძლიოს მყარსა და მარადიულს. ჩვენ თუ მართლა ქრისტიანი ხალხი ვართ, ერთხელ მაინც უნდა დავუჯეროთ ჩვენს ეკლესიას და არათუ საქვეყნოდ, გონებაშიც არ შევეცადოთ განუყოფლის გაყოფასა და ხელშეუხებლის ხელყოფას; გუნებაშიც არ განვაცალკევოთ ერთმანეთისგან ღვთისა და სამშობლოს სამსახური. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩვენი საერთო გულის ნაცვლად, რომელიც ჯერ კიდევ განუყოფლად და ერთდროულად ასვენია ყველა ქართულ ოჯახში, ამ გულის დანატოვარ სიცარიელეში ბომბონით აღმართული ბარიკადი შეგვრჩება, რომელსაც, გვენდომება თუ არა, განუწყვეტილად შევწირავთ მსხვერპლს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ქრისტიანობის ერთ-ერთი პირველი მედროშენი მეოცე საუკუნის მიწურულს ცივილიზებული სამყაროს თვალწინ ისევ ბრმა, ისევ გონდახშულ კერპთაყვანისმცემლებად ვიქცევით. მაგრამ ამის უფლებას ალბათ პირველ რიგში ჩვენ თვითონ ვერ მივცემთ თავს, რაც არ უნდა გამწარებულნი და განაწყენებულნი ვიყოთ უკუღმართი ბედისგან. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აღმართავს ხელს იმ უბრალო, უსამკაულო, მაგრამ ანგელოზის სიზმარივით ნათელი და გასაგები ლექსის მოსაკლავად, რომლის წარმოთქმითაც იწყებს ყველა ქართველი ბავშვი ცხოვრებას.

ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო...  
ყველა ჩემი სამშობლოა –  
საყვარელი საქართველო!

ასე რომ, ისევ ამ პატარა ლექსში უნდა ვეძებოთ ყველამ გამოსავალი. ამ პატარა ლექსიდან, როგორც ზღვის ნაპირზე გამორიყული ნიჟარიდან, ჩვენი მარადიული ცხოვრების გუგუნის ისმის და ისღა დაგვრჩენია, ერთხელ კიდევ მივუტეოთ ერთმანეთს მოუზომლად ნათქვამი თუ ჩადენილი; ერთხელ კიდევ საკუთარი ცრემლით მოვბანოთ ერთმანეთს ჩვენივე ხელით მიყენებული ჭრილობები და, რაც მთავარია, პურივით, წამალივით გავუყოთ სიყვარული. ამავე დროს, ყურზე ყური და თვალზე თვალი უნდა გამოვიბათ ყველამ, რადგან ადვილი შესადლებელია, წინ ისევ წარსული დაგვხვდეს.

1992

### **«მხოლოდ სძინავს...»**

(ინტერვიუ გაზეთ «თბილისისთვის»)

*1. 1989 წელს თქვენ წერდით: «ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, აღმა მივდივართ თუ დაღმა, ვიღვიძებთ თუ გვესიზმრება გამოღვიძებაო» – როგორ ფიქრობთ, თუ შეიცვალა რამე ამ სამი წლის განმავლობაში?*

ამ სამი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ბევრი რამე შეიცვალა, მაგრამ ხალხის «გამოღვიძება» იმდენად რთული პროცესია, ასე უცებ ვერ მოთავდებოდა. ადამიანისგან განსხვავებით, ხალხი გაცილებით ძნელად იღვიძებს, რადგან მისი ძილიც განსაკუთრებულია და სრულებითაც არ განეკუთვნება ფიზიოლოგიურ მოვლენათა რიგს. ხალხის გამოღვიძება, უპირველეს ყოვლისა, ხალხის განათლებას, ხალხის გაკეთილშობილებას ნიშნავს და, არა მგონია, წინასწარ განსაზღვროს ვინმემ, რამდენი ასტრონომიული საათია საამისოდ საჭირო. სამაგიეროდ, ძალიან იოლად და ძალიან მოკლე დროში კარგავს ხალხი საუკუნეობით შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას. გაცილებით ძნელია ერთი ადამიანის გაადამიანება, ვიდრე მთელი ხალხის გაპირუტყვება. ასე რომ, არც სამი წლის წინ დაწყებულია ჩვენი გამოღვიძება და არც სამი წლის შემდეგ დამთავრდება. მთავარია, მართლა ვიღვიძებდეთ, ესე იგი, ჯერ კიდევ გვქონდეს შერჩენილი გამოღვიძების სურვილიცა და უნარიც, რაც თავისთავად სიცოცხლის გარანტიაა, იმის დადასტურებაა, ჯერ კიდევ რომ არ ამოწურულა, არ დაშრეტილა ის აზრი და მიზანი, რაც თავიდანვე ჩაუდია ჩვენში განგებასა თუ ბუნებას. თუმცა ამის შეტყობა უფრო იოლი გზითაც შეიძლება. უფრო სწორად, თეორიული მსჯელობების გარეშე შეგვიძლია ამის შეტყობა – თუკი ყველა ჩვენგანი უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდება საკუთარ თავს და თუკი ერთ მშვენიერ დღეს ამაყი მღელვარებით იტყვის გუნებაში: ვხედავ, ვგრძნობ, მესმის და, რაც მთავარია, ვიცი რატომ ხდება, რაც ხდებაო – ჩათვალოს რომ, არამართო მას, მასთან ერთად მთელ ქართველ ხალხსაც გაუღვიძია.

*2. რატომ მოჰყვა ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას ესოდენ გამძაფრებული სისასტიკე?*



ეროვნული მოძრაობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სასტიკი, როცა სისასტიკის გამოჩენა მის მიმართ თითქმის კანონზომიერი მოვლენაა. ამავე დროს, ნებისმიერი სისასტიკე, ეროვნული მოძრაობის მიმართ გამოჩენილი, მხოლოდ და მხოლოდ აღვივებს, კიდევ უფრო გარდუვალს ხდის მას, როცა შინააშლილობა და ძმათა დაპირისპირება საერთოდ უკარგავს აზრსა და მნიშვნელობას. გარდაქმნის დასაწყისში მეც სხვებივით მჯეროდა, ჩვენს ბრძოლასაც, გნებავთ, ჩვენს მისწრაფებასაც ჩვენი საერთო სახის უკეთ წარმოჩენის სურვილი წარმართავდა, რაც ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია ეროვნული მოძრაობისა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ბოლოს გამოირკვა, საკუთარი გამორჩეულობისა თუ განსაკუთრებულობის დამტკიცების ჟინით ვყოფილვართ უფრო მეტად შეპყრობილნი, რასაც არაფერი აქვს საერთო ეროვნულ მოძრაობასთან. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას კი არ მოჰყვა ჩვენში «ესოდენ გამძაფრებული სისასტიკე», არამედ, ჩვენდა უნებურად, უფრო სწორად კი, ჩვენი მტრის ამოუწურავი ვერაგობის წყალობით, ეროვნული მოძრაობა თვალსა და ხელს შუა პარტიულ ბრძოლაში გადაგვეზარდა. პარტიული ბრძოლა კი ერთ-ერთი სახეობაა არსებობისათვის ბრძოლისა და, ამდენად, სისასტიკე მისი გამოსარჩევი ნიშანიცაა. პარტიულ ბრძოლასაც მოპოვებისა და დაკარგვის პრინციპი უდევს საფუძვლად და ძალიანაც რომ მოინდომოს, მაინც ვერ მოიცლის ხალხის გასანათლებლად და გასაკეთილშობილებლად, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად თვალნათელი გამოხატულებაა, მაგალითად, «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» შექმნა რუსთაველის სამშობლოში. სხვათა შორის, ესეც ერთ-ერთი საწყისი ეტაპია გამოღვიძებისა, რომელიც აქამდე გრძელდება...

*3. რატომ გადაიქცა ომი ჩვენი ხალხის უმცირესი ნაწილის ზნეობრივ მოვალეობად საქართველოში?*

ომი კი არ გადაიქცა «უმცირესი ნაწილის ზნეობრივ მოვალეობად», როგორც თქვენ მიგაჩნიათ, არამედ თავიდანვე ვერ აღვიქვით საერთო, საყოველთაო, გნებავთ, სახალხო მოვლენად. ამის მიზეზი კი ბევრია. მაგრამ უმთავრესი და გადაძწყვეტი მიზეზი მაინც ისაა, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ: ჯერ გვძინავს, ჯერ მხოლოდ ვიღვიძებთ... მძინარე კაცს კი ბევრი არ მოეკითხება. კაცმა რომ თქვას, ჩემი არაკომპეტენტურობის გამო, არც მე უნდა ვაძლევდე თავს ესოდენ სერიოზულ საკითხზე საქვეყნოდ საუბრის ნებას, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: ჩვენი დღევანდელი აპათია უფრო პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული, ვიდრე ფსიქოლოგიურით. თუმცა ისტორიულად, სხვათა ომებში უფრო გამოგვიჩენია თავი, ვიდრე საკუთარში – ბოლო ასი წლის მანძილზე ორჯერ წყდებოდა ჩვენი ბედი კრწანისში და ვერც ერთხელ ვერ მოვუყარეთ საჭირო ჯარს თავი, როცა რუსეთის «სამამულო ომებში», პროცენტულად, ლამის თავად რუსებზეც მეტი ხალხი გამოგვიყვანია. მაგრამ როგორც არ უნდა გადავგვარდეთ, მაინც ძნელი დასაჯერებელია, საერთოდ დაგვჩლუნგებოდეს სამშობლოს დაცვის გრძნობა. ის «უმცირესი ნაწილიც», თქვენ რომ წელან ახსენეთ, სწორედ ამის დადასტურებაა. ხოლო უმრავლესობამ ჯერჯერობით ვერ გაიგო, როგორ უნდა მოიქცეს, როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ომში. ხელისუფლებამ არ მოუხმო, ან ვერ მოუხმო, როგორც უკვე ვთქვით, პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე. ის კი არა, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ყოველდღე ტურისტულ მოგზაურობებში გვეპატიჟება, რაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სრულებითაც ვერ შეგვიქმნის საომარ განწყობილებას. მართალია, ომში ჩაგვიტორიეს, მაგრამ ომამდეც ყველა პირობა არსებობდა საიმისოდ, უფრო ფხიზლად რომ ვყოფილიყავით, უფრო მომზადებულნი დავხვედროდით გარდუვალ უბედურებას, თუნდაც იდეოლოგიური თვალსაზრისით. სამაგიეროდ, ჩვენი მოწინააღმდეგე დიდი ხნით ადრე შეუდგა

ომისთვის სამზადისს და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია: ევროპის ჯერ კიდევ ბევრ მოწინავე ქვეყანაში მართლა იმპერიალისტები და კოლონიზატორები ვგონივართ დღემდე, ჩვენი მტრის მიერ სწორად წარმართული იდეოლოგიური ომის წყალობით, როცა ჩვენს მეცნიერებას საშინაო დავალების დონეზეც ვერ შეუქმნია აქამდე ჩვენი სიმართლის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამიტომაც იძულებულნი ვართ, ყველა ხატზე ვიფიცოთ და ყველა გამვლელსა და გამომვლელს გულმხურვალედ ვევედროთ – უდანაშაულონი ვართო. და ეს იმდენად ევროპის პოლიტიკური სიბეცის ბრალი არ არის, რამდენადაც ჩვენივე უნიათობისა. სხვა რაღა უნდა ვთქვათ, როცა ჩვენს სამშობლოში პარტიზანულ ომს დამპყრობელი აწარმოებს. უფრო მეტიც, მტრისთვის სახელი ვერ დაგვირქმევია. და მაინც, რაკი გავკადნიერდი და ამდენი ვილაპარაკე ამ საკითხზე, ბარემ ჩემს რწმენასაც გამოვთქვამ: მართალია, ქართველებს ერთმანეთთან ანგარიშის სწორება ყველაფერს გვირჩევნია, მაგრამ თუნდაც თავდაცვის ინსტინქტი გვაიძულებს ხოლმე, გადამწყვეტ მომენტში ერთხელ კიდევ გავახილოთ თვალი და მაშინ მტერიც იძულებული ხდება, ერთხელ კიდევ დაიხიოს უკან. ჩვენ დიდი აკაკის ხალხი ვართ და, ეტყობა, სიკვდილი არ გვიწერია. უფრო სწორად, ძილი იგივე სიკვდილია ჩვენთვის, ოღონდ, საბედნიეროდ – დროებითი...

#### *4. რას გრძნობს 60 წლის ოთარ ჭილაძე, როგორც მოქალაქე და როგორც მწერალი?*

მოქალაქეც და მწერალიც ყველაზე მძაფრად ახლა ვგრძნობ იმ ადამიანების სიდიადეს, რომლებმაც თავიანთი წილი სიცოცხლე იმყოფინეს მიზნის მისაღწევად.

1993

### **უსათაურო წერილი**

სოხუმის დაცემა სამხედრო თვალსაზრისით, რასაკვირველია, დიდი მარცხია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, ადვილი შესაძლებელია, სწორედ ეს აღმოჩნდეს გამარჯვებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ყოველ შემთხვევაში მოულოდნელი და გამოუსწორებელი არც ამჯერად მომხდარა რამე; უბრალოდ, ძლიერმა ერთხელ კიდევ დაჯაბნა სუსტი, დიდი მოერია პატარას, რაც ბუნებაში არათუ ჩვეულებრივ, არამედ კანონზომიერ მოვლენადაც ითვლება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს დიდისა და ძლიერის საბოლოო გამარჯვებას, მით უფრო ცივილიზებულ სამყაროში, სადაც განსაკუთრებული და მრავალნაირი სამსახურები არსებობს არათუ ადამიანის, არამედ მაწანწალა ძაღლის უფლებათა დასაცავად. მაგრამ ამისი იმედიც რომ არ გვექონდეს, აღსასრულამდე ჯერ კიდევ შორს არის, ისევე როგორც ბრძოლის წაგებიდან ომის წაგებამდე. ომი ჯერ გრძელდება, ომში კი ყველაფერია მოსალოდნელი. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ დიდი და ძლიერი აღმოჩნდეს დამარცხებული. დამარცხება, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური ფაქტორია და ძნელი სათქმელია, რა სახით გამოიხატება საბოლოოდ. ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩვენი ომი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანდაყოლილი, მარადიული ომია და დღეს და ხვალ არ დამთავრდება. ისიც საკითხავია, დამთავრდება თუ არა საერთოდ. რუსეთი იოლად ვერ შეეგუება დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. პეტრეს ანდერძის აღსასრულებლად სამხრეთისკენ დაძრული რუსეთის ექსპანსიისთვის მაინცდამაინც პატარა საქართველო აღმოჩნდა ყველაზე დიდი დაბ-

რკოლება, ოღონდ არა როგორც სერიოზული სამხედრო ძალა, არამედ როგორც კანონიერი მემკვიდრე და გამგრძელებელი ბიზანტიური კულტურისა. არადა, რუსეთიც კანონიერი მემკვიდრის სახელით აპირებდა შესვლას ყოფილი ბიზანტიის ყოფილ დედაქალაქში და რაკი ეს ვერ მოახერხა, თავისთავად ცხადია, ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე საქართველო გამოვიდა, თუნდაც მხოლოდ მის თვალში. სხვანაირად მართლაც ძნელი ასახსნელია ის ცხოველური სისასტიკე და სიძულვილი, რასაც ჩვენს მიმართ იჩენს ამოდენა იმპერია თითქმის გაცნობის დღიდანვე. მაგრამ ამაზე საუბარი ახლა შორს წაგვიყვანს. ერთი კი მაინც უნდა ითქვას: ორასწლიანი «მეგობრობის» შემდეგაც ძნელი წარმოსადგენია ჩვენს მიმართ კეთილად განწყობილი რუსეთი. რასაკვირველია, ეს ქართველების საერთო აზრი არ არის. უფრო მეტიც, მიუხედავად ყველაფრისა თუ ყველაფრიდან გამომდინარე, ქართველთა საკმაოდ სერიოზული ნაწილი სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა ამ საკითხთან დაკავშირებით. შიში შეიქმს სიყვარულსა და შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი სჯობს. მაგრამ ამგვარი აზრისა თუ ამგვარი განწყობის გამომუშავება, თუნდაც ხალხის გარკვეულ ნაწილში, ალბათ უფრო დიდი მარცხია, ვიდრე ნებისმიერი ქალაქის დაკარგვა. დაკარგული ქალაქის დაბრუნება შეიძლება, დაკარგული რწმენისა – აღარ. ამის ბრალია მხოლოდ, თუკი დღეს მართლა კი არ დავეძებთ გამოსავალს «შექმნილი მდგომარეობიდან», არამედ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ ლამის თანშეზრდილ სავარძლებში და ველოდებით ძველი კავშირების აღდგენას, ანუ, ჩვეულ გარემოში დაბრუნებას, შეიძლება, შეუგნებლადაც, მხოლოდ და მხოლოდ ცხოველურ გუმანს აყოლილნი, რადგან მაინცდამაინც იმ გარემოსთვის ვართ გათვალისწინებულნი და მაინცდამაინც იმ გარემოში ძალგვიძს ჩვენი პროფესიული შესაძლებლობების გამოვლენა, ანუ ოსტატურად გათამაშება ქვეშევრდომული თავმდაბლობისა, დროულად და მოხდენილად მირთმევა ქართული ნობათისა და სხვა ამგვარი, მრავალჯერ ნაცადი ილეთების წყალობით, კუთვნილის მეათედის გამოძალვა მეტროპოლიის ვირეშმაკა ჩინოვნიკებისგან. ამის ბრალია, მაინც მოსკოვის იმედზე რომ ვართ, როცა ყველა ჩვენი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქარხანა თუ საწარმო, იმპერიული მიზნების შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა ჩვენი ეროვნული ეკონომიკის მოსასპობადაა თავიდანვე დაგეგმილი. ამის ბრალია, რუსეთის კალთის ქვეშ დაბრუნება დღესაც გადარჩენის ერთადერთ გზად რომ მიგვაჩნია, რაც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ისევ ხორცზე ზრუნვა სულის საზიანოდ, ხორციელი არსებობის გახანგრძლივების მცდელობა სულიერი გადაგვარების წილ. მაგრამ ჩვენ ხომ იმიტომ ვიბრძვით დღეს, სულიანხორციანად რომ გადავრჩეთ ანუ, ღირსნი გავხდეთ არამარტო სიცოცხლისა, არამედ თავისუფლებისაც?! ზემოთ ნახსენები «გზა ხსნისა» კი, რომელიც, რა თქმა უნდა, არც დღესაა აღმოჩენილი და არც ვინმეს «პირადი მოსაზრებაა», შეჩვეული ჭირის არჩევანა ისევ, უკან დაბრუნებაა მონობის საწყის პოზიციაზე, რაც არავის დაუშლია ჩვენთვის და რაც ჩვეულებრივ სიბრიყვედ, ანდა ბავშვურ ეშმაკობად თუ ჩაეთვლება დღეს ამის მსურველს, მით უფრო – მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის წარმომადგენლებს, საგანგებო თუ სატელევიზიო სხდომის მონაწილეებს, რომლებისთვისაც ალბათ ერთნაირად შეურაცხმყოფელი იქნება, ბრიყვებად ჩათვლიან მათ თუ ეშმაკებად და რომლებიც ვალდებულნი არიან, თუნდაც როგორც ხალხის რჩეულნი, საკუთარი მონობით აქოთებული საკნიდან ძლივს გამოსულ ხალხს არ მისცენ უკან შებრუნების საშუალება. თუმცა მათი საქციელი კი არ არის სახიფათო, არამედ თავად ხალხის დღევანდელი სულიერი მდგომარეობა. ხალხი დღეს საკუთარი სიბნელით, საკუთარი სიმხდალით, საკუთარი სიხარბითა და სისასტიკითაა თავგზააზნეული – ვინ ტყავის გადარჩენას ცდილობს, ვინ იმპერიისა; ვის წინ წასვლის ემინია, ვის – უკან მოხედვისა; ვინ ცოცხლად იწვის, სხვა რომ მოეგოს გონს, ვინ კი სამოქალაქო ომის ხანძარს აჩაღებს, უარესად რომ დააბრმავოს ვიღაცა, და ადვილი შესაძლებელია, ნებისმიერი სახელ-

მწიფო მოღვაწის «პირადი მოსაზრება» ის ხავსი აღმოჩნდეს ბოლოს, რომელსაც წყალწაღებულ-ლი დაუფიქრებლად წაეტანება ხოლმე. არც ეს იქნება გასაკვირი, მით უფრო საბჭოეთში ნაცხოვრები კაცისთვის. მაგრამ ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, თავისუფლების შიშმა ერთბაშად რომ დაუკარგა ზოგიერთ ჩვენგანს ჩვეულებრივი, სავალდებულო მახსოვრობა; ერთბაშად დაავიწყა «საერთო ბინაში» გატარებული წლები და იქ ღრმად ფესვგადგმული ადათ-წესები; დაავიწყა, მთელი სიცოცხლე შავს თეთრად რომ აღიქვამდა, ცხვარს მგელი რომ უმწყემსავდა, მკვლელი რომ ედგა თავზე მკურნალად და მანიაკი – ზნეობის მასწავლებლად; დაავიწყდა, რისი დავიწყებაც არ შეიძლება. უფრო მეტიც, იმდენად გადაჩვევია დამოუკიდებლად აზროვნებას, დამოუკიდებლად შრომასა და ცხოვრებას, მზად არის ისევ თურქმენეთს გადაეჯაჭვოს გაზსადენი მილებით და ისევ ყაზახეთის ყამირის პური ჭამოს, რომელიც საბჭოთა ეპოქაში, სპეციალური დადგენილებით, თავისი უხარისხობის გამო მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გამოიყენებოდა საკვებად. ეს, რასაკვირველია, სერიოზული გართულებაა ჩვენი საერთო სენისა, რომელსაც მონური აზროვნება ჰქვია და დროულად თუ არ ვუშველეთ რამე, ალბათ მართლა სამუდამოდ დავკარგავთ ჩვენს ეროვნულ მეობასა და თვითმყოფადობას. ისევ სხვისი ხელის შემყურე, არც გლეხი მოიშლის თაღლითობას და არც მუშა. კახეთში ღვინო გაქრება, მთაში – ცხვარი, სუბტროპიკულ ზონაში კი – ჩაი და ციტრუსი...

ერთი ინგლისელი ქართველოლოგის აზრით, მწერალი იმ ცივილიზაციას ეკუთვნის, რომელიც შეიძლება არც განხორციელდეს. ამდენად, ალბათ ჩვენთვისაც უკეთესი იქნება, თუკი ნაკლებად გავუწევთ ანგარიშს მის შეხედულებებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მაგრამ თავად მწერალი, რასაკვირველია, მაინც ერთნაირად გულახდილი უნდა იყოს, როგორც დღევანდელი, ისევე გაურკვეველი მომავლის წინაშეც. ამიტომ ყველას როდი სიამოვნებს მისი მოსმენა. არც ეს არის ახალი ამბავი. ასე იყო ყოველთვის. მწერალს არათუ უყრუებდნენ შეგნებულად, ხშირად ძალითაც აწყვეტინებდნენ ხმას. მაგრამ ადამიანს, მამებელ ტყუილზე მეტად, ხანდახან მწარე სიმართლე მოენატრება ხოლმე. სიმართლე გულსა გვტკენს, მაგრამ გვეხმარება კიდევ. როცა იცი, რისთვის ომობ და ვის ეომები, უფრო ძლიერი ხარ. კოლოს უთქვამს, მგელს მოვერევი, თუკი მგელზე დიდი ძალის მომეხმარებაო, მაგრამ ძალის დაგლეჯილმა მგელმა მართლა თუ დაიჯერა, კოლოს დაკბენილი ვარო, არაფერი აღარ ეშველება, რაც მოუვა, თავს დააბრალოს. საბედნიეროდ, ჩვენ უკვე ვიცით, ვინ არის «კოლო» და ვინ არის «მგელზე დიდი ძალის». არათუ ვიცით, შეგვიძლია ხმამაღლად განვაცხადოთ. ეს კი უდიდესი ნახტომია წინ და მომავალშიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს საბოლოო გამოფხიზლებას შეუწყობს ხელს. ქართული მწერლობა, ყოველ შემთხვევაში, ყაზბეგიდან ჯავახიშვილამდე, მოკლებული იყო ამ ბედნიერებას და რაღას არ იგონებდა, რა ყულფში არ ძვრებოდა, მიახლოებით მაინც რომ მიენიშნებინა ჩვენთვის ჭეშმარიტი მტრის ვინაობა. შორს რომ არ წავიდეთ, განა გუშინ და გუშინწინ თავად ჩვენ შეგვეძლო აშკარად მიგვეშვირა მტრისთვის ხელი? პოეტურად რომ ვთქვათ, სოხუმის დაცემამ ჩვენი პოლიტიკური შეგნება აამაღლა. აფხაზეთის ომი მხოლოდ ერთი ეპიზოდია ჩვენი მარადიული ომისა, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში მაინც ვტყუვდებოდით, ანდა მაინც ვიტყუებდით თავს მარადიული მტრის ხათრითა თუ შიშით. ომს კი მარტო მეომართა შემართება ვერ მოიგებს. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, სიტყვა ომშიც ყველაზე ძლიერი იარაღია. სიტყვა კი ჩვენთან არ იყო და არ იყო იმიტომ, ნაკლებად რომ ვცდილობდით მის დაუფლებას, ბოლომდე არ გვექონდა შეგნებული მისი ფასი, არ გვესმოდა მისი მნიშვნელობა. ჟურნალისტებზე რომ არაფერი ვთქვათ, სამხედრო მრჩევლებიც მხოლოდ «პარტიზანებად» მოიხსენიებდნენ დაქირავებულ ოკუპანტებს, რითაც უნებურად ამართლებდნენ მათ სიმხეცესა და აღვირახსნილობას

დაპყრობილ მიწაზე. პარტიზანი მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრი შეიძლება იყოს, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ჩამოყვანა კი სხვა კონტინენტიდანაც შეიძლება. ასე რომ, ჩვენ თვითონ ვადასტურებდით იმ ვერაგული ბრალდების სამართლიანობას, ჯერ კიდევ ომამდე რომ წამოგვიყენეს რუსმა იდეოლოგებმა, რათა უვიცი მსოფლიოს თვალში დამპყრობელი გამოეყვანათ დაპყრობილად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის შეეხოცათ ჩვენსავ სისხლში ამოსვრილი ხელები. მაგრამ ამჯერად უკვე ჩვენს ხელთაა სადავენი ჩვენივე ბედისა და ეს არის ალბათ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაც, რაც კი განგებას დაუკისრებია ადამიანისთვის. ძლიერისგან სუსტის დაჯაბნა არც გასაკვირია, არც სამარცხვინო, მაგრამ ყველაფერი ახია სუსტზე, როცა თავისუფლების ძებნაში სიკვდილს მაინც მონობაში გადიდკაცებას ამჯობინებს. ჩვენი მიწიერი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი არჩევანი ბოროტსა და კეთილს, ცრუსა და მართალს, წარმავალსა და მარადიულს შორის. ჩვენც განუწყვეტლივ ვირჩევთ, ანუ განუწყვეტლივ ვცდილობთ დავადგინოთ ჩვენი ადამიანობის ხარისხი, რის გამოც იძულებულნი ვხდებით ასევე განუწყვეტლივ ვცდებოდეთ, ანუ ერთხელ კიდევ ამოვდიოდეთ ცოდვიდან კიდევ ერთი ცოდვის ჩასადენად. ასე კი იმიტომ ხდება, თავიდანვე რომ შეგვეშალა მთავარი არჩევანი სულიერსა და ხორციელს შორის და არც ესაა ჩვენი ბრალი – უბრალოდ, არ ვიცოდით, არ შეიძლებოდა გვცოდნოდა, ამდენ ხანს თუ გავძლებდით, აქამდე თუ მოვალწევდით და, საკუთარ სულზე ამხედრებულნი, ბრმად, ალაღბედზე დავნებდით საკუთარ ხორცს. იმიტომ, მიუხედავად აზრთა, მრწამსთა, პოზიციათა სხვაობისა, ყველანი მაინც ერთნაირები ვართ, ერთ ბედს ქვეშა ვართ და უმაღლესი ერთმანეთის გაგება და მიტევება გვმართებს, ვიდრე ერთმანეთის მხილება და გამტყუნება. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი – ჩვენთვის არც სხვათა განსჯის უფლება მოუნიჭებია ვინმეს, არც თავის მართლების უნარი. გულუბრყვილობა ბოროტების კოცონს აღვივებს მხოლოდ, კოცონზე კი ისევ ჩვენი სისხლი და ხორცი იწვის. ჰაერი კოცონზე დაფერფლილი ადამიანის ამაზრზენი სუნითაა გაჟღენთილი დღემდე, მაგრამ დღესაც მრავლად არიან «გულუბრყვილო დედაბრები», რომლებიც კოცონიდან გადმოვარდნილ ნაღვერდალს კოცონშივე აბრუნებენ დაუფიქრებლად, რა მიზნითაც არ უნდა იყოს ის კოცონი დანთებული. მაგრამ ეს საერთო ჭირია, ზოგადსაკაცობრიო, და ერთნაირად ეხება როგორც დამონებულს, ისევე თავისუფალ მსოფლიოს. შეიძლება თავისუფალს უფრო მეტადაც ეხებოდეს, რადგან დამონებულს აღარაფერი აქვს დასაკარგი. დიდი-დიდი ერთხელ კიდევ დაკარგოს დამოუკიდებლობა, რომელიც ჯერ წესიერად არც მიუღია და კიდევ საკითხავია, მიიღებს თუ არა როდისმე. თავისუფალი სამყარო კი, თუნდაც მარტო ამის გამო, გინდაც სულგრძელად მივუტევოთ მოჩვენებითი გულისხმიერება და გულკეთილობა, უპირველეს ყოვლისა, ღირსებას კარგავს, რაც, დამერწმუნეთ, გაცილებით მეტია, ვიდრე იგივე დამოუკიდებლობა, რომლის დაკარგვაც, სიქალწულისგან განსხვავებით, უთვალავჯერ შეიძლება. სხვათა შორის, ამგვარი მსოფლიოს ფონზე არც მთლად წყალწაღებულად გამოვიყურებით. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძვით ღირსების შესანარჩუნებლად და სისხლსაც ვღვრით უთანასწორო ბრძოლაში. მაგრამ უფრო ობიექტურები თუ ვიქნებით, თავისუფალ მსოფლიოს არათუ ჩვენი დამოუკიდებლობა და ღირსება, საერთოდ ჩვენ არ დავაკლდებით თვალში. უჩვენოდაც მშვენივრად გაძლებს, როგორც აქამდე გაუძლია. მაგრამ ოკეანის ფსკერის შლამში ჩამარხული მარგალიტი რომ არ არსებობდეს, არც ყელზე შებმულ მარგალიტს დაედებოდა ფასი. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, ყველაფერი ერთმანეთზე რომ არის გადაბმული და არაფერი არ იკარგება ბუნებაში უკვალოდ, მით უფრო ხალხი, რომელიც ისე გაუმწარებია გეოგრაფიულსა თუ ისტორიულ უკუდმართობებს, ლამის მართლა ირწმუნოს, მარადიული ტყვეობისთვის რომ განუმწესებია განგებას. და მაინც, ჩვენ ბევრად უკეთეს დღეში ვართ მოჩვენებითი კეთილდღეობით განე-

ბივრებულ ხალხებთან შედარებით. არც სინდისის ქენჯნა გვტანჯავს, არც ხვალინდელი დღის შიში. პირიქით, გულის ფრიალით ველოდებით ყოველ გათენებას. ჩვენი ადგილი და დანიშნულება ჯერ კიდევ დასადგენია, რაც არამარტო საინტერესოს ხდის ჩვენს ცხოვრებას, არამედ იმედითაც გვაკვებს – ასედაც შეიძლება მოხდეს და ისედაც... რაც მთავარია, უკვე ვიწამეთ, სიპატარავითა და სისუსტიტაც რომ შეიძლება რაღაცის მიღწევა, უფრო სწორად, უკვე მივაღწიეთ რაღაცას. მაგალითად, ჩვენი დიდი და ძლიერი მტერი ვაიძულეთ მოეხსნა ნიღაბი და ბოლოს და ბოლოს ჭემმარიტი სახით წარმდგარიყო კაცობრიობის წინაშე. დასაწყისისთვის არც ესაა ცოტა. ხვალ მეტს მივაღწევთ. მთავარია, გვჯეროდეს მომავლისა, იმიტომ კი არა, აუცილებლად რომ გაგვიმართლებს მოლოდინს, არამედ მოლოდინს რომ გვიჩენს საერთოდ, თუნდაც გაურკვეველს. მოლოდინი სიცოცხლის სტიმულია, ის გვაიძულებს, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც ბოლომდე მოვიხადოთ ჩვენი უმთავრესი და უკეთილშობილესი მოვალეობა – ვიცხოვროთ მიუხედავად ყველაფრისა. ცხოვრება კი მარადიული მონაცვლეობაა ლხინისა და ჭირისა, ომისა და მშვიდობისა, შობისა და სიკვდილისა... დღეს ღამე მოსდევს, მაგრამ ღამეც ყოველთვის განთიადით მთავრდება.

1993

## მედეა

(გერმანული გაზეთისთვის)

მედეა ერთ-ერთი გამორჩეული სახეა მსოფლიო ლიტერატურაში და გამორჩეულია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი გრძნობებისადმი უსაზღვრო ერთგულებით, რომელთა დასაცავად დაუფიქრებლად შეუძლია ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა: მამის ღალატი იქნება ეს, სამშობლოს მიტოვება, ძმის გაწირვა, თუ საკუთარი შვილების დახოცვა... თუმცა ასეთი «დაუნდობელი» მედეა მაინც ბერძნული ფსიქიკის, ბერძნული მსოფლმხედველობის შექმნილია, ასე ვთქვათ, ბერძნებმა «აიძულეს» მას მართლაც რომ შემზარავად დიდებული ნაბიჯის გადადგმა სცენაზე, რაც, ჩემი აზრით, უაღრესად ზუსტი, დამაგვირგვინებელი დეტალი აღმოჩნდა იმ საერთაშორისო, განუმეორებელი ვერსიის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ნებისმიერი მეტნაკლებად განათლებული ადამიანის წარმოდგენაში არსებობს დღეს და უმალ ბერძენი ავტორის გენიალურობას უსვამს ხაზს, ვიდრე, ვთქვათ, მედეას სისასტიკეს... ამდენად, ჩვენი მიზანი სრულებითაც არ ყოფილა ამ ვერსიის განმეორება, ანდა უარყოფა... რაც მთავარია, ვერაფერს ვხედავ ამ ვერსიაში ქართული ბუნებისთვის მიუღებელსა და შეურაცხმყოფელს. პირიქით, მოწიწებით ვიხრი ქედს მისი მარად მშფოთვარე სულის წინაშე... როგორც უკვე ვთქვით, ის გამორჩეული სახეა და ამაყად დგას საკუთარი სიმარტოვის მოედანზე – ზურგს უკან კი არ მალავს, გულზე აქვს დაკრეფილი შვილების სისხლში ამოსვრილი ხელები... რასაკვირველია, ძლიერია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი უმწეობითაა ძლიერი... რასაკვირველია, უბედურია, მაგრამ აგერ უკვე რამდენი ხანია, ყველას ერთნაირად გვაბედნიერებს სიყვარულის სიდიადის, ღალატისადმი შეურიგებლობისა და საკუთარ სისუსტეებზე ამაღლების ნეტარი შეგრძნე-

ბით... ასე რომ, არაფერი სჭირს დასაცავი და არც ჩვენ ვაპირებთ მის «დაცვას» და «გამართლებას» სხვათა თვალში. სამაგიეროდ, გვეამაყება მისი თანამემამულეობა, გვეამაყება, მაინცდამაინც მას რომ აღმოაჩნდა ძალაცა და უნარიც ვერაგი დამპყრობლისა და მოღალატის ბაცილის აღმოსაჩენად. უფრო მეტიც, მან ეს ბაცილა შვილების სისხლით შეღება, უფრო ადვილი დასანახი რომ ყოფილიყო სხვებისთვისაც...

ჩემი მიზანი გაცილებით მოკრძალებულია. ქართულ რომანში მედია ჯერ კიდევ ბავშვია, გულუბრყვილო, გულწრფელი არსებაა, რომელიც რასაც სჩადის, სიყვარულის კანონებით სჩადის, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე უგულობის, სიბნელის, დაუნდობლობის ყრუ კედლებს აწყდება. ის ხომ, პირველ რიგში, თავად არის მსხვერპლი ავანტიურისა, რომელიც მისი ძლევამოსილი მამის დასამხოზად, მისი სამშობლოს დასაკნინებლად გაშიზნული. მედია ბუნებით კი არ არის მკვლელი, როგორც ზოგს მიაჩნია, არამედ იძულებულია, უფრო სწორად, ვალდებულია, აღიაროს საკუთარი შეცდომა და თავად ამოძირკვოს ამ შეცდომის ნაყოფი, გნებავთ, შედეგი, რაც სინამდვილეში ყოველად შეუძლებელია, მაგრამ სწორედ შეუძლებლისკენ სწრაფვა, წარმოუდგენლის წარმოდგენა, მიუღწევლის მიღწევა გამოარჩევს მას ჩვეულებრივად მიტოვებული, ჩვეულებრივად ნალატევი, ჩვეულებრივად დამცირებული ქალების უკიდევანო ოკეანეში...

1994

### **ნეტარ არიან მორწმუნენი!**

(საერთო პასუხი გაზეთ «კავკასიონის» კორესპონდენტის შეკითხვებზე)

ჩემი პასუხი, რასაკვირველია, არც ამომწურავი იქნება, არც კატეგორიული – საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა მაქვს იმ უაღრესად სერიოზულ და, ჩემი აზრით, წლების მანძილზე «მომზადებულ მოვლენებზე», რომლის გარკვევაც თქვენ (მეოთხე ხელისუფლებას) ასე იოლად განგიზრახავთ. საგაზეთო გასაუბრება, გნებავთ მწერალთან და გნებავთ სასულიერო სემინარიის რექტორთან, საამისოდ არც საკმარისია და, მე თუ მკითხავთ, არც მიზანშეწონილი. ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსების საქმეა. უფრო სწორად, პოლიტიკურად უნდა ვიაზროვნოთ და არა, ვთქვათ, მწერლურად. ამით იმისი თქმა კი არ მინდა, მწერალს არ ეხერხება სერიოზული, დალაგებული აზროვნება-მეთქი, უბრალოდ, ასეთი საკითხების გარჩევისას პრიორიტეტი პოლიტიკოსს ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ (მწერლები) ან ნდობას ვუცხადებთ, ან ვამხელთ. რაც პოლიტიკოსისთვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანია, ის მწერალს, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ გამორჩეს მხედველობიდან და – პირიქით. რაც მთავარია, პოლიტიკოსი ყველანაირად ცდილობს (უნდა ცდილობდეს) თავისი ჭეშმარიტი მიზნის შენიღბვას, როცა მწერალი ასევე ყველა ღონეს ხმარობს სწორედ თავისი ფარული მიზნის რაც შეიძლება ნათლად გამოსახატავად. ეს კი ყოველთვის მომგებიანი როდია თავად მწერლისთვის. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ამგვარი საუბრები გაცილებით ადრე უნდა შედგეს ხოლმე. ესე იგი, მეოთხე ხელისუფლება, ანუ ჩვენი დღევანდელი ჟურნალისტები, ჩვეულებისამებრ, კი არ უნდა ჩამორჩებოდნენ მოვლენებს, არამედ ფეხდაფეხ უნდა მისდევდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ, უსწრებდნენ კიდევ, ანუ გაცილებით ადრე ტეხდნენ განგაშს (ამ შემთხვევაში, განგაშს), ვიდრე მგელი გამოჩნდებოდა. ამის უნარი თუ არ შესწევს, ჟურნალისტი დანარჩენი სამი ხელისუფლების ბუტაფორიული დანამატია და სხვა არაფერი. არადა, თითქოს პირიქით უნდა იყოს – მხატვრულად რომ ვთქვათ, გაზეთში მოხვედრა შიშის ზარს უნდა სცემდეს კანონმდებელსაც და კანონის აღმასრულებელსაც. აქედან გამომდი-

ნარე, ჩემი პასუხი, ავი თუ კარგი, დაგვიანებული ნამდვილადაა. რუსეთ-საქართველოს შორის პარაფირებული ხელშეკრულება, რომლის სიაგვარგის გაგებაც თქვენ ჩემგან გაინტერესებთ, შედეგი კი არ არის რაიმე პოლიტიკური თუ სამხედრო პროვოკაციისა, როგორადაც ზოგიერთები ცდილობენ მის წარმოჩენას, არამედ მიზეზთა მიზეზია ყველა იმ უბედურებისა, რაც კი ამ უკანასკნელი წლების (უფრო ზუსტად კი, ბოლო ორი საუკუნის) მანძილზე დაგვტყდომია თავს.

ვერაფერს გეტყვით კვოტების გადანაწილების თაობაზეც, რადგან ისიც არ ვიცი, რატომ უნდა გადანაწილდეს და რის საფუძველზე... მაგრამ როგორც კი ამ თემაზე დავიწყებთ ოფიციალურად საუბარს, ჩათვალეთ, რომ ხელშეკრულება უკვე ძალაშია შესული.

საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, რუსეთის ისტორიული პრეროგატივაა. რუსეთს გარდა არ არსებობს ქვეყანა დღევანდელ მსოფლიოში, რომელიც გაბედავდა იგივე შემოეთავაზებინა ჩვენთვის. ეს რუსეთის არაოფიციალური უფლებაა და ამ უფლების მოსაპოვებლად, როგორც ზემოთ ვთქვით, აგერ უკვე ორი საუკუნეა იღვწის. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთისთვის ეს უაღრესად საჭირობოროტო საკითხია. ამიტომ, ამგვარი მსჯელობების დროს, რუსეთის საგარეო პოლიტიკა და მისი იმპერიული მისწრაფებები კი არ უნდა დავადანაშაულოთ (რუსეთის ადგილას, ალბათ საქართველოც ასე მოიქცეოდა), არამედ ჩვენი პოზიციის სისწორე და სიმტკიცე უნდა ვამოწმობთ განუწყვეტლივ. რუსეთი, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი სერიოზული, ანგარიშგასაწევი ქვეყანაა და, თავისთავად ცხადია, თავისი სასიცოცხლო სივრცე, თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური გალაქტიკა გააჩნია, სადაც, გეოგრაფიის დაუნდობლობისა თუ ჩვენივე დაუდევრობის გამო, ჩვენც აღმოვჩნდით ერთხელ და სამუდამოდ, რადგან იქიდან თავის დაღწევა იქამდეა შეუძლებელი, ვიდრე თავად რუსეთი არ აიღებს ხელს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის განზრახვებზე. ამდენად, ჯერჯერობით მაინც, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებამ, წესით, ხელი უნდა შეუშალოს ქართული ეროვნული ჯარის მშენებლობას, თუკი მართლა შენდება ასეთი რამ. მაგრამ გამორიცხული არ არის, პირიქითაც მოხდეს, რაც პირადად ჩემთვის ძნელი დასაჯერებელია, თუნდაც იმ ზერელე, გნებავთ, ზედაპირული ცოდნის გამო, რაც საერთოდ რუსეთ-საქართველოს «ორსაუკუნოვან მეგობრობაზე» გამაჩნია. ამას მაფიქრებინებს ის სავალალო და სამარცხვინო შედეგებიც, რომლებიც ჯერ ქართველთა და ოსთა, მერე კი ქართველთა და აფხაზთა ეგრეთ წოდებულ «ეთნოკრიზისს» მოჰყვა. თუმცა ორივე ეს კრიზისი თითქოს საქართველოს სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო, არა ერთი და ორი ოფიციალური განცხადებიდან გამომდინარე. ამას მაფიქრებინებს არნახული, არგაგონილი მიგრაცია ქართული ეთნოსისა საქართველოდან, რაც, რომ იტყვიან, ბედის ანაბრადაა მიტოვებული და, ძალაუნებურად, გარდაქმნის გარიჟრაჟზე, მოსკოვის მიტინგებზე «სტიქიურად» შობილ ლოზუნგს გვახსენებს: «გაუმარჯოს საქართველოს უქართველებოდ!» ამას გვაფიქრებინებს არაქართველი ტომების დაუოკებელი, ვერაფრით ვერ განელელებული ლტოლვაც საქართველოსკენ, როცა საქართველოში ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ არსებობს იმისთვისაც, ვისაც ხესავით ლამის ფესვი აქვს გადგმული მშობელ მიწაში. სხვათა შორის, მაინცდამაინც არც მეოთხე ხელისუფლებაა შეწუხებული ამ საკითხებით. ყოველ შემთხვევაში, უმაღლეს საქართველოდან გასახლების, უცხოეთში განათლების, უცხოური სიამოვნებებით ტკობის აგიტაცია უფრო ხშირად გვხვდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებსა თუ ტელევიზორის ეკრანზე, ვიდრე იმის შეხსენება, მეობის დაკარგვას ყველაფერი რომ სჯობს: უსამშობლოდ დარჩენილი ადამიანი არარაობაა; გაქცევა ხსნა არ არის; ერთნაირი უბედურებაა, გარუსდებიან თუ გაამერიკელდებიან ჩვენი გოგო-ბიჭები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა და არანაკლებ მნიშვნელო-



ვანიც. ერთი კია, მწერალსაც და ჟურნალისტსაც მეტი წინდახედულება მართებს დღეს – ვიდრე დაილაპარაკებდეს, ძირფესვიანად უნდა ჰქონდეს შესწავლილი ნებისმიერი საკითხი, უნებურად მტრის წისქვილზე რომ არ მიუშვას წყალი...

რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას, 25 წელი კი არ არის, როგორც თქვენ აღნიშნავთ შეკითხვაში, არამედ, 25+5, და ამ პატარა არითმეტიკულ მაგალითში მთავარი სწორედ +5-ია. 25 მხოლოდ საწყისი ციფრია, ანუ დროის ის მონაკვეთია, რომელიც, ადრე თუ გვიან, მაინც ჩამოთავდება. ხოლო, +5 წელი იგივე მარადისობაა, მარადისობის სიმბოლოა, რამდენადაც 25 წლის შემდეგ არც რუსეთში და, მით უფრო, არც საქართველოში არავის მოუვა თავში აზრად ამ ხელშეკრულების გაუქმება თუ არა, გადასინჯვა მაინც. რუსეთი ყოველმხრივ შეეცდება და შეძლებს კიდევ, ვადის ამოწურვამდე ისეთი ხალხი მოიყვანოს საქართველოს ხელისუფლებაში, რომლებიც იქით შეეხვეწებიან, კიდევ «ცოტა ხნით» გაიხანგრძლივოს «მშვიდობის დამცველისა» და «სუსტის ქომაგის» საპატიო წოდება. რას მოუტანს ეს საქართველოს, სულ ცოტა, 25 წლის შემდეგ ეცოდინებათ იმათ (ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს), ვისთვისაც დღეს «ვიღვწით» ყველანი, თქვენი და ჩემი ჩათვლით. დღეს მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, თუ რა მოუტანა საქართველოს, დავუშვათ, «ესენგეში» შესვლამ. უფრო სწორად – რა არ მოუტანა. არ მოუტანა ნანატრი სტაბილიზაცია, აღთქმული ტერიტორიული მთლიანობა, ძველ კავშირებზე დაფუძნებული ეკონომიკური კეთილდღეობა... ის კი არა, თურქმენეთმა, ჩვენმა მეგობარმა ქვეყანამ, საერთოდ გადაგვიკეტა გაზი, რაც თითქმის იგივეა, მომაკვდავს ჟანგბადის ბალიში გამოგლიჯო პირიდან. მაგრამ, საღად თუ ვიმსჯელებთ, ეს ამბავი სრულებითაც არ აყენებს ჩრდილს თავად თურქმენეთს. მას თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს და მოქმედებს ამ ინტერესების შესაბამისად. სამაგიეროდ, ერთხელ კიდევ გვაწვილებს ჩვენ, ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს პოლიტიკურ გულუბრყვილობას. საერთოდ, კაცი იქნება თუ ქვეყანა, იმასთან უნდა მეგობრობდეს, ვინც მზად არის მასთან სამეგობროდ. ასე რომ, თურქმენეთის «პრინციპულობა» სრულებითაც არ გვაძლევს უფლებას, აუგად მოვიხსენიოთ ის. სამაგიეროდ, გვავალდებულებს, ჭკუას მოვუხმოთ და გავარკვიოთ, რამდენად მიზანშეწონილია ჩვენი და იმავე თურქმენეთის მეგობრობა, რასაკვირველია, იმ გაგებით, როგორც ეს თურქმენეთს ესმის. მაგრამ ესეც პოლიტიკოსების საქმეა. მათ უნდა გაარკვიონ, ანუ ისე უნდა აწარმოონ დიდი პოლიტიკა, პატარა პრობლემებიც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდეს. საერთოდ კი დიდი პოლიტიკის გარეშე, არათუ ქვეყნის აშენება, ქვეყნის დაქცევაც შეუძლებელია.

1995

### მიმართვა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს

ბატონო თავმჯდომარე! დამერწმუნეთ, ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრობა, მაგრამ, როგორც გული მიგრძნობდა და დრომაც დაადასტურა, მე მხოლოდ ფორმალური წევრი აღმოვჩნდი ამ კომისიისა, რამდენადაც მისი შექმნის შემდეგ არავის მოუმართავს ჩემთვის, უფრო სწორად, არავის არაფერი დაუვალებია ამ საკითხთან დაკავშირებით. საკითხი კი, დიახაც, მეტად მნიშვნელოვანია და არავის ეპატიება გულგრილი დარჩეს მის მიმართ, მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა არ მოახმაროს ამ საშვილიშვილო საქმეს. ეჭვიც არ მეპარება, კომისიაში მრავლად არიან პიროვნებები, რომელთა

პოლიტიკურ-იურიდიული ცოდნა-განათლება ჩემისთანა დილექტანტების გარეშეც გაართმევს თავს ნებისმიერ ამოცანას, მაგრამ, მაგრამ კი არა, სწორედ ამიტომ, აქედან გამომდინარე, გაცილებით ძნელია ფიქციური წევრობა ესოდენ სერიოზული კომისიისა. მართალია, ჯანმრთელობის გამო აქამდე არც მე შემემძლო აქტიური მონაწილეობის მიღება კომისიის მუშაობაში, მაგრამ, მორიდებით რომ ვთქვათ, კომისიამაც ყველასთვის მოულოდნელად დაიწყო თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულება; რაც მთავარია, საჭიროდაც არ ჩათვალა მისი ნებისმიერი წევრისთვის განხილვის დაწყებამდე გაეცნო განსახილველი კონსტიტუციის პროექტი (თუ პროექტები არა). მაგრამ ეს სრულებითაც არ მათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, თუმცა, დამეთანხმებით, ნებისმიერი კონსტიტუციის პროექტის (მით უფრო პროექტების) შესწავლასა და დამუშავებას, მყარი და საფუძვლიანი აზრის ჩამოყალიბებას მისი სიაკვარგის თაობაზე, გაცილებით დიდი დრო სჭირდება.

კონსტიტუციის მიღება უმნიშვნელოვანესი, უდიადესი მოვლენაა ხალხის ცხოვრებაში. სხვანაირად თუ ვიტყვით, კონსტიტუცია ხალხის ნებაა ხალხის მიერვე დაკანონებული და გავრცელებული მის კუთვნილ ტერიტორიაზე. ამიტომ მისი მიღება ეჭვსა და შეშფოთებას კი არ უნდა იწვევდეს, ბუნებრივი სიამაყით უნდა ავსებდეს ყველას. ჩვენ კი ჩვენი საერთო მიზნისა და მისწრაფების სიმბოლო ლამის ახალი დაპირისპირებისა და განხეთქილების საბაზად ვაქციეთ, რაც ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი საერთო მიზანი და მისწრაფება სინამდვილეში საერთო არ ყოფილა. ყველას სხვადასხვანაირად გვესმის და აუცილებლად ერთმანეთის საზიანოდ. ეტყობა, მართლაც თავისი დრო აქვს ყველაფერს. ვიდრე ქვეყანა საბოლოოდ არ განთავისუფლდება, ნამდვილად დამოუკიდებელი არ გახდება, მისი კონსტიტუცია წინამასწარა მერცხალივით უმაღლეს თავად დაიღუპება, ვიდრე გაზაფხულს მოიყვანს. სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებთ, ჩვენ ჯერ თავისუფლები არ ვართ: ჩვენი კუთვნილი ტერიტორიის თითქმის მესამედი ოკუპირებულია და უცხო ძალის «დახმარების» გარეშე შინაური საქმეებიც ვერ მოგვიგვარებია ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე. და მაინც, გავკადნიერდები და თავს ნებას მივცემ, უფრო მორალური, ვიდრე პრაქტიკული მოსაზრებით, გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა კონსტიტუციის განსახილველ პროექტთან, უფრო ზუსტად კი, ერთ საკითხთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ფედერაციული მოწყობა დაუშვებლად მიმაჩნია, თუმცა ისიც ვიცი, თუ რა განაპირობებს ამას. რასაკვირველია, ვერც პოლიტიკოსთა და ვერც მეცნიერთა თავგამოდებული განმარტებები იოტისოდენადაც ვერ ჩქმალავენ მთავარ მიზეზს, რაც გვაიძულებს, ჭეშმარიტებაზე მაღლა დავაყენოთ აშკარად ჭეშმარიტების საწინააღმდეგო არგუმენტები. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში გაცილებით მეტი ეთნიკური სახესხვაობა გვხვდება, ვიდრე ჩვენთან, თუმცა ყოვლად გაურკვეველი მიზეზების გამო, ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული, რატომღაც ჩვენ ვითვლებით ყველაზე მრავალეროვან ქვეყნად, რაც სრულებითაც არ შეესაბამება სინამდვილეს. შეიძლება ჩვენზე ნაკლებად განვითარებულ, ნაკლებად კულტურულ ქვეყნებს მართლა «ვჯობნიდეთ» ამ საკითხში, მაგრამ ახლოსაც ვერ მივალთ ჩვენზე განვითარებულ ქვეყნებთან, თუკი ხელოვნურად არ შევქმნით ამგვარ პრობლემას. უფრო სწორად, რაც სხვებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, ჩვენთვის პრობლემაა, სხვებისთვის მარტივი და გასაგები, ჩვენთვის რთული და გაუგებარი ხდება. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სამხარეო დაყოფა, რა თქმა უნდა, დასაშვებია და ამის მაგალითებიც მრავლად არსებობს ეგრეთ წოდებულ თავისუფალ სამყაროში. მაგრამ ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც მხარეებთან ერთად, ავტონომიური, თანაც უფლებებგაზრდილი, რესპუბლიკები, ანუ დამოუკიდებელი პოლიტიკური გამონაზარდებიც არსებობდეს. ფედერაცია, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, «სახელმწიფო წყობილების ფორმაა, რომლის დრო-

საც რამდენიმე სახელმწიფოსგან იქმნება ერთი სახელმწიფო». საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე კი არასოდეს ყოფილა სახელმწიფო, გარდა ქართულისა. მართალია, თავად ქართული სახელმწიფო ხშირად დაგლეჯილა ცალკეულ ნაწილებად – მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული უსამართლობის გამო და არა მისი სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის მიზნით – მაგრამ საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე სხვა, არაქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩვენს ისტორიას არ ახსოვს. ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკებიც ისტორიული უსამართლობაა და თუ უცხოელ დამკვირვებლებსაც მოვიშველიებთ, ყველა როდი თვლის ამას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი სიძლიერის გარანტიად. ზოგი მათგანი სწორედ ამას მიიჩნევს საქართველოს დაუძლურებისა და საბოლოო გადაგვარების აუცილებელ პირობად. სხვათა შორის, ალბათ ჩემი მწერლური გულუბრყვილობის გამო, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, საბჭოთა კავშირის დაშლა საბჭოური სტრუქტურების გაუქმებასაც გამოიწვევდა, რაც, თავისთავად, სრულიად საწინააღმდეგო დასკვნების გამოტანას გვაიძულებდა სამომავლოდ. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, წინააღმდეგი ვიყო არაქართული მოსახლეობის უფლებათა დაცვისა. პირიქით, მწერალი არამარტო ზოგადად ადამიანის დამცველია, არამედ კონკრეტული პიროვნებისაც. მაგრამ დაცვაცაა და დაცვაც: თუკი ჩვენ ამ საკითხში მართლა თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს ვითვალისწინებთ, მაშინ საქართველოს ამგვარი ადმინისტრაციული მოწყობა სწორედ მსოფლიო სტანდარტების დარღვევაა. არც ერთ ფრანგ პოლიტიკოსს, მით უფრო დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, აზრადაც არ მოუვა, ვთქვათ, პროვანსი, თუნდაც განსხვავებული ენის გამო, ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადოს, ნორმანდია კი – საფრანგეთის მხოლოდ ერთ-ერთ მხარედ. ნებისმიერი ავტონომია, თუ ის კულტურული ავტონომია არ არის, ისტორიული გაუგებრობის, ანდა, ჩვეულებრივი ძალადობის ფაქტია. გინდაც ასე არ იყოს, პოლიტიკური ეთიკიდან გამომდინარე, მაინც დაუშვებელია ავტონომიური რესპუბლიკის, მით უფრო ოლქის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს რანგში აყვანა. როგორც უკვე ვთქვით, ფედერაცია სახელმწიფოთა გაერთიანებაა და არა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების ხელოვნური დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ფედერაციული მოწყობა ჩემთვის გაუგებარია, თუკი ჩვენზე ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებსა და მათი მხრიდან ამკარა ძალდატანების ფაქტორს გამოვრიცხავთ. რაც შეეხება ქვეყნის სამხარეო დაყოფას, არც ეს არის ახალი და მოულოდნელი და, როგორც უკვე ვთქვით, ანალოგიებიც მრავლად მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში. ასე რომ, ზოგიერთი ჩვენი მეცნიერის ისტორიული წიაღსვლები ამ ადმინისტრაციული ღონისძიების გასამართლებლად, რასაკვირველია, მხოლოდ ღიმილს იწვევს. ფეოდალური ეპოქის თუნდაც უაღრესად პროგრესული კლიშეების ბრმად გადმოტანა დღევანდელ სინამდვილეში თანამედროვე ცივილიზაციას კი არ გვაზიარებს, რაც მიზნად დაგვისახავს, არამედ ფეოდალიზმის დაობებულ, გამოცარიელებულ და გამოუვალ ტალანებში გადაგვისვრის ისევ. თუ ჩვენ თამარ მეფის მიბაძვით ვიქცევით ასე, მაშინ საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღება, რაც ჩემი აზრით, არავითარ წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდეს, ცოტა არ იყოს, ძნელი აღსაქმელი ხდება – მონარქიულ ფედერაციას, თუკი საერთოდ დასაშვებია ამ ტერმინის ხმარება მაშინდელი, უაღრესად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ინტერესების მქონე სახელმწიფოებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ მონარქიული ინსტიტუტი შეეფერება. საქართველოს სამხარეო დაყოფა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ფეოდალური აზროვნებისგან განვთავისუფლდებით, მსგავსად ევროპის ქვეყნებისა, და, რაც მთავარია, საბჭოთა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მიღებულ ავტონომიებს გავაუქმებთ. საქართველო საკუთარი პროვინციების კრებითი სახელია მხოლოდ და რომელიმე მათგანის გამოცალკეება საერთოდ სათუოს ხდის ამ სახელის არსებობას. სა-

ქართველოს ნებისმიერი პროვინცია იქამდეა საქართველო, ვიდრე დანარჩენ პროვინციებთანაა გათანაბრებული. ცალკე აღებული ან კახეთია, ან სამეგრელო... ამავე დროს, ნებისმიერი მათგანისთვის თუნდაც მინიმალური პოლიტიკური უპირატესობის მინიჭება მხოლოდ და მხოლოდ სამართლიან გულისწყრომას გამოიწვევს და გათანაბრების მოურეველ სურვილს აღძრავს «გამორჩეულთა» გულებში. მოკლედ რომ ვთქვათ, უმაღლეს გურიას მოუხდებია აფხაზეთობა, ვიდრე აფხაზეთს გურიობა. რასაკვირველია, ვერ დავიჩემებ, ზემოთ თქმული ანბანური ჭეშმარიტებაა-მეთქი, მას არც პოლიტიკური პროგნოზის პრეტენზია გააჩნია, ეს უფრო მწერლის მოსაზრებებია, ვიდრე პოლიტიკოსისა და ადვილი შესაძლებელია, ყბადაღებულ «ფილოლოგიურ შიშს» ეფუძნებოდეს და არა პროფესიულ ჭკრეტასა და გათვლას. პოლიტიკოსისგან განსხვავებით, მწერალი ვალდებულიცაა ყველაფერი თქვას, რაც აეჭვებს, აღელვებს, აბნევს და, რასაკვირველია, აშინებს. ხოლო საკონსტიტუციო კომისიის თუნდაც ფიქციური წევრობა კიდევ უფრო მეტად მავალდებულებს ასე მოვიქცე. ამავე დროს, ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩემი მწერლური ემოციები მხოლოდ მწერლური ემოციები აღმოჩნდება ბოლოს. ამით ჩემს პასუხისმგებლობას კი არ ვიხსნი ქვეყნის წინაშე, წერილობითაც ვადასტურებ იმას, რისი თქმაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, კომისიის სხდომებზე ვერ მოვახერხე. დარწმუნებული ვარ, ეს განცხადება ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს მიმდინარე პროცესზე, მაგრამ განსხვავებული აზრის არსებობა თავისთავად იმისი დადასტურებაცაა, გამოუვალი მდგომარეობა საერთოდ რომ არ არსებობს. მით უფრო ხალხის ცხოვრებაში, რომელიც სახელმწიფოებრიობის აღდგენას ცდილობს და თავისუფლებაზე ოცნებობს.

1995

### ორ სიმართლეს შუა ანუ მითიდან ფაქტამდე

(საერთო პასუხი «ლიტერატურნაია გაზეტას» კორესპონდენტის შეკითხვებზე)

დღეს მოსკოვიდან, ადვილი შესაძლებელია, საქართველო იმპერიადაც წარმოიდგინოს ვიღაცამ, ანდა უფრო მიმზიდველად მოეჩვენოს უქართველებოდ. გარემოება მოქმედებს ფსიქიკაზე, ხოლო ფსიქიკა მხედველობაზეც კი ახდენს ზემოქმედებას. ასე რომ, სრულებითაც არ იქნება გასაკვირი, ჩვენც ბევრი რამ გვეჩვენებოდეს. ყოველ შემთხვევაში, «რუსეთისთვის ისტორიულად ახლობელი საქართველო» ჯერ ისევ მყარადაა შერწყმული «იმპერიასთან». ხოლო უფრო მარტივად თუ ვიტყვით, საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს დამოუკიდებლად არსებობას, თუკი რუსეთი საამისოდ მომწიფებულად ჩათვლის მას. ეს რუსეთს რატომღაც თავის ისტორიულ პრეროგატივად მიაჩნია და ამ პრეროგატივის განსამტკიცებლად, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს, «ნებაყოფლობით» გადააყენა ტახტიდან საქართველოს უკანასკნელი მეფე; ამავე მიზნით და ასევე «ნებაყოფლობით» გაამგზავრა ემიგრაციაში საქართველოს პირველი და უდღეური, გნებავთ, მკვდრადშობილი რესპუბლიკის მეთაურიც.

რუსეთი სერიოზული, განუწყვეტლივ მზარდი და მარად მოქმედი ქვეყანაა და, თავისთავად ცხადია, თავისი სასიცოცხლო სივრცე, თავისი პოლიტიკურ-ეკონომიური გალაქტიკა გააჩნია. ამ გალაქტიკაშია მოხვედრილი საქართველოც და, უნდა ითქვას, დღემდე განსაკუთ-

რებული ყურადღებითაც სარგებლობს რუსეთის მხრიდან. ბევრი რამ, რაც დღეს საქართველოში ხდება, ალბათ ამ «განსაკუთრებული ყურადღებითაც» შეიძლება აიხსნას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისევ ჩვენთვის სასურველ ჟანრში ვცდილობთ ცხოვრების ჩატევას და, ბუნებრივია, ისიც გვეწინააღმდეგება. და ასე იქნება იქამდე, ვიდრე ადამიანი ერთხელ და სამუდამოდ არ განთავისუფლდება იმ თვისებებისგან, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მის ადამიანობას ადასტურებს. ეს კი არა მარტო შეუძლებელია, დანაშაულიცაა იმავე ადამიანის წინაშე. სხვათა შორის, ჩვენი საუბრებისა თუ მიმოწერის ცენტრში, ყოველთვის თუ არა, ძალიან ხშირად, ცოცხალი, ნამდვილი ადამიანის ნაცვლად, რომელსაც არ შეუძლია არ იყოს ადამიანი, ანუ, «არა კაც კლას», «არა იმრუშოს» და ასე შემდეგ, რატომღაც, მოქცეულია ჩვენს მიერ შექმნილი, ჩვენი თვალსაზრისით, იდეალური, მაგრამ სინამდვილეში ყალბი, აბსტრაქტული მოდელი ადამიანისა, რომლის შეხედულებებიც, ვთქვათ, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ზუსტად შეესაბამება მოცემულ ეტაპზე ოფიციალურად აღიარებულ შეხედულებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება უნებურად, მაგრამ აშკარად ჩვენდა საზიანოდ, ისიც გვავიწყდება, რომ ნამდვილი, ბუნების ნაშიერი ადამიანის არსებობა თავისთავად გულისხმობს და განაპირობებს სუსტისა და ძლიერის, ჩაგრულისა და მჩაგვრელის, შეწყნარებულისა და შემწყნარებლის არსებობასაც, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო უწყობს ხელს ორნაირი სიმართლის დაკანონებას. ესე იგი, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით არსებობს სიმართლე სუსტისა და სიმართლე ძლიერისა; სიმართლე ჩაგრულისა და სიმართლე მჩაგვრელისა; სიმართლე შეწყნარებულისა და სიმართლე შემწყნარებლისა. მხატვრულად რომ ვთქვათ, კაცობრიობა ამ ორ სიმართლეს შორის გაბმულ ბეწვის ხიდზე დადის თავისი დღე და მოსწრება და მშვიდი ძილი არ ეღირსება – კიდევ ბევრჯერ მოიწადინებს, ეცდება, იწვალეოს, მაგრამ მაინც ვერ დაადგენს ჭეშმარიტებას. ხოლო უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ყოველთვის იმ სიმართლით ივლის, რომლის დაცვაც ნაკლებად სახიფათოა. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. არა მგონია, ყველასთვის ერთნაირად ანბანური ჭეშმარიტება იყოს, რომ საქართველო მართლა ეთნიკური კონფლიქტების კერა კი არ არის – რისი დამტკიცებაც გამობრძმედილ პოლიტიკურ ავანტიურისტებსაც უჭირთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან იოლად ირწმუნეს ჩვენმა რუსმა კოლეგებმა – არამედ, ჩვეულებრივი და, მე ვიტყვოდი, არც მთლად გულმოდგინედ შენიღბული აგრესიის ობიექტია – რისი შემჩნევაც შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება, მაგრამ ერთობ სახიფათოა, თუნდაც ზემოთ უკვე ნახსენები ორნაირი სიმართლის არსებობის გამო. «თვალის მოხუჭვა» მონური თვისებაა და მონური თვალსაზრისით – სასარგებლოც: დაინახავ – თვალს დაგთხრიან, არ დაინახავ და, ლოღნე არხეინად ნებაყოფლობითი სიბრძავით მოპოვებული პური.

ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს ვინმეს ბრალს ვდებდე, ანდა ვავალდებულებდე რამეს, უბრალოდ, ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩვენგანის ცხოვრებას ზემოთ ნახსენები ორნაირი სიმართლე განაპირობებს. უფრო სწორად, ერთი სიმართლე მეორეს აბათილებს და კაცობრიობა საერთოდ უსიმართლოდ ცხოვრობს დღემდე. ამდენად, თავისუფლად შეგვიძლია ვაღიაროთ, თუკი, რასაკვირველია, ამის სურვილიც გაგვაჩნია, რომ კაცობრიობა უვიცია, რამდენადაც სიმართლის გარეშე ნებისმიერი ცოდნა-განათლება ფუჭია. მაგრამ კაცობრიობის უვიცობა მისი სიზარმაცის, ანდა გონებრივი უძლურების ბრალი კი არ არის, არამედ შეგნებულადაა დამკვიდრებული სახელმწიფო მოღვაწეთა, პოლიტიკოსთა, სამხედრო პირთა, კორუმპირებულ მეცნიერთა თუ კულტურის მსახურთა დაუღალავი შრომითა და თავგამოდებით. ეს საყოველთაო უვიცობა ხელოვნური მეთოდითაა შექმნილი ადამიანის კიდევ უფრო დასაკნინებლად და დასათრგუნად. რაც უფრო უვიცია ხალხი, მით უფრო ადვილი სამართავია და არამარტო საქართველოში, არამედ საერთოდ, რასაკვირველია,

ეგრეთ წოდებული თავისუფალი სამყაროს ჩათვლით, რომელსაც ავტორიტეტებისადმი ბრმა თავყანისცემისა და გადამეტებული ნდობის გამო შეუძლია მკვლელს ქომაგად დაუდგეს, მოკლულს კი შეუმოწმებლად ააკრას მკვლელის იარლიყი. ადამიანი დანიაშიც ადამიანია, ანუ, დანიაშიც ისევე სჭირდება ადამიანს სიმართლე, როგორც საქართველოში. სიმართლის დადგენა კი მწერლის პირდაპირი დანიშნულებაა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, ყველა ჩვენგანი რომ ეზიარება სიმართლეს. სამაგიეროდ, არავინ არაფერი არ უნდა დაზოგოს, სიცოცხლის ჩათვლით, სიმართლეს რომ მიუახლოვდეს ოდნავ მაინც.

მწერალს უფლება არა აქვს, «არ იცოდეს», «ვერ გაიგოს», «ვერ მიხვდეს». ის ვალდებულია დაუპირისპირდეს უვიცობას და, რაც კიდევ უფრო ძნელია, მეორე ადამიანსაც აღუძრას მსგავსი სურვილი. არათუ თვითონ არ უნდა მოუხუჭოს რამეს თვალი, სხვასაც არ უნდა მისცეს ამისი საშუალება, მით უფრო, როცა საქმე ზნეობრივ და სულიერ სფეროებს ეხება. მწერალმა აუცილებლად უნდა ამოიკითხოს, ამოიცნოს, ამოხსნას, რასაც არამარტო ბუნება, არამედ ძლიერნი ამა ქვეყნისანიც მალავენ. უნდა შეძლოს, რაც ფაქტობრივად, შეუძლებელია. ვიდრე მწერალი სიმართლის ამოკითხვას, ამოცნობას, ამოხსნას ცდილობს, ყველა ჩვენგანის არსებობა გამართლებულია. ასე რომ, თუკი ვინმეს საქართველო მართლა იმპერია ჰგონია, ანდა ჰგონია, რომ საქართველო უქართველებოდ უფრო ლამაზი იქნება, ხოლო უსაქართველოდ მსოფლიო გაცილებით მშვიდად იცხოვრებს, უკვე დაწყებულია ჩვენი ზნეობრივი და სულიერი სიკვდილი. მაგრამ მწერალმა მაინც არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი. როგორც არ უნდა აითვალწუნოს დრომ, მან მაინც თავისი საქმე უნდა აკეთოს ბოლომდე.

მართალია, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ცხოვრებაც გაცილებით მკაცრი, მკაცრად მომთხოვნი გახდა მწერლის მიმართ, მაგრამ არ შეცვლილა თავად მწერალი, არ შეცვლილა მისი დანიშნულება. რასაკვირველია, ვგულისხმობ სიტყვის ქეშმარიტ მსახურს და არა მწერალთა კავშირის რიგით წევრს, ანუ მწერალს საბჭოური გაგებით, რომელსაც არამარტო შეუძლია, უფლებაცა აქვს, გარემოებისდა მიხედვით შეიცვალოს მრწამსიც, მსოფლმხედველობაც, ხელობაც და, თავისთავად ცხადია, საცხოვრებელი ადგილიც. რაც შეეხება მწერალთა მასობრივ გამოსვლას მწერალთა კავშირიდან, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელი ამბავია, მაგრამ გააჩნია, სად მიდიან ისინი – თუ თავიანთ სამუშაო ოთახებში, ეს სასარგებლოცაა მწერლობისთვის, ხოლო, თუ ვაჭრობაში ან, ვთქვათ, პორნობიზნესში, თავიდანვე იქ ყოფილა მათი ადგილი. უბედურებაა, როცა მწერალი იძულებულია მოსწყდეს მშობლიურ გარემოს, წავიდეს ემიგრაციაში. თუმცა დღევანდელ ემიგრაციას, ჩემი აზრით, არაფერი აქვს საერთო ამ უაღრესად ტრაგიკულ ცნებასთან. შეიცვალა თავად ცნება და ცნებისადმი დამოკიდებულებაც. თუკი ადრე ემიგრანტი მხოლოდ სიბრაღულსა და თანაგრძნობას იმსახურებდა, დღეს, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, ბრმა მიბაძვისა და ბოლომდე გაუაზრებელი შურის აღმძვრელია მრავალთა და მრავალთა გულებში. ადრე ემიგრანტი რწმენისთვის, ღირსებისთვის, სამშობლოს სიყვარულისთვის წამებულ ადამიანს ნიშნავდა, დღეს კი ყველაფერზე დაუფიქრებლად ამბობს უარს უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების მოსაპოვებლად. მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა და სჯობს ისევ მწერლობას მივუბრუნდეთ. ვიდრე მწერალს აზრს ეკითხებიან, ჯერ ყველაფერი არ დალუპულა. ნებისთ თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს საერთოდ მწერლობის უდიდეს, თითქმის გადაამწყვეტ მნიშვნელობას, როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე მთელი ხალხის სულიერი ცხოვრებისთვის.

მაგრამ ძალიან ხშირად მწერლის სიტყვა ან გაუგებარი რჩება, ან უგულებელყოფილი და, მე თუ მკითხავთ, სავსებით სამართლიანადაც – მწერალი ყველაზე ნაკლებად სწორედ თანამედროვეობას ეკუთვნის. რასაც ის დღეს აკეთებს (წერს, ამბობს), ხვალისთვისაა გამიზნული,

ხვალ გაიგებენ, ხვალ გამოიღებს ნაყოფს და ეს იწვევს მწერლის «დუმილისა» თუ «გვერდზე დგომის» ილუზიას, რაც, სინამდვილეში, საზოგადოების გულუბრყვილობის, ანდა მწერლობის წინააღმდეგ წარმოებული ფარული ბრძოლის თავისებური გამოხატულებაა და სხვა არაფერი. რასაკვირველია, თუ სამშობლო მოითხოვს, ჰიუგოც უნდა ავიდეს ბარიკადაზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმავე ჰიუგოს საწერ მაგიდასთან გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია სამშობლოსთვის, ვიდრე ჰიუგოებისგან შემდგარი ბატალიონი გააკეთებდა ბარიკადაზე. ასე რომ, მწერლის დუმილი სრულებითაც არ ნიშნავს ჩუმად ყოფნას. პირიქით, შეიძლება, დუმილით გაცილებით მეტს ამბობდეს, ვიდრე ლაპარაკით. ყველაფერი იმ პოლიტიკურ, სოციალურ და, რაც მთავარია, კულტურულ ატმოსფეროზეა დამოკიდებული, რომელშიც ამჟამადაა მწერალი მოხვედრილი. მწერლის შეგნებული დუმილი მწერლური პოზიციის დაცვადაც შეგვიძლია აღვიქვათ. დუმისა და ლაპარაკს შორის ის ყოველთვის პირველს ირჩევს (უნდა ირჩევდეს), თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, მწარე სიმართლეს რომ აყენებს მაამებელ ტყუილზე მაღლა. ფუტკარი რომ ბზუის, თავლს აკეთებს, როცა ჩუმადაა – თავლზე ფიქრობს. ასეა მწერალიც – ლაპარაკობს თუ დუმს, მისი საფიქრალი და სადარდელი ამით არ იცვლება. მწერალი ვინმეს კი არ ამხელს, ყველას თანაუგრძნობს და შეძლებისდაგვარად ამართლებს. მწერალი ჭეშმარიტი ტოლერანტია. ამიტომ ძლიერაც უნდა იყოს სულიერად, რათა არამართო აზრი, ფასიც ჰქონდეს მის ტოლერანტობას. საერთოდ, რაკი სიტყვამ მოიტანა, ტოლერანტობა ძლიერთა თვისება უნდა იყოს და არა სუსტთა სურვილი. სუსტის ტოლერანტობა იგივე მლიქვნელობაა ძლიერის წინაშე. შეიძლება ამის ბრალია, ხალხი ყოველთვის იმის თქმასა და იმის ჩადენას რომ ავალდებულებს მწერალს, რის სათქმელად და ჩასადენად თავად ძალა არ შესწევს. მწერალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სააქაოს ქარონია – «მოწყენილი ცხოვრების მდინარეზე» (ილია ჭავჭავაძის სტრიქონია) გადაჰყავს მისგანვე შექმნილი ადამიანების სულები და, ამდენად, მხოლოდ საკუთარ თავთან არის პასუხისმგებელი. მისი სამოქმედო ასპარეზი ერთი ადამიანის თვალსაწიერით განიზომება და თუკი ის, თავის სათქმელიანად, მთლიანად ეტევა ამ თვალსაწიერში, მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია.

ამ ბოლო დროს მართლაც ბევრი რამ შეიცვალა როგორც საერთოდ ქვეყნის, ისევე ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში. ეს კი, ჩემი აზრითა და რწმენით, არაფრით არ შეიძლება თუნდაც იმაზე უკეთეს მომავალს არ გვიქადდეს, ვიდრე ჩვენი არცთუ ისე შორეული წარსული იყო. სხვათა შორის, რუსი კრიტიკოსების თვალსაზრისით, რაც «ლიტერატურნაია გაზეტაშიც» აისახა, მე თავის დროზეც ყველაზე ნაკლებად ვიმსახურებდი საბჭოთა მწერლის სახელს. ასე რომ, ჩემი მწერლური და, თუ გნებავთ, ადამიანური ბიოგრაფიის გამო, არც წარსულს ვწყევლი და არც გულუბრყვილოდ მჯერა მომავლისა. როგორც დიდი გალაკტიონი ამბობს: «მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია». ამის დადასტურებაა ისიც, მიუხედავად ლამის სამყაროს მომცველი კატაკლიზმებისა, თითქმის არაფერი რომ არ შეცვლილა ჩემს პირად ცხოვრებაში: არც ხელობაზე ამიღია ხელი, არც გაქცევას ვაპირებ სადმე. მართალია, ჩვენი გამომცემლები, გაუზვიადებლად რომ ვთქვათ, სულს ძლივს ითქვამენ და ენთუზიაზმის ამარაღა არიან დარჩენილნი, მაგრამ იმედი მაქვს, მალე გამოვა ჩემი ახალი რომანი, სადაც უკანასკნელი წლების მოვლენებია აღწერილი, რაღა თქმა უნდა, სიცოცხლის დაუცხრომელ ჟინთან და თავისუფლებისკენ დაუოკებელ სწრაფვასთან ერთად, რაც ჩემი ხალხის ერთ-ერთ უმთავრეს თვისებად ითვლებოდა ყოველთვის და ალბათ ერთადერთ დანაშაულადაც დამპყრობელთა თვალში.

რომანს «აველუმი» ჰქვია, რაც შუმერულად თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. ამას რუსი მკითხველის გასაგონად ვამბობ, რომელიც ერთ დროს შეიძლება ზედმეტა-

დაც მანებივრებდა თავისი ყურადღებით და ძალიან დამწყდება გული, თუკი ესეც მხოლოდ «ხალხთა მეგობრობის» იდეოლოგიით იყო განპირობებული. ჩემი პირველი მკითხველი, თავისთავად ცხადია, ქართველია, იმას ეკუთვნის «პირველი ღამის უფლება» და, ამდენად, თითქოს უფრო ბუნებრივიცაა მისი დაინტერესება ჩემი ნაწარმოებებით. მაგრამ როცა მსგავსი დაინტერესება სხვა ენის, ფსიქიკის, სხვა კულტურის წარმომადგენლისგანაც იგრძნობა, ეს არამარტო სასიამოვნო, არამედ ფრიად ანგარიშგასაწევი ფაქტია, რამდენადაც, ერთი შეხედვით, თითქოს ძნელი წარმოსადგენია იმავე რუსი მკითხველისგან გულთან ახლოს მიტანა და ღამის გათავისება უაღრესად არარუსული ბუნებისა, ზნე-ჩვეულებისა, თავგადასავლისა, ბედისა... ეს იმ განძის აღმოჩენით მოგვრილ სიხარულსა ჰგავს, რომლის არსებობის შესახებ ბოლო წუთამდე არაფერი იცოდი და, თავისთავად ცხადია, არც არასდროს გიძებნია. თუმცა მწერლობა უფრო ძებნაა, ვიდრე მოლოდინი. აქედან გამომდინარე, სრულებითაც არ უნდა იყოს გასაკვირი, მწერალი თანამედროვე შეკითხვების პასუხს წარსულშიც დაეძებდეს. წარსული ჩვენგან იწყება. აი, ეს სიტყვებიც, რომლებიც ეს წუთია დავბეჭდე ფურცელზე, უკვე წარსულის საკუთრებაა. წარსული დაუნდობლად გვტაცებს ხელიდან აწმყოს და ძალით მიგვერეკება მომავლისკენ. ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი ცხოვრება სისხლხორცეულადაა დაკავშირებული გუშინდელთან. მითხარი, როგორი წარსული გქონდა და გეტყვი, რა გელოდება წინ. უფრო მეტიც, მწერლისთვის საერთოდ არ არსებობს წარსულად, აწმყოდ და მომავლად დაყოფილი დრო. ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩემი თვალსაზრისით და, რასაკვირველია, ეს სხვებისთვის მაგალითი ვერ იქნება. უბრალოდ, დროის აღქმის პირად მეთოდზე, დროსთან პირად დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობ, რასაც საკუთარი მწერლური გამოცდილება ემყარება. ასე რომ, წარსულში თუ ვეძებ დღევანდელი პასუხს, ესეც ჩემი მწერლური პოზიციისა და მეთოდის ბრალია ალბათ. ეტყობა, მწერლურმა ჩანაფიქრმაც ასე მოითხოვა. ჩანაფიქრი კი საკმაოდ სერიოზულია და ჯერ კიდევ საკითხავია, შევძლებ თუ არა საერთოდ მის განხორციელებას. ჩემი მიზანია ქართული სულის თავგადასავლის «აღწერა» უხსოვარი დროიდან დღემდე – მითიდან ფაქტამდე. ამიტომაც აღმოვჩნდი მითოლოგიურ გარემოში, თუმცა ჩემთვის არასოდეს ჰქონია მითს ჟანრის დანიშნულება. ჩემთვის მითი იმდენადაა საინტერესო (და აუცილებელიც), რამდენადაც იქიდან იღებს სათავეს პირველი ქართული სახელმწიფო – კოლხეთი – თავისი აიეტიით, მედეათი, არგონავტებით, მინოსითა და კირკეთი... მითიდან იღებს სათავეს ჩემი ხალხის სული, რომელიც, ღვთის წყალობით, დღემდე თვალნათლივ მოედინება. ამიტომ ძირითადად (ალბათ ქვეცნობიერად) ისეთი ეპოქები მაინტერესებს ჩვენი ისტორიისა, სადაც უფრო მძაფრად ვლინდება ამ სულის ყველა თვისება, ყველა ნიშანი, ყველა მანკი და მიდრეკილება. ამდენად, რასაკვირველია, ბევრი საკმაოდ საინტერესო პერიოდი მაქვს გამოტოვებული და, თუ საშუალება იქნება, ალბათ მომიწევს უკან დაბრუნება, ზოგიერთი «დაუშვებელი» სიცარიელის ამოსავსებად.

რაც შეეხება «აველუმს», ერთგვარად დამაგვირგვინებელიცაა ჩემი წინა რომანებისა და არა მხოლოდ ქრონოლოგიურად – ის ჩემი ყველაზე თანამედროვე რომანია, როგორც უკვე ვთქვი, უკანასკნელი წლების ამბებს ასახავს, თუმცა მითის ელემენტები იქაც საკმაოდ დოზითაა გამოყენებული. საერთოდ, ყველა ჩემი რომანი, ერთი შეხედვით, სავსებით დამოუკიდებელი ნაწარმოებია და, იდეის გარდა, თითქოს არაფრითაა დაკავშირებული დანარჩენებთან. მაგრამ ყველა რომანის მთავარი გმირი ერთი და იმავე სულის მატარებელი პიროვნებაა, უფრო სწორად, ერთი და იგივე, ანუ, მარადიული სული ხალხისა ერთი გმირიდან მეორეში გადადის, როგორც ღვინო – ჭურჭლიდან ჭურჭელში და, მიუხედავად ჭურჭლის ფორმისა და მოცულობისა, მაინც ინარჩუნებს ყველა თვისებას. ამდენად, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი რუსულ პრესაში, ჩემი რომანები არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ რომანებად ამ სიტყ-



ვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისტორიის მარადიულ ძეგლებზე მეტად არარსებულის, გნებავთ, გამონაგონის მარადიულობა მაინტერესებს. ესე იგი მარადიულობა ადამიანური ვნებებისა, გრძნობებისა, მისწრაფებებისა, რომლებიც თითქოს ადამიანის მიწიერ სიცოცხლესთან ერთად მთავრდება, ქრება, მაგრამ სინამდვილეში ადამიანიდან ადამიანში, სიცოცხლიდან სიცოცხლეში გადადის და ზოგადად ადამიანს დღესაც ისევე უყვარს, ისევე სძულს, როგორც ასეული, ათასეული წლების წინათ უყვარდა და სძულდა. საბედნიეროდ, დროსთან ჭიდილში ადამიანი ადამიანად რჩება და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ცრემლის, საკუთარი ტკივილის, საკუთარი უმწეობის წყალობით, ანუ, სიყვარულის, თავდადების, თანაგრძნობის უნარით. თუ თანაგრძნობა არ შეგიძლია, აღარც ადამიანი ხარ. თანაგრძნობა სულიერი მოთხოვნილებაა და პირველ რიგში შენი ადამიანურობის ხარისხს განსაზღვრავს, ანუ განსაზღვრავს, ხარ თუ არა ადამიანი საერთოდ, შეგიძლია თუ არა შენდა საზიანოდ და მეორე ადამიანის სასარგებლოდ უარი თქვა რაღაცაზე მაინც. ნებისმიერ ადამიანურ გრძნობას, მოჩვენებითად ცვალებადსა და წარმავალს, თავისი მარადიულობა გააჩნია. მეც ეს მარადიულობა მაინტერესებს სწორედ და უფრო მეტადაც, ვიდრე რომელიმე ისტორიული მოვლენისა თუ ისტორიული გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხელახალი აღწერა და ახლებურად ახსნა. ამდენად, უფრო ვხვდები, ვიდრე ვიცი, რატომ ვეძებ წარსულში, ვთქვათ, დღეს დაშვებული შეცდომის მიზეზს. ალბათ, თუკი მწერლური ალღოც არსებობს (მსგავსად ცხოველურისა), იქ ვეძებ, სადაც უნდა ვეძებდე. მე მგონი, ჩემი ჩანაფიქრის მიხედვით, სწორად ვიქცევი – გუშინდელი დღე, ასტრონომიული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, აღარასოდეს განმეორდება, მაგრამ სული, მით უფრო კი ხალხისა, ხვალაც და ზეგაც შეიძლება აღმოჩნდეს ისეთსავე ვითარებაში, როგორშიც უკვე ბევრჯერ აღმოჩენილა გუშინაც და გუშინწინაც.

გარდა ამისა, მე მგონი, მწერალი მაინც «სხვისი» ნება-სურვილის აღმსრულებელია და არა საკუთარი გრძნობების მსახური. «სხვა» წარმართავს მის ჭკუა-გონებას. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ყველაფერი მზამზარეული ეძლევა, «ესიზმრება», და მას მხოლოდ დასიზმრებულის ფურცელზე გადატანა ევალება. ვისაც უკეთესი მახსოვრობა აქვს და დასიზმრებულის ფურცელზე გადატანა არ ეზარება, უკეთესი მწერალიც ის არის. საერთოდ კი, ნებისმიერი მწერლისთვის, მე ვიქნები თუ სხვა, სულერთია, ესე იგი, ერთნაირად ძნელია, ლექსსა წერს თუ რომანს. რასაკვირველია, დრო და ენერჯია რომანს მეტი სჭირდება, ვიდრე ლექსს, მაგრამ ნაწარმოების შექმნისა და დაბადების პროცესი აბსოლუტურად ერთი და იგივეა. სერიოზული, თვისობრივი (გარდა ვიზუალურისა) განსხვავება არ არსებობს, როგორც შობასა და გამოჩვევას შორის. ორივე შემთხვევაში ახალი სიცოცხლე იბადება. ამიტომ მთავარი ის კი არ არის, ვშობთ თუ ვჩეკავთ, არამედ – რას ვშობთ და რას ვჩეკავთ. ამას მხოლოდ მკითხველი გაარკვევს და თანაც ჩვენზე უკეთესად. მაგრამ ალბათ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ჩემსა და რუს მკითხველს შორის «სულთა გადამრჩენელი» კავშირი აღდგებოდეს. არადა, ჩემი აზრით, ალბათ მისთვისაც ბევრი რამ იქნებოდა საინტერესო «აველუმში». ბოლოს და ბოლოს, რომანის დიდი ნაწილი გმირის მოსკოვურ თავგადასავლებს უკავია. თუმცა მკითხველი უფლებამოსილია, ის ამოიკითხოს წიგნიდან, რაც მის სულიერ მოთხოვნილებას, გონებრივ დონეს, ზნეობრივ საზომსა და საერთოდ მის ინტელექტუალურ გარემოცვას შეეფერება და აკმაყოფილებს. ასევე უფლებამოსილია, მაინცდამაინც, ის იპოვოს წიგნში, რასაც ეძებს. წიგნი ნამდვილ ცხოვრებას მაშინ იწყებს, როცა მკითხველს უკავშირდება. მეორე ადამიანია ის პირუთვნელი მსაჯული, რომელმაც უნდა თქვას, სწორად ვეძებდი, რასაც ვეძებდი, თუ თავიდანვე არ უნდა დამეწყო ძებნა. მაგრამ მწერლობა არამარტო ძებნა, არამედ განუწყვეტელი სწავლაცაა. მწერალი ყველაფრისგან სწავლობს, უბედურებისგანაც, სიკვდილისგანაც... ამავე დროს, ყველა წინამორბედი თუ თანამედროვე მწერალიც პირადად მისი მასწავლებე-

ლია, კარგიც და ცუდიც, რადგან ეშმაკმა იცის, რისი სწავლაა უფრო ძნელი – «როგორ წერო» თუ «როგორ არ წერო».

1996

### დავიწყეთ თავიდან...

(საერთო პასუხი გაზეთ «კავკასიონის» კორესპონდენტის შეკითხვებზე)

რუსეთთან დამოკიდებულების ქართული ტრადიციული კონცეფცია რომ უნდა გადაისინჯოს, ეს თქვენი ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ ღრმა და სერიოზული შეკითხვიდანაც აშკარად ჩანს. სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ ამ უაღრესად მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, თქვენს მიერ ჩამოთვლილი არგუმენტებიც საკმარისზე მეტია, რათა უყოყმანოდ ვირწმუნოთ, რომ «რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლის თავის ტრადიციულ პოზიციას საქართველოსთან მიმართებაში»; რომ უკვე დროა (თუ დაგვიანებული არ არის), «რეალურ ფაქტად ვაღიაროთ ეს» და, შესაბამისად, რუსეთთან დამოკიდებულების ჩვენი ტრადიციული კონცეფციაც გადავსიჯნოთ. ოღონდ თავიდანვე უნდა ვაღიარო, ჩემთვისაც ძნელი დასადგენია, თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს ეს გადასინჯვა. ძნელი დასადგენია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, «ქართული ტრადიციული კონცეფციაც» რომ არ არის ნამდვილად ჩვენი, ნამდვილად ქართული ტრადიციული კონცეფცია. უფრო ნათლად და უფრო გულახდილად თუ ვიტყვით, ორასი წლის მანძილზე საქართველოში საერთოდ არ გატარებულა ქართული პოლიტიკა, ანუ ნებისმიერი პოლიტიკა, ნებისმიერი გარეშე ძალის მიერ გატარებული, თავისი ბუნებითა და მოწოდებით ანტიქართული გახლდათ, რის შედეგადაც, უპირველეს ყოვლისა, ქართულად აზროვნებას გადავეჩვიეთ ყველანი, რაც თავისთავად, დამოუკიდებლად აზროვნების დაქვეითებასაც ნიშნავს. ასე რომ, დროთა განმავლობაში, არათუ სხვათა ნაფიქრალს ვასაღებდით ჩვენად, არამედ დაფიქრებისაც გვეშინოდა სხვათა ზურგს უკან. არადა სხვისგან, გინდაც დამპყრობლისგან, რამის სწავლა კი არ არის სამარცხვინო, არამედ ბრმად, შეუმოწმებლად, გაუთვითცნობიერებლად გათავისება იმისა, რაც, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, მაინცდამაინც შენი ეროვნული თვითშეგნების და, თუ გნებავთ, შენი არსებობის წინააღმდეგაა მიმართული.

ქართველი ადამიანის ქართველობას, უპირველეს ყოვლისა, მისი ენა და ფსიქიკა განსაზღვრავს. შეიძლება წარმოშობით ქართველი იყო და უფრო მეტი ზიანი მოუტანო საქართველოს, ვიდრე გადამთიელი მოუტანდა, თუკი დაგავიწყდა, ანდა დაგავიწყეს ქართულად აზროვნება. ქართულად აზროვნება ჯერ სამშობლოსთვის და მერე საკუთარი თავისთვის ცხოვრებას ნიშნავს. ქართულად აზროვნება პირველ რიგში ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებს, რის გარეშეც ადამიანი ალბათ ვერ ჩაითვლება სრულყოფილ არსებად. დიდ ხალხებად ყოველთვის ის ხალხები ითვლებოდნენ მხოლოდ, რომლებსაც სხვებზე მეტად ჰქონდათ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს მიმართ. მაგალითად, საბერძნეთში იმ სპორტსმენს, რომელიც ომიანობის დროს მახვილით არ იბრძოდა საბერძნეთისთვის, ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდნენ. ჩვენმა სპორტსმენმა კი, ადვილი შესაძლებელია, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე სხვა ქვეყნის სახელით მიიღოს მონაწილეობა ოლიმპიადაში, რაკი მის დაცემულ სამშობლოს მისი შენახვა და უზრუნველყოფა არ

შეუძლია. ეს, რასაკვირველია, ცხოვრების სიდუხჭირის ბრალია, მაგრამ ასევე ჩვენი ფსიქიკური გადაგვარების კანონზომიერი შედეგაცაა. ასევე ჩვენი ფსიქიკური გადაგვარების შედეგია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ხალხისთვის ყოვლად შეუფერებელი მასშტაბები დღევანდელი ქართული ემიგრაციისა. გადასარჩენად კი არ გავრბივართ, სამშობლოს მტრებს კი არ გავურბივართ იძულებით, არამედ უკეთესი ეკონომიკური პირობების მოსაპოვებლად მივისწრაფით ალაღბედზე და არც გვანტერესებს, ვინ ამოავსებს ჩვენს დანატოვარ სიცარიელეს, თანაც დღეს, როცა ათასი და ათასი უცხო თესლი დაუფარავი მოუთმენლობით, უტეხი ჟინითა და სიჯიუტით მოისწრაფის მაინცდამაინც აქ, ამ დანგრეულ, გაპარტახებულ და კანონიერი პატრონისგან უგულბებელყოფილ ქვეყანაში დასამკვიდრებლად.

და აი, თავისთავად მივადექით ქართული ფსიქიკის გადაგვარების, ჩემი აზრით, ყველაზე შთამბეჭდავსა და შემამფოთებელ მაგალითს – ქართველების მასობრივ მიგრაციას, ნებაყოფლობით აყრას მშობლიური მიწიდან, გნებავთ, სამარცხვინო გაქცევას მარადიული ბრძოლის ველიდან. დიახ, საქართველო მარადიული ბრძოლის ველია და ამ მიწაზე, ამ ცის ქვეშ სიცოცხლის ყოველი წუთი აუწყავი სისხლი ჯდება. ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, როდის ან როგორ დამთავრდება ეს ბრძოლა: ბოლოს და ბოლოს ან ყველანი ავიყრებით და საქართველოს მართლა უქართველებოდ დავაგდებთ, როგორც მტერსა აქვს ჩაფიქრებული, ან გონს მოვეგებით და, რაკი სხვა იარაღი არ გაგვაჩნია, ხეებივით გავიდგამთ ფესვს მშობლიურ მიწაში.

მართლაც, ჩვენში რომ ვთქვათ, რა აზრი აქვს ჩვენს ლაპარაკს, თუკი სხვის სიმღერებს ვიმღერებთ და სხვის დუდუკზე ვიცეკვებთ, თუკი ჩვენი შვილები უცხო ქვეყნებში აიდგამენ ფეხსა და ენას, თუკი ჩვენი კულტურის მსახურები სხვათა კულტურებს მიეტმასნებიან და ჩვენი სპორტსმენები სხვათა განსადიდებლად დაღვრიან ოფლს სხვათა მოედნებსა თუ ფიცარნაგებზე (სხვათა შორის, ბევრს არ განუდიდება საბერძნეთი ისე, როგორც ჩვენმა თანამემამულემ განადიდა უკანასკნელ ოლიმპიადაზე). მაგრამ თავად ქართველი ხალხის გამტყუნება მაინც ძნელია, მით უფრო რომ, დღეს ყველა პირობა არსებობს, მე ვიტყვოდი, ყველა პირობაა შეგნებულად შექმნილი, სწორედ სამშობლოს გარეთ ვემებოთ ხსნა და გამოსავალი. ამიტომაც გავრბივართ უკანმოუხედავად: ვინ – ვითომ გასანათლებლად, ვინ – ვითომ სამოღვაწეოდ, ვინ კი, როგორც ერთი ჩვენი გაზეთი წერდა უსამართლოდ და უპასუხისმგებლოდ, ადგილობრივი, ესე იგი, ქართული საზოგადოების უკულტურობის გამო. თუმცა, თავის დასაიმედებლად, ისიც უნდა ითქვას, რომ დღესაც, ისევე როგორც ოციან წლებში, ძირითადად «ერისტავოვები» მიდიან ემიგრაციაში და არა «ერისთავები». ესე იგი, ისინი, ვინც სამშობლოშივე მოასწრეს გადაგვარება. მაგრამ ვაი, რომ, ისინიც ჩვენი სისხლნი და ხორცნი არიან, ისინიც მართო ჩვენ გვაკლდებიან და სხვას არავის ემატებიან. რაც მთავარია, ისინიც მსხვერპლნი არიან თუნდაც საკუთარი უვიცობისა და უნებისყოფობისა. დამნაშავე სხვაგან არის საძებარი. უფრო სწორად, დამნაშავეს ძებნა არ სჭირდება. დამნაშავეა, ვინც ჩვენს «ქართულ ტრადიციულ კონცეფციებს» ამუშავებს და მერე ყველანაირად გვაიძულებს ვიცხოვროთ ამ კონცეფციების შესაბამისად. ამდენს, შეიძლება, ჩვენც მივხვდით უკვე (ამას ადასტურებს თქვენი შეკითხვაც, ანუ, ახლებურად დასმა ჩვენი ტრადიციული შეკითხვისა), მაგრამ ძნელია, მტკივნეულია ამის აღიარება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძნელია ერთი ხელის მოსმით ორასწლიანი ტრადიციის უარყოფა და ახლებურად (ძველებურად) აზროვნება – აზროვნება ქართულად, აზროვნება საქართველოსთვის, რაც, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ სამშობლოსთვის ზრუნვას ნიშნავს და მერე საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრს.

ჩვენი ამქვეყნიური არსებობა გადაჩვევისა და მიჩვევის განუწყვეტელი მონაცვლეობაა. ადამიანის და, აქედან გამომდინარე, ხალხის ბუნებას, თავისთავადობას მისივე ჩვევები და

ჩვეულებები განაპირობებს. ამიტომაცაა, ნებისმიერი მტერი სწორედ ჩვენს ადათ-წესებს რომ უპირისპირდება. ამ თვალსაზრისით, ბოლო სამოცდაათი წელიწადი ყველაზე საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვის: ფართოდ გავუღეთ კარი ყველა ამქვეყნიურ სენსა თუ მანკიერებას, საკუთარს სხვისი ვამჯობინეთ, ანუ, «ჩვენიანად» ვაღიარეთ ყველა გადამთიელი და მასიურად შევიყვანეთ შვილები რუსულ სკოლებში; გუთნისდედა საყდრის გლახად ვაქციეთ, მეცხვარეს კომბალი გამოვართვი და ბარში ჩამოვასახლეთ იაფ მუშახელად, მევენახეს ვაზი გავაჩეხინეთ და ბაზარში მივუჩინეთ ადგილი... მოკლედ, ბევრ რამეს გადავეჩვიეთ და ბევრ რამეს მივეჩვიეთ. ხოლო გადაჩვევა ისევე ძნელია, როგორც მიჩვევა. ჩვენივე ნათქვამია: მიჩვეულს ნუ გადააჩვევ და გადაჩვეულს ნუ მიაჩვევო. ორივე ერთნაირი ბოროტებაა. ამჟამად და კიდევ ერთხელ ჩვენც ამ ბოროტების წინაშე ვდგავართ და თუკი როგორმე არ გადავეჩვევით ქვეშევრდომულად აზროვნებას და როგორმე არ მივეჩვევით დამოუკიდებლად, ანუ, ქართულად აზროვნებას, ხვალ შეიძლება უიმედოდ დაგვაგვიანდეს.

დღესაც, ოფიციალურად თავისუფალსა და დემოკრატიულ საქართველოში, ბევრს არათუ აღიზიანებს, არც უკვირს გაუთავებელი კამათი საერთაშორისო უნივერსიტეტის თაობაზე, რომელიც თურქული ორიენტაციისა იქნება, ინგლისურისა თუ ფრანგულისა, მაინც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუწყობს ხელს ჩვენი ახალი ეროვნული კონცეფციის ჩამოყალიბებას. სამაგიეროდ, ჩვენი «ტრადიციული პარტნიორი» ისევ თავის სასარგებლოდ გამოიყენებს ამასაც. ასევე არ გვიკვირს (პირიქით, დიდ მიღწევად მიგვაჩნია, თითქოს ასე არ იყო გუშინაც), საქართველოში რუსული რადიოს დაარსება. ჩემი აზრით, ქართულ რადიოს უცხოეთისთვის, რასაკვირველია, რუსულენოვანი გადაცემებიც უნდა ჰქონდეს (როცა ეკონომიკურად მოლონიერდება საამისოდ), მაგრამ არა საქართველოს მოსახლეობისთვის და არა ოცდაოთხსაათიანი ყოველდღიურად, რამდენადაც ნებისმიერ ქვეყანაში, საქართველო იქნება ის თუ საბერძნეთი, ორენოვნება ყოვლად დაუშვებელია, თუკი კონსტიტუციის ნებით ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ენაა გამოცხადებული სახელმწიფო ენად. ამდენად, ამ ქვეყნებში სხვა ენაზე სწავლა, რადიორეპორტაჟებისა თუ ტელეგადაცემების მომზადება, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონის უგულებელყოფაა. კონსტიტუცია არამარტო ხალხის ნების გამოხატულებაა, არამედ იმავე ხალხის შესაძლებლობების განმსაზღვრელიცაა. სხვანაირად თუ ვიტყვით, ხალხი არამარტო იღებს კონსტიტუციას, რაც ასე თუ ისე, კიდევ დასაშვებია ჩვენს დღეში მყოფი ხალხისთვის, არამედ ავრცელებს და იცავს მის კუთვნილ ტერიტორიაზე, რაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენს დღევანდელ შესაძლებლობებს აღემატება. კონსტიტუცია ეჭვსა და შემფოთებას კი არ უნდა ბადებდეს ვინმეს გულში, ბუნებრივი სიამაყითა და სიმშვიდით უნდა ავსებდეს ყველას ერთნაირად, ამას იმიტომ ვამბობ, ჯერ კიდევ საკონსტიტუციო კომისიის შექმნამდე რომ გვიკარნახა რუსეთის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, თუ როგორ უნდა მოგვეწყო დამოუკიდებელი საქართველო ადმინისტრაციულად. კაცმა რომ თქვას, დასაეჭვებელი და შემაშფოთებელი მართლაც ბევრია, როცა საერთოდ აზროვნებას თუ არა, სახელმწიფოებრივად აზროვნებას ნამდვილად გადაჩვეულნი ვართ ყველანი, იმ უბრალო მიზეზის გამო, ასეთები რომ ვჭირდებოდით იმპერიის მესვეურებს და ასეთებადაც ჩამოგვაყალიბეს იმპერიის იდეოლოგიურ ლაბორატორიაში, ანუ სწორედ იმას დავუპირისპირდებით ხოლმე, რასაც უნდა ვიცავდეთ, და იმას ვიცავთ, რასაც მთელი არსებით, მთელი შეგნებით უნდა ვუპირისპირდებოდეთ.

როგორც უკვე ვთქვით, კონსტიტუცია ხალხის ნებაა, მაგრამ ჯერ ხალხი უნდა იყოს მზად თავისი ნების გამოსახატავად, ესე იგი, არამარტო მოწადინებული, არამედ უფლებამოსილიც. არც თავად უნდა აჩქარდეს ზედმეტად, არც სხვამ უნდა შეაყოვნოს შეგნებულად. ყველაფერს თავისი დროს აქვს. სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებთ, ჯერ კიდევ შორი გზაა

გასავლელი ჩვენს საბოლოო მიზნამდე. ჩვენი კუთვნილი (დღემდე მოღწეული) ტერიტორიის თითქმის მესამედი აქამდე ოკუპირებულია და უცხო ძალის «დახმარების» გარეშე შინაური საქმეებიც ვერ მოგვიგვარებია ჩვენი ინტერესების შესაბამისად. ზამთარში ბინა ვერ გავვითბია, ზაფხულში ნაგავი ვერ გავვითანია ბინიდან, «რუსეთთან მიმართებაში ტრადიციული კონცეფციის» გადასინჯვას ვაპირებთ და მოსკოველობა დიდ პატივად მიგვაჩნია, ვინ იცის, რანაირ დამცირებას ვიტანთ, ოღონდ ფეხის მოსაკიდებელი ადგილი მოგვცენ იქ. მაგრამ აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ მწერლები, პოლიტიკოსებთან შედარებით, გაცილებით ახლომხედველნი და გაცილებით მშიშრებიც ვართ: ხანდახან ბუზი აქლემად გვეჩვენება. რაც მთავარია, ჩვენი მოსაზრებები უმაღლესი მორალური ხასიათისაა, ვიდრე პოლიტიკური. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, პოლიტიკურ სამყაროში ისე არ წვიმდეს, როგორც ქუხს. მაგრამ როცა ვერ აგისხნია, ლამის ადამის ჟამიდან, რატომ ხდება ყოველთვის ისე, როგორც არ უნდა ხდებოდეს, როგორც მხოლოდ შენი ქვეყნისთვისაა საზიანო, ვალდებულებაც ხარ სხვებსაც გადასდო შენი შიში. ყოველ შემთხვევაში, შეუდარებლად ნაკლებად სახიფათოა ბუზი გვეჩვენებოდეს აქლემად, ვიდრე მგელი – ბაჭიად.

მწერალს არც პოლიტიკური პროგნოზირების პრეტენზია გააჩნია, მაგრამ როგორც რიგითი მოქალაქე, ისიც ვალდებულია, ცხოვრობდეს თავისი ქვეყნის ცხოვრებით, მისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. ასე რომ, თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუკი ჩემი შიში მხოლოდ მწერლური შიში აღმოჩნდება ბოლოს. ოღონდ, თავი რომ არ მოვიტყუოთ, სჯობს ახლავე ვთქვათ, ჩვენი დღევანდელი კითხვა-პასუხი ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს პოლიტიკურ პროცესებზე. მაგრამ ესეც იმის დადასტურებაა, ჯერ კიდევ რომ ვარსებობთ, ჯერ კიდევ რომ გვახსოვს, ჯერ კიდევ რომ გვსურს და ჯერ კიდევ რომ გვეიმედება რაღაცა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებისთვის, მით უფრო ხალხისთვის, რომელიც სახელმწიფოებრიობის აღდგენას ცდილობს (თუკი მართლა ცდილობს!) და თავისუფლებაზე ოცნებობს (თუკი მართლა ოცნებობს!). აქედან გამომდინარე, მხოლოდ ის ხელისუფლება იქნება ნამდვილად ეროვნული ხელისუფლება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ცდის განხორციელებასა და ამ ოცნების აღსრულებას და, რაც მთავარია, ქართველ ხალხს ეროვნულ სიამაყესა და ღირსების გრძნობას დაუბრუნებს. ჩვენ ისე უცნაურად უიღბლო ხალხი ვართ, ემიგრანტობაზე ფიქრიც დანაშაულად გვეთვლება, განსაკუთრებით – ხალხის მოაზროვნე ნაწილს. შეიძლება კალატოზი მართლა ვერ დაავალდებულო, გასამრჯელოს გარეშე მაინცდამაინც შენს სამშობლოში ამოაშენე ჩამონგრეული კედელიო, მაგრამ მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა თუ მეცნიერებმა სწორედ სამშობლოს ნანგრევებში უნდა მოიყარონ თავი, რათა მათმა შემყურე ხალხმა მკვდრეთით აღდგომის შესაძლებლობა ირწმუნოს. ამიტომ, ვინც უკვე გაქცეულია, ისიც უნდა დაბრუნდეს უკან, თუკი მართლა ვაპირებთ ძველი კონცეფციების გადასინჯვას. ჯერ ჩვენი ამოცანა გადარჩენაა. უცხოენოვანი რადიოების შექმნისა თუ საერთაშორისო უნივერსიტეტების გახსნის დრო თავისთავად მოვა. ყმაწვილებს გასანათლებლად დავით აღმაშენებელი აგზავნიდა უცხოეთში და არა თეიმურაზ პირველი, რომელმაც თვითონაც არ იცოდა, რა წამს მოუწევდა სამშობლოდან გადახვეწა. ჩვენც ჩვენს უიღბლო მეფესავით, ჯერჯერობით, სულ უბედურების მოლოდინში უნდა ვიყოთ, არ უნდა დავიჯეროთ სხვისი «ტკბილი ნაწინა», რადგან ვისაც ჩვენი ბედნიერება ეკითხება, იმას, რატომღაც, საერთოდ ჩვენი არსებობა მიაჩნია პირადი კეთილდღეობის ხელყოფად. ჩვენც ამ მიმართულებით უნდა გადავსინჯოთ ჩვენი ქართული ტრადიციული კონცეფციები, ანუ დავიწყოთ თავიდან, ანუ გავარკვიოთ, რას გვავალდებულებს ქართველობა, გვინდა თუ არა, ვიყოთ ქართველები, გვაქვს თუ არა პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს მიმართ, თუ ჩვენც იმ ხალხების რიგში ვდგავართ უკვე, ვისაც ეს გრძნობა მტრის სივე-

რაგითა თუ საკუთარი ბედოვლათობის გამო გაუნელდა, გადაუგვარდა და დროთა განმავლობაში ან საერთოდ აღიგავა პირისაგან მიწისა, ანდა სამუდამოდ ჩარჩა მონობის წუმპეში.

1996

### რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით

ამერიკელი «რკინის ლედის» ამასწინანდელმა საპროგრამო გამოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსეთის განსაკუთრებული უფლებამოსილება ეგრეთ წოდებულ «ესენგეს» ფარგლებში, რაც მეტად დამაფიქრებელია და დამაფიქრებელია განსაკუთრებით «ესენგეს» წვერი ქვეყნებისთვის, რასაკვირველია, თუკი ისინი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას სერიოზულად აპირებენ. ჩვენ კი, თუნდაც სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრები, ჯერჯერობით იმაზე ვდაობთ, ახალი ჰიმნის შექმნისას ტექსტს უნდა ენიჭებოდეს უპირატესობა თუ მელოდიას... მოკლედ, ჯერ ისიც არ ვიცით, რა გვინდა: მრავალჭირნახული, მრავალგზის პატივყრილი, მაგრამ დღევანდლამდე მაინც ღირსეულად მოღწეული ქვეყნის ისტორიული მონაპოვრის აღდგენა, თუ სრულიად ახალი, «ესენგეს» შესაფერი სახელმწიფოს შექმნა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია საერთოდ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის საქმიანობის გასარკვევადაც – ჯერ კიდევ ამოუწურავი, მრავალმხრივი და მრავალნაირი მასალაა მოსაძიებელი, მოსაწესრიგებელი და, რა თქმა უნდა, შესასწავლიც, რის გარეშეც ყოვლად წარმოუდგენელია ესოდენ სერიოზული და რთული გადაწყვეტილების მიღება, გნებავთ, არჩევანი არსებულსა და არარსებულს შორის. ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, მით უფრო, პოეტი და მხატვარი, ვერ იტყვის დაბეჯითებით, თუ როგორი სახელმწიფოებრივი სიმბოლოები შეესაბამება ისეთ ქვეყანას, როგორიც დღევანდელი საქართველოა, ანდა, როგორადაც წარმოგვიდგენია ის ჩვენს ფიქრებსა თუ ოცნებებში. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კონკურსების გამოცხადებითა და საკონკურსო მასალის საჯარო განხილვებით ეს არ მიიღწევა. პირიქით, ამ ნიადაგზე შეიძლება ბევრი წინასწარ ძნელად გასათვალისწინებელი დაბრკოლებაც წარმოიქმნას. ასევე ხელის შეშლის მეტს არაფერს მოგვიტანს «საქართველოს სახელმწიფოს დღევანდელი რეალიებისა და მრავალეროვნულობის» გათვალისწინება. ჩემი აზრით, სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის სამუშაო თეზისად თავიდანვე ის ანბანური ჭეშმარიტება უნდა ქვეულიყო, რომლის თანახმადაც, საქართველო დიდი ისტორიული წარსულის მემკვიდრეა, გუშინდლის ლოგიკური გაგრძელებაა და არა დღევანდელი პოლიტიკური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ჩანასახი. რაც მთავარია, არაფრით არ შეიძლება, ლამის მარადისობის წიაღიდან გამოღწეული ქვეყნის მისია, მისი მოვალეობა და დანიშნულება დანარჩენი კაცობრიობის წინაშე, დაიყვანებოდეს თუნდაც ხიზანთა თავმესაფრის უკეთილშობილეს ფუნქციამდე, რაც არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო არც ერთ ჩვენზე არანაკლებ სტუმართმოყვარე და ჩვენზე გაცილებით მრავალეროვან სახელმწიფოში.

ახლავე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი «მრავალეროვნულობა» მაინც პოლიტიკური ძალდატანების შედეგია და არა ბუნებრივი, ნებაყოფლობითი მიგრაციისა. რუსეთის იმპერიული კანცელარია ყოველთვის დაბეჯითებით ცდილობდა საქართველოში «მრავალეროვნულობის» ცნების დანერგვას, რადგან ესეც საქართველოს დაპყრობის, გადაგვარებისა და მითვისე-

ბის საშუალება იყო მისთვის და არა უპოვართა და უსამშობლოთა მიმართ თანაგრძნობისა და ყურადღების გამოხატულება. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს, როცა ისტორიის ჩიხში მიმწყვდელი საქართველო ბუნებრივად აღმოჩნდა საბედისწერო არჩევნის წინაშე, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რუსეთის წაქეზებით, ისეთი დაუფარავი და, ცოტა არ იყოს, მღელვარე აქტიურობით დაუჭერია მხარი საქართველოს სამეფოს გაუქმების იდეისთვის, ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მიმდევარი, მეფე გიორგი მეცამეტეც კი გაღიზიანებულა და განრისხებულს უთქვამს: სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდესო. მართლაც, ოჯახური საქმეების გადაწყვეტა მასპინძლის პრეროგატივაა და არა სტუმრისა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ სიტუაციაში ყოველთვის მოსული (სხვა ეროვნების წარმომადგენელი) იჩენს ტოლერანტობას დამხვდურის (ქვეყნის კანონიერი პატრონის) მიმართ, ანუ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დგება იმ დროშის სამსახურში, რომელიც მის მიერ მეორე სამშობლოდ აღიარებული ქვეყნის თავზე ფრიალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიღბულ, შენელებულ ანექსიასთან გვაქვს საქმე, როცა უკვე თავად ანექსირებულია იძულებული, ტოლერანტობით გაამართლოს თავისი უზნეობა და სისუსტე.

სახელმწიფო სიმბოლიკა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ შექმნილა და, იმედი უნდა ვიქონიოთ, არც მომავალში შეიქმნება ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათა რაოდენობისა თუ მათი რელიგიურ-პოლიტიკურ-ზნეობრივ მონაცემთა გათვალისწინებით. თუკი მსოფლიო ისტორიიდან ერთი მაგალითის მოტანა მაინც შეიძლება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, აქ გამოთქმულ მოსაზრებას, თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტების პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უფრო სწორად, როგორც საქართველო ესახებოდათ და ესახებათ მის მრავალრიცხოვან, დიდსა თუ პატარა მტრებს. მრავალეროვნულობის გათვალისწინება, ძალაუნებურად, საკუთარი ეროვნულობის უარყოფამდე მიგვიყვანს, მით უფრო რომ, მრავალეროვნულობა სრულებითაც არ არის საქართველოს სახელმწიფოს გამოსარჩევი ნიშანი. მრავალეროვნულობაზე მეტად ჩვენი გამოსარჩევი ნიშანი ალბათ სხვათა მამებლობაა, რაც თავისთავად კარგი თვისებაა, მაგრამ სახიფათოა, როცა სახელმწიფო ინტერესებს არ ემთხვევა. როგორც უნდა მოვინდომოთ, ყველას გულს მაინც ვერ მოვიგებთ. ამავე დროს, სხვათა მამებლობა უფრო ადამიანური სისუსტეების გამოხატულებაა, ვიდრე პოლიტიკური პრინციპულობისა თუ მეცნიერული ობიექტურობისა. მოკლედ, ამ სახიფათო და ძნელად მოსარევ სურვილს უნარი შესწევს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს ნებისმიერი ჩვენგანი \_ დღეს უარი გვათქმევინოს იმაზე, რასაც გუშინ ვიცავდით და, პირიქით, დღეს იმის დამცველებად გამოგვიყვანოს, რასაც გუშინ თავგამოდებულნი უარყოფდით, ანუ, გარემოების შესაფერისად, ხან საერთოდ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ, ვთქვათ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულში, ხან კი, იმავე სახელმწიფოს ფესვები პრეისტორიულ ეპოქებში ვეძებოთ. საქართველოს, რუსეთისგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, არ შეუძლია მხოლოდ თავისი სურვილით, თავისი ნებით და, თუნდაც მრავალრიცხოვან ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით, ერთბაშად აღადგინოს ის, რაც წინაპრის ძალისხმევითა და განგების ძალით, ჯერ კიდევ მისად ითვლება, ჯერ კიდევ არ გაუსხვისებია შვილთა სიბეცითა თუ შვილობილთა სივერაგით გამწარებულს. ძველის აღდგენა, მით უფრო სხვებზე დამოკიდებული ქვეყნებისგან, ყოველთვის დიდ ძალისხმევასა და გამბედაობას მოითხოვს. სხვათა შორის, ბაგრატიონთა შეცდომა ის კი არ არის, რუსეთის მფარველობის ქვეშ რომ შეიყვანეს ქვეყანა, რასაც ხშირად და, გარკვეული თვალსაზრისით, სამართლიანადაც ვუკიჟინებთ ხოლმე, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს, არამედ – ძველის აღდგენა რომ ვერ გაბედეს, ვერ გაბედეს საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, რაზეც საერთოდ არ ვლაპარაკობთ, ან თუ ვლაპარაკობთ, არ ვანიჭებთ თავის

ჭემმარიტი მნიშვნელობას. რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა ამ საბედისწერო შეცდომის კანონზომიერი შედეგია მხოლოდ, რითაც ჯვარი დაესვა ერთ-ერთი უკეთილშობილესი და უაღრესად ტრაგიკული სამეფო დინასტიის ლამის ათსაუკუნოვან არსებობას.

და აი, ორასი წლის შემდეგ ისევ იმავე დილემის წინაშე აღმოვჩნდით: ან უნდა აღვადგინოთ ძველი – ანუ, არამართო გარეგნული ხატი დავიბრუნოთ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოსი, არამედ მტკიცედ და მკაფიოდ მივუთითოთ, თუ რომელ კულტურულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეს განეკუთვნება საქართველო თავისი ისტორიული გზითა და მსოფლმხედველობით – ან შევქმნათ ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა, რათა მეტნაკლებად ასატანი გავხადოთ ჩვენი არსებობა იმ ძლიერი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, ძალაც შესწევთ და პრეტენზიაც გააჩნიათ, ერთხელ კიდევ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მიგვალბინონ ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. და მაინც, მიუხედავად რეალური სირთულეებისა, გნებავთ, საფრთხისა, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ჩვენი ხვალისდელი დღის გათვალისწინებითაც, ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნას ისევ უკვე არსებულის აღდგენა აჯობებს. სახელმწიფო სიმბოლიკა საუკუნეების მანძილზე იქმნება და როგორც არ უნდა გავზარდოთ კონკურსით გათვალისწინებული ვადები, მაინც ნაჩქარევად, ძალდატანებით და ხელოვნურად მოხდება ის, რაც სინამდვილეში, ბუნების მოვლენასავით, თითქოს თავისთავად ხდება. ღმერთმა ქნას, მკვდრეთით აღმდგარმა ქართულმა სახელმწიფომ განვითარების ისეთ სიმაღლეებს მიაღწიოს, აუცილებელიც გახდეს გაზრდა და გამდიდრება უკვე არსებული სიმბოლოებისა, რომლებსაც, ისტორიული უსამართლობისა თუ ბედის უკუღმართობის მიუხედავად, მაინც შეუბღალავად, მაინც თავდაპირველი ბრწყინვალეობით მოუღწევიათ ჩვენამდე და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ შესწევთ უნარი, უკეთ წარმოგვაჩინონ სხვათა თვალში.

სახელმწიფო სიმბოლოები, უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენას გვიღვივებენ, ჩვენც რომ აუცილებელნი ვართ ვიღაცისთვის მაინც, ხოლო ის ვიღაცა, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენი სამშობლოა – აღთქმული ქვეყანა – სადაც განგებამ განგვაწესა ადამიანური მოვალეობების აღსასრულებლად. სახელმწიფო სიმბოლოები, ამავე დროს, ორიენტირებადაც აღიქმება ამ ქვეყნიური განურჩევლობის, გულგრილობისა თუ დაუნდობლობის ოკეანეში. ისინი წარმართავენ ჩვენს სულიერ მისწრაფებებსა თუ ზნეობრივ მიდრეკილებებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის გასაგებ ენაზე განგვიმარტავენ, თუ რატომ ვარსებობთ საერთოდ, რა გვევალება, რას უნდა ვემსახუროთ და, ბოლოს და ბოლოს, რას უნდა შევეწიროთ, რის საფასურად. აქედან გამომდინარე, უბრალოდ გაუგებარიცაა, რატომ უნდა შექმნას ქვეყანამ სახელმწიფო სიმბოლოები ხელახლა, თუკი ამ სიმბოლოებით ერთხელ უკვე უცხოვრია და გაცილებით უკეთესადაც, ვიდრე უიმათოდ ცხოვრობს. ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი იგივე საქართველოს სახელმწიფო გერბია; დავით აღმაშენებლის დროშა, რომელსაც უცხოური წყაროებიც მოიხსენიებენ, იგივე საქართველოს სახელმწიფო დროშაა და, რაც მთავარია, დღესაც მხოლოდ უკეთეს გრძნობებს აღვიძებს ყველა ჭემმარიტი ქართველის გულში – ეროვნულ ღირსებასა და სიამაყეს. ხოლო, თუკი მაინცდამაინც გვინდა «მრავალეროვნულობის» გათვალისწინება, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს დროშა აღიქმებოდა საკუთარი ადამიანური ცხოვრების გარანტად საქართველოში სხვადასხვა დროს შემოხიზნულთა მიერ. რაც შეეხება ჰიმნს, რასაკვირველია, ისიც უსათუოდ გვექნებოდა – საქართველოს შეიძლება ჰიმნების ქვეყანა ეწოდოს – მაგრამ დღეს ნამდვილად ძნელი დასადგენია, რომელი მათგანი როდის ასრულებდა ამ საპატიო დანიშნულებას, რომელ მათგანს მღეროდა საქართველოს მოსახლეობა უფრო თავისუფლად და უფრო მეტი სიამაყით. გერბისა და დროშის მსგავსად, ჰიმნიც თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე მკვიდრდება ხალხის ფსიქიკაში. ყოველი თა-



ობა დედის რძესთან ერთად იწოვს მის ტექსტსაც და მელოდიასაც და, ამიტომაც, ჩვენგან განსხვავებით, ყოველთვის სიამოვნებით მღერის, თუკი ამის საშუალება ეძლევა. ასე რომ, თუკი რამე უნდა შეიქმნას ხელახლა, ალბათ – ჰიმნი. ჰიმნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხის შინაგანი პორტრეტია, საზეიმო აქტია მისი ყველაზე სანუკვარი ნატვრისა თუ ოცნების გამხელისა და ჩვენც ამ დიადი აქტის მონაწილენი ვხდებით სიტყვისა და მელოდიის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, უფრო მეტიც, ღვთაებრივი შეუღლების წყალობით. სიტყვა ბადებს მელოდიას, რათა მელოდიამ ხელახლა დაბადოს ისიც, ახლა უკვე ფიცად, ლოცვად, რწმენად თუ იმედად გარდაქმნილი. ეს, რა თქმა უნდა, ბედნიერი შემთხვევაა და სულერთია, როგორ მიიღწევა ამგვარი შეუღლება – ღია კონკურსებით, როცა ყველა ერთნაირად უფლებამოსილია სცადოს ბედი, თუ სახელმწიფო დაკვეთით, როცა წინასწარ ვუცხადებთ ნდობას ჩვენი გემოვნებისა და პოზიციის შესაბამისად შერჩეულ პოეტსა და კომპოზიტორს. ხალხი ან მღერის, ან არ მღერის უიმისოდ შექმნილ ჰიმნს და ამით ამოიწურება მთელი მისი როლი ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებაში. მაგრამ აუცილებელია, გარკვეული დროის მანძილზე, ეს ახალი ნაწარმოები (კონცერტების, რადიო- თუ ტელეგადაცემების მეშვეობით) განუწყვეტლივ ახდენდეს ზემოქმედებას მის ფსიქიკაზე, რათა არამარტო ტექსტი და მოტივი დაიმახსოვროს ახალი ჰიმნისა, არამედ შეისისხლხორცოს და გააცნობიეროს კიდეც, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ფენომენი და, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება მისთვისაც მოულოდნელად, თანამზრახველად გაეღვიძოს თანამზრახველთა შორის.

1997

### **გაურკვევლობის ბურუსიდან მშობლიურ წიაღში**

(საერთო პასუხი გაზეთ «ქომაგის» კორესპონდენტ ივანე

ამირხანაშვილის შეკითხვებზე)

რაკი ჯერ კიდევ გვახსოვს, ვინ ვართ, რატომ ვიბადებით და რატომ გვინდა სიკვდილი მაინცდამაინც ამ მიწაზე, ყველაფერი არ დაგვიკარგავს. მტერი ნამდვილად ვერ მოგვრევია. მაგრამ, სამწუხაროდ, მტრის შიში აშკარად გამჯდარი გვაქვს ძვალ-რბილში და თუ წაგვახდინა, იმან წაგვახდინა თანდათანობით – გაგვაეშმაკა, ტყუილს მიგვაჩვია და ჩვენც, პირველ რიგში, თავს ვიტყუებთ, უფრო სწორად, დამამშვიდებელი ტყუილი («გავიმარჯვებთ», გავმდიდრდებით», «გავმრავლდებით») გვირჩევნია ყოველდღიური მწარე სიმართლის მოსმენას.

ამ სავალალო გულგრილობის დანერგვაში, რასაკვირველია, გარკვეული წვლილი ჩვენც მიგვიძღვის, რესპონდენტებსაც და კორესპონდენტებსაც. ჩვენი გაუთავებელი სჯა-ბაასებით, ინტერვიუებით, ღია ბარათებით, გამოსვლებით, კინკლაობებით, სინამდვილეში კი, ერთისა და იმავეს გამეორებებით, ჩვენდა უნებურად, სიფხიზლის გრძნობა მოვუდუნეთ და აღქმის უნარი დავუჩლუნგეთ ჩვენს მსმენელსა თუ მკითხველს. ჩვენ, არათუ წლების, საუკუნეების მანძილზე მიგვაჩვიეს არაბუნებრივის ბუნებრივად და დაუშვებლის დასაშვებად აღქმას. რაც მთავარია, მიგვაჩვიეს ჩვენს წინააღმდეგ წინასწარ ჩაფიქრებულისა და ხანგრძლივი დროის

მანძილზე საიდუმლოდ განხორციელებულისთვის საბედისწერო შეცდომისა თუ გარდუვალი გაუგებრობის იარლიყის მიწებებას.

მაგრამ ცხოვრება იცვლება და იცვლება ჩვენი დამოკიდებულებაც ცხოვრებისეულ პროცესებთან, საერთოდ ყველაფერთან, რითაც ჩვენი დღევანდელია ამოვსებული, ოჯახური წვრილმანით დაწყებული და საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენით დამთავრებული.

გამეორება ცოდნის დედააო, მაგრამ შეიძლება უცოდინრობის დედადაც იქცეს, თუ უშეცდომოდ არ გვეცოდინება ყოველთვის, რას ვიმეორებთ და რისთვის. ნებისმიერი სიტყვა ხშირი გამეორების შემდეგ აზრს კარგავს. წყლის ჩვეულებრივ წვეთს, თუკი განუწყვეტლივ და მეთოდურად დაეცემა ერთსა და იმავე ადგილზე, შეუძლია ქვა გახვრიტოს. ასევე ადვილი შესაძლებელია, ხშირი გამეორების შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს ისიც ირწმუნოს კაცმა, ვთქვათ, ერთიანი და ძლიერი საქართველო მართლა რომ ახატია გულზე ვინმეს. თქვენ კი მეკითხებით, როგორ მოხდა თქვენი გადასვლა პოეზიიდან პროზაშიო. პირადად მე ამ შეკითხვაში ვერაფერს ვხედავ აქტუალურსა და საინტერესოს, მით უფრო რომ, ჩემი აზრით, უკვე გაცემული მაქვს პასუხი მსგავს შეკითხვებზე. მაგრამ ვიდრე ერთხელ კიდევ გიპასუხებთ, თქვენი ნებართვით, ჯერ მწერლის ეგრეთ წოდებულ «დუმილსა» და «გვერდზე დგომასთან» დაკავშირებით ვიტყვი ორ სიტყვას.

სხვათა შორის, ეს თემა გაცხოველებულ ინტერესსა და არასწორ, არასამართლიან გულისწყრომას იწვევს ჩვენს ახალგაზრდა ჟურნალისტებში, რომლებსაც, ჩემი დაკვირვებით, თავად მწერალთან გასაუბრების პროცესი უფრო ადვილებთ, ვიდრე მწერლის ნათქვამის აზრობრივი თუ ზნეობრივი მხარე. თქვენამდეც ბევრმა მომმართა ამ შეკითხვით, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, ვერც ერთს ვერ ვუპასუხე და ვერ ვუპასუხე სწორედ ჩემი განსხვავებული თვალსაზრისის გამო. ჩემი თვალსაზრისით, მწერალი ლაპარაკით კი არ არღვევს დუმილს, არამედ წერით. ოფიციალური განცხადებებით კი არ განსაზღვრავს თავის ადგილს მწერლობაში, არამედ საკუთარი ნაწარმოებებით. რასაკვირველია, არც ლაპარაკი აუკრძალავს მისთვის ვინმეს, მაგრამ ლაპარაკი სხვა ჟანრია, სხვა «ოპერაა», და ამისთვის კიდევ სხვა, განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. და მაინც, თუკი რომელიმე მწერლის ხმა გარკვეულ ეტაპზე დუმილად აღიქმება, ეს კონკრეტულად ამ მწერლის «დანაშაულია» და არა მთლიანად ქართული მწერლობისა. ან მართლა ვერაფერს ამბობს საინტერესოსა და დასამახსოვრებელს, ან იმას არ ამბობს, რისი გაგონებაც ჩვენ გვინდა. ნებისმიერი საზოგადოება ნებისმიერ ეპოქაში თავს უფლებამოსილად თვლის, გარკვეული პრეტენზია წაუყენოს ნებისმიერ მწერალს, ანუ იმისი თქმა ანდა ჩადენა დაავალოს, რის სათქმელად და ჩასადენად მწერალს ძალა არ ყოფნის, თავად კი (საზოგადოებას) იმავეს თქმა და ჩადენა სახიფათოდ მიაჩნია, პირველ რიგში, თავისთვის. საზოგადოებისთვის (განსაკუთრებით, ჩვენნაირი საზოგადოებისთვის) ყოველი კონკრეტული მწერალი საერთოდ მწერლობის განსახიერებაა და პირიქით. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მართალია, მწერლობა მწერლებისგან შედგება, მაგრამ არც ერთ მწერალს არ ძალუძს მთელი მწერლობის მაგივრობის გაწევა. რასაკვირველია, თავად აზრადაც არ მოუვა ასეთი რამ. მას გაცილებით მოკრძალებული წარმოდგენა აქვს საკუთარ შესაძლებლობებზე. მაგრამ, ჩემი აზრით, არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი, შეძლებისდაგვარად (ხშირად, უნებლიედაც), არ გამოხმაურებოდეს საერთო, საქვეყნო სატკივარს... ამიტომ, ყოვლად შეუძლებელია, ზუსტად განსაზღვროს ვინმემ, რა იგულისხმება მწერლის «დუმილსა» და «გვერდზე დგომაში», ანუ, რას უნდა ამბობდეს და როდის როგორ უნდა იქცეოდეს მწერალი, რათა ყველასთვის ერთნაირად გასაგები გახდეს. ეს ყოვლად გაუმართლებელი და ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზიაა მწერლის მიმართ გამოთქმული. მაგრამ კარგად

თუ ჩავუკვირდებით, ეს პრეტენზიაც მწერლისადმი ფარული თუ ბოლომდე გაუცნობიერებელი ნდობითა და სიყვარულითაა აღძრული – ფიზიკური დაუცველობისა და სულიერი სიღატაკის შეგრძნება აიძულებს ადამიანს, ბრმად, ალაღბედზე ეძებოს ქომაგი, რომელსაც ამ შემთხვევაში მწერალი წარმოადგენს მისთვის, ანუ ამ შემაწუხებელი შეგრძნებებით დაზნეული ადამიანი, მართალია, ალაღბედზე, მაგრამ ზუსტად იმ კარზე აკაკუნებს, რომლის იქითაც მისი მარადიული ქომაგი, ანუ მწერალი «დუმს».

ახლა, რაც შეეხება ჩემს გადასვლას პოეზიიდან პროზაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთხელ ისიც კი ვთქვი, ეტყობა, ჩემმა მკითხველმა ჩემზე მეტად განიცადა ეს ამბავი მეტეი და ალბათ მართლაც ასეა, რაკი აქამდე არ გაჰქრობია ინტერესი. ჩემთვის კი განსაკუთრებული და, რაც მთავარია, უჩვეულო არაფერი მომხდარა. ასე რომ, «შინაგან გრადაციებზე» ან «გამოუვალი მდგომარეობით გამოწვეულ იძულებებზე» ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, სალონურ კოპწიობად მიმაჩნია.

«პოეტურ სიტყვაში», თუკი სწორად მესმის თქვენი ტერმინი, ნებისმიერი სათქმელი ეტევა. უფრო სწორად, პოეზიისა და პროზის ენა ერთი და იგივეა. ყოველ შემთხვევაში თავად მწერლისთვის ასეა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი და იმავე ენით იწერება ლექსიც და რომანიც. მე არ ვიცი და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ, რის საფუძველზე ასხვავებენ ლიტერატორები, გნებავთ, ენათმეცნიერები ლექსისა და პროზის ენას. მაგრამ ვისაც ყოველგვარი წინასწარ მიღებული თეორიული «განათლების» გარეშე დაუწერია ლექსიცა და რომანიც, უყოყმანოდ დამეთანხმება, რომ მათ შორის სხვაობის ძებნა ფუჭი შრომაა. პოეტური ნაწარმოები პროზაულისგან ენობრივად კი არ განსხვავდება, არამედ ჟანრობრივად. ჟანრსა აქვს თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებები. პოეზია, ჩემი თვალსაზრისით, უფრო ფრინველია, პროზა კი, უფრო ცხოველი. პოეზია, თუ შეიძლება ასე ითქვას, გლუვი, თბილი, ლამაზი კვერცხიდან იჩეკება, პროზა კი საშოდან იბადება. მათი შექმნისა და ამქვეყნად მოვლინების პროცესები განსხვავდება მხოლოდ, თორემ ჩვენთვის, ადამიანებისთვის, ანუ მკითხველებისთვის, ერთნაირად გასაგებია ანდა ერთნაირად გაუგებარია, როგორც ერთის, ისე მეორის ენა. მე, თქვენგან განსხვავებით, «პოეტურ სიტყვასა» და «პროზის ენას» კი არა, საერთოდ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების პოეტურობას გავუსვამდი ხაზს, რამდენადაც პოეტურობის, ანუ, განსაკუთრებული სულიერი წყობის, სამყაროსადმი განსაკუთრებულად სულიერი თუ სულისმიერი კავშირის გარეშე, ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში, ლექსი იქნება თუ რომანი, ნახატი თუ მუსიკალური მელოდია, ერთნაირად უსიცოცხლოა და ღატაკი. რაც უფრო მაღალია პოეტური კოეფიციენტი ამა თუ იმ შემოქმედში, მით უფრო ძლიერია მისი ნამოღვაწარის ზემოქმედების უნარი და მით უფრო ფართოა მისი სულისკვეთების ასპარეზი...

ვიღაცას უთქვამს, სიტყვები მიფრინავენ, ნაწერი რჩებაო. მაგრამ სიტყვები არსად არ მიფრინავენ. უფრო სწორად, როგორც მიფრინავენ, ისევე მოფრინავენ უკანვე. მიდიან და მოდიან, დღე-ღამისა და წელიწადის დროების მსგავსად, რის შედეგადაც ნაწერს ნაწერი ემატება და იქმნება თხუთმეტსაუკუნოვანი დიდი ქართული მწერლობა, ჩვენი სიმდიდრე და სიამაყე, ყველაზე ეროვნული ფენომენი, პასპორტი ჩვენი ეროვნულობისა, და რაოდენ გულსაკლავია, რომ სწორედ დღეს, საქართველოს ხელმეორედ დაზადების ჟამს, ჩვენი საზოგადოება ასე ნიჰილისტურადაა განწყობილი მშობლიური ლიტერატურის მიმართ. სხვათა შორის, «რუსეთის საქართველომ», «თურქეთის საქართველოსგან» განსხვავებით, იმიტომაც შეინარჩუნა თავისი ენა და მეობა, მწერლობა რომ ჰყავდა ყოველთვის. რუსეთმა, თურქეთისგან განსხვავებით, ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება მწერლური პოტენციალის აღმოფხვრას თავის «კუთვნილ» საქართველოში, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თითქმის ყველაფერი იღონა საამისოდ. ასე რომ, როცა აუგს ვამბობთ ჩვენს მწერლობაზე, პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რა

პირობებში იქმნებოდა ის და რა არაადამიანური დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა, ერთი წამით მაინც რომ დანახვებოდა მხეს.

თუ არ მიწყნებ, არც თქვენი მომდევნო შეკითხვა მიმაჩნია «აქტუალურად», რასაკვირველია, ისევ ჩვენი დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე. უფრო სწორად, გაუგებარია ამ შეკითხვის პათოსი – უნდა დავაკნინოთ საერთოდ მწერლის როლი, თუ პირიქით, ხელახლა ავუხსნათ, განვუმარტოთ დაბნეულ მოსახლეობას, არასოდეს რომ არ ჰყოლია და არც ეყოლება მწერლობაზე უკეთესი მრჩეველი და თანამდგომი. ასევე გაუგებარია ჩემთვის, რომელ მწერლებს გულისხმობთ, როცა მომთხოვნელობას, პატივმოყვარეობას, ამბიციურობას, «პოლიტიკურ ანგარიშს» (ალბათ ანგარიშსწორებას) და კეთილგონიერების დეფიციტს ახსენებთ. ამ თემაზე ლაპარაკი მეტად სახიფათოა და, ისევ და ისევ, მწერლობისთვის. საბჭოთა იდეოლოგიამ ყველაფერი იღონა, ასე დაბნეულნი რომ აღმოვჩენილიყავით დღეს ელემენტარული ჭეშმარიტებების წინაშე. პირადად მე არა მგონია, ნამდვილ ქართველ მწერალს დღეს კი არა, თუნდაც როდისმე მოეთხოვოს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება. ასევე არასოდეს გამიგია, დაეჩემებინოს, გინდათ თუ არა, ჩემი სიტყვა გამოაცხადეთ ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციადო. თქვენ სრულიად სხვა ჯურის ხალხი გყავთ მხედველობაში, სწორედ ისინი, ვინც საბჭოთა იდეოლოგიამ შექმნა მწერლობასთან დასაპირისპირებლად და რომლებიც დღესაც მრავლად მოიპოვებიან ჩვენს შორის.

კომუნისტებმა ავტორიტეტი კი არ შეუქმნეს მწერალს, როგორც თქვენ ამბობთ, მწერლის ავტორიტეტის მითვისება სცადეს. სცადეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ მწერლის ავტორიტეტი, რომლის შექმნაც მხოლოდ და მხოლოდ თავად მწერალს შეუძლია – ვერც მიაჩნებ და, რაც კიდევ უფრო სასიამოვნოა ალბათ თქვენთვისაც, ვერც წაართმევ. უფრო მეტიც, მწერალი შეიძლება მოკლა (როგორც ილია ჭავჭავაძე მოკლეს), მაგრამ მის ავტორიტეტს ვერაფერს დააკლებ. პირიქით, კიდევ უფრო გაზრდი, შენდა უნებურად და შენდა ჭირად.

კომუნისტებმა, რასაკვირველია, ესეც კარგად იცოდნენ, ამ სფეროშიც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდათ მიღებული და ამიტომაც ცდილობდნენ ყველანაირად მწერლების გვერდით დაყენებას, მაინცდამაინც, მწერლების, რადგან მწერალი არც კინოვარსკვლავია და არც ქურუმი, ესე იგი, არც წამიერი დიდებისთვის იკლავს თავს და არც დღესვე აპირებს თავისი მრევლის გათვითცნობიერებას. რასაც დღეს ქმნის, ხვალისთვისაა გამიზნული (ისევ ილია ჭავჭავაძის მაგალითიც კმარა ამის დასადასტურებლად). მაგრამ ხელისუფლების გვერდით დგომა რაკი ყველა მწერალმა არ ჩათვალა დიდ პატივად (თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, უმრავლესობას მხოლოდ ხელისუფლებისგან დაფასებული მწერალი მიაჩნია ნამდვილ მწერლად), ხელისუფლებაც (ამ შემთხვევაში, კომუნისტები) იძულებული გახდა შეექმნა მწერლის ახალი სახეობა – დამჯერე მწერალი – რომელიც ლექსად და პროზად დაწერილი ერთგულების ფიცის სანაცვლოდ, დიახაც რომ სახელმწიფო მოხელის უფლებამოსილებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა უბრალო, უწიგნურ ხალხში. ამდენად, თქვენგან განსხვავებით, ქართველ მწერლებს (ნამდვილ ქართველ მწერლებს) ვერც პატივმოყვარეობაში დავდებ ბრალს, ვერც მომთხოვნელობაში. ბევრნი არიან ისინი თუ ცოტანი, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, განსხვავებით იმ მწერლებისგან, ანუ, მწერლის ახალი სახეობის იმ წარმომადგენლებისგან, რომლებმაც თავიდანვე ხელისუფლების გვერდით დგომა არჩიეს, რაკი თავიდანვე ამ მიზნით იყვნენ შექმნილნი.

ასე რომ, კი გეკამათებით, მაგრამ სხვანაირად ნამდვილად გამიჭირდება აზრის უფრო ნათლად გამოთქმა. სხვანაირად ვერც ჭეშმარიტებას დავადგენთ. არადა, როგორც ვატყობ, საკმაოდ განსხვავებული აზრი გვაქვს მწერლობის როლზეც და დანიშნულებაზეც.

როგორც არ უნდა გვეჩოთირებოდეს, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ეროვნული მოძრაობა ყაზბეგის პატარა, ფოთლისხელა მოთხრობიდან იღებს სათავეს და არა, ვთქვათ, გუშინდელ თუ გუშინწინდელ მომიტინგეთა მოწოდებებიდან თუ პროკლამაციებიდან. ყაზბეგი რომ გვყავდა, იმიტომ ვწერდით გუშინ პროკლამაციებს და იმიტომ მოვუწოდებდით ხალხს თავისუფლებისკენ. სხვათა შორის, არამარტო დღეს, არამედ მთელი საუკუნის მანძილზე და ნებისმიერი სტატუსის ხელისუფლება ერთნაირად ცდილობდა დაემალა ქართველი მკითხველისთვის იმ რუსი ჯარისკაცების წამოწითლებული სახეები, ყაზბეგის მოთხრობაში ქვრივობის მბჟუტავ კერას რომ ეფიცებებიან და ხელების ფშვნიკით ემზადებიან «აღთქმული» ქვეყნის მოსახილველად – კაცის დასაკნინებლად, ქალის გასაბახებლად, მოხუცის აბუჩად ასაგდებად და ბავშვის გასარყვნელად. იმ საზარელი ღამიდან მოყოლებული არისხეებს ქართული მწერლობა განგაშის ზარს და, კაცმა რომ თქვას, გამგებს ესმის კიდეც. რაც მთავარია, გამგებში მარტო მტერი არ იგულისხმება. ჩვენთანაც ესმის. ეს კი ბევრის მთქმელია. ახალგაზრდობა, რომელიც ოთხმოციანი წლების «გარდაქმნებს» შეეწირა საქართველოში, მშობლიური ლიტერატურით იყო გაზრდილი და, რაც კიდეც უფრო აღსანიშნავია, მათი უმრავლესობა ლექსებს წერდა... დიახ, ნამდვილად არსებობს კეთილგონიერების დეფიციტი დღევანდელ საქართველოში, პოლიტიკური ანგარიშსწორების მაგალითებიც უხვად მოგვეპოვება, მაგრამ პირადად მე, მიუხედავად თქვენი კატეგორიულობისა, ნამდვილად გამიჭირდება თუნდაც ერთი ჭეშმარიტი შემოქმედის (არა მარტო მწერლობაში) დასახელება, რომელიც თავისი ამბიციურობით გამოირჩეოდეს... ეტყობა, თქვენზე უფრო ბრმა ვარ, ანდა, შეიძლება, თქვენზე უკეთ ვიცნობ იმ სამყაროს, რომელსაც დღეს ყველანი ერთნაირად «მწერლობას» ვეძახით და ვისაც რა გვსურს, იმას ვგულისხმობთ ამ მართლაც მრავლისმომცველ სიტყვაში. რასაკვირველია, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენშიც შექმნა იდეოლოგიური კონიუნქტურის დამცველ მწერალთა მთელი არმია, მაგრამ ჩვენ იმათი გამოცალკევება და მხილება კი არ დავისახეთ, რატომღაც, მიზნად, არამედ, თითქოს დიდი ხნის სანატრელი აგვისრულდაო, თითქოს კარგი შემთხვევა მოგვეცაო, იმათთან ერთად ნამდვილი ქართული მწერლობაც მოვისროლეთ სანაგვეზე... იოლი გზა ავირჩიეთ. რასაკვირველია, გაცილებით ძნელია, კარგს კარგი დაარქვა და ცუდს – ცუდი.

მაგრამ ჩვენ მაინც განსაკუთრებულად ლიტერატურულ ტრადიციებზე გაზრდილი ხალხი ვართ და რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის ქვეყანაში მარტო გამოუსწორებელ ბრიყვს ანდა სულიან-ხორციანა გაყიდულ გარეწარს თუ გაახარებს ქართველი მწერლის ავტორიტეტის იგნორირება, დაკნინება და გაუფასურება იმისა, რის გამოც მტრებსაც უჭირთ ჩვენი ერთხელ და სამუდამოდ ჩაყლაპვა...

ამ რამდენიმე წლის წინ ერთმა ჟურნალისტმა დაუფარავი კმაყოფილებით მითხრა: მწერლობა კი განთავისუფლდა გარკვეული პოლიტიკური ჩარჩოებიდან, მაგრამ ლიტერატურის დონე დადაბლდაო. შეიძლება ასეცაა. თუმცა მე სულ სხვა აზრი მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით და, გულწრფელად რომ ვთქვა, წესიერად არც ვიცი, რომელ «გარკვეულ» ჩარჩოებზეა ლაპარაკი, რამდენადაც, ჯერჯერობით, მწერლობა კი არ თავისუფლდება გარკვეული ჩარჩოებიდან, არამედ გარკვეული ჩარჩოები – მწერლობისგან. მწერლობის ფუნქცია, უფრო სწორად კი, დანიშნულება, საბედნიეროდ, უცვლელია ნებისმიერ ჩარჩოში და ვერანაირი ცხოვრებისეული ცვლილებები ვერ ახდენენ მასზე რაიმე სერიოზულ ზემოქმედებას. რასაკვირველია, დღესაც ასეა. წიგნი კი არ კარგავს მკითხველს, მკითხველი კარგავს წიგნს, რაც გაცილებით საგანგაშო მოვლენაა. მკითხველი ღარიბდება და არა წიგნი. წიგნი კი არ გვასწავლის – გვზრდის. უმაღლესს მაგალითს გვამღვებს, ვიდრე რეცეპტს. კი არ გვმოდვრავს, ჩვენსავე თავგა-

დასავალს გვიყვება. კი არ გვაქეზებს – გვამხნევეს. კი არ მოგვიწოდებს – ფიქრს გვაჩვენებს. ხოლო, «გარკვეული პოლიტიკური ჩარჩოები» მწერლობას კი არ უშლის ხელს თავისი დანიშნულების შესრულებაში, არამედ იმ ჩარჩოების შემკვეთებს. მწერლობა კი არა, ისინი იცვლებიან დროის შესაბამისად და, თავისთავად ცხადია, შესაბამისად ცვლიან «ჩარჩოებსაც». რაც მთავარია, «გარკვეული ჩარჩოებიდან» გამოსვლის შემდეგ მწერლობის დონე კი არ დაქვეითდება, როგორც ზემოთ ნახსენებ ჟურნალისტს ჰგონია, არამედ შეიცვალა მწერლობისადმი დამოკიდებულება. მწერლობის დონე, შეიძლება, ერთმა მწერალმა ასწიოს, მაგრამ უწიგნურსა და უკულტურო მასას საუკუნეები სჭირდება, ხელახლა რომ შეისწავლოს ანბანი...

მე მგონი, ჯერჯერობით, ასე ტრაგიკულად არ უნდა იყოს ჩვენი საქმე – უბრალოდ, როგორც უკვე ვთქვით, ჩარჩოს პატრონმა, ცხოვრების შესაბამისად გარდაქმნილმა, დღესდღეისად მისთვის «მიუღებელი» სურათი კუთხეში მოისროლა. ხოლო ჩარჩოს მოულოდნელმა სიცარიელემ ყველანი იმდენად აგვაფორიაქა, ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე ცვდილობთ მის ამოვსებას. ჩვენი განზრახვა კეთილშობილურია, მაგრამ მარტო განზრახვა საკმარისი არ არის. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ წესი, მეთოდი, ხერხი, საშუალება სიცარიელის ამოვსებისა. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ამის ნიჭით უნდა ვიყოთ დაჯილდოვებულნი განგებისგან. ამიტომ დავაცადოთ და ხელი შევუწყოთ იმას, ვინც მხოლოდ ეს იცის, ანუ სწორედ ამისთვისაა მოვლენილი ამქვეყნად. დამერწმუნეთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ჩვენ კი პირიქით ვიქცევით, პირველ რიგში მწერლობას ვუპირისპირდებით და ამით კიდევ უფრო ვაჩქარებთ ჩვენი გადაგვარების, გნებავთ, გაპირუტყვების პროცესს...

გარკვეული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ხელოვნების მსახურნიც ცოდავენ. სამწუხაროდ, ყველას ერთნაირად არა გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა დიდ, დაუნდობელ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ვართ ჩართულნი და, ღმერთმა იცის, როგორ დამთავრდება ეს ომი. ოპტიმისტი პოლიტიკოსების თქმით, ისე დამთავრდება, «როგორც გვეკადრება», ესე იგი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ; მაგრამ ადვილი შესაძლებელია ისე დამთავრდეს, როგორც ვიმსახურებთ, თუნდაც ჩვენი სიბეცისა და გულარხეინობის გამო. პირად კეთილდღეობაზე ფიქრი, მეტი რომ არ ვთქვათ, დღეს უხერხულია. უხერხულია მხოლოდ ამ მიზნით სამშობლოს მიტოვება, მით უფრო ხელოვანი კაცისთვის, რომელიც თავისი ინტელექტუალური დონით, რასაკვირველია, ბევრად მაღლა დგას რიგით მოქალაქეზე, რომელიც მომავლის შიშით წარსულს მისტირის და, წარსულით გაწბილებული ბრმად ეპოტინება მომავალს. ამით იმის თქმა მინდა, რიგითი მოქალაქე ახლაც უფრო მშვიდად რომ გაუსწორებდა დაუნდობელ რეალობას თვალს, თუკი დღესაც გვერდით დაიგულებდა იმას, ვისი სახელითაც გუშინ თავი მოსწონდა, ვინც, რაც თავი ახსოვს, ეიმედება და ეამაყება... ასეთმა რიგითმა მოქალაქეებმა გვასწავლეს დაკვრაც, სიმღერაც, ცეკვაც, ხატვაც, წერაც... ასეთმა რიგითმა მოქალაქეებმა მოიკლეს ლუკმა, რათა ჩვენ გვესწავლა და გავზრდილიყავით. ამდენად, ჩვენც ვალდებულნი ვართ, «მიუსაფრობაშიც» ჩვენს მშობლიურ კულტურას ვემსახუროთ მხოლოდ. არც სამწუხარო და არც სალალობო ემიგრაციაში არ დავივიწყოთ ყველა ხელოვანისთვის ერთნაირად სავალდებულო კითხვა: ვისი სახელით დგახარ სცენაზე, სადაც არ უნდა იდგეს ის სცენა...

მწერლობა ხალხის მახსოვრობაა. მისი მემკვიდრეობით ხალხს შეუძლია თითქმის მათემატიკური სიზუსტით აღადგინოს, როდის რა უჭირდა და ულხინდა; როდის როგორ გამოიყურებოდა; ხმელა პურით იბრუნებდა სულს თუ შარაგზაზე ჰქონდა სუფრა გაშლილი ამვლელ-ჩამვლელის დასაპურებლად. ჩვენს ლიტერატურაში ასახული ცხოვრებით თუ ვიმსჯელებთ, იშვიათად თუ გაგვწვლავს ხვალისდელი დღის შიში. ჩემთვის გასაკვირიცაა, ან დასაწერად როდის ვიცლიდით, ან წასაკითხად. თუმცა, საბედნიეროდ, არც ამით გამოვირჩევით სხვე-

ბისგან. ბევრ ჩვენზე შეკრულ და მოწესრიგებულ ქვეყანაშიც დამდგარა ისეთი ჟამი, როცა ხალხს საერთოდ გაჰქრობია სულიერი საზრდოს მოპოვების სურვილი. საფრანგეთ-ავსტრიის ომის დროს პარიზში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურულ მექაში, საერთოდ ჩამკვდარა ლიტერატურული ცხოვრება. პარიზელებს არც ახსოვდათ თურმე სულიერი საკვების არსებობა, ყველას მხოლოდ ბაზრისკენ ეჭირა თვალი, სადაც ბოტანიკური ბაღი ხორცად ყიდდა არამარტო ირმებსა და გარეულ კამეჩებს, ზებრებსა და კენგურუებს, არამედ შავ გედებსაც და სირაქლემებსაც... როცა ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი პაროდისტი, ნიჰილიზმის ცინიკოსი რაინდი ლოტრეამონი გარდაცვლილა, ვირთხის ხორცი ოცდათხუთმეტი სანტიმი ღირებულა, ძაღლისა – ორნახევარი ფრანკი, კატისა კი – თორმეტი (რაც, სხვათა შორის, კიდევ უფრო გასაგებს ხდის ჩემთვის იმავე ლოტრეამონის ცინიზმსა და ნიჰილიზმს). საბედნიეროდ, ჩვენ აქამდე არ მივსულვართ, თუმცა «მეგობარმა» სახელმწიფოებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს საამისოდ: «დაუდგენელი პირების» მეშვეობით გაგვიჩანაგეს ყველა ელექტროსადგური, ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საწარმო და, რაც მთავარია, თითქმის «გარდაქმნის» დაწყებისთანავე, გადაგვიკეტეს გაზი, როგორც ავადმყოფს – ჟანგბადი, რის გამოც, ჩვენმა ხალხმა ბოლო ათი წელი არაადამიანურ სიცივესა და შეუვალ წყვდიადში გაატარა. ამდენად, არც ჩვენ უნდა გვიკვირდეს, წიგნისთვის თუ ვერ მოვიცალეთ აქამდე. გუშინ და გუშინწინ ჩვენი მკითხველები სადარბაზოებში დანთებულ საერთო, საზიარო «კერებზე» ხარშავდნენ ბაზარ-ბაზარ მოგროვილ კარტოფილის ნაფცქვენსა თუ კომბოსტოს ფოთოლს. ამაში სამარცხვინო, რასაკვირველია, არაფერია. მაგრამ დიდი უსინდისობაა იმათგან, ვინც სრულიად დაუმსახურებლად მიაყენა ასეთი სულიერი ტრავმა ხალხს, რომელიც თავისი ბუნებით სხვათა მასპინძლად, სხვათა შემფარებლად და დამპურებლად შექმნილი განგებისგან...

ამგვარი სულიერი ტრავმები, მართალია, ხალხის ნებას კიდევ უფრო აწრთობს, მაგრამ საზოგადოებას წონასწორობას აკარგვინებს. ხოლო წონასწორობადაკარგული საზოგადოება, რასაკვირველია, ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს. საზოგადოება დღესაც არსებობს, მაგრამ რამდენად ამართლებს თავის დანიშნულებას, ეს კი ნამდვილად საკითხავია. საზოგადოება, რომელიც ეროვნული სიამაყისა და ღირსების გრძნობას დაკარგავს, თავისთავად ცხადია, ხალხის სარკედ ვეღარ გამოდგება. იმ სარკეში ყველანაირი ადამიანური მანკიერება შეიძლება აირეკლოს, გარდა ხალხის ჭეშმარიტი ბუნებისა. ასე მკაცრად იმიტომ ვლაპარაკობ ჩვენს საზოგადოებაზე, უკვე ბევრი სიმპტომი რომ არსებობს მისი დასნეულების დამადასტურებელი. მათ შორის ბევრი გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თუნდაც, ერთი მხრივ, მისი წარმოუდგენელი აქტიურობა და ერთსულოვნება, ვთქვათ, რომელიმე მინისტრის მოხსნასთან ან დანიშვნასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, ასევე წარმოუდგენელი, ლამის სიჯიუტეში გადაზრდილი მისი გულგრილობა საკუთარი კულტურისადმი. ძალიან მორიდებულად რომ ვთქვათ, ჩვენი საზოგადოება ვერ რეაგირებს, ან საბედისწერო დაგვიანებით რეაგირებს ქვეყნისათვის უაღრესად საჭირო როტო საკითხებზე. რაც მთავარია, მნელი დასადგენია, რატომ დუმს, როცა დუმს და რატომ ხმაურობს, როცა ხმაურობს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მაგრამ რაკი ჯერ კიდევ მწერლებად ვითვლებით და რაკი საამისო საშუალებაც გვაქვს, გულისტკივილი მაინც გამოვთქვათ აწ უკვე გარდასულ, მაგრამ მოურჩენელ ჭრილობად დარჩენილ ზოგიერთ საჩოთირო ფაქტზე.

ერთი ასეთი «მოურჩენელი ჭრილობაა» ჩემთვის «ბორჯომის» ტრადიციული მაღაზიის გადაკეთება ფრანგულ «ბისტროდ», რომელსაც, რატომღაც, «მალიც» ვუწოდეთ (გულის მოსაფხანად), ვითომ ფრანგები ჩვენზე ნაკლებად სცემდნენ პატივს თავიანთ ენას, ანდა, საჭირო რომ ყოფილიყო, რუსული «ბისტროს» შესატყვისს ვერაფერს მონახავდნენ თავიანთ ენაში.

მაგრამ ეს სხვა საკითხია და ნაკლებად მნიშვნელოვანი. გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ეროვნული სიმდიდრისა და, თუ გნებავთ, ეროვნული სიმბოლოების მიმართ.

«ბორჯომის» მაღაზიაში თბილისელები პაემანსაც უნიშნავდნენ ერთმანეთს, იმდენად გაშინაურებულნი იყვნენ იქ, და არამარტო წყურვილს უკლავდათ ეს მართლაც «ღვთაებრივი სასმელი», არამედ იმედიც ავსებდათ, სიამაყის გრძნობას უღვივებდათ, როგორც წინაპრის დანატოვარი ძვირფასი ნივთი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერ შეეღებოდა და თუ ჭკუა გაქვს, არც უნდა შეეღო, რადგან მის გამო უფრო წელგამართული ხვდები ნებისმიერ გასაჭირს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო ასი წელი მარტო მისი იარლიყი ადასტურებდა, ჯერ კიდევ ქვეყანა რომ ვიყავით, რადაცის, სხვებისთვისაც საინტერესოს პატრონი ხალხი. ასე რომ, ამ მაღაზიაში ერთი ჭიქა ყველაზე იაფი სასმელის დაღვევა ერთგვარ წესადაც ითვლებოდა, რიტუალად, თუ შეიძლება ასე ითქვას, პატივისცემის გამოხატულებად მარადიული, წმინდა, ხელშეუხებელი ცნებებისადმი. ჩვენ კი, დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და შელახული ღირსების აღდგენა რატომღაც მაინცდამაინც ეროვნულ სიმბოლოდ ქცეული «ბორჯომის» უგულვებელყოფით დავიწყეთ. არადა, როგორც დრომ დაამტკიცა, თურმე სრულებითაც არ ყოფილა ამის ღირსი. საქართველოსავით პატარა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსეთით, ამერიკასავით, გერმანიასავით დიდი ქვეყნებიც ბლომად ხაპავენ ჩვენგან ათვალწუნებულ წყალს, ნამდვილსაც და ფალსიფიცირებულსაც, და კარგადაც ითბობენ ხელს. ჩვენი საზოგადოება კი ბრძნული სიმშვიდითა თუ ბრიყვული არხეინობით გაიძახის: ვის რად უნდა, ნეტავი, ჩვენი ბორჯომიო...

ასეთივე «ჭრილობა» ქართული ღვინის შელახული პრესტიჟი. განა დასაშვებია, მეღვინეობის ამ უხუცეს ქვეყანაში ყველაზე აბუჩად აგდებული მაინცდამაინც ვაზი იყოს? ვისაც როდის მოეპრიანება, მაშინ მოუღერებს ნაჯახს. განა დასაეჭვებელი არ არის, სულ მის გადარჩენაზე ვლავარაკობდეთ, როცა სინამდვილეში ის არის ჩვენი მარადიული გადამრჩენელიცა და გამაკეთილშობილებელიც?! გუშინ და გუშინწინ, მიუხედავად ჩვენი მონური მორჩილებისა, ვინმეს რომ ეთქვა, წელს საქართველოში შეიძლება რთველი არ იყოსო – გავჩუმდებოდით?! დღეს გვითხრეს და გავჩუმდით. საერთოდ, ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია მყარად დუმს ჩვენი საზოგადოება, რადგან გულის სიღრმეში, ვინ იცის, ღვინოც უცხოური ურჩევნია საკუთარს. მაგრამ იმდენს ვერ ხვდება (ანდა, მშვენივრად ხვდება და შეგნებულად იქცევა ასე!), საბედისწერო რომ შეიძლება აღმოჩნდეს მისი დუმილი...

«ჭრილობა» ჩვენთვის პირველი და მსოფლიოსთვის, ჯერჯერობით, ბოლო ოლიმპიადაც. გაიხსენეთ ჩვენი «მოულოდნელი» მარცხი, რაც უფრო მორალური ხასიათისა იყო, ვიდრე სპორტული. სხვა ქვეყნების სახელით ამ ოლიმპიადაზე გაცილებით მეტი ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა, ვიდრე ეროვნულ გუნდში ირიცხებოდა. ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთი უკონკურენტო ფალავანი, თითქმის ოლიმპიადის დაწყების წინ გავაბერძნეთ. მეორე – რომელიღაც პროცედურის არასწორად ჩატარების გამო მოიხსნა შეჯიბრებიდან. ჩვენს დელეგაციაში სპორტულ სპეციალისტს ტურისტი ჭარბობდა. ყოველ შემთხვევაში, მოკრივეებს პირსახოცის მიმწოდებელიც არ ჰყავდათ, დასისხლიანებული ცხვირ-პირი რომ მოეხოცათ. რაც მთავარია, ჩვენმა პრესამ და რადიო-ტელევიზიამ «შესაშური» თავშეკავება გამოიჩინა ამ მოვლენის მიმართ, როცა პირიქით უნდა ყოფილიყო თითქოს... პირველად გამოვდიოდით მსოფლიოს წინაშე ჩვენი სახითა და სახელით, ჩვენ კი ისევ მოსკოვის მეშვეობით ვიგებდით, რა ხდებოდა ჩვენს თავს...

«ჭრილობა» მსოფლიოში ცნობილი და ევროპაში ანგარიშგასაწევი საკლუბო გუნდის «დინამოს» სამარცხვინო დაკნინებაც. სხვათა შორის, «დინამომ» თავის დროზე დიდი როლი



ითამაშა ჩვენი ეროვნული შეგნების ამაღლებაში, რაც, თავისთავად ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენია ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას და ყველანაირად ცდილობდა კიდეც მის «დაოკებას». დღეს სახელიდა შერჩა ძველი, თუმცა, სწორედ სახელის გადარქმევის მცდელობით დაიწყო ყველაფერი. საკუთარი საფეხბურთო ფედერაცია კი გავხსენით, მაგრამ ფეხბურთელთა გამქირავებელ კანტორად ვიქცევით ბოლოს...

«ჭრილობაა» ჩვენი განათლების სისტემის «დაბნეულობაც». «განათლების მისაღებად» ახალგაზრდებს უცხოეთში მივერეკებით (ყოველ შემთხვევაში, დიდად ვუწყობთ ხელს მათ უცხოეთში გადაბარებას), შინ კი უცხოენოვან კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს ვხსნით, ემ-მაკმა იცის, რა მიზნით... ჩვენი ხსნა ფრანგულად ან თურქულად კი არა, მაინცდამაინც, ქართულად განათლებაა. თუკი ხვალაც ქართველებად დავრჩებით, ესე იგი, საქართველოში ვიცხოვრებთ, ქართულად ვიაზროვნებთ, ქართულად ვილაპარაკებთ, ჩვენი ენა ნამდვილად სახელმწიფო ენა იქნება და, რაც მთავარია, ვიცხოვრებთ მხოლოდ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესებით, არათუ ჩვენ, გენეტური ქართველები, არამედ ავსტრალიელიც ქართველად ჩაითვლება მექანიკურად, როგორც კი საქართველოს ქვეშევრდომის პასპორტს ჩაიგდებს ჯიბეში...

ქართველმა ებრაელებმა ოცდაექვსი საუკუნის მერე გენი დაუბრუნეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. ჩვენ კი პირიქით ვიქცევით. პირველ რიგში გენი გაგვაქვს სამშობლოდან. საზოგადოება კი დუმს. უფრო სწორად, ყველანაირად ცდილობს, ამ უაღრესად არაბუნებრივ პროცესსაც, როგორც ბევრ სხვა მოვლენას, გარდუვალობის ელფერი შესძინოს, უპირველეს ყოვლისა, შეგნებული უყურადღებობით. ამიტომაც არ უკითხავს არასოდეს, თუ რატომ უნდა აჯილდოვებდნენ ერთნაირად, ვთქვათ, ჯანსუღ კახიძეს, რომელიც აკლდამასავით გათოშილ დარბაზში მხრებზე პალტომოხურულიც მდგარა დირიჟორის პულტთან, რათა კულტურული ცხოვრების ილუზია მაინც შეენარჩუნებინა ბედისწერის უკუღმართობით გულმოკლული და აბუჩად აგდებული თავისი ხალხისთვის, და საზღვარგარეთ მოღვაწე ნებისმიერ ქართველ ხელოვანსაც, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, უკვე ლეგიონია.

ოციან წლებში ერთ გამოჩენილ რუს მსახიობს, მიხეილ ჩეხოვს, დიდი ჩეხოვის ძმის-შვილს, უცხოეთში დარჩენის გამო, ზინაიდა რაიხმა მოღალატე უწოდა. რამდენად სწორია ზინაიდა რაიხის საქციელი, სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენი ზინაიდა რაიხები მეორე უკიდურესობაში ვარდებიან: უხარიათ, თავი მოსწონთ, ეამაყებათ სხვის სამსახურში ჩამდგარი თანამემამულის სახელი, მეჩონგურე იქნება ის, მესტვირე თუ ფეხბურთელი...

საზოგადოებას ხელისუფლება რყვნის. ჩვენი საზოგადოება კი ჯერ კიდეც საბჭოთა ხელისუფლების დროსაა გარყვნილი. ამიტომაც არ აღელვებს, არც რცხვენია, ნორმალურად რომ ვერ მეტყველებს მშობლიურ ენაზე, უფრო სწორად, ვერ მეტყველებს სახელმწიფო ენის იმ ნორმების შესაბამისად, რომელთა დაცვაც ერთნაირად სავალდებულოა როგორც მოსამართლისთვის, ისევე ბოროტმოქმედისთვის; როგორც ჟურნალისტისთვის, ისევე გაზეთის გამყიდველისთვის; როგორც ექიმისთვის, ისევე ავადმყოფისთვის; როგორც მასწავლებლისთვის, ისევე მოწაფისთვის... სამაგიეროდ, დუმს და დუმს იმ ქვეყანაში, რომლის ნახევარი ტერიტორია ოკუპირებულია, მოსახლეობის მესამედი ემიგრირებული, დარჩენილი ორი მესამედის ალბათ სამოცი პროცენტი შიმშილობს, ათი – ქარის წისქვილებს ეომება, იმდენივე – სასწაულის მოლოდინშია, დანარჩენი კი ზნეობის, მორალის, ეთიკისა და, რაც მთავარია, საკუთარი სამშობლოს საწინააღმდეგო საქმიანობითაა დაკავებული. საზოგადოება კი დუმს, ანუ, სოკოებივით მომრავლებული რეკლამების შესაბამისად, ცდილობს «იცხოვროს ლაღად», «ჩასწვდეს ამერიკულ სულს»... ერთი ბერძენი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველდღე ისე ქეიფობს ამ გამძალტყავებულსა და ღირსებააყრილ ქვეყანაში, თითქოს უკანას-

კნელად ქეიფობდეს და ისეთ სახლებს იშენებს, თითქოს სამუდამოდ აპირებდეს ამ ქვეყანაზე დარჩენას... კი მაგრამ, რატომ?! იმიტომ რომ, ავადაა. ხალხი კი არ ავადმყოფდება, როგორც რუს მწერლებს ეგონათ, მაინცდამაინც, ქართველ ხალხთან დაკავშირებით, არამედ – საზოგადოება. ხალხი კი, პირიქით, ერთადერთი მკურნალია საზოგადოებისა. ხალხს შეუძლია თავისი წიაღიდან წარმოშვას ახალი, ჯანმრთელი საზოგადოება და წარმოშვას იმდენჯერ, რამდენჯერაც დასჭირდება. ესე იგი, უსასრულოდ, უთვალავჯერ, მთელი თავისი არსებობის მანძილზე. საზოგადოებას აყალიბებს არა ბუნება, არამედ ცხოვრება. ხალხი კი ბუნების ნაწილია და ცხოვრებასთან სწორედ მისგანვე ამოზრდილი საზოგადოების მეშვეობითაა დაკავშირებული. არასწორად მცხოვრები საზოგადოება, რასაკვირველია, ხალხსაც ისევე აყენებს ზიანს, როგორც ბუნებას. მაგრამ ხალხსაც თუ დავაცდით, ბუნებისა არ იყოს, იმასაც შესწევს უნარი პირვანდელი სახის დაბრუნებისა...

თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, საზოგადოება ვალდებულიცაა ესმოდეს, ხედავდეს და გრძნობდეს ყველაფერს, რაც მის სასიცოცხლო სივრცეში ხდება. რასაკვირველია, მწერლის სიტყვაც ესმის, მაგრამ მალამოდ კი არ ეცხება გულზე, გამოფხიზლების სურვილს კი არ უღვიძებს, აღიზიანებს და ბალანს უშლის საფრთხენაგრძნობი ნადირივით. ასეთ საზოგადოებას არაფრად სჭირდება არათუ მწერლობა, საერთოდ ხელოვნება... კულტურა. წიგნის ფურცელზეც, სცენაზეც და ეკრანზეც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის გამიზნული ხაფანგი ელანდება. უკულტუროდ, რა თქმა უნდა, უფრო მშვიდად იცხოვრებს: სუსტს დაჩაგრავს, ღარიბს აბუჩად აიგდებს, ჟინს მოიკლავს ყველგან, სადაც წამოუვლის, ეკლესიაში წმინდა სანთლიდან მოუკიდებს სიგარეტს, კევს არც ლაპარაკისას გამოიღებს პირიდან და ვერავინ მიუთითებს, ვერავინ ამხელს მის უზნეობასა და უმსგავსობას. ასე რომ, მასაც სერიოზული მოტივები აქვს, აითვალისწინოს და მოიშოროს ის, რასაც ჩვენ ლამის ძალით ვატენით...

ამიტომ ვიდრე გავაგრძელებდე, მაინც ვიკითხავ: აინტერესებს კი ჩვენს საზოგადოებას, ვთქვათ, გერმანელი კრიტიკოსების გამოხმაურება ქართულ რომანზე?! ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ნამდვილად ძნელია საკუთარ რომანზე და, მით უფრო, უცხოელი ლიტერატორების მიერ ამ რომანის გარშემო გამოთქმულ მოსაზრებებზე საუბარი. მაგრამ რაკი «ზოგჯერ თქმა სჯობს», შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ ვუპასუხო ყველა იმ შეკითხვას, რომელიც პირადად მე, ესე იგი, «აველუმს» შეეხება.

თუმცა, თავიდანვე ვაპროტესტებ თქვენს თვალსაზრისს, თითქოს რომანის შესავალში «პირდაპირ» დამეწეროს, ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპი ვარო. ეს იდენტიფიკაცია არც «მხატვრული ხერხია», არც «აღსარება საკუთარი თავის წინაშე», რადგან მსგავსიც არაფერი დამიწერია. რომანის შესავალს «წერს» რომანის გმირი, რომელიც, შეიძლება ითქვას, იგივე აველუმია, ანდა, აველუმის უახლოესი მეგობარი, რომელიც მოგონებებში აველუმად გარდაიქმნება ხოლმე. აველუმობს. ორივეს, რასაკვირველია, რაღაც საერთო აქვს ავტორთან, ანუ, ჩემთან, მაგრამ ეს სრულებითაც არ მამღლევს ნებას, მათ პროტოტიპად გამოვაცხადო თავი. ადრეც ბევრ ავტორს დაუწერია გმირის სახელით, მაგრამ, მცირე გამოწაკლისის გარდა, ავტორისა და გმირის გაიგივება არავის მოსვლია აზრად. შეიძლებოდა გველაპარაკა მთხრობლისა და გმირის (აველუმის) იდენტურობაზე, მაგრამ მთხრობლისა და ავტორის, ისევე როგორც აველუმისა და ავტორის გაიგივება, მე მგონი, უფრო ჩვენი სურვილიდან გამომდინარე შესაძლებლობაა, ვიდრე რომანის ტექსტიდან...

საბჭოთა იმპერიის ნგრევას აველუმის მიერ შექმნილი სიყვარულის იმპერიის დანგრევაც მოჰყვა, მაგრამ არც მათი გაიგივება მიმაჩნია სწორად. ვერ დაგეთანხმებით, თითქოს აველუმის სიყვარულის იმპერია ბოროტების იმპერიის მიკრომოდელი იყოს. ასეთი რამ მხოლოდ სახაროვს თუ მოუვიდოდა თავში აზრად. არავითარ შემთხვევაში. ეს ერთნაირად შეურაცხ-

მყოფელია, როგორც აველუმისთვის, ისევე ავტორისთვის. მაგრამ რაკი რომანში ვერ ვთქვი გასაგებად, ახლა გეტყვით, რომ «სიყვარულის იმპერია» ბოროტების იმპერიის დანგრევისთანავე კარგავს თავის კეთილშობილურ ფუნქციას, რამდენადაც, მაინცდამაინც, ბოროტების იმპერიაში ადამიანობის შესანარჩუნებლად არის გამოიზნული, გნებავთ, მოწოდებული. თქვენ მართალი ხართ: ბოროტების იმპერიასთან ერთად სიყვარულის იმპერიაც ინგრევა, მაგრამ ამ იმპერიის კარიატიდები – მელანია, სონია, ფრანსუაზა – წმინდანებივით ნათელმოსილნი და ზნეობრივად ამდლებულნი გამოდიან ნანგრევებიდან და თან გამოაქვთ მარადიული ქალურობა, სიყვარულის, თანაგრძნობის, მოთმინების სასწაულმოქმედი უნარი, რაც კიდევ დიდხანს დასჭირდება ადამიანს...

დიახ, აველუმს ბრმა ტყვია კლავს და არა «თავისუფალი საქართველო». მესმის, თქვენი შეკითხვა, გარკვეული თვალსაზრისით, პროვოკაციულია, მაგრამ თუ არ მიწყენთ, ყოვლად დაუშვებელია ასეთი «ახლომხედველობა», როცა ლიტერატურულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ლიტერატურული მოვლენის ვერც ადგილს მიუთითებთ ზუსტად, ვერც თარიღს. უფრო მეტს გეტყვით, აველუმს ჯერ კიდევ ბევრჯერ მოკლავენ ალბათ, ვიდრე «თავისუფალი საქართველო» აბსტრაქტული ცნება იქნება. ხოლო თუ უფრო დავაკონკრეტებთ, აველუმს ბოროტების იმპერია კლავს, რადგან თბილისის ომიც საბჭოთა იმპერიის სასიკვდილო აგონიის ერთ-ერთი ფაზაა და არა წმინდა ქართული პოლიტიკური მოვლენა. აქედან გამომდინარე, უნდა თუ არა, მწერალი მაინც ერევა პოლიტიკაში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ავალდებულებს მწერალს, «ახლოს იყოს პოლიტიკასთან». სხვათა შორის, არც კონგრესში არჩევა ნიშნავს პოლიტიკოსობას. პირადად მე, ძალიან გამიჭირდება ჩემი თავის წარმოდგენა კონგრესმენად, რამდენადაც მხოლოდ ერთხელ დავესწარი კონგრესის სხდომას, რათა ოფიციალურად განმეცხადებინა კონგრესიდან ჩემი გამოსვლის შესახებ. ეს იყო და ეს მთელი ჩემი «პოლიტიკური» მოღვაწეობა. თქვენ ცუდად ინფორმირებული უფრო ხართ, ვიდრე საქმეში კარგად ჩახედული, მაგრამ მაინც ვერ დაგეთანხმებით, «საკმაოდ მეზრძოლი» შესაფერი ეპითეტი იყოს ჩემი «სტატიებისთვის». ჩემი «სტატიები» შეიძლება მეზრძოლი ბუნებისაა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან სცოდავს თავიანთი წმინდა ლიტერატურული ემოციურობითა და პირდაპირობით. აი, «გარდაქმნისთვის» წინასწარ შექმნილი «პოლიტიკოსები» ნამდვილად «საკმაოდ მეზრძოლ» სტატიებს წერდნენ, მაგრამ ეს ჩვენი საუბრის თემა არ არის...

რაც შეეხება ჩემს მოქალაქეობას, მეც აველუმის მსგავსად, ოღონდ, აველუმზე მეტადაც და აველუმამდეც, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თავისუფალ და სრულუფლებიან მოქალაქედ ვგრძნობ თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ვერ ვგრძნობ თავისუფალ, სრულუფლებიან სახელმწიფოდ...

ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს არავითარი გარდატეხა ქართველი კაცის ხასიათში. ღმერთმა დაიფაროს! ეს უნიკალური ხასიათია. ქართველ კაცს უფლება უნდა მისცენ დარჩეს ქართველ კაცად – დაანახონ, აუხსნან, რა გზებითაა შესაძლებელი დაცემული, გალახული სამშობლოს აღდგენა და, დამერწმუნეთ, შეუძლებელს შეძლებს, ანუ შეძლებს ამ მართლაც მამულიშვილური მისიის შესრულებას. განა დღეს ვინმე უდგას გვერდში ქართველ კაცს? განა, ვინმე ამხნეებს, ეხმარება შინაური თუ გარეული მტრების ხრიკებში გარკვევას? რა თქმა უნდა, არა...

რაც შეეხება ცნობილი გერმანისტის, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ «გამოხმაურებებს» «აველუმთან» დაკავშირებით, სავსებით გეთანხმებით, «საკმაოდ სოლიდური და საინტერესო მასალაა». მაგრამ გერმანელ ლიტერატორებსა და კრიტიკოსებს უკეთესად ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუ როგორ ესმით დასავლეთ ევროპაში ჩემი შემოქმედება და საერთოდ ქართული ლიტერატურა. ალბათ ზუსტად ისე, როგორც ეს ბატონ ნოდარ კაკა-

ბადის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში აისახა. ასევე ვერ ვიტყვი დაბეჯითებით, ეროვნულ სატკივრებზე ლაპარაკი ევროპელებს საერთოდ «ემფატიკურ ტონად» ესმით, თუ უბრალოდ ვერ წარმოუდგენიათ ეს საკითხი რომანის თემად. მე სხვანაირად მომეჩვენა. მე მგონი, გერმანელებს ცოტა შურთ ჩვენი, რაკი, მათგან განსხვავებით, თამამად შეგვიძლია ჩვენს ეროვნულ სატკივრებზე ლაპარაკი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელებს ფანატიკური შიში აქვთ, ნაციონალიზმი არ დასწამოთ ვინმემ, არაფერი წამოსცდეთ ისეთი, ვინმე დააეჭვონ, ესენი, მგონი, ისევ მსოფლიო ბატონობას აპირებენო. ეს შიში გასაგებიცაა და, გარკვეული თვალსაზრისით, კეთილშობილურიც. მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს საერთოდ სამშობლოს სიყვარულის უარყოფას. გარდა ამისა, გერმანულსა და ქართულ ნაციონალიზმს შორის «დიდი მზღვარი» დევს – განსხვავებული ცნებებია – გერმანული ნაციონალიზმი თავისუფლად შეიძლება ისევ მსოფლიო პრობლემად იქცეს, როცა ქართული ნაციონალიზმი დახმარების მორიდებული თხოვნაა და მეტი არაფერი...

საერთოდ, იდეოლოგიისა არ იყოს, ნაციონალიზმი კი არ არის სახიფათო, არამედ მისი შესაძლებელი პერსპექტივა. კომუნისტური და ფაშისტური, რასისტული და ანტისემიტური იდეოლოგიის შიშით (ყოველ შემთხვევაში ასე იმართლებენ თავს იდეოლოგიის მოწინააღმდეგენი), საერთოდ ყოველგვარი გეგმის, მიზნისა თუ ოცნების გარეშე დავრჩით. არადა, სახელმწიფოს კი არა, ნებისმიერ ნორმალურ ოჯახს აქვს თავისი იდეოლოგია – იცის, რატომ არსებობს, რითი არსებობს, რისთვის არსებობს... ასევე იცის, როდის რა უნდა გააკეთოს, ვის როგორ მოექცეს, ვისგან ისესხოს, ან ვის ასესხოს თავად ფული... ჩვენ კი ახალი სახელმწიფოს აშენებას ვაპირებთ და არ ვიცით, ან შეგნებულად არ ვამბობთ, როგორი წარმოგვიდგენია ის, ანუ თავისთავად, ალაღბედზე, როგორი შეიძლება გამოვიდეს ბოლოს...

იდეოლოგიის გარეშე ვერც ამერიკის შეერთებული შტატები იქნება ამერიკის შეერთებული შტატები და ვერც ლუქსემბურგი – ლუქსემბურგი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლუქსემბურგის მოქალაქეებს საერთოდ თუ აქვთ რამე, ეს მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია – თავისთავადობის, თვითმყოფადობის, ბუნებრივი და ამდენად აუცილებელი განსხვავებულობის შეგრძნება. ამ შეგრძნების გარეშე ალბათ არც ლიტერატურა შეიქმნებოდა. რაკი ყველანი ერთნაირები ვიქნებოდით, ადამიანს არავითარ შემთხვევაში აღარ გაუჩნდებოდა თვითგამოხატვის სურვილი. ღვინისფერი ზღვა თავისთავად მომხიბვლელი ფონია, მაგრამ მნიშვნელოვანი მაშინ ხდება, როცა ოდისევსის მოწაწაწა სული იტვიფრება ზედ: აი, ასეთი ვარ მე! აი, ასეთია ჩემი ხალხი! აი, ასე გამოიყურება ჩემი სამშობლო! ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის არსი მსოფლიო ლიტერატურისა. რა მიმდინარეობისაც არ უნდა იყოს ესა თუ ის ნაწარმოები, რასაც არ უნდა ისახავდეს მიზნად ავტორი, მისი ეროვნულობა, მისი დამოკიდებულება ჯერ სამშობლოსთან და მერე დანარჩენ სამყაროსთან ყოველთვის იგრძნობა. საწინააღმდეგო შემთხვევაში ლიტერატურის სუროგატთან გვაქვს საქმე. ამის დამალვა არ შეიძლება. მურაბად მოვხარშავთ შვინდს თუ კომპოტად, ჟელეში შევურევთ თუ ბლანმანჟეში, მის განსაკუთრებულ გემოს ყოველთვის გამოვარჩევთ. მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის მაინც სულ სხვა თვალსაზრისითაა საინტერესო ბატონ ნოდარ კაკაბადის მიერ გამოქვეყნებული «გამოხმაურებები» (ალბათ, მე რომ მეხება იმიტომ!). ჩემი აზრით, უფრო აღტაცებული ტონი აქვთ გერმანელ კრიტიკოსებს – რაც ფრიად უჩვეულო მოვლენაა და, ამდენად, კიდევ უფრო სასიამოვნოც ჩემთვის – ვიდრე მიმტევებლური, რასაც, სამწუხაროდ, დიდი ხნის შეჩვეულნი ვართ ყველანი. ასე რომ, რომანის სიკვდილზე საუბარი, ცოტა არ იყოს, ნაადრევი მგონია თქვენგან. უფრო სწორად – საკმაოდ დაგვიანებული. ევროპაში ამ ოცდაათიოდე წლის წინ მოათავეს ამ თემაზე კამათი. მაგრამ ახლა იძულებული ვარ, თქვენთან ერთად მივუბრუნდე ამ თემას. ოღონდ იმიტომ კი არა, «ბოლოდროინდელი

ქართული ლიტერატურის მაგალითზე» სრულიად სარწმუნო ცნობად რომ მიგაჩნიათ რომანის სიკვდილის ამბავი – (მე მინდოდა, საერთოდ გამომეტოვებინა ეს შეკითხვა, თუნდაც, თავისი არასერიოზულობის გამო) – არამედ სწორედ გერმანელი კრიტიკოსების გამონათქვამებიდან გამომდინარე. გერმანელი კრიტიკოსების «გამოხმაურებებში», ძირითადად (რაც, ეტყობა, თქვენ ვერ შეამჩნიეთ), თითქმის ერთსულოვანი თვალსაზრისია გამოთქმული ქართული რომანის, როგორც ლიტერატურული სიახლის თაობაზე. არ დაგიმალავთ და, ჩემი აზრით, ჩვენთვისაც ეს უნდა ყოფილიყო უფრო საინტერესო, ვიდრე ოცდაათი წლის წინანდელი და, რაც მთავარია, მცდარი ჰიპოთეზის გახსენება დღევანდელ ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებით. სახლში, სადაც, ეს წუთია, ბავშვი დაიბადა, სიკვდილზე არ ლაპარაკობენ. ხოლო ყოველგვარი პათეტიკის გარეშე თუ ვიტყვით, ქართველებს ერთი მეტად უცნაური თვისება გვაქვს: როცა გვლანძღავენ, ვბრაზობთ და როცა გვაქებენ – კიდევ უფრო უარესად. მაგრამ რაკი საუბარი ძირითადად ჩემს რომანზეა, ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი, თორემ, ადვილი შესაძლებელია, სანანებელიც გამიხდეს, საერთოდ რატომ ამოვიღე ხმა-მეთქი. ისე, თუ საინტერესო იქნება ვინმესთვის, რომანის სიკვდილის თაობაზე მეც გამოვთქვი აზრი ამ თხუთმეტოდე წლის წინ, მაგრამ მაშინ სულ სხვა მიზეზებმა განაპირობა ამ მრავალგზის გაწბილებული თემის გააქტუალება. როგორც მოგეხსენებათ, სამოცდაათიან წლებში იმდენად გაითქვა სახელი ქართულმა რომანმა, საკავშირო პრესა იძულებული გახდა, მსგავსად «ლათინურ-ამერიკული რომანისა», შეექმნა სამუშაო ტერმინი «ქართული პროზის ფენომენი». რასაკვირველია, ეს არც ჩვენი სიყვარულით მოსვლიათ, არც ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით. უბრალოდ, ჯიუტი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ და იგნორირების, არშემჩნევის, წაყრუების გამოცდილი მეთოდი ამჯერად ვეღარ გაამართლებდა – ქართული წიგნი დღითი დღე იპყრობდა ახალ-ახალ სივრცეებს. ციმბირელი მოსწავლეები თავისუფალ თემებს წერდნენ მათთვის არამარტო გეოგრაფიულად, სულიერადაც უცხო ლიტერატურის გმირებზე... აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიაჩნდათ, რომ სწორედ ქართული ლიტერატურა ახდენდა სასურველ ზემოქმედებას მათ ეროვნულ შეგნებაზე... ხოლო ამ პროცესის შესაფერხებლად, რაკი რომელიმე ავტორის გაკრიტიკება-გაკიცხვა კიდევ უფრო გაუთქვამდა იმ ავტორს სახელს, ხელისუფლებამ საერთოდ რომანი გაწირა, ჟანრის სიცოცხლისუნარიანობა დააყენა ეჭვის ქვეშ, ოღონდ, ევროპელი წინამორბედებისგან განსხვავებით, უაღრესად კონკრეტული მიზნით. თავის დროზე მეც გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა მეტი გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ მაშინდელ საბჭოეთში გაცილებით გამართლებული იყო ამგვარი თითიდან გამოწოვილი, ქვენა ზრახვებით ჩატარებული ღონისძიებები, ვიდრე დღევანდელ საქართველოში. დღეს ჩვენთან ყველაფერი ხელახლა იბადება (უნდა დაიბადოს!). მათ შორის, ლიტერატურაც, რასაკვირველია, თუ ბრმა ტყვიამ არ მოკლა ისიც. დღეს საქართველოში ბრმა ტყვიების ჟამი დგას. ბრმა ტყვიას კი ყველაფრის მოკვლა შეუძლია – ოცნებისაც. ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ბრმად არ ისროდნენ ჩვენს ქვეყანაში, არამარტო ტყვიას, არამედ სიტყვასაც...

ჩვენი მთავარი სისუსტე ჩვენი სიბეცეა, ჩვენი ახლომხედველობა, მიმდინარე პროცესებში გაურკვეველობა და ამის მიზეზიც ისევ და ისევ მშობლიური ლიტერატურის უგულვებელყოფაა. ჩვენ ლიტერატურის ქვეყანა ვართ. გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ გვაღიზიანებს, სიმართლე ასეთია. შეიძლება მსოფლიომ ჯერ არ იცის, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. საგანძური თუ არსებობს, მპოვნელი აუცილებლად გამოჩნდება ადრე თუ გვიან. რაც მთავარია, არაფრით არ შეიძლებოდა შემთხვევით, ბრმად, ალაღბედზე, უმიზნოდ შექმნილიყო უწყვეტი, თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა. ეტყობა, ასე სურდა განგებას, ჩვენს მფარველ ანგელოზს. ალბათ ასე იყო საჭირო ჩვენთვის და სრულებითაც არ არის გამორიცხული, სწო-

რედ იქ (ლიტერატურაში) იმალებოდეს ჩვენი უკვდავების საიდუმლო, რაკი სხვა ყველაფერი დაგვაკარგვინა ჩვენმა უჭკუობამ თუ სხვათა სიჭკვიანემ: სახელმწიფოებრიობაც, სამეფო დინასტიაც, ნაწილობრივ ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც და არამარტო საომარი, არამედ სამეურნეო იარაღებიც... წიგნიღა შეგვრჩა მხოლოდ, ნამდვილად ჩვენს მიერ და ნამდვილად ჩვენთვის შექმნილი, რომელშიც მტკვარივით მღვრიე, ენგურივით სხარტი, რიონივით უხვი, ბზიფივით ლამაზი, ჭოროხივით ფიცხი, ალაზანივით დინჯი სიტყვების ნაკადი მიედინება, სტიქიის ბუნებრიობითა და დაუდგრომლობით, და განუწყვეტლივ გვახსენებს ჩვენს ვინაობას, ჩვენს წარმომავლობას, ჩვენს მიერ ჩადენილ უთვალავ შეცდომას და, საჭიროების შემთხვევაში, ანუ, ჯერჯერობით, ყოველ წამს, ჩვენს მიერ უყოყმანოდ გადასადგმელ ნაბიჯს – თავის დადებას ყველაფრისთვის, რაც გვქონდა, რაც დავკარგეთ, რაც შეგვრჩა და რაც უნდა დავიბრუნოთ...

ცხოვრება თავისი გზით მიდის. იცვლებიან საუკუნენი, წყობილებები, სისტემები, გეოგრაფიული ცნებებიც კი. რუკებიდან ქრებიან უდაბნოები, ზღვები, სახელმწიფოები – ქართული ლიტერატურა კი გრძელდება. ერთი ადამიანი თუ უსმენს, მწერალს შეუძლია მშვიდად აკეთოს თავისი საქმე. განუზომელია, აუწონავია მნიშვნელობა იმ ერთი ადამიანისა, რომლის თანადგომასაც განუწყვეტლივ გრძნობს ნებისმიერი მწერალი და რომლის თანადგომაც ხელობაზე კი არ უცრუებს გულს, არამედ ავალდებულებს უკეთესად დაეუფლოს ამ ხელობას. ვიდრე საქართველოში ერთი კაცი მაინც წერს და ერთი კაცი მაინც კითხულობს, მართლა შეიძლება ყველაფერი დავიბრუნოთ, არამარტო მიწები, არამედ ზნეობაც!

წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს, მაგრამ ქართული მწერლობა ხვალაც რომ ღირსეულად გააგრძელებს თავის მარადიულ გზას, უკვე ნათელია. ნუ ვიქნებით მსაჯულნი, მაგრამ ვაღიაროთ, რომ დღეს საქართველოში ნამდვილი წიგნიც იწერება, მიუხედავად ცრუ ლიტერატურის, ანტილიტერატურის, ყვითელი თუ შავი ლიტერატურის არნახული მოზღვავებისა. ამიტომ ჩემი დიდი სურვილი იქნება, რაც შეიძლება მალე იგრძნონ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა, სისხლხორცეული, აუცილებელი წევრები რომ არიან ქართული მწერლობისა, ქართველი მწერლების დიდი ოჯახისა; რაც შეიძლება მალე დადგინდეს იმ ერთადერთ პოზიციაზე, რომელზედაც აუცილებლად უნდა იდგეს ქართველი მწერალი (ჯერჯერობით მაინც!), თუნდაც ჩვენი ბედისა თუ უბედობის გამო. ახალი გზების ძიება არათუ კარგია, საჭიროცაა. მაგრამ ყველა გზას მაინც იქ უნდა მივყავდეთ, სადაც ჩვენი საერთო, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის მთავარი გული ფეთქავს...

ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს, ჯერჯერობით, ქართული მწერლობის ქვეშევრდომობა არ მიუღიათ, ანუ, ქართულად კი წერენ, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ თავიანთი განცდებით არ გამოირჩეოდნენ დანარჩენი მსოფლიოსგან. არადა, მხოლოდ განცდათა განსხვავებულობა, თავისებურება ანიჭებს ლიტერატურას ეროვნულობასაც და, სხვათა შორის, მნიშვნელობასაც...

ლიტერატურის ერთადერთი დანიშნულებაა, აუცილებლად თქვას რაღაცა. რამდენად მნიშვნელოვანია მისი ნათქვამი, ეს სხვა საკითხია. მთავარია, აუცილებლად გავიგოთ, რას გვეუბნება, რას გვიმხელს, რას შემოგვჩივის ბოლოს და ბოლოს... სიტყვა ერთადერთი და საკმაოდ ბნელი გვირაბია, რომლის მეშვეობითაც სამყაროს ვუკავშირდებით ჩვენი არსებიდან თავდაღწეულნი, და რომლის მეშვეობითაც ისევ ჩვენს არსებაში ვბრუნდებით მარად ამოუცნობი სამყაროდან, ოღონდ, უფრო უკეთესნი, ვიდრე «გამგზავრებამდე» ვიყავით, უფრო მეტის მცოდნენი და მეტის ამტანნიც, სიტყვის მარადიულ, მარად ცოცხალ წიაღში გამოვლილნი... მერე რა მოხდა, თუკი «ახალი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც ნოვატორობის დანერგვას ცდილობს, რაღაც ახირებული მოსაზრებით, უფროსი თაობის თხზულებ-

ბებს არ კითხულობს?!» მით უარესი მისთვის, მაგრამ არა მგონია, მართლა ასე იყოს. ნებისმიერმა ახალგაზრდამ, რომელიც «ნოვატორობის დანერგვას ცდილობს», უნდა იცოდეს რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მისი კეთილშობილური მიზანი, ანუ, უნდა იცოდეს, ღია კარს ამტკრევს, ქარის წისქვილებს ეომება თუ ნამდვილად ქმნის რაღაცას, რისი მსგავსიც არაფერი გაჭაჭანებულა ქართულ ლიტერატურაში...

მაგრამ ვიდრე «ახალი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს» გავამტყუნებდეთ მშობლიური ლიტერატურის უცოდინრობის გამო, სჯობს საკუთარი უმაქნისობა ვადიაროთ. განა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა მოწოდების სიმაღლეზე დგას?! განა სანდო და, რაც მთავარია, მიუკერძოებელი მეგზურია ქართული ლიტერატურის ლაბირინთში მოხვედრილი ახალგაზრდა კაცისთვის?! ჩვენ ალბათ ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ცრუ კრიტიკოსის ფენომენი არსებობს და დიდი წარმატებითაც მოქმედებს. საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი ცოდვა ადევს, მაგრამ მისი მთავარი ცოდვა მაინც ადამიანის სულიერი დასახიჩრებაა. რაც მთავარია, საბჭოთა იდეოლოგია თავის ბინძურ საქმეს მშობლის ხელით აკეთებდა, გულუბრყვილო მშობლისა, რომელიც, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ჯერ იძულებული გახდა ნებისმიერი გზითა და საშუალებით «განათლებინა» თავისი შვილი, მერე კი, სამშობლოს სამსახურის ნაცვლად, პირადი კეთილდღეობა დაესახა მიზნად «განათლების გზაზე» შემდგარი შვილისთვის, რის შედეგადაც შეიქმნა კიდევ უფრო მყარი და ნოყიერი ნიადაგი ყველანაირი ანტიპოდის მისაღებად: მწერალს ცრუ მწერალი დაუპირისპირდა, კრიტიკოსს – ცრუ კრიტიკოსი, ექიმს – ცრუ ექიმი, მასწავლებელს – ცრუ მასწავლებელი, მღვდელს – ცრუ მღვდელი, გლეხს – ცრუ გლეხი, პოლიტიკოსს – ცრუ პოლიტიკოსი, მამულიშვილს – ცრუ მამულიშვილი, პატიმარს – ცრუ პატიმარი და ასე შემდეგ, ასე შემდეგ. გუშინ და გუშინწინ ყველანი შეგუებულნი ვიყავით ამას. მაინცდამაინც არც დღეს გვეხამუშება. მაგრამ ხვალ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიცხოვროთ ასე, თორემ, როგორც თავის დროზე კომბალი და ნამგალი გაგვადებინეს ხელიდან და როგორც ახლა ვაზის სასხლავ დანასაც გვაგდებინებენ, ისევე გაგვადებინებენ კალამს. ქვეყანა კი სხვა არაფერია: შენი პური და შენი ღვინო უნდა მოგყავდეს, სხვებს რომ არ შესცქეროდე ხელებში, და შენს თავგადასავალს წერდე აუჩქარებლად, შეულამაზებლად, კეთილსინდისიერად...

ასე რომ, მწერლობაში არც სარეკომენდაციო ბარათებით შეიძლება მოსვლა, არც ბრმად და ალაღბედზე. ეს მკვეთრად გამოკვეთილი მიდრეკილებისა და მოურეველი სურვილის აღსრულებაა. მწერლობაში მოსვლას თუ აპირებ, საამისოდ ემზადები კიდევ – ჩუმად, ჯიუტად, ხანგრძლივად, წლების განმავლობაში – როგორც რომელიღაც საგანგებო დანიშნულების რაზმის მებრძოლი. უკვე წინასწარ გყავს შერჩეული ნიშანსვეტები, რომლებსაც უტოლდები ან ეჯიბრები. ესე იგი, კითხულობ კიდევ. კითხვა გვამლევს ცოდნას. როცა სიტყვას ვწერთ, გარკვეული, თუნდაც, მხატვრული თვალსაზრისით, ეს მისი შემოსვაცაა, რასაკვირველია, ჩვენი გემოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ხოლო კითხვისას სიტყვა შიშვლდება და იქამდე დამალულ უამრავ საიდუმლოს გვიმხელს უნებურად...

ნოვატორი მხოლოდ იმ ლიტერატურისთვის შეიძლება იყო, რომლითაც აღიზარდე. შენ თუ მხოლოდ ლოტრეამონს, ან მხოლოდ ჯოისს, ან მხოლოდ მილერს კითხულობ, რასაკვირველია, ქართულ ლიტერატურაში თეთრი ვირივით გამოირჩევი, თანაც ცუდი გაგებით. ამიტომ ყველაფერს უნდა კითხულობდე და კითხულობ კიდევ, ხარბად, დიდი ინტერესითაც... ყოველ სიტყვას ლოკავ, როგორც ერთ-ერთ ფილმში მშვიერი ჩარლი ჩაპლინი – ლურსმანს. ოღონდ შენ შიმშილს კი არ იკლავ, იწაფები, ვარჯიშობ, დიდი ბრძოლებისთვის ემზადები... ამიტომაც არც კრიტიკის დაბალმა დონემ უნდა შეგაკრთოს, არც უფროსი თაობის წარმომადგენელთა «უყურადღებობამ». დარწმუნებული იყავი, ისინიც ხარბად და, ამავე დროს, დიდი

იმედით კითხულობენ შენს ნაწარმოებებსაც. მწერლობა მარტოსულთა ხელოვნებაა და, რაც მთავარია, არავინ გვავალდებულებს, არავინ გვაიძულებს მის არჩევას. ვინც ამ გზაზე დგება, ან გიჟია, ან გმირი. გინდაც მარადიულ ომში წასულხარ მოხალისედ და გინდაც კალმისთვის მოგიკიდია ხელი. ქართული მწერლობა, ბუნებისა თუ განგების ნებით, ცის კაბადონზე ერთხელ და სამუდამოდ დავანებული თანავარსკვლავედი კი არ არის, არამედ ცას მომწყდარი და ჩვენს საარსებო სივრცეში უთავბოლოდ მიმოფანტული, ობლად მბრწყინავი ნამსხვრევებია ცალკეული ვარსკვლავებისა, ვარსკვლავების მტვერი, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე აგროვებს თავისი გამოხუნებული ჩოხის კალთაში მინდვრის მხალივით, ანდა ტყის ხილივით, და ამით იკლავს გამწარებული სულის შიმშილს. დიახ, იკლავს, დღესაც! რადგან უკეთესი საკვები სულისა არც დღეს გააჩნია. ტყუილად ნუ მოვიტყუებთ თავს. მაგრამ უარესად რომ არ დავძაბოთ დღევანდელი ჩვენი «ლიტერატურული ატმოსფერო», მხოლოდ ერთ გულისტკივილს გამოვთქვამ კიდევ და თანაც ლიტერატურის ყველაზე უღირს მტერზე, ნიჰილიზმზე, რომელიც, სხვათა შორის, «ლიტერატურულ ატმოსფეროში» უფრო სუფევს, ვიდრე თავად ლიტერატურაში...

ნიჰილიზმი სახიფათო სენია. პირველ რიგში სიცოცხლის ხალისს უკლავს ადამიანს, შიდასივით, რადგან ლიტერატურა თავისი ბუნებით იმუნიტეტის გამაძლიერებელი, იმედის მომცემი, გამამხნეველებელი და ჭირში გვერდით დამდგომი ნათესავია ადამიანისა. თუმცა ლოტრემონის, ჯოისის, კაფკასა თუ მილერის მსოფლიოს, რასაკვირველია, ნიჰილიზმით ვედარ გააკვირვებ. სამაგიეროდ, მე მიკვირს, მე მაღელვებს, რატომ უნდა იყოს დღევანდელი ქართველი მწერალი (ქართველი მწერალი განსაკუთრებული სახეობაა მწერლისა), ასეთი უიმედო, ასე ცინიკურად განწყობილი არამარტო სხვისი, საკუთარი შემოქმედების მიმართაც. ჩვენ ხომ დღეს ერთხელ კიდევ მოგვეცა გადარჩენის შანსი?! ნიჰილიზმი ცხოვრებამოყირქებული ხალხის სენია და არა ჯერ კიდევ გადასარჩენი და გადარჩენისთვის მებრძოლისა. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ყველაფერი პირიქით იქნებოდა: ყველას ყველა გვეყვარებოდა, ყველანი აღტაცებულნი ვიქნებოდით ერთმანეთის ამტანობითა და გამძლეობით, ერთმანეთს მოვბანდით ნაბორკილარ ხორცს, მოვაგროვებდით, შევაკოწიწებდით დრო-ჟამის დაუნდობელი ხელით დაფხრეწილ ჩვენს საერთო სურათს და ისევ ერთმანეთის იმედით, ერთმანეთის წაქეზებით დავიწყებდით დაკარგულის დაბრუნებას, დანგრეულის აღდგენას, დღის სინათლეზე გამოსვლას, რათა, ბოლოს და ბოლოს, ენახა მსოფლიოს ჩვენი ჭეშმარიტი სახე – ასაკისგან დანაოჭებული, დარდისგან დაფარული, ჭრილობებით დასახიჩრებული და მაინც ადამიანობის მაღლით განათებული... უიმედობა მწერლისგან უფრო გასაკვირია ჩემთვის, ვიდრე, ვთქვათ, გლეხისგან, რომელსაც ისიც ვერ შეუგნია, მამაკაპურ საქმიანობაზე ხელის აღება თვითმკვლევლობას რომ ნიშნავს მისთვის, იმიტომ რომ, ცხოვრებისგან დაბნეული, ამინდზე მეტად, განმგებლის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული, ხან ვაზს ახარებს, ხან საზამთრო მოჰყავს ნავენახარზე... მწერალი არ შეიძლება ასეთი ყოყმანა იყოს – არც ლექსი იჭმევა მისი, არც რომანი. მაგრამ მხოლოდ მას შეუძლია დაიცვას, გნებავთ, მხოლოდ მას შეუძლია ემსახუროს იმ აბსტრაქტულ რელიგიას, საიდანაც ადამიანობის მაღლი იბადება. სხვამ რამ უნდა აიძულოს კალმის ხელში აღება, თანაც დღეს, როცა საზამთრო გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მისი ნამოღვაწარი; როცა რუსთაველსაც უბზუებენ ცხვირს «გაამერიკელებული» გუშინდელი საბჭოელი ვიგინდარები...

ასე რომ, ვინც დღეს ქართულ მწერლობაში ნოვატორობის დანერგვას ცდილობს (ნამდვილად ვერ ვხვდები, ვის გულისხმობთ), ღრმად ვარ დარწმუნებული, ძირისძირამდე აქვს წაკითხული, რაც კი ქართულ ენაზე დაწერილა. მე თუ დამიჯერებს, სწორადაც იქცევა. ნოვატორობა, კარგი გაგებით, ტრადიციის გაგრძელებაა. თუ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს არ ეწყ-



ინებათ (მე პირადად არ ვთვლი საწყენად, თორემ, არც ვიტყვოდი), მათ ნაწერებს სწორედ მშობლიური ლიტერატურის გავლენა ეტყობა უფრო მკვეთრად, ვიდრე მათთვის ალბათ უფრო სასურველი უცხოურისა. ერთადერთი უცხოელი მწერალი, რომელიც ამკარად ცხოველ-მყოფელ გავლენას ახდენს მათზე, ჯოისია, ყიასაშვილის მიერ გაქართველებული და, ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, ისიც მშობლიური. მთელი ჩემი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო – რასაკვირველია, როგორც მთარგმნელობითი ოსტატობის მრავალი თვალსაჩინო მაგალითის, ისევე ელემენტარული ჩავარდნის გათვალისწინებით – რომ ნიკო ყიასაშვილმა შექმნა განსაკუთრებული, ანუ, უაღრესად ქართული ჯოისი, როგორც თავის დროზე, მაჩაბელმა – ქართველი შექსპირი. ჯოისი ჩვენმა ახალგაზრდობამ მშობლიურივით აიტაცა. მაგრამ ესეც დროის ფაქტორია, ასაკის თვისება. ჩვენს თაობაზე, მაგალითად, არანორმალურ გავლენას ახდენდა ჰემინგუეი. იმდენად მოქმედებდა არათუ ჩვენს ფსიქიკაზე, არამედ ცხოვრების წესზეც, ბევრი ჩვენგანი ყველანაირად ცდილობდა, ერთდროულად დამსგავსებოდა როგორც თავად ჰემინგუეის, ისევე მისი ნაწარმოების გმირს. გარკვეულ ასაკში ყველანაირი გავლენა მხოლოდ სასარგებლოა. მთავარია, სამუდამოდ არ დავრჩეთ გავლენის ტყვეობაში. ახალგაზრდებს (მით უფრო – მწერლებს!) საერთოდ ახასიათებთ განსაკუთრებული ლტოლვა უცნაურისკენ, უჩვეულოსკენ... ამავე დროს ბევრი რამ მხოლოდ მათთვის არის უცნაურიცა და უჩვეულოც მათივე ახალგაზრდობის გამო. თუმცა ამგვარი მისწრაფება მარადიული, აუცილებელი განახლებითაა განპირობებული და არც დასაძრახია, არც სახიფათო. საყმაწვილო სენივითაა, რომლის მოხდა, კაცმა რომ თქვას, აუცილებელიცაა. ჯოისი, რა თქმა უნდა, სიტყვის ჯადოქარია, მაგრამ მისი ყველა მხატვრული ილეთი, მისი მეტაფორების ფორვერკი დიდი ლიტერატურული ტრადიციების გამოსავლენად, გასანათებლადაა გამიზნული და არა პირიქით. პირიქით, უბრალოდ, არ შეიძლება. ვიდრე ადამიანი იარსებებს, ყოველთვის საჭირო იქნება მისთვის ვარდზე მკვნესავი ბუღბუღი... ჩვენი ახალგაზრდა მწერლები, ჯერჯერობით, დაბნეულები არიან და მათი დაბნეულობა სრულებითაც არ არის უსაფუძვლო. უდიდესი გარდატეხების წინაშე ვდგავართ ყველანი (სხვათა შორის, დღეს გაირკვევა, ვართ თუ არა ამქვეყნად არსებობის ღირსნი – ახლა მაინც ვიბრძოლებთ თავისუფლებისთვის, თუ მონობით მოპოვებულ კეთილდღეობას დავჯერდებით ისევ). მთავარია, საერთოდ არ გადავეჩვიოთ მშობლიურ ენაზე ფიქრსა და ოცნებას. ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც დღეს ქართულად წერს (არიან სხვა ენებზე ხელის გაწაფვის მსურველნიც), თვალის ჩინივითაა გასაფრთხილებელი. წერონ, გაიწაფონ ხელი და თვალის თვისებად აეხილებათ, დროთა განმავლობაში, აუცილებლად. როგორც უკვე ვთქვით, ბევრი რამ ასაკობრივია მათ შემოქმედებაში, ბევრი ძველთან დაპირისპირების მარადიული ჟინითაა აღძრული, რასაც ჩვენი საერთო გაურკვევლობის ბურუსიც ემატება. ჩვენ ხომ ჯერ ისიც არ ვიცით წესიერად, რას უნდა დავუპირისპირდეთ მართლა და რას უნდა დავუჭიროთ მხარი. დები იმხნელები ძველი გვგონია, პავლიაშვილი ახალი. მაგრამ ამაშიც უფროსები უფრო ვართ დამნაშავენი. ეტყობა, რასაც ვამბობთ, მთლად გასაგებად ვერ ვამბობთ, ანდა იმას არ ვამბობთ, რისი მოსმენაც ჩვენგან უნდათ. პირველ შემთხვევაში შემიძლია არამარტო გავუგო, არამედ რაღაც-რაღაცებში დავეთანხმო კიდევ ახალგაზრდებს, რაც სავსებით გამორიცხულია მეორე შემთხვევაში. პირიქით, ვიდრე ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ბედი არ გარკვეულა, ვიდრე ჩვენს არსებობას არ აღიარებს და არ შეეგუება დანარჩენი მსოფლიო, მცოვანმაც და ახალგაზრდამაც ჯიუტად და უსასრულოდ უნდა იმეოროს წინაპართა დანაბარები – ლექსადაც და პროზადაც...

მაგრამ რასაც ახლა ვლაპარაკობ, უმალ იმედის მომცემია, ვიდრე საგანგაშო. საგანგაშოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე. უბრალოდ, ვისურვებდი უფრო მეტი ყოფილიყოს დებიუტან-

ტთა ნოვატორული ცდები. ბევრი მწერალი არც გუშინ გვყოლია, არც დღეს გვყავს და ალბათ არც ხვალ გვეყოლება. ამიტომ, როგორც ყველა სხვა საქმეში, მწერლობაშიც მეტი მოგვეთხოვება. უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ შრომას, განუწყვეტელი წვრთნისა და თვითგანათლების პროცესს. თავშეკავება და მოთმინება უაღრესად საჭირო თვისებებია მწერლისთვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთი მოთხოვნილობით ამოწუროს ახალგაზრდა მწერალმა მთელი თავისი შესაძლებლობები...

ქართულ მწერლობაში თვალნათლივ იკლო ბედის მაძიებელთა რიცხვმა. ვერ ვიტყვი, რისი მაუწყებელია ეს, მაგრამ ნამდვილად ცუდია მათ მაგივრად შურის მაძიებელთა მომრავლება. ბედის მაძიებელი შურის მაძიებელმა შეცვალა და ესეც, რასაკვირველია, დრომ განაპირობა. და მაინც, გულსაკლავი სანახაობაა, როცა ახალგაზრდა კაცი ცხოვრების კიბეზე ამალვებს მშობლიური ლიტერატურის დაკნინებით ცდილობს. ამის ახსნა ორნაირად შეიძლება: «შურისმაძიებელთა» უნიჭობით, რომელსაც ნამდვილად არ გააჩნია ალტერნატივა, და ლიტერატურის, როგორც ხელოვნების დარგის, თანამიმდევრული იგნორირებით, არამარტო ჩვენში, საერთოდ, და, თავისთავად ცხადია, თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მაგრამ თანამედროვეობა ხვალ წარსულად იქცევა, ჩვენი ახალგაზრდა დებიუტანტები კი, უკვე თავად შეებმებიან ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვან უღელში... სიყმაწვილე გაივლის, ვნებები დაცხრება, ილუზიები გაქრება და დარჩება საქმე, საქმე და მოვალეობა. მწერლის მშობლიური სახლი რეალობაა. ხოლო სხვა, ათასნაირი ლიტერატურულ-ფილოსოფიურ-ზნეობრივი მიმდინარეობები წარმოდგენილი, ანდა სულაც ზღაპრული, დასიზმრებული ქვეყნებია, სადაც მწერლობის უძღვები შვილები გარბიან, მაგრამ მათ შორის უკეთესნი გარკვეული დროის შემდეგ, ანუ უაზრო და უშედეგო წაწალების შემდეგ, ისევ მშობლიურ სახლს უბრუნდებიან. ასე რომ, პირადად ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა გზით მოხდება «ქართული ლიტერატურის თვითგანახლება» – «ნეოავანგარდისტულ-მოდერნისტულ ბურუსში გაიკვლევს გზას, თუ კვლავ კლასიკის წიაღში ეცდება ორიენტირების მოძებნას». ისე, მე რომ მკითხოთ, ცოტა უხერხულიცაა ასეთი მაღალფარდოვანი ლაპარაკი ნოვატორობაზე, მოდერნიზმზე და, მით უფრო, კლასიკაზე, როცა აზრი ვერ გამოვითქვამს გასაგებად, წერილი ვერ მიგვიწერია ახლობლისთვის, საჩივარი ვერ შეგვიტანია სასამართლოში, სიყვარული ვერ აგვიხსნია გოგოსთვის, დედა ვერ შეგვიგინებია მტრისთვის ჩვენს მშობლიურ ენაზე. ეტყობა, გვიჭირს, ვერ ვეგუებით ერთი ენით ცხოვრებას, გვეცოტავება, რაკი თავიდანვე ორენოვნებას მიგვაჩვია ჩვენმა გულდრძო წარსულმა. კონსტიტუციაში კი ჩავწერეთ (ჩაწერილი ადრეც გვქონდა, ფიქციურ კონსტიტუციაშიც), მაგრამ ცხოვრებაში ვერ იქნა და ვერ მივანიჭეთ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი. ჩვენს თვალწინ და, რასაკვირველია, ჩვენი ხელის შეწყობითაც, ყოველ წამს იბადებიან ახალ-ახალი ფონეტიკური თუ სინტაქსური ურჩხულები და დაუნდობლად თქვლევენ და აჩანაგებენ ჩვენს ერთადერთ იარაღს, დამფრთხალი მოყვასის გასამხნეველსაც და თავგასული მტრის მოსაგერიებელსაც. ძნელი სათქმელია, ტელევიზია უფრო ლმობიერია ამ სამარცხვინო მოვლენის მიმართ თუ პრესა. ამის ბრალიცაა ჟარგონებისა და კილოკავების ამგვარი აღზევება, რაც, ცოტა არ იყოს, სახიფათო ცდუნებაა მწერლებისთვის. სხვებზე ცოტა ჭკვიანი და სხვებზე არანაკლებ ნიჭიერი მწერალი, შეიძლება, ერთბაშად იქცეს «მოდურ მწერლად», რამდენადაც ჟარგონი და კილოკავი, ასე ვთქვათ, ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი სიამოვნებაა. ჩვენი კრიტიკოსები ნებისმიერი თვალსაზრისით არჩევენ ხოლმე ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს, მაგრამ არასოდეს არ არჩევენ (ყოველ შემთხვევაში, მე არ მინახავს), წმინდა მხატვრული და წმინდა ენობრივი თვალსაზრისით. ვაჟა-ფშაველას მერე არც გამიგია, ენა დაეწუნებინოთ ვინმესთვის. არადა, ელემენტარული ენობრივი ლაფსუსის (ვთქვათ, «ბოდიშით», ანდა, «გაყიდვაში-

ა) დამკვიდრება, გაცილებით დიდი ბოროტებაა, ვიდრე ბილწსიტყვაობა. რაღა თქმა უნდა, ბილწსიტყვაობა არც თვითმიზნად უნდა იქცეს და არც ნაწარმოების მთავარ სამკაულად. გარკვეული დოზით შეიძლება აუცილებელიც აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ყველა ის მწერალი, რომლებსაც მე პატივს ვცემ, განსაკუთრებული სიმორცხვით არ გამოირჩევა ამ საქმეში. ნაწარმოების გაკრიტიკება მხოლოდ ბილწსიტყვაობის გამო შეიძლება ისევ ლიტერატურისთვის აღმოჩნდეს საზიანო, მით უფრო დღეს, როცა ასე საბედისწეროდაა დაცემული როგორც კულტურის, ისევე განათლების საერთო დონე. ადვილი მოსალოდნელია, ჩვენდა უნებურად, იმის პოპულარიზაცია გამოგვივიდეს, რასაც ვითომ ვგმობთ. დღევანდელი «წიგნის მომხმარებელი» ხომ ძირითადად იმიტომ ფურცლავს წიგნს, იქნებ რამე უხამსობას გადავაწყდეთ. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ (ოღონდ სხვა ეპოქაში) ერთი სამედიცინო წიგნი, რომელიც სრულებითაც არ იყო განკუთვნილი ფართო მასებისათვის და საკმაოდ ძვირიც ღირდა, გამოსვლისთანავე სანთლით საძებარი გახდა მხოლოდ იმიტომ, ხალხური სახელით რომ იყო იქ მოხსენიებული მამაკაცის სასქესო ორგანო. ლიტერატურა ერთი კაცისთვის იწერება, ოღონდ იმ იმედით, სხვებიც რომ წაიკითხავენ როდისმე. ხოლო რაც ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი თავიდანვე, ვერასოდეს დააკმაყოფილებს ერთი კაცის გემოვნებასა და მოთხოვნილებას. ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ლიტერატურა თვითგანახლების გზას, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ, გნებავთ, მსგავსად ნებისმიერი სხვა ლიტერატურისა, ახლაც ნეოვანგარდისტულ-მოდერნისტულ ბურჟუაზიაში დაუწყებს ძებნას, მაგრამ ბოლოს ისევ კლასიკის წიაღში მიაგნებს...

1999

## **ღრუბელი**

(საუბარი ქეთევან სადღობელაშვილთან)

– როგორია თქვენი სამყარო, გზა, რომელზეც ამდენი ხანია მიდიხართ, ვინ არიან ისინი, ვინც თქვენს სამყაროში შემოდინან და თავიანთ სამყაროს ქმნიან, თუ, როგორც ამბობთ: «მწერალი ალაღბედზე დაედებს იმას, რისი სახელიც წესიერად თვითონაც არ იცის და ვიდრე იპოვიდეს, დაახლოებითაც კი ვერ წარმოიდგენს, როგორ გამოიყურება მიზეზი და მიზანი მისი უგზო-უკვლოდ ხეტიალისა არსაიდან არსაით მიმავალ გზაზე».

– ხაფანგში მოხვედრილი ცხოველების უმრავლესობას დამბლა ეცემა და, თუ მაშინვე არ მოკვდა, დადამბლავებული მორჩილად ელოდება აღსასრულს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ბოლომდე იბრძვიან ხაფანგიდან თავის დასაღწევად და, ეტყობა, მეც ამგვარ უმცირესობას ვეკუთვნი – თქვენს «ხაფანგში» კი მოვხვდი, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ დავყრი და შევეცდები ყველაფერზე გიპასუხოთ, ანუ ბოლომდე დავიცვა თავი, რამდენადაც ნებისმიერი შეკითხვა, გარკვეული თვალსაზრისით, ბრალდებაცაა და სულერთია, რა გედება ბრალად: გზა, რომელზედაც ამდენი ხანია მიდიხარ, თუ თვითონვე რომ არ იცი წინასწარ, რას იპოვი ამ გზაზე.

დავიწყით იმით, რომ საკუთარი სამყაროს შექმნა ყველა მწერლის მიზანია. უფრო მეტიც, ამაზე ოცნებობს მხოლოდ და ნურავინ მოისულელებს თავს, მსგავსიც არაფერი მიფიქრიაო.

მაგრამ როგორც არ უნდა მოინდომოს, ვერც ერთი მწერალი ვერ აღწერს, როგორია მის მიერ შექმნილი სამყარო. მწერლის მოვალეობა შექმნა და არა შექმნილის აღწერა. მე თუ მკითხავთ, ეს უფრო თქვენი პრეროგატივაა. მაგალითად, პირადად მე ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოიყურება თქვენს თვალში ჩემი სამყარო. მე ვქმნი, თქვენ ამჩნევთ, ან ვერ ამჩნევთ. მაგრამ ამჩნევთ თუ ვერ ამჩნევთ, მწერალი თავისი მიზნისა და ოცნების ერთგული რჩება მაინც და ჯიუტად ცდილობს სილის ბორცვზე სასახლის აშენებას, ანუ, როგორც თქვენ ამბობთ, საკუთარი სამყაროს შექმნას. მისთვის ერთადერთი «სამშენებლო მასალა» სიტყვაა. სიტყვა კი ყველაზე ძნელი მოსაპოვებელი მადანია, ძნელად დასამუშავებელი და ნაკლებად სანდო – წარამარა იცვლის არამარტო გარეგნობასა და ფერს, არამედ აზრსაც და მნიშვნელობასაც. ასევე ცვალებადი ბუნებისაა ყველაფერი, რაც სიტყვის მეშვეობით შენდება... ასე რომ, მწერალს იქამდე ეკუთვნის საკუთარი ნაშიერი (რასაკვირველია, წიგნი მაქვს მხედველობაში), ვიდრე «გააჩენდეს». მერე ველარაფერს გააწყობს მასთან...

– როგორც გავიგე, რაც წიგნშია გადასული, თქვენი უკვე აღარ არის, მაგრამ თავსაც არ გახსენებთ?

– როგორ არა, მახსენებს და ძალიან ხშირადაც. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გაინტერესებს, რა გავლენას ახდენს სხვებზე შენი სისხლი და ხორცი, ანდა სხვებს როგორი დამოკიდებულება აქვს მასთან: აგინებენ თუ პატრონობენ, წყევლიან თუ ითმენენ... თუმცა, როგორც ზემოთაც ვთქვი, შენი აღარ არის, იმ სხვებს უფრო ეკუთვნის, ვიდრე შენ. ხანდახან, იმდენად გეუცხოება, ძნელი დასაჯერებელია, რამე თუ გაკავშირებს იმასთან. მოკლედ, ისიც გარესამყაროსავითაა, რომელიც გაჩენის დღიდან ნაცნობია შენთვის, მაგრამ თუკი ერთ დღეს უიმი-სოდ ვერც კი წარმოგიდგენია ცხოვრება, მეორე დღეს გეხამუშება, გაწუხებს, გთრგუნავს რაღაცნაირად. სინამდვილეში, შენი გუნება-განწყობილება იცვლება გარესამყაროს მიმართ და არა თავად გარესამყარო, რომელიც მარადიულია და რომლის ნებისმიერი ცვლილება გაცილებით სერიოზული და სახიფათო მოვლენაა. ხოლო ადამიანის გუნება-განწყობილების შეცვლა არათუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიც. რაც უფრო ხშირად გეცვლება გუნება-განწყობილება, მით უფრო ძლიერია შენი კავშირი გარესამყაროსთან და მით უფრო ძნელია მისგან თავის დაღწევა. დაახლოებით ასეთივე ურთიერთობა აქვს მწერალს მის მიერ შექმნილ სამყაროსთანაც. იმ სამყაროსაც აქვს გარკვეული რელიეფი, იქაც არის მდინარე, ქედი, ხეები; იქაც არის გზა, გზები, რომლებიც, ღმერთმა იცის, საით მიდიან... მაგრამ მწერლის დამოკიდებულება კი არა, მწერლის გუნება-განწყობილება იცვლება განუწყვეტლივ და ერთ დღეს თუ აღტაცებულია თავის მიერ შექმნილი გარემოთი, მეორე დღეს იმდენად ეუცხოება იქაურობა, შეიძლება თავბედი აწყევლინოს საკუთარმა ნამოღვაწარმა. ძნელი სათქმელია, რატომ ხდება ასე და ვერც ვერავინ ამოხსნის ერთხელ და სამუდამოდ ამ საიდუმლოს. ხოლო თქვენ თუ მართლა გჯერათ, მეც რომ შევქმენი რაღაც, საკუთარი სამყაროს მაგვარი რამ, რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ, მაგრამ ის სამყარო უკვე ჩემს გარეთ და უჩემოდ არსებობს...

– მაგრამ ყოველი ახალი მკითხველისთვის ის ხომ მუდმივად ახალია?

– რაკი ასე ჯიუტობთ, გავკადნიერდები და იმასაც ვიტყვი, რომ არამარტო ახალია, არამედ მრავალფეროვანიც, რადგან არ შეიძლება, ერთსა და იმავე საგანს, პეიზაჟს, მოვლენას – ყველა ერთნაირად ხედავდეს. რაც უფრო ცოცხალია სამყარო, მით უფრო მრავალფეროვანია და მით უფრო არ ჰგავს თავის თავს დროსა და სივრცეში გადაადგილებული. ღრუბლისა არ იყოს, ერთი წუთის მერე, ყველაზე ძალიან სწორედ თავის თავს არ ჰგავს, მაგრამ როგორი სახეც არ უნდა მიიღოს, მაინც ღრუბლად დარჩება ყველასთვის. ასევეა მწერლის შექმნილი სამ-

ყაროც – ზოგისთვის აქლემს ჰგავს, ზოგისთვის ზღაპრულ ციხესიმაგრეს, მაგრამ, რაც მთავარია, არსებობს...

– როგორი დამოკიდებულება გაქვთ წინა, ანუ ძველ ნაწარმოებთან, მაშინ, როცა უკვე მეორეს, ახალს წერთ?

– როცა ახალს წერ, ძველის გაგონებაც არ გინდა. რატომღაც – ესეც დიდი საიდუმლოებაა ჩემთვის – ღრმად ხარ დარწმუნებული, სწორედ ახლა აკეთებ იმას, რისი გაკეთებაც ყოველთვის გინდოდა. ამის განცდა სასიამოვნოდ გაბრუნებს წერის პროცესში, მაგრამ წერის დამთავრებისთანავე გული გიტყდება და ეჭვი გიპყრობს, ანუ დარწმუნებული ხარ, ეს რომ შენი ყველაზე დიდი მარცხია და ბევრად აჯობებდა, თუკი საერთოდ შეიკავებდი თავს ამგვარი სისულელისგან. ეს ჩემი პირადი გამოცდილებაა და ადვილი შესაძლებელია, არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ ჰქონდეს სხვებისთვის. მაგრამ თუკი შენმა ნაშეიქმნა თავის მხრივ ეჭვი და შიში არ გაგიჩინა, ჩათვალე რომ ამოდ დაძვრალხარ. იგივე ტექსტი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ საკუთარი მწერლური შესაძლებლობების მწვერვალად გეჩვენებოდა, დღეს არათუ მოგწონს, დასანახად გეჯავრება. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ მხოლოდ ასე, გუნება-განწყობის, ანუ შიშისა და ეჭვის მონაცვლეობით შეგიძლია გაარკვიო, სინამდვილეშიც თუ შეიქმნა რამე, რამე კი არა – ღრუბელი. ღრუბელი თუ შეიქმნა, უკვე სულერთია, როგორ გამოიყურება ის, ნელა იცვლება თუ სწრაფად, საავდროა თუ კარგი ამინდის მაუწყებელი. ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, იყოს, რადგან ღრუბლის შექმნა ყველაზე ძნელი და თუ მაინც შექმენი, ესე იგი, ტყუილად არ გიტანჯია – როდისმე, არამარტო შენ, სხვაც დაინახავს იმ ღრუბელს... სხვათა შორის, მკითხველზე ფიქრიც მაშინ იწყება, როცა ღრუბელი უკვე არსებობს და ახალი შიშით ხარ შეპყრობილი: ვაითუ, სხვამ ვერ დაინახოსო...

– მაინც გაქვთ შიში? არ მითხრათ, რომ არ იცით საკუთარი თავის ფასი...

– ნამდვილად არ მიყვარს და არც მომწონს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ზედმეტი თავმდაბლობა რომ არ დამწამოთ, დაგასწრებთ და გეტყვით: რაც უფრო კარგად გესმის შენი ნაშეიქმნის ფასი, მით უფრო საშიშია მკითხველი. ხოლო თუ არ გესმის, რას აკეთებ, მაშინ არც არაფრის გეშინია... მეც, რასაკვირველია, მკითხველისთვის ვქმნი და ეს არამარტო მსიამოვნებს, არამედ აუცილებელი საქმიანობაცაა ჩემთვის. დიდი სურვილი მაქვს, თქვენც იცოდეთ, რაც უთქვენოდ შევიტყვე. ვცდილობ, როგორმე მოგაწვდინოთ ხმა, გაგაგებინოთ, რაც, შესაძლებელია, თქვენთვისაც მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდეს, სანუგეშო ან საგანგაშო, თუნდაც, ანგარიშგასაწევი. ასევე შესაძლებელია, ბევრი რამ მეშლებოდეს, საერთოდ არასწორი წარმოდგენა მქონდეს ჩემს ნამოღვაწარზე, მაგრამ რასაც ვაკეთებ, იმის მაქსიმუმია, რაც ბუნებისგან არის ჩემში ჩადებული. ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, მწერლის დამსახურება ცოტაა, თუმცა, ეს «ცოტა» დიდ სულიერ, გონებრივ და ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. დიდი შრომა და ენერჯია სჭირდება ცარიელი ფურცლის შევსებას. მხატვრულად რომ ვთქვათ, მწერალს ყველაფერი ესიზმრება და მისი ვალია, დასიზმრებულის გადატანა ფურცელზე. უკეთესი მწერალი ის არის, ვინც მეტს იმახსოვრებს და დამახსოვრებული ზუსტად გადააქვს. პირადად ჩემთვის დიდი სიმართლე დევს ამ მხატვრულ ხუმრობაში. როცა ვწერ, სულ სხვა ადამიანი ვარ...

– შეურაცხადი?

– ზუსტად არ ვიცი, როგორი, მაგრამ აშკარად განსხვავებული იმისგან, როგორიც ახლა ვარ. სხვას რომ თავი გავანებოთ, მაშინ უკეთესად ვწერ. ახლა რომ მითხრათ, შეიძლება დეპე-

შის ტექსტიც ვერ შევადგინო. ვისვენებ და იმიტომ. წერა განუწყვეტელი ვარჯიშია. სპორტსმენისა არ იყოს, მწერლის დღეც მოთელვით იწყება...

– რას გულისხმობთ «მოთელვაში?»

– ნებისმიერ სისულელეს. ყველაფერი უნდა წერო, რაც ენაზე მოგადგება. მაგალითად: გავიხედე სარკმელში და მდინარე ვერე აღიდებულა... თუ სიტყვა თავიდანვე არ დაიმორჩილე, ვერც აზრს გამოათქმევინებ და, მითუმეტეს, ვერც გრძნობას...

– და როცა არ გემორჩილებათ, თავს ანებებთ? უკეთესი დროისთვის გადადებთ სამუშაოს?

– შეურაცხადი შეიძლება იყო, რადგან შეურაცხადობა მწერლობაში ძალიან პირობითი ცნებაა, მაგრამ არაფრით არ შეიძლება, მწერალმა ხელი აიღოს სიტყვასთან ჭიდილზე. უსასრულოდ უნდა იწვალო, ვიდრე არ დაიმორჩილებ. ერთი და იმავე ფრაზის ყველა შესაძლებელი ვარიანტი უნდა ეძებო უსასრულოდ...

– რომელსაც მერე ანადგურებთ?

– რასაკვირველია. თუ მიაღწიე და საუკეთესო ვარიანტი შექმენი, დანარჩენი რაღა საჭიროა?! ლიტმცოდნეობისთვის, ამ თვალსაზრისით, შეიძლება მართლა საინტერესო აღმოჩნდეს ზოგიერთი მწერლის არქივი, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, წიგნში ყოველთვის საუკეთესო ვარიანტი ხვდება...

– გშურთ ევროპელი მწერლების, რომლებიც კომპიუტერთა და მზა მასალით სარგებლობენ?

– კომპიუტერთან არავითარი ურთიერთობა არა მაქვს, არ ვიცი, როგორ მოვიხმარო და როგორ შეიძლება მშურდეს იმისა, რისი მოხმარებაც არ შემიძლია. ისე, რომ იცოდეთ, ჩვენი მწერლებიც სარგებლობენ კომპიუტერთ. მაგრამ პირადად მე, სწორად არ მიმაჩნია ტრადიციული ხელობების კომპიუტერიზაცია. ამით ერთნაირად უფერულდება როგორც არსი ხელობისა, ისევე მისი გარეგნული მომხიბვლელობა...

– ფურცელი და კალამი უკვე ერთგვარი სტიმულია?

– დიახ. მართალია ტექნიკურ რევოლუციას მასშტაბები არა აქვს, მაგრამ სულს არ უნდა შეეხოს არავითარ შემთხვევაში. მანქანამ ცხენი გააქრო, ცხენის გაქრობამ ათასგვარ იდუმალ ფიქრთა და უცნაურ ჩვენებათა აღმძვრელ სამჭედლოებს გამოუყვანა წირვა. არადა, ადამიანმა ცხენით გამოაღწია წარსულიდან. ვიდრე ცხენზე იჯდა, გაცილებით მხნეც იყო და ჯანმრთელიც. არც დროს ეპუებოდა და არც სივრცეს; არც მგელსა და არც ავაზაკს; გზისპირა თხრილშიც შეეძლო ღამის გათევა და ფუნდუკის ბაღლინჯოებიან საწოლშიც... რადგან ჯერ კიდევ ბუნების შვილი იყო და არა ბუნების ბატონ-პატრონი. რაც მთავარია, თავისი ამქვეყნიური გზის უდიდესი ნაწილი ცხენზე ამხედრებულმა გამოიარა და უკვე დაბერებულ-დაუძღვრებული გადაჯდა სწრაფმავალ ექსპრესსა თუ საჰაერო ლაინერში, რაც, მე რომ მკითხოთ, იგივე სახეიბრო სავარძელია და მეტი არაფერი. მართალია, ცოტა გადავუხვიეთ თემიდან, მაგრამ ამდენი იმიტომ ვილაპარაკე ცხენსა და სამჭედლოზე, ჯერ კიდევ რომ არსებობს ისეთი ტრადიციული ხელობა, როგორც, ვთქვათ, მწერლობაა, და თავისი არსებობით, უპირველეს ყოვლისა, იმაში გვარწმუნებს, კიდევ რომ შეიძლება გვჯეროდეს სასწაულისა, ანუ, ერთხელ კიდევ განვიკურნოთ და კვლავ განვეწყოთ საცხოვრებლად; თუ ვერ დავიბრუნებთ, გავიხსენოთ მაინც, ფურცელი და კალამი, გრდემლი და საბერველი... ბუნება არ დაუშვებს, ასე სამარცხვინოდ გადაშენდეს ადამიანი. ჩვენი დღევანდელი აღვირახსნილი ცხოვრე-

ბა მხოლოდ და მხოლოდ ზოგადად ადამიანის დაკნინებისა და დაუძღურების გამოხატულებაა. თუმცა ტრადიციული ხელობებიდან მწერლობა ალბათ ყველაზე არაპრაქტიკულია...

– და ალბათ ერთგვარი ბედისწერაც...

– მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ამ სისულელეს შევალე, მაგრამ არ ვნანობ...

– სისულელეს რატომ?

– როცა ქვეყანაში, თუნდაც არასერიოზულად იკითხავენ, გვჭირდება თუ არა მწერლობაო, არათუ მწერლობა, ყველაფერი სისულელეა.

– ეგ იმის პრობლემაა, ვინც ასე ფიქრობს მწერლობაზე.

– არა, ეს რომ მხოლოდ «ვიდაცის» პრობლემა იყოს, ჩვენ არც გვეცოდინებოდა, რადგან ვერც ის გაბედავდა გამომჟღავნებას, არავინ მოუწონებდა, პირიქით, ერთნაირად შერისხავდა ყველა: საზოგადოებაც, მასმედიაც, პარლამენტიც, პრეზიდენტიც...

– გამოდის, რომ ეს ერის პრობლემაა.

– მართალს ბრძანებთ... ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემა, როგორც გვიყვარს ხოლმე თქმა, სრულიად საქართველოსთვის. თუ საქართველოში შევქმნით (ჯერჯერობით ვქმნით) იმ განწყობილებას, რომ მწერლობა საჭირო არ არის, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აღარც მეთერთმეტე არმია იქნება საჭირო და აღარც ეკონომიკური ბლოკადები, საქართველო თავისთავად იქცევა ხელმისაწვდომ და იოლად ასათვისებელ ტერიტორიად. აქამდე იმიტომაც ვერ «უბედავენ» ოფიციალურად დაპყრობას, ასეთი დიდი ლიტერატურული ტრადიციები რომ გააჩნია. სამწუხაროდ, დამპყრობელმა უკეთ იცის ჩვენი ქვეყნისა, ვიდრე ჩვენ, ქართველებმა. იმან ისიც ზუსტად იცის, თუ სად დევს ჩვენი მთავარი სული...

– დევსა თუ ირმის მუცელში?

– ჩვენ არ ვიცით. რომ ვიცოდეთ, არ დავმაღავდით, პირველ რიგში, სწორედ მტერს ჩავუკაკლავდით. რასაკვირველია, საზოგადოება მყავს მხედველობაში და არა ხალხი. ჩვენს ხალხზე საყვედური ნამდვილად არ ითქმის. რაც შეუძლია, ითმენს. არავისზე ნაკლები ხალხი არ არის. უკეთესი კი, შეიძლება იყოს, თუნდაც იმიტომ, მის დღეში, არათუ საუკუნეების მანძილზე, რამდენიმე წელსაც ვერ გაძლებდა ნებისმიერი, დღეს აღზევებული და დაფასებული ხალხი. ძალიან მეექვსეა, სამ მილიონ ინგლისელს, გერმანელსა თუ ფრანგს შეენარჩუნებინათ თავისთავადობა ამ გარემოში. მე ჩამოვთვალე ყველაზე ჯიუტი და ძლიერი ხალხები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი მათგანი თუ ბოლომდე არ გათურქდებოდა, ბოლო-ბოლო, გარუსდებოდა მაინც. ამას მათ დასაკნინებლად კი არ ვამბობ, ქართული ეთნოსის სიძლიერეს აღვნიშნავ მხოლოდ. ჩვენ ძნელად ამოსაძირკვი ხალხი ვართ (ამას ადასტურებს მთელი ჩვენი ისტორია), ხოლო ცოტა გონებაც რომ მოეცა ჩვენთვის ღმერთს, მართლა ვერავინ მოგვერეოდა. რაც მართალია მართალია, უგუნურები ვართ. აკაკი წერეთელმა კი დაგვისვა სწორი დიაგნოზი – ზეზეურად გვიძინავს და მტერი მოყვარე გვგონია – გაგვაფრთხილა კიდევ – ნუ გჯერა გაიძვერა მოყვრისაო – მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, უმაღლეს მტერს დავუჯერეთ, ვიდრე პოეტს. თუმცა მაშინ, დღევანდელთან შედარებით, კიდევ შეიძლებოდა ჩვენი გამართლება – ჯერ მხოლოდ ვიღვიძებდით და ჯერ მხოლოდ ვოცნებობდით თავისუფლებაზე. დღეს კი, ავად თუ კარგად გამოღვიძებულნი და განთავისუფლებულნი, ჩვენივე ნებით ვაპირებთ მონობაში შებრუნებას. მავანთ და მავანთ ქვეყნის ხსნად ისევ რუსეთის ფრთის ქვეშ დაბრუნება მიაჩნიათ და კი არ მალავენ ამას, ჩვენც აქეთვე მოგვიწოდებენ საჯაროდ.

საზოგადოება კი დუმს, ისევე როგორ მასმედია, როგორც პარლამენტი და როგორც პრეზიდენტის კანცელარია...

– შეჩვეულია რუსს და რუსული ჩექმის ნოსტალგია აწუხებს...

– არც უამისობაა. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო – ქართველის ნათქვამია. შეჩვეულს ნუ გადააჩვევ და შეუჩვეველს ნუ შეაჩვევო – ესეც ჩვენი ისტორიული გამოცდილებაა. თავის დროზე ასევე გვიჭირდა ალბათ სპარსული სამყაროსგან მოწყვეტა, მაგრამ თუ არ მოწყდო იმას, რაც გღუპავს, რაც შთანთქმას გიპირებს, დაღუპული ხარ და შეიძლება ახიც იყოს, რადგან იმის მაგივრად, რამე იღონო, კვლავაც გულუბრყვილოდ გჯერა, ვთქვათ, მართლა რომ არსებობს რუსულ-ქართული სახელმწიფოებრივი მეგობრობა, თანაც საუკუნოვანი. მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ხუთი წუთიც არ ყოფილა მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ კონკრეტული ქართველისა და კონკრეტული რუსის პირადულ ან კოლეგიალურ ურთიერთობას. ბოლოს და ბოლოს, ალაზასა და ზვიადურის შემქმნელი ხალხი ვართ და სხვაგანაც მრავლად მოიძებნება ამგვარი პიროვნული კეთილშობილების მაგალითები, არამარტო ლიტერატურაში, არამედ ცხოვრებაშიც. მაგრამ პიროვნების სულისკვეთება ერთია, სახელმწიფოს ინტერესი – მეორე. მეორე კი არა, მთავარი! დიახ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთი არ შეიძლება საქართველოს მეგობარი იყოს. მას შემდეგ, რაც საქართველო უნებლიე დაბრკოლება აღმოჩნდა სამხრეთისკენ დაძრული რუსეთისთვის, თავისთავად გადაწყდა ჩვენი ურთიერთობის სახეობაც: ჩავყვებით თუ ჩავგვითრევს, დავუჩოქებთ თუ დავგაჩოქებთ, ორივე შემთხვევაში მაინც ერთნაირად უნდა მოგვსპოს, რათა თავად აღორძინდეს, კიდევ უფრო განავრცოს საზღვრები და თუნდაც ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს საწაღელს. რაც მთავარია, იმდენად სჯერა სამართლიანობა საკუთარი მიზნისა თუ სურვილისა, ვეღარ ამჩნევს, დრო რომ იცვლება. მართალია ნელა, მაგრამ იცვლება ფსიქიკაც და დღეს აღარავინ დააპყრობინებს რუსეთს კონსტანტინეპოლს, რაც არ უნდა «ქრისტიანული» იყოს მისი მისია. მაგრამ ის მაინც ჯიუტად აგრძელებს თავისას, ანუ, ჯიუტად ცდილობს ჩვენს ადგვას პირისაგან მიწისა და ჩვენც მლიქვნელური ღიმილითა და კუდის ქიცინით ველოდებით, როდის გადაგვსანსლავს ერთხელ და სამუდამოდ...

– მოდით, პოლიტიკიდან ისევ მწერლობას დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ «უშთამომავლოდ მწერლობაც ისევე იღუპება, როგორც ოჯახი». იცნობთ თუ არა თქვენს შთამომავლებს? ახალი თაობისგან ხშირად გამიგია, რომ თქვენ მათ ვერ თუ არ ამჩნევთ.

– ძალიან სამწუხაროა, ასე თუ ფიქრობს შთამომავლობა. სხვათა შორის, მე პირიქით მეგონა, ესე იგი, ის ვერ თუ არ მამჩნევდა. მაგრამ მთავარია, უკვე რომ არსებობს თავად, შთამომავლობა, და საკმაოდ იმედისმომცემიც. ქართულ მწერლობას, ასე ვთქვათ, მომავალი განადგებული აქვს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, წარსულის პატივისცემას გვაავალდებულებს ყველას. ახალგაზრდა მწერლებმა არც სულელ მოყვარეს უნდა დაუჯერონ და არც ჭკვიან მტერს, თითქოს მათგან იწყებოდეს ქართული მწერლობა. პირველ რიგში, ისინი დაიფაროს ღმერთმა ამგვარი უბედურებისგან. ისინი კი არ იწყებენ ქართულ მწერლობას, ახალ ფურცელს შლიან ქართული მწერლობის უკვე თექვსმეტსაუკუნოვან ისტორიაში. მე ვუსურვებდი, რაც შეიძლება ბევრი დაეტიოთ იმ ფურცელზე, რაც უფრო მდიდარია ტრადიცია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს ნოვატორობისთვის. მაგრამ ასევე არსებობს ბრმად მიმბაძველთა, თაღლით ფალსიფიკატორთა თუ შეუვალი, ტლუ გრაფომანთა აღზევების საფრთხეც, რადგან ჭეშმარიტი მწერალი ყოველთვის ცოტაა, მწერლობის მსურველი კი – ბევრი, და თუ-



კი ერთნი თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას მწერლობაში ფეხის მოსაკიდებლად იყენებენ, მეორენი მწერლობით ცდილობენ საზოგადოებრივი მდგომარეობის მოპოვებას. მაგრამ თავად მწერლობისთვის არც ერთია სახიფათო და არც მეორე. მთავარია, ნამდვილმა მწერლებმა თავიანთი საქმე აკეთონ, ანუ, წერონ წიგნები. ყველა მწერალს თავისი მისია და ბაღებისთანავე შუბლზე აქვს ამოტვიფრული და მის გასაკეთებელს არათუ მეორე მწერალი, ათასი დაჯგუფება რომ შეიქმნას, ვერ გააკეთებს... საერთოდ, ყველა მწერალი თავისთავად უნიკალურია და გასაფრთხილებელი. მეც ამ თვალსაზრისით ვუყურებ შთამომავლობას. დღეს რომ ქართველს წერის სურვილი გაუჩნდება, ესეც ჩვენი გარდუვალი განკურნების მაუწყებელი ნიშანია. ჯერ ერთი, ამით თავის ენას მიაგებს პატივს და, რაც მთავარია, სიყვარულს უხსნის სამშობლოს. უსინდისობაა, ვინმეს დასწამო, სამშობლოს საგინებლად უნდა მწერლობაო. მწერლობა ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვაა და როცა დღეს, ამ არეულ-დარეულ, ერთხელ კიდევ ჩაწიხლულ ქვეყანაში ახალგაზრდა კაცი მწერლის ურთულეს პროფესიას ირჩევს, ეს ჩემში, უპირველეს ყოვლისა, მისდამი პატივისცემის გრძნობასა და მხარდაჭერის სურვილს ბადებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ყველაფერი მომეწონება, რასაც ის დაწერს. დასაწერი კი ბევრია. თუკი სხვა რამეში მართლა ბევრად ჩამოვრჩებით დანარჩენ მსოფლიოს, პრობლემების სიმრავლითა და სირთულით ნამდვილად აღვემატებით ყველას. ყოველ შემთხვევაში, ჯერ მართლა არ მივსულვართ იქამდე, ერთი თანამედროვე მოთხრობის გმირივით საკუთარ განავალს ვინახავდეთ კომოდის უჯრაში, რაკი სხვა აღარაფერი შეგვრჩენია შესანახი და გასაფრთხილებელი. ნურას უკაცრავად! იმავე იტალიისგან განსხვავებით (სადაც ეს მოთხრობა დაიწერა), როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ჯერ ბევრი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს გასარკვევი და მეტი სიფრთხილე და გონიერება გვმართებს. რაც მთავარია, ჩვენი ხე ჯერ კიდევ იძლევა ნაყოფს – ამას ადასტურებს ახალგაზრდა მწერალთა სიმრავლეც, რომლებიც თუნდაც იმიტომ იმსახურებენ ყურადღებასა და პატივისცემას, მაინცდამაინც ქართველ მწერლებად რომ წარმოიშვნენ და წარმოჩინდნენ ამ თავგზააზნეულ სამყაროში. ეს, რასაკვირველია, მათი წინამორბედების დამსახურებაცაა, მაგრამ ამისთვის მადლობას არ ამბობენ, რადგან არც არავინ აკეთებს ამას მადლობისთვის. ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი პროცესია თაობათა მონაცვლეობისა, გნებავთ, მამათა და შვილთა «ბრძოლისა». მაგრამ მისი შემჩნევა და აღნიშვნა არამარტო ჩვენს ადამიანურ კეთილშობილებას ადასტურებს, არამედ განსაზღვრავს კიდევ ჩვენს მწერლურ ხარისხსაც. საერთოდ კი, ყველა მწერალი უაღრესად დამოუკიდებელი და თვითმყოფადი არსებაა, ვინმეს ადგილს კი არ იკავებს, «ადგილიანად» მოდის, ანუ თვითონ, საკუთარი შესაძლებლობებით იმკვიდრებს ადგილს სხვათა გვერდით. დარწმუნებული ვარ, შთამომავლობამ ისიც იცის, თუ რა დროს და რა გარემოში უწევს ცხოვრება და მოღვაწეობა; დარწმუნებული ვარ, წინასწარაა შეგუებული უგულბელყოფასაც და უმადურობასაც, რადგან მწერალი სწორედ მაშინაა საჭირო, როცა სხვებს წიგნისთვის აღარ სცალიათ, როცა ზნეობა შელახულია, კრიტერიუმები არეული, მოუთვინიერებლად ყველაზე იოლად მოსათვინიერებელი ითვლება, ერის მხსნელად – პირწავარდნილი მედროვე, ხოლო ხელისუფალთა ყურმოჭრილ ლაქიას წამებულის გვირგვინი ადგას თავზე. მწერალმა ლეგენდის ტყვეობიდან უნდა გამოიყვანოს ობივატელი და სიმართლის დასანახი თვალი აუხილოს. ხოლო ამას თუ ვერ შეძლებს, ნებისმიერი მისი მცდელობა შუშისა და ფარდის შუა მომწყვდეული ბუზის გაწამაწიას დაემსგავსება: იფრენს, იბზუვლებს, მაგრამ უაზროდ და უმედეგოდ... ასე არ უნდა მოხდეს და არც მოხდება არავითარ შემთხვევაში. როგორც მოსალოდნელი იყო, მიუხედავად ჩვენი «კეთილისმყოფელთა» ნიჰილისტური შეგონებებისა, ლიტერატურული ცხოვრება კი არ ჩაკვდა, შეიძლება ითქვას, აღორძინდა, აღორძინების გზაზეა. ყოველ შემთხვევაში, ამის ნიშნები ნამდვილად არის. გაჩნდნენ ახალი გამომცემლობები, იმარ-

თება წიგნის ბაზრობები, ერთი ლიტერატურული გაზეთისა და ჟურნალის ნაცვლად, ახლა რამდენიმე არსებობს და თავის გარშემო იკრებს ახალგაზრდობას. თანამოაზრე მწერალთა ასოციაციებისა თუ დაჯგუფებების სიმრავლევ ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლების დასტურია მხოლოდ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოში. ჩვენ დიდი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანა ვართ და სამოღვაწეო ასპარეზზე დღეს გამოსული ყველა ახალგაზრდა, თავად აცნობიერებს თუ არა ამას, უპირველეს ყოვლისა, ამ ტრადიციების გაგრძელებისა და გაღრმავების საწინდარია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ლიტერატურული ცდა, ნებისმიერი ახალი გზის ძიება მხოლოდ მისასალმებელია და იმედის მომცემი. დარწმუნებული ვარ, ბევრი ცდა წარმატებით დამთავრდება და ქართველი მწერლების დიდ ოჯახს კიდევ მრავალი სახელი შეემატება. მივესალმები ყველა ახალგაზრდა მწერალს, რომელიც სწორედ განუწყვეტელი ლიტერატურული ძიებებით იპყრობს დღეს ყურადღებას, ოღონდ ძიება თვითმიზნად არ უნდა იქცეს და არც იქცევა, ვიდრე სათქმელი გვექნება. მთავარი მაინც სათქმელია. მწერლობა უცნაური და ლამაზი სიტყვებით ჟონგლიორობას კი არ გულისხმობს, არამედ ერთადერთი და მრავლისმთქმელი სიტყვის პოვნას, რომელსაც უნარი შესწევს თანაგრძნობის, თანადგომის, თანაარსებობის ჟინი აღძრას მკითხველთა გულეში... და კიდევ ერთი! რაკი ამდენი ვილაპარაკე შთამომავლობაზე, ბარემ ამასაც ვიტყვი: პატივი ვცეთ, დავაფასოთ ნებისმიერი ლიტერატურა, მაგრამ გვიყვარდეს საკუთარიც. მხოლოდ საკუთარი ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი მწერალი შეიძლება გახდეს საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის. საკუთარი მწერლობის მიმართ უპატივცემულო, აგდებული დამოკიდებულება სნობიზმის ერთ-ერთი სახეობაა. ასე რომ, როცა ჩვენი ტელევიზიის ეკრანიდან, უცხოეთში «განათლებული» რომელიღაც ახალგაზრდა, ფეხი ფეხზე გადადებული, წარბმეუბრელად აცხადებს, უცხოეთში ყოფნის გამო, კარგად ვერ ვიცნობ ჩემს მშობლიურ ლიტერატურასო, ჩვეულებრივი სნობია და მის «განათლებას» და კატის ცურვლს ერთი ფასი აქვს ჩვენი კულტურული ცხოვრებისთვის...

– არ არსებობს მწერალი, მეორისგან რომ არ იღებდეს რაღაცას. თქვენთვის ვინ არის ასეთი «მეორე?»

– ასეთი «მეორე» ძალიან ზოგადი ცნებაა. ასეთი «მეორეა» ყველა, ვინც წაგიკითხავს; შეიძლება არც წაგიკითხავს, მაგრამ გაგიგია; ან არც გაგიგია, მაგრამ მისი ბაცილა დაფრინავს ჰაერში და, გინდა არ გინდა, შენზეც ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას. ლიტერატურული ატმოსფერო ამგვარი ბაცილებითაა გავსებული და ჩვენც, თავზეხელაღებული სულელები, ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვინ უფრო ღრმად ჩაისუნთქავს ამ «სახიფათო» ჰაერს...

– ლოდისმთრეველი სიზიფები?

– თუნდაც. ჩვენ, მწერლებს, რაღაც გვაქვს საერთო, ნათესაური... უფრო სწორად, ერთმანეთისკენ ვართ მიდრეკილნი, არ შეგვიძლია უერთმანეთოდ, და ამიტომაც მიმაჩნია გამართლებულად მწერალთა კავშირის, თუნდაც, როგორც ჩვენი ერთიანობის სიმბოლოს არსებობა. ამიტომაც ვარ აქამდე მწერალთა კავშირის წევრი, შეგნებულად. ასე მიმაჩნია სწორად. თორემ, მწერალთა კავშირიდან გამოსვლა დღეს, დამეთანხმებით, არც დიდ სირთულეს წარმოადგენს და არც გმირობად ჩაგეთვლება...

– მართლაც, განა საჭიროა რამე კავშირი იმისთვის, წიგნი რომ დაწეროთ?

– წიგნის დასაწერად არანაირი კავშირი არ არის საჭირო, არანაირი ფრაქცია, ასოციაცია თუ გაერთიანება... სხვათა შორის, არც მწერალთა კავშირი შექმნილა ამ მიზნით, ანუ «წიგნის დასაწერად». მწერალთა კავშირი ვერც წიგნის გამოცემაში მიეხმარება ვინმეს. პირიქით, მისი

წესდების მიხედვით, წევრად რომ მიგიღონ, ორი წიგნი მაინც უნდა გქონდეს დაწერილი (შესაბამისად, გამოცემული). მწერალთა კავშირში შესვლა, ერთგვარად, მწერლად კურთხევას, მწერლად აღიარებას ნიშნავდა თანამოკალმეთა მიერ და უფრო მორალურ მხარდაჭერას გულისხმობდა, ვიდრე ეკონომიკურ, მითუმეტეს პროფესიულ დახმარებას. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ხვალაც, თავისთავად ცხადია, აუცილებელი რეფორმების ჩატარების შემდეგ. ის მწერალთა კავშირი, რომელიც 1917 წელს, არამარტო დროის კარნახით, არამედ თავად მწერლების სურვილითა და მოთხოვნით შეიქმნა ჩვენში, უკვე კარგა ხნის შეცვლილია სტალინისა და გორკის გამოგონილი სტრუქტურით, რის შედეგადაც მართლაც ბევრი რამ დამახინჯდა და წაიბილწა ჩვენს სინამდვილეში. მათ შორის, კავშირში მიღების ზემოთ უკვე ნახსენები რიტუალიც. უფრო სწორად, გაუფასურდა, გამდაბიურდა ამ რიტუალის თავისთავად კეთილშობილური იდეა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, გასული საუკუნის მანძილზე არ გამოჩენილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი, სისხლხორცეულად არ ყოფილყოს დაკავშირებული ამ ორგანიზაციასთან. სწორედ იმათი დამსახურებაა (გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), თუკი მაინც შევინარჩუნეთ ის სულისკვეთება, გნებავთ, მრწამსი, რამაც საერთოდ განაპირობა მწერალთა კავშირის დაარსება. ასე რომ, ჩემი თვალსაზრისით, ვერც საბჭოურმა, სტალინისა და გორკის მიერ დაარსებულმა სტრუქტურამ (რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენმა პარლამენტმაც დააკანონა) მოსპო ბოლომდე ჩვენს შეგნებაში ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი ხატი მწერლისა და საერთოდ მწერლობისა. ბედის უკუღმართობითა და ისტორიული კატაკლიზმებით დაბნეულსა და დაბეჩავებულ ქართველის თვალში მწერლის სახელი გაცილებით მაღალ ცნებებთან და იდეალებთან ასოცირდებოდა ყოველთვის, განსაკუთრებით ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. ფაქტია, რომ გაუქმებული სამეფო დინასტიის, დაკარგული სახელმწიფოებრიობისა თუ დარბეული ეკლესიის წილ მწერლობას ეპყრა ხელთ ჩვენი ეროვნული შეგნებისა და ადამიანური ღირსების დროშა. კარგია ეს თუ ცუდი, სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ეს არც მწერლის კაპრიზია, არც მკითხველის. შეგვიძლია, ესეც ცხოვრებისეულ იძულებად ჩავთვალოთ. რაც მთავარია, ქართველმა მწერლობამ ეს «ზედმეტი» და უაღრესად მძიმე მოვალეობაც ღირსეულად შეასრულა. ჯერჯერობით არავისთვის მიუცია საბაზი საწინააღმდეგო აზრის გამოსათქმელად ამ საკითხთან დაკავშირებით. მით უფრო – გახსნილად და გარკვევით. სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუკი ხალხის ცნობიერებაში ქართული მწერლობა და საქართველოს მწერალთა კავშირი ერთმანეთთანაა გაიგივებული. გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ ამ მიზნითაც დაარსდა მწერალთა კავშირი თავიდანვე, იმპერიის ტყვეობიდან განთავისუფლებისთანავე. აქედან გამომდინარე, როცა დღეს, თუნდაც ფორმალურად, თავისუფალ საქართველოში ზოგადად მწერალთა კავშირს ვუპირისპირდებით (სულერთია, რის გამო და რა მოტივით), ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ინერციით თუ გეგმაზომიერად, უპირველეს ყოვლისა, საუკუნის მანძილზე და, მხოლოდ და მხოლოდ, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ჩამოყალიბებულ შეხედულებებს ვარყევთ ხალხის ფსიქიკაში. ეს კი, დამეთანხმებით, მეტი რომ არა ვთქვა, დიდი შეცდომაა ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვის, რომლისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნის მომავალი. და მაინც, შემაშფოთებელი ის კი არ არის, ახალგაზრდა მწერალს გახედვაც რომ აღარ უნდა მწერალთა კავშირისკენ – არამედ შემაშფოთებელია, «თავისუფალ, დემოკრატიულ» საქართველოშიც რომ გადმოგვყვა «ლიტერატურული ბატალიები», რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო, აშკარად ხელოვნურად და აშკარად ვიღაცის ფარული მითითებით...

– რამდენადაც მახსოვს, კრიტიკის ობიექტიც ხშირად ყოფილხართ, რომ არაფერი ვთქვათ ფოლკნერისა და მარკესის სამყაროსთან თქვენი სამყაროს იდენტურობაზე, აბსტრაქციონის-ტადაც იყავით გამოცხადებული. ხომ არ ფიქრობთ, რომ კარგი კრიტიკოსიც ისეთივე იშვიათობაა, როგორც კარგი მწერალი?

– სასიამოვნოაო, ვერ მოვიტყუებ (არც თქვენ დამიჯერებთ), მაგრამ ჩემს მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები არამარტო საინტერესოა ჩემთვის, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, ანგარიშგასაწევიც, თუკი, რა თქმა უნდა, თავად კრიტიკოსი არ იწვევს ეჭვს თავისი განსწავლულობითა და ობიექტურობით. როცა შენი წიგნი უარყოფით ემოციებს აღუძრავს ვიღაცას და არც მთლად სასიკეთოდ განაწყობს ავტორის მიმართ, თავისთავად სამწუხარო ამბავია, მაგრამ გასაგებიც და, ამდენად, ასატანიც. არ შეიძლება ყველანი ერთნაირად კითხულობდნენ ერთსა და იმავე წიგნს და რაც უფრო მეტი თვალსაზრისი იხადება ამა თუ იმ წიგნის გარშემო, მით უკეთესი წიგნისთვისაც და წიგნის ავტორისთვისაც. სხვათა შორის, მკითხველისთვისაც. კრიტიკოსი (თავისთავად ცხადია, ნებისმიერი მკითხველიც) უფლებამოსილია, ის ამოიკითხოს წიგნიდან, რაც მის სულიერ მოთხოვნილებას, გონებრივ დონეს, ზნეობრივ საზომსა და საერთოდ მის ინტელექტუალურ გარემოცვას შეეფერება და აკმაყოფილებს; ასევე უფლებამოსილია, მაინცდამაინც, ის იპოვოს წიგნში, რასაც ეძებს და რაც, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ არ იდოს იქ. მოკლედ, როგორც არ უნდა გავაწვილო თქვენი ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა, ახალსა და საინტერესოს ბევრს ვერაფერს ვიტყვი კრიტიკისა და კრიტიკოსის შესახებ. კრიტიკოსი, თანაც კარგი, უფრო დიდი იშვიათობაა, ვიდრე კარგი მწერალი. შეიძლება, ბევრი კარგი მწერალი ცხოვრობდეს ერთდროულად და არ ჰყავდეთ კარგი კრიტიკოსი. ყველაზე დიდი უბედურება უკრიტიკოდ დარჩენილი მწერლობაა. კრიტიკის გარეშე ლიტერატურა კი იქმნება, მაგრამ არ ვითარდება. ბებიის მზითვით სკივრში დევს და გამომზეურებას ელოდება, ანუ კრიტიკოსს, იმავე შვილიშვილს, რომელიც სკივრიდან ამოღებულ კაბებს მიიზომებს და ჩვენც დაგვანახვებს მათ ბრწყინვალეობას, ანდა, პირიქით – ოდინდელი ბრწყინვალეობის საბრალო ნაშთს, კიდევბადამენძილსა და ჩრჩილით შეჭმულს. ასეთი კრიტიკოსი, სამწუხაროდ, ამჟამად ნამდვილად არ გვყავს და ამის ბრალიცაა ალბათ, დღითი დღე რომ გვავიწყდება მწერლის მნიშვნელობა და საერთოდ მწერლობის ფასი. ის კი არა, ჩვენს დიდ წინაპრებს, ზოგჯერ, აუგადაც მოვიხსენიებთ ხოლმე. თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, ესეც იმათი სიდიადის დამადასტურებელია მხოლოდ. სწორედ დიდი და დიდებული თრგუნავს და აღიზიანებს საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობების ხალხს...

ფოლკნერსა და მარკესს რაც შეეხება, მხოლოდ სიამოვნებას მანიჭებს მათ გვერდით ჩემი მოხსენიება. ეს ჩემთვის დიდი პატივია და, ამდენად, კრიტიკად ვერ ჩავთვლი. ხოლო თუკი ვინმეს (ჩვენიანი მყავს მხედველობაში) მართლა სჯერა, რომ მე ფოლკნერსა და მარკესს ვბაძავ, თანაც ორივეს ერთდროულად, ნამდვილად ვერ დაუფუჯერებ, რადგან ჩემი წიგნები, საბედნიეროდ, სხვა ენებზეც ითარგმნება, მათ შორის, ესპანურადაც, და თუ ჩვენებური კატეგორიულობით არა, ევროპული ტაქტიანობით მაინც მიმანიშნებდნენ ამას. თუმცა, უნდა ვაღიარო, დანიელებმა მართლაც შემარქვეს «კავკასიელი მარკესი», ოღონდ, წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით, რეკლამისთვის, რაკი ჩემი გვარი და სახელი არაფერს ეუბნებოდა იქაურ მკითხველს. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, უკვე ვერანაირი კრიტიკა ვეღარ გამომასწორებს და ვერც ხელობაზე ამადებინებს ხელს. ეს ჩემი ერთადერთი ხელობაა (სხვა ვერაფერი ვისწავლე ამ ქვეყანაზე), მთელი სიცოცხლე ის მაჭმევდა პურს, თუმცა, დღეს აღარც სახელად მარგია,

აღარც სახრავად. ხოლო უფრო გულახდილები თუ ვიქნებით, ამ თქვენი ყბადაღებული მწერლობით გინებისა და სიძულვილის მეტი ვერაფერი დავიმსახურე...

– როგორი პირობები სჭირდება ქართველ მწერალს იმისთვის, კარგი წიგნი რომ დაწეროს. ქართველს იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ევროპელი მწერლისთვის ეს კითხვა სრულიად გაუგებარი იქნებოდა ალბათ.

– დავიწყეთ «კარგი წიგნით». «კარგი წიგნი» განსაკუთრებული ფენომენია და მის დასაწერად მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება არ კმარა. ჰემინგუეის თუ დაფუჯერებთ, კარგი წიგნის დასაწერად, სულ ცოტა, კიპლინგის ნიჭი, სამი სიცოცხლე და იღბალია საჭირო. ხოლო მწერლის ყოველდღიური საქმიანობისთვის (წერისთვის), რასაკვირველია, უკეთესი და უკეთესი პირობები ჯობს, როგორც აქ, ისევე ევროპაში. მაგრამ თქვენ ხაზგასმულად დღევანდელი ქართველი მწერლის მოთხოვნილებები გაინტერესებთ და სამართლიანადაც. განა მართლა საინტერესო არ არის, როგორ ახერხებს ის საბრალო, რასაც ახერხებს?! ანუ, როგორ წერს წიგნს, თუნდაც ცუდს, რადგან დრო და ენერჯია ცუდ წიგნსაც იმდენივე სჭირდება, რამდენიც კარგს. ასე რომ, ქართველმა მწერალმა თავისი პროფესიული ვალი რომ მოიხადოს დღეს, ჩვენს გადატაკებულ და გაუკუღმართებულ ქვეყანაში, ელემენტარული პირობები მაინც სჭირდება – თუნდაც, თითო რომ არ მიეყინოს ზამთარში საბეჭდი მანქანის კლავიშზე – და, რასაკვირველია, თავისი ულუფაც უნდა ჰქონდეს ჯარისკაცივით. თუკი სანგარში ჩამჯდარ ჯარისკაცს დღეში ერთხელ მაინც არ მიუტანე ცხელი კერძი, ვერ იომებს. ასეა მწერალიც. მწერლის ომი წერაა. მწერლის სანგარი – მისი სამუშაო მაგიდა. ოღონდ დამიზნებულსა თუ ბრმა ტყვიას კი არ არიდებს იქ თავს, არამედ თავს აკლავს ყოველ სიტყვას, რომელზედაც პასუხი უნდა აგოს სიკვდილის მერეც. საერთოდ კი, მწერალი უპრეტენზიო არსებაა (უნდა იყოს!). მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, კარგი ცხოვრების ფასი სხვაზე ნაკლებად იცოდეს და პირის გემო არა ჰქონდეს. მწერალი კარგი გურმანიცაა და არც ის ეშლება, რაში გაფლანგოს ჰონორარი (თუკი მისცემ, რასაკვირველია). მაგრამ სითბოსა და საჭმელზე მეტად, ალბათ მაინც თანაგრძნობა და თანადგომა სჭირდება...

– მაშინ, ორიოდ სიტყვა თქვენს თარგმანებზეც. მკითხველისთვის თითოეული თქვენი თარგმანი ცალკე, დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია ოთარ ჭილაძის სტილში, ლონგელოს «ჰაიავათას სიმღერა», რასინის «ფედრა», ბაირონის «ბარათი ავგუსტას», პუშკინის პოემები...

– ჩემი თარგმანების თქვენეული შეფასება ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის, მაგრამ უნდა გაგიმხილოთ, მთარგმნელები მაინცდამაინც არ მთვლიან მთარგმნელად, და ალბათ სამართლიანადაც, რამდენადაც უფრო იძულებით მთარგმნელი ვარ, ვიდრე მოწოდებით. ჩემს ცხოვრებაშიც იყო ისეთი პერიოდი, როცა იძულებული გავხდი, დროებით გვერდზე გადამედო საკუთარი ლექსები და სხვა საარსებო გზები მეძებნა. წელან მოგიყრუეთ, მაგრამ თქვენ რომ ჩემი აბსტრაქციონისტობა გაიხსენეთ, ჩემი მთარგმნელობაც იმ პერიოდს ემთხვევა სწორედ. როცა ახალგაზრდა პოეტს, საბჭოთა კავშირში, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, იდეოლოგიური ცერბერების რჩევითა და კარნახით, აბსტრაქციონისტად გამოგაცხადებს, რასაკვირველია, არც ერთ რედაქციას აღარ გაუხარდება შენი დანახვა. მაგრამ ობიექტურები რომ ვიყოთ, ეს მარტო საბჭოთა რეჟიმს არ ახასიათებს. ასეა ახლაც და ასე იქნება ყოველთვის, თავისთავად ცხადია, უმნიშვნელო და მხოლოდ გარეგნული ცვლილებების გათვალისწინებით. მეც ავდექი და, უკეთეს პოეტებს მივმართე ხელის გასამართად. მოკლედ, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინა. მაგრამ თუ დამიჯერებთ, განსაკუთრებით არ

მსიამოვნებს ამგვარი, მე ვიტყვოდი, ვითომ საინტერესო, სინამდვილეში კი ყოველად ჩვეულებრივი «კურიოზების» გახსენება, მით უფრო, რადაცის გამართლების მიზნით. ნებისმიერი რეჟიმი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მწერალს (არამარტო მწერალს), ხოლო, მწერალი (არამარტო მწერალი) თავად იღებს გადაწყვეტილებას, დათანხმდეს თუ არ დათანხმდეს რეჟიმისგან შემოთავაზებულ მოთხოვნებს. მრავალი მაგალითი ვიცი, როცა უზრუნველი ცხოვრება პრინციპზე მაღლა დაუყენებიათ და, პირიქით, ყველაფერზე უარი უთქვამთ იმავე პრინციპის გამო. მერე წუწუნნი და სინანული, ანდა მერე თავის მოწონება, მეტი რომ არ ვთქვათ, უსინდისობაა, ისევე როგორც სულიერი სისუსტის გამართლება, ანდა სულიერი სიმტკიცისთვის ჯილდოს მოთხოვნა. მაგრამ რაკი ამდენი მალაპარაკეთ, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამ ბოლო დროს ლამის მოდად იქცეს, რატომღაც, მაინცდამაინც «ყოფილ დისიდენტად» თავის გასაღება და, რაც მთავარია, მაინცდამაინც, ისეთი ხალხისგან, რომლებსაც ახალგაზრდობაში, ანუ, «დისიდენტობის» ჟამს, უხვად ჰქონდათ რეჟიმისგან მიმადლებული ამქვეყნიური სიამენი...

– *მეამბოხე თუ იყავით? უფრო სწორად, ბოჰემური? იმის თქმა მინდა, რომ გარედან, უცხო თვალისთვის, მკაცრი, აკადემიური ჩანხართ, «სპილოს ძვლის კომპში» გამოკეტილი; ეს გამოკეტვა საზოგადოებისგან თავდასაცავად გჭირდებათ თუ იმ სიმარტოვის შესანარჩუნებლად, რომელიც აუცილებელი პირობაა წიგნის დასაწერად?*

– რაც არ უნდა პათეტიკურად ჟღერდეს ჩემი პასუხი, ყველა მწერალი მეამბოხეა და, გარკვეული დოზით, «ბოჰემურიც». ოღონდ, «ბოჰემურობა» ჩემთვის იგივე ახალგაზრდობაა, ასაკობრივი «სენია» და «ცრუ დისიდენტობისა» არ იყოს, არც იმით კოპწიაობა მიმაჩნია მწერლისთვის შესაფერ საქციელად. უბრალოდ, ჩვენს ახალგაზრდობაში თავად ცხოვრება იყო «ბოჰემური». უფრო სწორად, არეული, მოუწყობელი, უადათწესო... დაახლოებით, როგორიც ახლაა. ფული არ გვქონდა და მაინც სულ ვქეიფობდით. მართალია, ძირითადად ღვინოსა და ბოლოკს ვუკვეთავდით, მაგრამ არც ეს იყო დიდი «ორიგინალობა», რადგან ასევე იქცეოდნენ სხვებიც და იმავე მიზეზით, არც იმათ ჰქონდათ ფული. ასე რომ, რაც თავი მახსოვს, უაღრესად აქტიურად ვცხოვრობ. რა თქმა უნდა, მარტო ქეიფს არ ვგულისხმობ «აქტიურ ცხოვრებაში», ვგულისხმობ, პირველ რიგში, ჩემს მთავარ საქმიანობას. სულ ვწერ, ესე იგი, სულ ვმობ. თუმცა, ჩემი ომი, რატომღაც, დუმილად და განდგომად აღიქმებოდა ყოველთვის, განსაკუთრებით ჟურნალისტების მხრიდან... ან ჩემს საქმიანობას არ თვლიან ომად, ან იმას არ ვამბობ, რის გაგონებასაც ჩემგან ელიან...

– *მაგრამ თქვენ არ გამოდიოდით, არ ითქვიფებოდით ფართო საზოგადოებაში, უფრო თხილდებოდით თქვენს თითოეულ სიტყვას, სახელს...*

– საზოგადოებას ეს თუ ნაკლად მიაჩნია, შემირცხვენია ასეთი საზოგადოება. ამისთვის მაძლობა უნდა მითხრას, ანდა იმაზე მაინც დაფიქრდეს, თვითონ რატომ ვერ შეინარჩუნა ის, რისი შენარჩუნებაც თურმე შესაძლებელი ყოფილა. და მაინც, საზოგადოებიდან განდგომა მძიმე ბრალდებაა ჩემთვის. თუმცა, როგორც ალბათ შემატყვევთ, მთლად კარგი წარმოდგენისა არა ვარ ჩვენს საზოგადოებაზე...

– *ჩვენც ხომ ამ საზოგადოების ნაწილი ვართ?*

– რასაკვირველია. მაგრამ ჩვენი ხალხი უკეთეს საზოგადოებას იმსახურებს და, დარწმუნებული ვარ, აღზრდის კიდევ. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება (ჩვენი ჩათვლით) საბჭოთა რეჟიმის ნაშიერია და ჯერ არ შეცვლილა. არც შეიცვლება. აი, ჩვენს შემდეგ რომ მოვა, მხოლოდ იმას ექნება მორალური უფლება შეფასებისაც და გადაფასებისაც. მაგრამ მწერალი, მა-

ლიანაც რომ უნდოდეს, მაინც ვერ განუდგება საზოგადოებას, რამდენადაც საზოგადოებაა მისთვის იმ ნედლეულის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი, რის გარეშეც მწერლის «ქარხანა» უბრალოდ ვერ იმუშავებს. ამიტომ, ჩემი აზრით, მაინც გასარკვევია, რას ვგულისხმობთ ან «სპილოს ძვლის კომპი», ან «გამოკეტვაში». როგორც მე მესმის, შეიძლება «სპილოს ძვლის კომპი» იყო გამოკეტილი და იმავე დროს არც ერთ საზოგადოებრივ ღონისძიებას არ აცდენდე, წვეულებებისა და ბანკეტების ჩათვლით. ანდა, პირიქით, სულ შინ იჯდე და არც იცოდე, საიდან ახია კარი «სპილოს ძვლის კომპს». «სპილოს ძვლის კომპი» თუ არსებობს, მხოლოდ მწერალში არსებობს (აუცილებლად უნდა არსებობდეს) და ეს უფრო სულიერი განდგომის აქტია, ვიდრე ფიზიკური...

– *არსებობს აზრი, რომ მწერალი ერთგვარად ღმერთის ფუნქციებში ერევა, რადგან არ კმაყოფილდება ღვთისგან შექმნილი ადამიანებით და დარწმუნებულია, თავად უკეთესის შექმნა შეუძლია.*

– არ ვიცი, ვის დაებადა ასეთი მკრეხელური აზრი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც ერთი მწერალი არ ფიქრობს ასე. და თუ ფიქრობს, ვურჩევდი, არ ჩარეულიყოს ღმერთის ფუნქციებში. მაპატიოს ღმერთმა ასეთი შედარება და, მწერლის ფუნქცია მხოლოდ გარეგნულად, მხოლოდ ზედაპირულად შეიძლება ჰგავდეს ღმერთის ფუნქციას. ღმერთმა რეალური სამყარო და რეალური ადამიანი შექმნა, რომელიც, აგერ უკვე ამდენი ხანია, მოუყვება მარადისობის გზას. ხოლო მწერლის შექმნილი სამყარო ირეალურია და თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ერთჯერადი ადამიანია იმ სამყაროს ბინადარი, გამრავლების უნარს მოკლებული, უშთამომავლო, და რაკი გზის გამგრძელებელს ვერ ტოვებს, თავად ცდილობს მარადისობაში დამკვიდრებას, ძირითადად უშედეგოდ, რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი გამონაკლისის გარდა. საერთოდ კი, რასაკვირველია, ყველა მწერალს ერთნაირად სურს, მაინცდამაინც მისი ნაშთიერი შემორჩეს მარადისობას, მაგრამ ამისთვის მარტო სურვილი არ კმარა. ამის შესახებ, მგონი, უკვე ვთქვით ზემოთ. კიპლინგის ნიჭთან, სამ სიცოცხლესთან და იღბალთან ერთად, კიდევ რაღაც სჭირდება ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებს, დროს რომ გაუძლოს, რაღაც, მარტივით მარტივი და აუცილებელი. «მარილის» კვნიწი თუ არის ნაწარმოებში, უკვდავება განაღდებული აქვს...

– *აქვთ თუ არა მარილის ნაკლებობა იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ ოთარ ჭილაძე მძიმე მწერალია?*

– ნამდვილად არ ველოდი თქვენგან ასე «მძიმე» შეკითხვას... სხვათა შორის, სხვისგანაც გამიგია მსგავსი მოსაზრება და, ეტყობა, მართლები არიან ისინი, ვისაც მე ვემძიმები. ყოველ შემთხვევაში, გულწრფელად აღიარებენ – გვემძიმებაო – მაგრამ მე რა შემიძლია, გარდა თანაგრძნობისა?! სხვას ვერაფერს დავპირდები. შეცვლით ნამდვილად ვეღარ შევიცვლები, ასე ვთქვათ, ვერ გავმსუბუქდები...

– *ფოლკნერმა ახალგაზრდა პროზაიკოსებს უთხრა: მირჩევნია თავად დავუშვა შეცდომები, ვიდრე მივიღო რჩევა, როგორ ავიცილო ისინი... თქვენ რას ურჩევდით დამწყებ მწერლებს?*

– უპირველეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ მინდა გამოვთქვა ჩემი პატივისცემა მათ მიმართ – თუნდაც ასეთი არჩევანის გამო – და ერთხელ კიდევ გამოვთქვა რწმენაც, ნამდვილად რომ გაამართლებენ არჩევანს – ღირსეულად (და მშვიდობით) გაივლიან მწერლის რთულსა და სახიფათო გზას. რჩევით კი ვერაფერს ვურჩევ ახალს. უფრო სწორად, არ წააგებენ, თუ ფოლკნერს დაუჯერებენ. დიდი-დიდი, ერთხელ ზედმეტად შეცდებიან. მე თუ მკითხავთ, ახალ-

გაზრდა (ვგულისხმობ მწერალს) ვალდებულებს არის შეცდეს, შესცოდოს, მოინანიოს... თუ არ შეცდა, ვერაფრით ვერ გაიგებს, რა არის შეცდომა; თუ არ შესცოდა, ვერასოდეს იგრძნობს ცოდვის სიმძიმეს; თუ არ მოინანია, ვერასოდეს ჩასწვდება მონანიების არსს, ანუ, ვერანაირი ჯადოქრობით ვერ აღწერს, ვთქვათ, მონანიე ადამიანის განცდებს, და გინდაც აღწეროს, მე ვერ დამაჯერებს, მე ვერ მაგრძნობინებს და განმაცდევინებს, რაც თავადაც არ უგრძნობია და განუცდია. ჩვენ, მწერლები, ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც, სიზიფეს ლოდის მთრეველები ვართ (როგორც თქვენც შემახსენეთ წელან, ოდნავ ირონიულადაც), და ვერასოდეს ვსწავლობთ ჭკუას. ალბათ ამიტომაც არის ჩვენი ხელობა ასეთი მომხიბლავი, თუ გნებავთ, მიმზიდველი. ხელს კი არ ვიღებთ უაზრო და უმადურ შრომაზე, ყოველი მორიგი მარცხის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ჟინითა და მონდომებით ვერთვებით ამ აზარტულ თამაშში, და თქვენც, ჩვენი მკითხველები და ლიტერატურის მოყვარულნი, კიდევ უფრო დიდი ინტერესით ადევნებთ თვალს, რომელი ჩვენთაგანი ვერ შეძლებს, კიდევ ერთხელ, არარსებული ლოდის ათრევას არარსებულ მწვერვალზე...

2002

### **კლდეს უკვე უთქვამს ჩემი სათქმელი**

(ინტერვიუ გაზეთ «ქართული უნივერსიტეტისთვის»)

– *ბატონო ოთარ, თქვენც თქვენი ბავშვობიდან მოდიხართ. რა განსაზღვრავდა თქვენი სიყრმისა და სიჭაბუკის ცხოვრების სტილს. რა დრო იყო ის, რითი იყო საინტერესო და გიშლიდათ თუ არა ხელს რაიმე პიროვნებად ჩამოყალიბებაში?*

– ჩვენი პიროვნების ჩამოყალიბება ჩვენთან შეუთანხმებლად და, უფრო მეტიც, უჩვენოდ ხდება. ეს მეტად რთული და, ამავე დროს, ძნელად გასაკონტროლებელი, მე ვიტყვოდი, ძნელად აღსაქმელი პროცესია, რომელიც ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდება, უფრო ხშირად შედეგი უარყოფითია. ესე იგი, პიროვნება გაცილებით ცოტაა, ვიდრე ადამიანი. თუმცა, ყველა ადამიანში, როგორც მიწაში მადანს, «სძინავს» მომავალი პიროვნების ჩანასახს, რომელიც ჯერ უნდა «გააღვიძო», ანუ აღმოაჩინო, მერე სამზეოზე ამოიტანო და «დაამუშაო» ეპოქისა და საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად. ეს კი, დამეთანხმებით, მართლაც, რთული და ხანგრძლივი პროცესია. სამაგიეროდ, მისთვის ერთნაირად მისაღებია ნებისმიერი დრო, გნებავთ, ნებისმიერი რეჟიმი, და ერთნაირად აუცილებელია, როგორც ხელის შემწყობი, ისევე ხელის შემშლელი პირობები, რომელთა რაოდენობაც აურაცხელია...

– *როგორ იხსენებთ მოსწავლეობის პერიოდს, როგორი რეჟიმის სკოლაში სწავლობდით. რა მოგცათ სწავლების იმ სისტემამ. როგორია თქვენი ოცნების სკოლა და მასწავლებელი?*

– მოსწავლეობის პერიოდს იშვიათად ვიხსენებ. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს მომნატრები. ამდენად, ვერც უფლებას მივცემ თავს, წარმოვადგინო ჩემეული მოდელი ამ ურთულესი და უფაქიზესი ფენომენისა, როგორიც, ჩემი ღრმა რწმენით, სკოლაა და რომელსაც, გადამწყვეტი თუ არა, ფრიად მნიშვნელოვანი როლი აკისრია ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში. ერთს კი ვიტყვი (რასაკვირველია, ჯერ შვილებსა და შემდეგ შვილიშვილებზე დაკვირვე-



ბით), დიკენსისეული სკოლის სისასტიკისა და მომთხოვნელობის გვერდით აშკარად მოი-  
კოჭლებს ჩვენი დღევანდელი, ვითომ დემოკრატიული სკოლა, უპირველეს ყოვლისა, იქ  
დამკვიდრებული ფამილარული ურთიერთობებითა და შემაშფოთებლად გაიოლებული  
სწავლებლით, რის სავალალო შედეგსაც თითქმის ყოველ დღე ვნახულობთ ტელეეკრანზე, ამა  
თუ იმ «ინტელექტუალური თამაშის» მსვლელობისას. და მაინც, კარგი სკოლა თუ გვინდა,  
პირველ რიგში, პატივი უნდა მივაგოთ მასწავლებელს. მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელი  
განსაზღვრავს სკოლის ხარისხსაც და ხასიათსაც. მასწავლებლის სახე (თუნდაც მოღუშული),  
ერთ-ერთი უსპეტაკესი და უკეთილშობილესი სახეა (უნდა იყოს!) ბავშვობიდან გამოყოლი-  
ლი. ღვთის წყალობით, მეც მოვესწარი ძველი ყაიდის მასწავლებლებს, რომელთა მიმართ  
აქამდე არ გამწვანებია პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა. ისინი რაიმე კონკრეტულ  
ცოდნაზე მეტად, ზოგადად, ადამიანობის მაგალითებს გვაძლევდნენ...

– *სიყვარული არის ძალა, ნიჭი თუ უნარი, რომელიც ადამიანს აძლევს ყველაზე ადამია-  
ნურ სახეს. თქვენ რას ფიქრობთ, ზოგადად, სიყვარულზე. როდის და რომელ ასაკში გეწვიათ  
პირველი სიყვარული და რით არის მნიშვნელოვანი შეყვარებულად ყოფნის ხანა?*

– გულწრფელად რომ გითხრათ, არ მესმის, რას ნიშნავს «შეყვარებულად ყოფნის ხანა». ალბათ ქალის სიყვარულს გულისხმობთ, თორემ ზოგადად სიყვარული ადამიანთან ერთად იბადება და მასთან ერთად ქრება. ღმერთის ჩანაფიქრით, ის, ალბათ, ერთადერთი არსებაა ამ უნარით დაჯილდოებული. ეს უნარი განაპირობებს მის ადამიანობასაც. რაც შემეხება მე, სა-  
ბედნიეროდ, ეს ღვთაებრივი გრძნობა ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში «მეწვია». უფრო ზუსტად,  
პირველ კლასში უკვე შეყვარებული ვიყავი. ჩემი თანაკლასელი შემიყვარდა. სახელიც მახ-  
სოვს, თუმცა, რა თქმა უნდა, არ გავამხელ. როგორც დიდი პოეტები გვასწავლიან, «სიყვა-  
რულსა მალვა უნდა». ვიდრე ადამიანი შეყვარებულია, შეუძლია, მშვიდად იცხოვროს, ვერა-  
ფერი მოერევა...

– *მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია – რატომ შეხვედით უნივერსიტეტში, რა დაგ-  
ხვდათ და რა შეიძინეთ, რა დაგრჩათ სახსოვრად?*

– უნივერსიტეტში შევედი, ალბათ, სწავლის გასაგრძელებლად და უმაღლესი ცოდნის მი-  
საღებად. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე კი ნამდვილად შემთხვევით აღმოვჩნდი. როცა მე  
და ჩემს მეგობარს საბუთები შეგვქონდა, ყველაზე მოკლე ჟურნალისტობის მსურველთა რი-  
გი აღმოჩნდა. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ცალკე, ფილო-  
ლოგიურისგან დამოუკიდებლად, ფილოლოგიურის განხრა იყო ერთგვარი. სადიპლომო  
ფრიადზე დავიცავი, თუმცა, რაღა დასამალია და, ვერ ვიყავი კარგი სტუდენტი: ლექციებს  
იშვიათად ვესწრებოდი და ბევრ ლექტორს პირველად გამოცდაზე ვნახულობდი ხოლმე. სა-  
მაგიეროდ, პასუხისმგებლობის გრძნობამ მაიძულა, უარი მეთქვა დიპლომზე, «ასე იოლად»  
არ შემეფერებინა ეს, მართლაც, სერიოზული და რთული პროფესია. ჩემი დიპლომი ახლაც  
უნივერსიტეტის არქივში დევს და დიპლომში აღნიშნული პროფესიით ერთი დღეც არ მიმუ-  
შავია. ასე რომ, ჯერჯერობით, ვერც უნივერსიტეტში შესვლის მიზანს ვთვლი მიღწეულად.  
თავს კი ხალხური სიბრძნით ვიმშვიდებ: სწავლა სიკვდილამდეო. თუმცა ვერც იმას ვიტყვი,  
თითქოს საერთოდ არაფერი მიმეღოს უნივერსიტეტისგან. პირიქით, იქ გატარებული წლები  
დიახაც რომ სულიერი და გონებრივი წვრთნის წლებია და ვინც უკეთ გამოიყენებს ამ წლებს,  
ქვეყანასაც უფრო მეტად გამოადგება და თავსაც...

– *გზაზე ერთი კაცი მიდიოდა – ვინ არის იგი, როგორია მისი ზნეობრივი მრწამსი და პი-  
როვნული კონსტიტუცია, ანუ ვინ ხართ და რატომ ხართ?*

– უპირველეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადო, აუცილებელი არ არის ლიტერატურული გმირისა და ავტორის გაიგივება. შეიძლება საერთო ბევრი ჰქონდეთ, ჰგავდნენ კიდევ ერთმანეთს, მაგრამ ეს ორი დამოუკიდებელი და, თუ გნებავთ, სრულიად განსხვავებული ფუნქციის ცნებაა. ერთი ქმნის, მეორე – შექმნილს წარმოაჩენს, გვაფორიაქებს, ანდა გვამშვიდებს შემქმნელის ჩანაფიქრის შესაბამისად. ერთ რამეში გეთანხმებით: ნებისმიერ ნაწარმოებში შეიძლება ავტორის ზნეობრივი მრწამსისა და პიროვნული კონსტიტუციის ამოკითხვა. რაც შეეხება გზაზე მიმავალ ერთ კაცს – ამავე სახელწოდების რომანის გმირია, რომლის ზნეობრივი მრწამსისა და პიროვნული კონსტიტუციის ჩამოსაყალიბებლად, ღმერთი, – რჯული, ავტორს თავი არ დაუშურებია, მაგრამ, ეტყობა, მაინც ვერ თქვა სათქმელი ნათლად, რაკი ამდენი ხნის მერეც, დაგებადათ ამგვარი შეკითხვა. ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, ერთი დიდი მწერლისა არ იყოს, ალბათ, თავიდან მომიჩვენებს იმავე რომანის დაწერა. ამიტომ, თქვენი ნებართვით, პასუხისაგან თავს შევიკავებ, რადგან ვერც თქვენი გაზეთი დაიტევს და, რაც მთავარია, ვერც თქვენი გაზეთის მკითხველი დაუდებს გულს...

– *თავისუფლება ღვთის დიდი საჩუქარია კაცთა მოდგმისთვის. თქვენ როგორ გესმით პიროვნებისა და ქვეყნის თავისუფლება?*

– ვერ დაგეთანხმებით – თავისუფლება ღვთის საჩუქარი არ არის. თავისუფლება თვითონ უნდა მოიპოვოს ადამიანმა, ზოგჯერ რამდენჯერმეც, რადგან მისი დაკარგვაც ისევე შეიძლება, როგორც მოპოვება. მხოლოდ მოპოვებული თავისუფლება ამაღლებს პიროვნებას სულიერად და ამაგრებს ქვეყნის საზღვრებს. სხვათა შორის, ჩვენც «ნაწყალობევი თავისუფლების» გამო ვართ ამ დღეში, ანუ საჩუქრით გახარებული ბავშვებივით ვართ აყოლილნი გრძნობებს – პოდიუმზე ფრანგებს ვეჯიბრებით, ესტრადაზე ზანგებს – არადა, ჭერი თავზე გვენგრევა, შავი თეთრისგან ვერ გაგვირჩევია, გამართულად ვეღარ ვმეტყველებთ მშობლიურ ენაზე, გარეთ საკუთარი ეროვნება გვავიწყდება, შინ სხვათა ეროვნებებს ვაკანონებთ... თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, შეიძლება სამუდამოდ დავკარგოთ სახეცა და მეობაც...

– *ბატონო ოთარ, ქირურგი რომ იყოთ და თქვენი ტანჯულ-წამებული სამშობლო საოპერაციო მაგიდაზე დაგიდონ, როგორ დიაგნოზს დასვამდით, რა გვტკივა ყველაზე მეტად და როგორ ვუშველოთ ამ სატკივარს?*

– ძნელი სათქმელია, რამდენად გამოვდგები ქირურგის მეტად რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესასრულებლად. ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი პროფესიონალი ქირურგივით მეც არავითარ შემთხვევაში არ მოვკიდებდი ხელს ავადმყოფს დიაგნოზის დასმამდე. მაგრამ სწორედ დიაგნოზის დასმა ძნელი და ეს არის ჩვენი მთავარი ავადმყოფობაც: არ ვიცით, რა გვჭირს, უფრო სწორად, ვერაფრით ვერ ჩამოგვიყალიბებია საერთო აზრი ჩვენს საერთო სატკივარზე: ზოგი ისევ ძლივს მოშორებულ მტერს ელოდება მოუთმენლად, ზოგი მტრის ჭერქვეშ ელოდება ავდრის გადავლას... ასე რომ, ჯერ მტერი უნდა გავარჩიოთ მოყვრისგან, ერთგულება – ღალატისგან, გონიერება – სილაჩრისგან, მლიქვნელობა – ზრდილობისგან, მონობა – თავისუფლებისაგან და მხოლოდ მერე ვიფიქროთ, რამდენად მიზანშეწონილი იქნება ჩვენი ავადმყოფობისთვის ქირურგიული ჩარევა...

– *«აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია» – კაცი იმედით ცოცხლობს... თქვენ თუ გაქვთ იმედი და როგორ მომავალს ხედავთ?*

– დიახ, კაცი იმედით ცოცხლობს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, გულხელდაკრეფილნი დაველოდოთ მომავალს... გაანძრით ხელი და გადარჩებითო – უთხრა ღმერთმა ქარიშხალში მოხვედრილ მენავეებს. ხელს თუ გავანძრევთ, ესე იგი, მოსწავლე თუ ისწავლის, მშრომე-

ლი თუ იშრომებს, მეომარი თუ იომებს, შეგნებულად თუ არ გავუტეხთ სახელს მასწავლებელს, ექიმს, მოსამართლესა თუ მწერალს... დაუნანებლად და დაუფიქრებლად თუ არ გავაჩუქებთ მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მონაგარს და, რაც მთავარია, თუკი დროულად დავიბრუნებთ ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობას, რასაკვირველია, ჩვენც გადავრჩებით. სხვათა შორის, დღეს, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე, არათუ დამოუკიდებლად არსებობა, არამედ დამოუკიდებლად დაღუპვაც ძნელია, სირცხვილზე რომ არაფერი ვთქვათ. გაურკვეველი მომავლისკენ მიმავალნი, მთამსვლელებივით, ერთმანეთზე ვართ გადაბმულნი და ვინც არ უნდა მოწყდეს კლდეს, გინდაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიბრიყვის გამო, ყველამ უნდა შევაშველოთ ხელი. ასე რომ, საქართველოს დაღუპვა თუ უწერია, მხოლოდ დანარჩენ კაცობრიობასთან ერთად დაიღუპება, სულერთია, კაცის გონების ნაყოფი იქნება ეს გრანდიოზული კატასტროფა, თუ ბუნების ბნელი ძალებისა. მაგრამ, იმედი ვიქონიოთ, ადამიანსაც ეყოფა მოთმინება და ბუნებასაც. პოეტისა არ იყოს, საქართველო უკეთესი მომავლის ღირსი ქვეყანაა და ამას, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობის გასაგონად ვამბობ...

– *კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა: «კაცნო, გიყვარდეთ ერთმანეთიო». თქვენ რას გვეტყვი?*

– კლდისგან განსხვავებით, ვერაფერს ვიტყვი. მით უმეტეს, კლდეს უკვე უთქვამს ჩემი სათქმელი...